# კვირის პალიტრა

№ 50 (511) ◆ 13 – 19 დეკემბერი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



გვ.8,9 **სამხედრო თემაზე:**

## კრემლს ახალი აგონია დაეწყო

– პანკისში ისინი ელანდება, ვინც მეორე წელია, იქ აღარ იმყოფება.

არაპროგნოზირებადი რუსული „დათვი" „ტოჩკ-ებით" გვემუქრება...

## საკადრო ცვლილებები – „კარუსელის" გარეშე

„ექვსთვიანი" მინისტრობის სინდრომი

ბრძოლაში წინ განუბაქებელი ტანკები უნდა გავუშვათ?!



## რა არის ამნისტიის დაგვიანების ძირითადი მიზეზი

გვ.3

„გასაკვირი არც უნდა იყოს ახალგაზრდა სახელმწიფოში, ახალგაზრდა ხელისუფლებას საკადრო პრობლემები რომ აქვს..."

## ქონებას ფლობ! გადაიხადე!

გვ.27 ცვლილებები ახალ კოდექსში

როგორ დაიბეგრება ავტომობილების იმპორტი და უძრავი ქონება

## „არ მინდა რიქა ბაზარი... შენა ხარ ჩემი ჯიბარი"



„ხედავთ, 2.100 დოლარს როგორ „მიტეხავდნენ"

„უკვე სვაბოდაზე ვარ", აწი ცოტა უფრო ფრთხილად უნდა მელაპარაკოთ...

გვ.7



## „მე არაფრის მეშინია – ამას ვიღაცების გასაგონად ვამბობ"

გაიძახიან, შოუბიზნესს დიდი ფული სჭირდებაო. ფული კი არა, ცოდნა სჭირდება. საბედნიეროდ, მცოდნე ხალხი გვყავს, მაგრამ ჩვენთან ათვალწუნება სჩვევიათ...

...გულნატკენი უკვე ოპერაციამდე ვიყავი, მაგრამ ეს სუხიშვილებს არ უკავშირდება.

გვ.17

ახალი ნაღმი?!

# სახიფათო განწყობა

## „ჩვენ" და „ისინი"



„ეს არის შევარდნაძის პოლიტიკური რევანშის მცდელობა"

„აუცილებელია პრეზიდენტისგან წამოვიდეს გამაერთიანებელი იდეა"

„უმაღლეს სასწავლებლებში იწყება ე.წ. პოლიტიკურ ჯგუფებად დაშლა – „ამის" და „იმის", რაც შემაშფოთებელია... არსებობს საშიშროება, რომ ამ დაპირისპირებამ უფრო ფართო ხასიათი მიიღოს, ვიდრე სტუდენტების დაპირისპირებაა..."

გვ.5,33

# „გამსახურდია ჩემთვის საშიში აღარ იყო"





თემის გაგრძელება

„ვინც დღეს ზვიადის გამო გულზე მჯიღს იცემს, მათ იგი გაჭირვებაში მიატოვეს და ტყუილად ნუ იშვერენ სხვისკენ ხელს...

ჩვენი ვარაუდით, საქართველოში გამსახურდიას დაბრუნება რუსებთან იყო შეთანხმებული... მათგან გარანტია რომ არ ყოფილიყო, თვითმფრინავს ჩამოაგდებდნენ."

გვ.13,33



„ელცინმა მითხრა, რიკოთს იქით გამსახურდია იყოს, აქეთ – შენო"(!)

„არ დაგიმალავთ, ხშირად მესმოდა, – რა გახდა ეს ზვიადი, ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება მისი განადგურებაო, იყო ამის მთქმელი ხალხი... ზვიადის ადგილსამყოფელი რომ მცოდნოდა, ალყაში მოვაქცევდი, ტყვედ ავიყვანდი, შესაძლოა, არც გამესამართლებინა და ისევ გროზნოში გამეგზავნა..."

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

გვ.11

## სამთავრობო ცვლილებების მოლოდინში

კულუარებში გავრცელებული ხმები მთავრობაში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ დაადასტურა: — 2004 წელს მთავრობა კარგად მუშაობდა, მაგრამ მომავალ წელს უკეთ უნდა იმუშაოს... საკადრო ცვლილებების შესახებ ჯერ კიდევ შტატებში გამგზავრებამდე გვქონდა მსჯელობა. ის მინისტრები, რომელთაც თანამდებობები უნდა დატოვონ, უკვე გაფრთხილებული არიან და მოულოდნელად არავის მოუხდება სავარძელთან შელევაო. სანდო წყაროს ცნობით, საკადრო ცლილებები ახალი წლის შემდეგ ან თებერვლის დასაწყისში იყო მოსალოდნელი, თუმც ენერგეტიკის მინისტრი იმდენად „ნაყოფიერად" მუშაობს, რომ მას დიდხანს არ ალოდინებენ და სავარაუდოდ, ახალ წლამდე იძულებით გაუშვებენ „დასასვენებლად". კულუარებში ხუმრობენ კიდეც, გილაურის იმედად რომ ვიყოთ — ახალ წელსაც „დაგვაბნელებსო", მაგრამ როგორც ჩანს, პრეზიდენტი ახალ წლის დადგომას აღარ დაელოდება. სავარაუდოდ, მომავალ კვირას რამდენიმე სამინისტროს ახალი თავკაცი ეყოლება. კულუარებში არ დასტურდება თავდაცვის სამინისტროდან გიორგი ბარამიძის შესაძლო წასვლა. მის ამ თანამდებობაზე დარჩენას უცხოელი პარტნიორები ითხოვენ. უკვე გადაწყვეტილია შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების გაერთიანება, მაგრამ ვინ იქნება მისი ხელმძღვანელი, ჯერჯერობით უცნობია. ლაპარაკია ეკონომიკის მინისტრის თანამდებობიდან შესაძლო წასვლაზეც. ამბობენ — კახა ბენდუქიძეს ეკონომიკის მინისტრობა დიდად არ მოსწონს და თავად ითხოვს „ამნისტიასო". არ არის გამორიცხული, რომ მთავრობისთვის სიურპრიზი პარლამენტშიც მომზადდეს. 1-ელ იანვრამდე თუ ბიუჯეტი არ დამტკიცდა, მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. ამ შანსს კი პარლამენტარები ხელიდან არ გაუშვებენო, — ირწმუნებიან.

## ვარშალომიძე პრეზიდენტს მოსწონს

მიუხედავად იმისა, რომ ოპონენტები ლევან ვარშალომიძეს უნიათობას სწამებენ, პრეზიდენტი ძველ მეგობარზე აუგს მაინც არ ამბობს. მიხეილ სააკაშვილმა აჭარაში სტუმრობისას განაცხადა, ლევან ვარშალომიძის მუშაობით კმაყოფილი ვარ და რეგიონში ამ ეტაპზე არანაირ საკადრო ცვლილებებს არ ვგეგმავო. სააკაშვილმა ჭორი უწოდა გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ლევან ვარშალომიძის თანამდებობაზე ედვარდ სურმანიძით ჩანაცვლება იგეგმებოდა.

აჭარაში ჩასულმა მიხეილ სააკაშვილმა პირველად უკრაინიდან ჩამოყვანილი ახალი ავტობუსები ნახა, რომლებიც ქედაში, შუახევში, ხელვაჩაურსა და ქობულეთის რაიონის რამდენიმე სოფელში იმოძრავებს. პრეზიდენტი ბათუმის საკოლმეურნეო ბაზარსაც ეწვია და იქაურ მოვაჭრეებს შეხვდა.

## ახალი ძველი ცოცხი უკვე გვის

ქვემო ქართლის გუბერნატორად პრეზიდენტმა ისევ ზურაბ მელიქიშვილი მიავლინა. კორუმპირებულობასა და კონტრაბანდისტობაში შემჩნეულმა სახლების მშენებლობის მოყვარულმა სოსო მაზმიშვილმა მამალაძის არაპირდაპირ მემკვიდრედაც ვერ ივარგა. ექსგუბერნატორი განსაკუთრებით არაქართველ მოსახლეობას არ მოსდიოდა თვალში. ზურაბ მელიქიშვილი პრეზიდენტმა ქვემო ქართლში საგანგებო დავალებით მიავლინა და მდგომარეობის გამოსწორებისთვის ერთი თვე მისცა. მელიქიშვილმა, ეტყობა იფიქრა, დრო არ დავკარგოო და კაბინეტში შესვლამდე გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში ჩაატარა სპეცოპერაცია. რამდენიმეკილომეტრიანი მილების მიწიდან ამოთხრისა და უკანონო გაყიდვის გამო სართიჭალის საკრებულოს თავმჯდომარე ივანე ბიძინაშვილი დააკავეს...

## საახალწლო „საჩუქარი" პენსიონერებს

წლის ბოლომდე რეგიონებში მცხოვრები პერსიონერები, მიმდინარე პენსიასთან ერთად, ერთი თვის ძველ დავალიანებასაც მიიღებენ.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის ზაზა სოფრომაძის განცხადებით, დამატებით ერთი თვის პენსიის გასაცემად, საპენსიო ფონდი 10 მილიონ ლარს გაიღებს.

2005 წლის 1-ელი იანვრიდან საპენსიო თანხის დანიშვნის პროცედურა გამარტივდება. პენსიონერებს შესაძლებლობა ექნებათ ეს პროცედურა არა რამდენიმე სტრუქტურაში, არამედ ერთ კონკრეტულ უწყებაში მისვლით მოაგვარონ.

## უმუშევრობის მსხვერპლი

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა, აფხაზეთიდან დევნილმა, უმუშევრად დარჩენილმა გალის რაიონის პოლიციის სამმართველოს ყოფილმა თანამშრომელმა, პოლიციის მაიორმა ბონდო ლუკავამ, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გაუქმებული შენობის მე-5 სართულზე თავი მოიკლა და წერილი დატოვა. მისი მეგობრები თვითმკვლელობის მიზეზად უმუშევრობას და პენსიის გაფორმებასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემებს ასახელებენ. ბონდო ლუკავა 55 წლის იყო.

სამინისტრო 2004 წლის 26 ოქტომბერს გაუქმდა, რის შედეგადაც 1600 თანამშრომელი უმუშევარი დარჩა. აფხაზეთიდან დევნილი სამართალდამცველების დასაქმება შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს დავალებული. მაგრამ სტრუქტურაში, სადაც პოლიციელთა შემცირება მიმდინარეობს, ლტოლვილთა დასაქმება ჭირს...

## ნათელაშვილმა მუქარა აასრულა

ლეიბორისტთა ლიდერი ამერიკის შეერთებულ შტატებში წასვლამდე ხელისუფლებას დაექადნა — ახლა კი ვიტყვი თქვენი „კაიკაცობის" ამბავსო და სახელმწიფო დეპარტამენტში სტუმრობისას ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა. საქართველოს საქმეთა კოორდინატორ ჯული ფიშერთან შეხვედრისას, შალვა ნათელაშვილმა „გული მოიოხა" — საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკამ ქვეყანა „სრულ კრახამდე" მიიყვანა, ქვეყანაში ერთპარტიული დიქტატურა „მძვინვარებს". ახალი, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია უსათუოდ ჩასატარებელი, თორემ უმუშევრობის არნახული ზრდა და ქვეყნის ეკონომიკური ნგრევა კარგს არაფერს გვპირდებაო. როგორც ჩანს, შტატებში ნათელაშვილს ჯერჯერობით არაფერს ჰპირდებიან, ალბათ ჯერ აკვირდებიან, მაგრამ ის რომ ჟვანიასთვის დაბადების დღის აღნიშვნა არ დაავიწყდათ, უმნიშვნელო არ უნდა იყოს...

## საახალწლოდ პრეზიდენტმა შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 76 მსჯავრდადებულის შეწყალებას მოაწერა ხელი.

76 მსჯავრდადებულიდან 57 უკვე გათავისუფლდა. აქედან 13 არასრულწლოვანია და 30 კი მძიმე ავადმყოფი.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, ელენე თევდორაძის თქმით, დანარჩენ 19 მსჯავრდადებულს სასჯელი გაუნახევრდება.

## მოსამართლეებს ხელფასები გაუზარდეს

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, 2006 წლის 1-ელი იანვრიდან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს 2.500 ლარის, მის მოადგილეს 2.200, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს 2.100, საოლქო სასამართლოს მოსამართლეს 1.600, რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს კი 1.250 ლარის ოდენობის ხელფასები ექნებათ.

პარლამენტის აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაშია 2006 წლის 1-ელი იანვრიდან. მატერიალური წახალისება რამდენად აამაღლებს მოსამართლეების კვალიფიკაციას და რამდენად შეასუსტებს მათი მისამართით გამოთქმულ საყვედურებს — სასამართლო პროკურატურის დანამატად იქცაო, დრო გვიჩვენებს.

## პანიკურ შიშს აცრები სჯობს

ნოემბერ-დეკემბერში თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში 4 მენინგიტით დაავადებული ბავშვი მოათავსეს. მაღალი სიცხე, ყელის სიწითლე, პირღებინება და ყივილის მაგვარი ხველა — ასეთი სიმპტომები აღენიშნებოდათ პაციენტებს, რომელთაც მოგვიანებით მენინგიტის დიაგნოზი დაუსვეს. წელს ამ ინფექციით 39 ადამიანი დაავადდა. მენინგიტის შემთხვევები კახეთშიც აღინიშნა. სკოლებში, სადაც ინფექციის შემთხვევები იყო, მშობლები შვილებს აღარ უშვებენ. ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით უმჯობესი იქნებოდა ინფექციის საწინააღმდეგო აცრების ჩატარება, რომლის აუცილებლობა მენინგიტის გახშირებული შემთხვევების მიუხედავად არავის ახსოვს, ან თუ ახსოვთ — დროულად არ იზრუნეს მისი განხორციელებისთვის...

## კვლავ ენერგოკრიზისია

საქართველოს ენერგოსისტემა ავარიულ რეჟიმში მუშაობს. მე-9 ენერგობლოკისა და ენგურჰესის აგრეგატის შემდეგ ამინდის მკვეთრი გაუარესების გამო მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი „იმერეთიც" გამოირთო. ამ ავარიის გამო აღმოსავლეთ საქართველოს ელექტროენერგია შეფერხებით მიეწოდება. ასევე დაზიანებულია „ალავერდის" 220-კილოვატიანი გადამცემი ხაზი, რომლის საშუალებითაც სომხეთიდან ხორციელდებოდა ელექტროენერგიის იმპორტი. ამ ავარიების გამო საქართველოს მოსახლეობას ელექტროენერგია შეზღუდვით მიეწოდება. უდენობით გაწამებული ხალხი რეგიონებში უკმაყოფილებას აქციებით გამოხატავს. ელექტროენერგიის დეფიციტს დედაქალაქიც განიცდის.

## ქარელსა და სუხიტაშვილს ბრალს სდებენ

პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების" გორის ორგანიზაციის წარმომადგენლები შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს მიხეილ ქარელსა და სამხარეო პოლიციის უფროსს ალექსანდრე სუხიტაშვილს კონტრაბანდისტთა მფარველობაში ადანაშაულებენ.

ორგანიზაციის თავმჯდომარე მამუკა ფანიაშვილი შიდა ქართლში ბოლო პერიოდში გართულებულ კრიმინოგენულ ვითარებაზე მიუთითებს და აქედან გამომდინარე, სამხარეო პოლიციის უფროსის, ალექსანდრე სუხიტაშვილის დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ახალი მემარჯვენეები" სამხარეო პოლიციის შენობასთან აქციების გამართვას გეგმავენ.

ოპონენტების ბრალდებაზე შიდა ქართლის გუბერნატორს კომენტარი არ გაუკეთებია. ალექსანდრე სუხიტაშვილი კი აცხადებს, უსაქმურობით დაღლილი ოპოზიცია საზოგადოების ყურადღების მიქცევას ამგვარი უსუსური განცხადებებით აპირებს და მაგათ არ ავყვებიო...

## სახიფათო დიდთოვლობა

დიდთოვლობის გამო მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეფერხებულია. ანანური-ლარსის მონაკვეთზე გადაადგილება მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით არის დაშვებული. ამ მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. რაკი საავტომობილო გზების დეპარტამენტი მძღოლებს სიფრთხილის გამოჩენას ურჩევს, ასეთი დიდთოვლობისას მთისკენ სასეირნოდ წასვლას ალბათ ფათერაკების მოყვარულნი თუ გაბედავენ... დიდთოვლობის გამო მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით გადაადგილებაა შესაძლებელი თბილისი-ქუთაისის საავტომობილო გზის ჩუმათელეთის მონაკვეთზეც.

## თვითმფრინავი გაყიდა?

შს სამინისტროს თანამშრომლებმა დეპუტატ ირაკლი იაშვილის ძმა მიხეილ იაშვილი „საქართველოს ავიახაზების" ხელოვნურად გაკოტრების ბრალდებით დააკავეს. იაშვილს ავიახაზების კუთვნილი თვითმფრინავის უკანონოდ გასხვისებას სდებენ ბრალად, რის გამოც მან სახელმწიფოს 177 ათასი აშშ დოლარის ზარალი მიაყენა. მიხეილ იაშვილი 2001-2003 წლებში კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო...

დაკავებულის ადვოკატი გოჩა სვანიძე ირწმუნება — ბანკში დაგირავებული თვითმფრინავის გაყიდვით იაშვილს სახელმწიფოსთვის ზარალი არ მიუყენებიაო.

## „გაზპრომი" გვზვერავს

მაშინ, როდესაც საქართველოში ელექტროენერგიის დეფიციტია, „გაზპრომი" ჩვენთან ენერგოობიექტების პრივატიზაციის პროცესის დაწყებას მოუთმენლად ელის. ამის შესახებ „გაზექსპორტის" გენერალურმა დირექტორმა ალექსეი მედვედევმა განაცხადა.

„გაზექსპორტის" ექსპერტთა ჯგუფი უკვე საქართველოში იმყოფება და სხვადასხვა ენერგოობიექტის პრივატიზაციასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებს.

„ჩვენ ველოდებით ენერგოობიექტების პრივატიზაციის პროცესის დაწყებას და ქართული მხარის პირობებს. ამის შემდეგ გადავწყვეტთ მივიღებთ თუ არა მონაწილეობას პრივატიზაციაში", — აცხადებს „გაზექსპორტის" ხელმძღვანელი.

„გაზპრომი" დაინტერესებულია ყველა იმ ენერგეტიკული კომპანიით, რომელიც თბოელექტროენერგიას გამოიმუშავებს, მათ შორის „თბოელექტროცენტრალითა" და ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული „თბილსრესის" ენერგობლოკებით.

## სურსათზე ფასები იზრდება

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 3-დან 8 დეკემბრამდე ფასების საერთო დონე 0,45 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის, სურსათის საერთო ფასი 0,40 პროცენტით, არასასურსათო საქონლის ფასი 0,65 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მომსახურების ღირებულება 0,15 პროცენტით შემცირდა.

დეპარტამენტის ინფორმაციით, წინა კვირასთან შედარებით გაძვირდა კვერცხი და კარტოფილი. სამაგიეროდ, გასულ კვირასთან შედარებით, 4,6 პროცენტით გაიაფდა ბენზინი „ნორმალი".

## ქურდი ჩინოვნიკი?..

საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა მარტყოფის ყოფილი გამგებელი ანზორ დილებაშვილი დააკავეს, რომელსაც მაგისტრალური გაზსადენის დაზიანებასა და ამ გზით ბუნებრივი აირის დატაცებაში ადანაშაულებენ. ყოფილ გამგებელს მარტყოფის ტერიტორიაზე გაჯის საამქრო ჰქონდა გახსნილი. მისი ფუნქციონირებისთვის დილებაშვილი გაზს მაგისტრალური გაზსადენიდან იპარავდა.

დაკავებული სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის იზოლატორში იმყოფება. მის წინააღმდეგ საქმე ქურდობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით არის აღძრული, რაც 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## შეიქმნება ახალი ფრაქცია

პარლამენტში უახლოეს მომავალში ახალი ფრაქცია შეიქმნება. სარწმუნო წყაროს ცნობით, ახალი საპარლამენტო ფრაქცია უმრავლესობისგან და დამოუკიდებელი მაჟორიტარებისგან გამოყოფილი დეპუტატებით დაკომპლექტდება.

ახალი ფრაქცია პარლამენტს „კონსერვატორების" სახელით მოევლინება, თუმცა ეს არ იქნება ის ფრაქცია, რომლის შექმნასაც ზვიად ძიძიგური, კახა კუკავა, კობა დავითაშვილი და უმრავლესობიდან გამოსული რამდენიმე დეპუტატი აპირებდნენ. ყოფილ ნაციონალებს ალბათ ძალიან გაალიზიანებთ მაჟორიტარების სისწრაფე — ძიძიგურმა და დავითაშვილმა კარგა ხნის წინ გამოაცხადეს, ფრაქციას ვქმნითო. მაჟორიტარებმა მათ ფრაქციის შექმნაც დაასწრეს და სახელიც წაართვეს.

## გურულებს ჩაის კივი და ფეიხოა ურჩევნიათ

გლეხის ყოფა ბაზარზეა დამოკიდებული და რაკი გურულებს ჩაი კარგად ველარ უსაღდებათ, მის ამოძირკვასა და სანაცვლოდ კივის, ფეიხოასა და თხილის გაშენებას მიჰყვეს ხელი. საზრიანი გურულები ხუმრობენ, შევარდნაძის სამახსოვროდ იმდენ ჩაის (ალბათ მწვანეს), მაინც დავიტოვებთ, რაც ჩვენ გვეყოფა, მაგრამ მიწას მისით აღარ მოვაცდენთო. — როცა ვიკითხე, წელს ჩაი თუ გაყიდეთ, — ვერაო, მაგრამ კივი გავყიდეთ, თხილი კი სულ დაიტაცესო, მითხრეს... ამიტომ გლეხებს ვურჩიე, ისეთი კულტურა მოაშენონ, რომელიც შემოსავალს მისცემთ, — თქვა გურიის ახალგაზრდა გუბერნატორმა ჟანი კალანდაძემ, რომელმაც გურულებთან მაინც „დაიზღვია თავი" — მოყვანილი პროდუქტის გასაღებაში კი მოგეხმარებით, მაგრამ მთლიან პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ, პაწა თქვენც გამოიღეთ ხელიო...

## სკანდალური ბრალდება




აზერბაიჯანის ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმის" წინააღმდეგ გამოდის. მისი მტკიცებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომლის მშენებლობასაც კომპანია აწარმოებს, შავი ჭირით გარდაცვლილი ადამიანების სასაფლაოზე გადის და რომ სამშენებლო სამუშაოების წარმოებამ შესაძლოა ამ დაავადების ხელახალი გავრცელება გამოიწვიოს. ორგანიზაცია ირწმუნება, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე „ბრიტიშ პეტროლიუმმა" 23 საფლავი ისე გააუქმა, ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის არაფერი უცნობებიაო.

## მიტერანის ვაჟი დააპატიმრეს

საფრანგეთის აწ განსვენებული პრეზიდენტის, ფრანსუა მიტერანის ვაჟს სასამართლომ პირობითად 30 თვით პატიმრობა მიუსაჯა. მოსამართლის მიერ 58 წლის ბიზნესმენისთვის გამოტანილი განაჩენი უფრო მკაცრი აღმოჩნდა, ვიდრე ამას პროკურორი მოითხოვდა.

ჟან-კრისტოფ მიტერანმა ხაზინას 600 ათასზე მეტი ევრო დააკლო. ბოლოს ხანს უფროსი ვაჟის ქრონიკულმა ფინანსურმა პრობლემებმა პრეზიდენტ მიტერანის ქვრივი აიძულა, პრეზიდენტის კუთვნილი ექსკლუზიური ავეჯი გაეყიდა.

## ბერლუსკონი გადარჩა

მილანის სასამართლომ იტალიის პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონის კორუფციის ბრალდება მოუხსნა და გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა. ამით იტალიამ პოლიტიკური კრიზისი თავიდან აიცილა. 2000 წლის მარტში პროკურატურამ პრემიერი და მისი უახლოესი თანამებრძოლი, თავდაცვის ექსმინისტრი ჩეზარე პრევიტი მექრთამეობაში დაადანაშაულა. ამ უკანასკნელს სასამართლომ ხუთწლიანი პატიმრობა შეუფარდა. პრევეტისგან განსხვავებით ბერლუსკონის გაუმართლა — 4-წლიანი დავა მის სასარგებლოდ დასრულდა.

## „არაყსადენი" ბელორუსია-ლიტვა

ლიტველმა მესაზღვრეებმა 3 კილომეტრის სიგრძის მილი აღმოაჩინეს, რომელიც ბელორუსიიდან ლიტვაში კუსტარული წესით გამოხდილი არყის კონტრაბანდისთვის გამოიყენებოდა. „არაყსადენი" მილი, რომელიც 2-დან 10 სმ-ის სიღრმეზე იყო ჩაფლული, ბელორუსიის ტერიტორიაზე იწყებოდა და ლიტვის სასაზღვრო ქალაქ ვიშიშკესის ერთ-ერთი კერძო სახლის ეზოში მთავრდებოდა. როგორც ჩანს, მიწაში ჩაფლული მილებით ლიტვის საზღვარზე კონტრაბანდული სპირტის ტრანსპორტირების მცდელობა იშვიათობა არ არის. დაახლოებით ერთი თვის წინ მსგავსი „არაყსადენი" სხვა ადგილზეც აღმოაჩინეს.

სპირტიანი სასმელების გატანის ამგვარი ეშმაკური საშუალების გამოყენებისკენ კონტრაბანდისტებს კომერციული ინტერესი უბიძგებს — ლიტვაში არაყი ძალიან ძვირი ღირს. იაფი ბელორუსული არყის რეალიზაცია კი დაახლოებით 300%-იან მოგებას იძლევა.

# რა არის ამნისტიის დაგვიანების ძირითადი მიზეზი



**„გასაკვირი არც უნდა იყოს ახალგაზრდა სახელმწიფოში, ახალგაზრდა ხელისუფლებას საკადრო პრობლემები რომ აქვს...“**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ანგარიში ვაშინგტონში დადებითად შეაფასეს — ზურაბ ჟვანიას რევოლუციური მთავრობის პოლიტიკა შეუქეს და ჰარი მანის ძალზე პრესტიჟული ჯილდოთი საქართველოსკენ გამოისტუმრეს. მთლად თეთრი სახლისგან ვერა, მაგრამ ნებრასკას შტატის ადმინისტრაციისგან მაინც მოახერხებს ჯილდოს მოკვარახჭინებას შალვა ნათელაშვილიც, რომელმაც თანამედროვე მსოფლიოს „რომში“ პრემიერის ესტაფეტა „გადაიბარა“. სანამ ჟვანია და ბურჯანაძე საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდნენ, ქართული მედია მორიგი სახელისუფლებო გადანაცვლების შესახებ ალაპარაკდა. საქართველოში დაბრუნებულმა პრემიერმა ხმების გავრცელება სასტიკად დაგმო — რა დროს თანამდებობებზე ლაპარაკია, ქვეყანა ნათელი მომავლისკენ მიისწრაფვის... და საერთოდ, ორ წელიწადში შეიძლება ნატოში გაწევრების რეალური კანდიდატებიც კი გავხდეთო. თუმცა, როგორც ჩანს, მისივე მშობლიურ კუთხეში, სიბნელეში მჯდომი გაჭირვებული ჭუბურხინჯელი გლეხისთვის ნატოს წევრობის კანდიდატობა დიდი ვერაფერი შელავათია — ზუგდიდში უკვე მერამდენე დღეა, საპროტესტო აქცია იმართება — რაც მთავარია, არა ელექტროენერგიის მუდმივი, არამედ გრაფიკით(!) მიწოდების მოთხოვნით. იქნებ ამ საქმეში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები არიან ჩართული და მოსახლეობაში სოციალური უკმაყოფილების პროვოცირებას ცდილობენ. ამიტომაც მათ წისქვილზე წყლის დასხმა რომ არ გამოგვივიდეს და თავიც ზედმეტად არ ავიტკივოთ, ისღა დაგვრჩენია, ეჭვი არ შევიტანოთ ენერგეტიკის მინისტრის საზაფხულო დაპირების შესრულებაში (24-საათიან ელექტრომომარაგებასთან დაკავშირებით) და ყველაფერი ისევ და ისევ მისტიკურ დივერსანტებს დავაბრალოთ, რომლებიც ან გილაურს ებრძვიან (ისე, როგორც მის წინამორბედ მინისტრებს ებრძოდნენ), ან მთლიანად, ქართველ ერს...

ქვემო ქართლში კი ელექტროენერგიის საკითხი მიწის გაყოფასთან და კონტრაბანდასთან ბრძოლის პრობლემებმა გადაფარა. როგორც ჩანს, მისი რწმუნებულის კომპეტენცია (აქაც საკადრო დეფიციტი...) რეგიონის სპეციფიკურობას ვერ გასწვდა და მხარის რწმუნებულად დაბრუნება ისევ ზურა მელიქიშვილს მოუწია. შეძლებს თუ არა, კანონსა და პოლიტიკას შორის ოქროს შუალედის პოვნას რეგიონული მართვის ყოფილი კოორდინატორი, მომავალში ვნახავთ. ალბათ, მომავალი სახელისუფლებო გადანაცვლებებიც სწორედ მის მიერ გათავისუფლებულ თანამდებობაზე რომელიმე მინისტრის დანიშვნით დაიწყება. ყოველ შემთხვევაში, ჭორების უარყოფის მიუხედავად, ჟვანიამ საკადრო ცვლილებები მაინც არ გამორიცხა. როგორც ჩანს, უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, კრემლის დიდმოხელენი თანდათან გონს მოდიან და კავკასიაში ახალი ნალმის ამოქმედებაზე დაიწყეს ზრუნვა — აზერბაიჯანში ქართული ტვირთების შეჩერებას (რის შესახებაც „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში ვსაუბრობდით) გასულ კვირას ქვემო ქართლში, აზერბაიჯანულ და ქართულ მოსახლეობას შორის დაპირისპირება მოჰყვა. კონტრაბანდა, ვფიქრობთ, აზერბაიჯანულ ენაზეც კონტრაბანდას უნდა ნიშნავდეს. ისიც გასაგებია, რომ საზღვრისპირა რეგიონებში წინა ხელისუფლების დამსახურებით, მოსახლეობის თავის რჩენის ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი საშუალება მაინც, კონტრაბანდა იყო. ცხადია, კანონის ამოქმედებასთან ერთად საზღვრისპირა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა გაუარესდებოდა. მაგრამ ზუსტად ასევე გაუარესდა ქართული მოსახლეობის მდგომარეობა ლაგოდეხში — სადაც საწვავის კონტრაბანდა აღიკვეთა; შიდა ქართლსა და სამეგრელოში, სადაც სამართალდამცველები, კონფლიქტური კერების გავლით, რუსეთიდან თამბაქოსა და კვების პროდუქტების კონტრაბანდას ებრძვიან... თუმცა სასურველია, მსგავსი ახსნა-განმარტებები თავის დროზე ადგილზევე, ადგილობრივ ხელისუფლებას ჩაეტარებინა, რადგან სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად მხოლოდ კაბინეტში სახელმწიფო რეგალიებისა და პრეზიდენტის ფოტოს განთავსება არ კმარა.

აფხაზეთის მოსახლეობის დიდი სურვილის მიუხედავად, მათი თვითმარქვია პრეზიდენტის კაბინეტში რუსეთის სახელმწიფო რეგალიები არ შეიცვლება — გაპრეზიდენტების შემდეგ ალბათ, ბაღაფშის კაბინეტში პუტინის ფოტოსურათი საპატიო ადგილს დაიკავებს. როგორც ჩანს, აფხაზი ერის რჩეულმა გადათვალ-გადმოთვალა და ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას, ისევ კრემლიდან ჭეშმარიტი შემოსავლები ამჯობინა — ხალხი კი მოიცდის... თუ, რასაკვირველია, მოიცადა.

უკრაინის არჩევნების ბედი უკვე გადაწყვეტილია — ევროპამ იუშჩენკოს ბოლოსთვის გადანახული, „ყველაზე მჭრელი კოზირიც“ მიაწოდა. ავსტრიელმა ექიმებმა უკვე ოფიციალურად დაადასტურეს, რომ პრეზიდენტობის ოპოზიციონერი კანდიდატი დიოქსინით მოწამლეს. ხატოვნად რომ ვთქვათ, დასავლეთსა და რუსეთს შორის უკვე გავლენისთვის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის დირექტორმა, ჯონ კრანერმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ამერიკამ სხვადასხვა ფონდის მეშვეობით უკანასკნელ წლებში უკრაინული ოპოზიცია 65 მილიონი დოლარით დააფინანსა... რუსეთს ფინანსები არა აქვს. მაგრამ ჰყავს დაუსაქმებელ სამხედროთა არმია სათანადო შეიარაღებით, რაზეც აპელირება გასულ კვირაში უკვე საქართველოსთან მიმართებაში გააკეთა ტრადიციულ, ჩეჩნეთ-საქართველოს სასაზღვრო ზოლზე „პრევენციულ დარტყმებთან“ დაკავშირებით. თუმცა ამას ევროკავშირის პასუხიც მოჰყვა — სოლანამ თავის ოფიციალურ განცხადებაში არ გამორიცხა, რომ ევროგაერთიანებამ შესაძლოა, საზღვრისპირა რეგიონებში ეუთოს საკუთარი დამკვირვებლები ჩაანაცვლოს. როგორც ჩანს, პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის...

მოვლენათა შესაძლო განვითარებაზე, მათ მიზეზებსა და შედეგებზე პოლიტოლოგ **გია ნოდიას** ვესაუბრებით:

— რუსეთის თავდაცვის უწყების მუქარანარევი განცხადება, შესაძლებელია, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსაც უკავშირდებოდეს. რაიმე კონკრეტული გეგმის არსებობაზე ლაპარაკი ძნელია — ანალოგიური განცხადებები კრემლის მხრიდან ადრეც გვახსოვს და მაინცდამაინც ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე მათგანს კონკრეტული საფუძველი შეიძლება ჰქონოდა. ანუ, ეს შეიძლება იყოს კრემლის გაღიზიანების შედეგი ევროპის უპრეცედენტო აქტიურობის გამო, რადგან საქართველოს პროდასავლური კურსი თანამედროვე მსოფლიოში უკვე დიდი ხანია, დეკლარირებულ ხასიათს ატარებს. რუსეთის მუქარამ ისიც გამოაჩინა, რომ მოვლენები ესკალაციის განსაკუთრებულ ფაზაში შედის და მასთან ლოიალობას არც ევროპა აპირებს. კრემლის განცხადების ერთგვარ პასუხად შეიძლება ჩაითვალოს სოლანას მოსაზრება. ალბათ, რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობები გაცილებით უფრო ხისტი გახდება, როდესაც საბოლოოდ, ოფიციალურად გაირკვევა უკრაინაში არჩევნების შედეგები. ყოველ შემთხვევაში, იუშჩენკოს გამარჯვება უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს...

— **ალბათ, ამაში მნიშვნელოვანი წვლილი ევროპელმა ექიმებმაც შეიტანეს. თანაც, განცხადება იუშჩენკოს მოწამვლასთან დაკავშირებით განმეორებითი არჩევნების დანიშვნას და პრაქტიკულად, წინასაარჩევნო პერიოდს დაემთხვა...**

— ვერ ვიტყოდი, რომ ავსტრიელი ექიმების განცხადებამ უკრაინელი ხალხის განწყობაში რაიმე ძირეული გარდატეხა შეიტანა — პირიქით, ვფიქრობ, მათ შეგნებულად დააგვიანეს კიდეც კვლევის ოფიციალური პასუხის გამოქვეყნება, რათა არჩევნების პერიოდში, როდესაც სამოქალაქო დაძაბულობა უკრაინაში პიკს აღწევდა, ამ განცხადებას მოვლენათა ესკალაცია უარყოფითი ნიშნით არ დაეჩქარებინა. მას შემდეგ კი, რაც საერთო-სახალხო დემონსტრაციებმა და პროტესტმა თავის შედეგს მიაღწია და განმეორებითი არჩევნები დაინიშნა, ექიმების განცხადებას რაიმე ზემოქმედების მოხდენა აღარ შეუძლია. ამით ფაქტის კონსტატაცია მოხდა, რამაც შესაძლოა, ბევრი უკრაინელი უბრალოდ, თავის არჩევანში დაარწმუნა. თუ როგორ განვითარდება უკრაინელთა ბედი რევოლუციის შემდეგ, ამას მომავალი გვიჩვენებს... ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანას დემოკრატიულ უკრაინასთან სტრატეგიული პარტნიორობა ბევრ სიკეთეს უქადის.

— **მანამდე კი, ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს რევოლუციურმა მთავრობამ ერთწლიანი მოღვაწეობის შედეგები უკვე წარუდგინა. თუ ჟვანიასთვის გამართული მიღებების მიხედვით ვიმსჯელებთ, თეთრი სახლი შედეგებით უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო... და კიდევ ერთი ფაქტორი — პრემიერის ესტაფეტა ოპოზიციის ერთ-ერთი ფრთის წარმომადგენელმა, ნათელაშვილმა გადაიბარა...**

— რაც შეეხება შალვა ნათელაშვილის ვიზიტს, ამის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია მაქვს და მის შედეგებზე, ან შეხვედრების ხასიათზე მსჯელობა გამიჭირდება. თუმცა მაინც, ეჭვი მეპარება მას ამერიკაში ისეთივე მაღალი დონის შეხვედრები ჰქონდეს, როგორიც ზურაბ ჟვანიას ჰქონდა. ოფიციალურად პრემიერ-მინისტრის ვიზიტი, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჰარი მანის სახელობის საკმაოდ პრესტიჟული ჯილდოს გადაცემას უკავშირდებოდა. თუმცა ჟვანიამ, როგორც ჩანს, „სასიამოვნოს სასარგებლოც“ შეუთავსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ვაშინგტონელ დიპლომატებსა და დიდმოხელეებს საქართველოს არსებობა კიდევ ერთხელ შეახსენა — მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში კვლავ ბუშმა გაიმარჯვა, მის ადმინისტრაციაში ცვლილებები მაინც მოხდა და ეს საქართველოსთვის უაღრესად საჭირო ნაბიჯი იყო. როგორც შეხვედრებიდან გამოჩნდა, ამერიკა, ისევე როგორც ევროპა, საქართველოს მიმართ მზარდ ინტერესს იჩენს. ალბათ, ეს პირველ ყოვლისა, კონფლიქტურ რეგიონებში ვითარების გამოსწორებაზე აისახება...

— **თუმცა კრემლმა ბაღაფშის დაშინებისა თუ მოსყიდვის გზით აფხაზეთზე გავლენა კვლავ აღიდგინა... საინტერესოა, გამოიწვევს თუ არა ხალხის ნების უარყოფა რევოლუციას აფხაზეთში?**

— არა მგონია, ბაღაფშის ღალატმა აფხაზი ხალხი ასე ძალიან აალელვოს. გასულ თვეში რუსეთმა ყველაფერი გააკეთა აფხაზების დასაშინებლად. ბაღაფშს კი ხელისუფლების შესანარჩუნებლად სხვა გზა, კრემლთან გარიგების გარდა, აღარ დარჩა. რუსეთის მიერ გამოცხადებულმა ბლოკადამ აფხაზები იმაშიც დაარწმუნა, რომ მათი დამოუკიდებლობა მითია და სხვა არაფერი — ისინი, თუ ელემენტარული არსებობა უნდათ ან რუსეთის ხარჯის მდგომარეობაში უნდა იყვნენ, ან საქართველოსთან ურთიერთობას უნდა გადახედონ. საქართველოსთან ურთიერთობა მათ ჯერ კიდევ აშინებთ, რადგან რუსული პროპაგანდისტული მანქანა იქ წარმატებით მუშაობდა და მუშაობს, რასაც აფხაზ პოლიტიკოსთა კორუფციული ინტერესებიც ემატება. ასე რომ, მათ გამოსავალი ისევ რუსეთთან ურთიერთობაში უნდა ეძებონ — იმისდა მიუხედავად, მოსწონთ თუ არა ეს. რომ არ მოსწონთ, ესეც ფაქტია, რადგან კრემლის პოლიტიკური დივიდენდები განვლილ პერიოდში აფხაზეთში ძალზე მკვეთრად დაეცა. როგორც ჩანს, კიდევ დრო და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აქტიური, მიზანმიმართული პოლიტიკაა საჭირო საიმისოდ, რომ აფხაზებმა კიდევ უფრო რეალური და რაც მთავარია, თავიანთთვის სასიკეთო დასკვნები გამოიტანონ როგორც რუსეთთან, ისე საქართველოსთან მიმართებაში...

> რუსეთის მიერ გამოცხადებულმა ბლოკადამ აფხაზები იმაშიც დაარწმუნა, რომ მათი დამოუკიდებლობა მითია და სხვა არაფერი – ისინი, თუ ელემენტარული არსებობა უნდათ ან რუსეთის ხარჯის მდგომარეობაში უნდა იყვნენ, ან საქართველოსთან ურთიერთობას უნდა გადახედონ. საქართველოსთან ურთიერთობა მათ ჯერ კიდევ აშინებთ, რადგან რუსული პროპაგანდისტული მანქანა იქ წარმატებით მუშაობდა და მუშაობს, რასაც აფხაზ პოლიტიკოსთა კორუფციული ინტერესებიც ემატება.

— **თუმცა, მიზანმიმართულ პოლიტიკაზე ლაპარაკი შესაძლოა ნაადრევიც იყოს იმ პირობებში, როდესაც პრეზიდენტს ლამის ყოველ კვარტალში მინისტრებისა და მაღალი თანამდებობების პირთა გადანაცვლება უწევს. ისიც ფაქტია, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება...**

— ერთი მხრივ, გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ ახალგაზრდა სახელმწიფოში ახალგაზრდა ხელისუფლებას საკადრო პრობლემები აქვს. ეს კი თავის მხრივ, სახელისუფლებო გადანაცვლების ქრონიკულ სერიას იწვევს. ამის ნათელი მაგალითი გასულ კვირაში ქვემო ქართლში შექმნილი ვითარება იყო — როდესაც რეგიონის მმართველმა მოვალეობას აშკარად ვერ გაართვა თავი და სააკაშვილი იძულებული გახდა, სახელმწიფო მინისტრი რეგიონალური მართვის დარგში ისევ უკან, ძველ ადგილზე დაებრუნებინა (რაც მის დაქვეითებასაც ნიშნავდა), თუმცა სააკაშვილს სხვა გზა არ ჰქონდა. უახლოეს მომავალში კი პრეზიდენტი კიდევ ერთი პრობლემის წინაშე დადგება — ბუნებრივია, რომ კანცელარიაში, მელიქიშვილის მიერ გათავისუფლებულ ადგილსაც შევსება დასჭირდება... საყურადღებოა ქვემო ქართლში შექმნილი ვითარებაც — ფრთხილი პოლიტიკა ასეთ რეგიონში უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანია, თუმცა ეს არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებამ კონტრაბანდას იქ ებრძოლოს, სადაც მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ. შეუძლებელია, სახელმწიფოში ეროვნულ ნიადაგზე ინდულგენციები გაიცეს მხოლოდ იმიტომ, რომ დემოკრატიული სახელმწიფო ვართ და სხვა ერებს არ ვავიწროებთ. თუმცა მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ ამ მხარეში ძალიან სპეციფიკური მიდგომაა საჭირო, რადგან თავად აზერბაიჯანულ მოსახლეობას ასეთი ეპიზოდები ყოველთვის ეთნიკური შევიწროების რანგში გადაჰყავს ხოლმე. ამას ისიც დაემატა, რომ უკანასკნელ პერიოდში შედარებით გაუარესდა ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები. ამ პრობლემას კომპლექსურად უნდა შესწავლაც და მიხედვაც, რადგან გამორიცხული არ არის, ასეთი ნიადაგი დაინტერესებულმა მხარემ წარმატებით გამოიყენოს...

— **აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან არაერთგზის დეკლარირებისა და განცხადების მიუხედავად, კვლავაც ჭიანურდება როგორც საგადასახადო კოდექსის, ისე ფინანსური ამნისტიის შესახებ კანონმდებლობის დამტკიცება. ბუნებრივია, ეს ქართული ეკონომიკის და შესაბამისად, სახელმწიფოებრიობის განვითარებას არ წაადგება...**

— შესაძლოა, ვინმესთვის გასაკვირი და დაუჯერებელიც იყოს, რომ დღევანდელი პარლამენტის პირობებში, როდესაც აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ხელისუფლების მხარდამჭერს წარმოადგენს, ამ კანონმდებლობის გატანა-დამტკიცება რთულდება. თუმცა, თავისი ახსნა ამასაც აქვს. როგორც ჩანს, დეპუტატთა დიდი ნაწილი ერთგვარად დაკომპლექსდა იმ გაუთავებელ მსჯელობათა გამო, რომ არ შეიძლება მაფიოზებსა და ხალხის ხარჯზე გამდიდრებულ კლანებს რაიმე ეპატიოთ და შერჩეთ. თუმცა აქ ხომ ყველაფრის უპირობო პატიებაზე არ არის ლაპარაკი — ამნისტია გარკვეულ პირობებს და მკაცრად განსაზღვრულ კრიტერიუმებს გულისხმობს. აქ რამდენიმე მოსაზრება, ფაქტორი შეეჯახა ერთმანეთს: პირველი ეკონომიკის რაციონალიზაციიდან მომდინარეობს, რომლის თანახმადაც, ამნისტია აუცილებლობას წარმოადგენს თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოში უკანონოდ ნაშოვნი ფული ქვეყნის საზღვრებს გარეთ არ აღმოჩნდეს და ქართული ეკონომიკის ინვესტირებას მოხმარდეს. მეორე მხრივ კი, „ვარდების რევოლუცია“ იდეურად იმ ხალხის დასჯას ითვალისწინებდა, ვისაც უდიდესი „წვლილი“ მიუძღვის ქართული სახელმწიფოებრიობის გაჩანაგებაში. არის მესამე, არცთუ უსაფუძვლო მოსაზრებაც: თუ დღეს ვაპატიეთ, მაშინ რატომ არ ვაპატიეთ გუშინ — რა დააშავა იმ ხალხმა, ვინც უკვე დააპატიმრეს ან ფული დააბრუნებინეს, ან ისევ პატიმრობაში ამყოფებენ? როგორც ჩანს, ხელისუფლებასაც უჭირს ამ დილემათა შორის გარკვევა და ამნისტიის დაგვიანების ძირითადი მიზეზიც ეს უნდა იყოს.

***დაჩი გრძელიშვილი***

გამოიწერეთ „კვირის პალიტრა“ ტელ.: 33-26-73; 42-43-40

## ფოტო კომენტარით — „ვაკელი“ ძროხები



ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორია, მიშველაძის ქუჩა

# „უფლება არ მაქვს, არ ვიცოცხლო, არ შევქმნა, არ ვიმუშაო...“





აი, ისლით გადახურული სახლები, ქარიანი დღე, ბავშვები, ქალები, წმინდანები... დავით ალმაშენებლის მშვიდი და ამაყი პორტრეტი, რომელიც მალე საქართველოს პრეზიდენტს გადაეცემა საჩუქრად. მათ ავტორს არც ფუნჯი სჭირდება, არც ფერების შეზავება, ის ბუნებაში არსებულს იღებს და ისე გადმოგვცემს, გაგიკვირდება კიდეც, აქამდე როგორ ვერ ვხედავდი ერთ პატარა ფრთაში ჩატეულ ამხელა სილამაზესო...

გახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმს უამრავი სტუმარი ეწვია. ლია ბარნაბიშვილმა კიდევ ერთხელ გააოცა მნახველები. — ბუნებაში იმდენი საოცარი ფერია, ზედმეტი ძებნა არ მჭირდება, — თქვა ქალბატონმა ლიამ.

ეს თავისთავადი ხელოვნება სათანადოდ შეფასდა კიდეც. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ცოტა ხნის წინ მხატვარს თამარ მეფის პორტრეტის შექმნის კურთხევა მისცა, დღეს ეს ნამუშევარი საპატრიარქოში ინახება. ქალბატონმა ლიამ მაინც მოახერხა რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა, თუმცა დარბაზში იმდენი ხალხი ირეოდა, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა: — 1992 წლის შემდეგ ბუმბულზე ვმუშაობ. ეს ურთულესი, მაგრამ ძალიან სასიამოვნო პროცესია. მე ხომ ბუმბული თვითონ მკარნახობს, რა უნდა შევქმნა მისგან. ზოგი ნანადირევს მჩუქნის, ზოგი ზოოპარკში მიგროვებს ბუმბულს. როგორც კი ვნახავ, ვხვდები, რა უნდა „დავხატო“.

გამოფენის გახსნას დაესწრო საქართველოს კულტურის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, რომელმაც თქვა, — ლია ბარნაბიშვილის მსგავსი ხელოვანი სახელმწიფომ ყურადღებით უნდა გაანებივროსო.

ქალბატონი ლია უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, დღემდე სარდაფის მსგავს ოთახში უხდება მუშაობა. არც ნამუშევრების შესანახი პირობები გააჩნია — ბუმბულს ნესტისაგან განსაკუთრებული დაცვა სჭირდება. ვიდრე განადგურება დაემუქრება ამ უნიკალურ ქმნილებებს, იმედია, მინისტრი რაიმეს მაინც იღონებს მათ გადასარჩენად.

„უფლება არ მაქვს, არ ვიცოცხლო, არ შევქმნა, არ ვიმუშაო... თქვენ ხომ ასე გიყვართ ჩემი ნამუშევრები“, — თქვა ცრემლმორეულმა მხატვარმა. ასეც იქნება...

***ლელა ჯიყაშვილი***

ღია წერილი

# საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო!

გვჯერა, რომ საქართველოში ბოლო მოეღება თვითნებობას, კორუფციასა და იმ განუკითხაობას, რაც გამეფებული იყო ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ენერგეტიკაში და ეს ჩვენზე, რიგით ენერგეტიკოსებზე უკეთ არავინ იცის.

ენერგეტიკოსებისგან მოპარულ და მითვისებულ მილიონებს აღარ სჯერდებიან და უკვე ენერგეტიკის სიმბოლოდ ქცეული, ყოფილი „საქენერგოს“ შენობის გასხვისება განიზრახეს.

ჯერ კიდევ შევარდნაძის მოღვაწეობისას დაიგეგმა ყოფილი „საქენერგოს“, ამჟამად კი ყოფილი „ენერგოგენერაციის“ შენობის ხელში ჩაგდება. შევარდნაძე წავიდა, შემსრულებლები კი დარჩნენ. აქ მომუშავე პროფესიონალი კადრების თავიდან მოშორება მათ იმისათვის სჭირდებათ, რათა არ გამჟღავნდეს მითვისებული მილიონების ამბავი, ვინმემ არ გამოიკვლიოს, რატომ გაკოტრდა მომგებიანი საწარმო და რატომ არის ვალებში ჩაფლული.

თქვენი დაპირებით ისარგებლეს და, შეიძლება ითქვას, საბალეტო სკოლას იძულებით დააკავებინეს შენობის V-V-V სართულები. მთავრობის სხდომაზე, ახალგაზრდა ენერგეტიკის მინისტრი შეეცადა, დაესაბუთებინა ამ გადაწყვეტილების უმართებულობა, მაგრამ უშედეგოდ.

ბატონო პრეზიდენტო, ნინო ანანიაშვილი ერთია, განუმეორებელი. ჩვენ თაყვანს ვცემთ მის ნიჭს და ოსტატობას, ჩვენ, ყველანი, მოვალენი ვართ გვერდში დავუდგეთ, როგორც მორალურად, ისე მატერიალურად, მაგრამ ვაი, რომ დღეისათვის სხვისი დახმარება კი არა, ენერგეტიკას თავისი თავის რჩენაც არ შეუძლია, ქვეყნის ბიუჯეტსაც ვერაფერს მატებს, მაშინ, როცა ბიუჯეტის ძირითადი შემავსებლის როლი უნდა ჰქონდეს.

ქალბატონ ნინოს „საქენერგოს“ შენობის დათვალიერების შემდეგ დიდი აღფრთოვანება არ გამოუხატავს, იმდენად ბევრ პრობლემასთან არის დაკავშირებული აქაურობის მისადაგება საბალეტო სკოლისათვის(!).

შენობაში გადის უამრავი მაღალი ძაბვის კაბელი, კავშირგაბმულობის არხები, შენობაშია, ასევე, ენერგოსისტემის მართვის საშუალებები საგანგებო სიტუაციებისთვის.

თქვენ, ვინც ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და ეკონომიკის გაძლიერებას, საერთოდ, ქვეყნის დამოუკიდებლობას, გვინდა საქმის კურსში ჩაგაყენოთ, რომ თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი გაუგებრობა, რათა მომავალში საფრთხე არ შეექმნას ქვეყნის ეკონომიკის ფლაგმანს. ერთი თვის წინ წარმოგვიდგინეს ეკონომიკის განვითარების მინისტრის მოადგილის, ნ. თურნავას ხელმოწერით თქვენი განკარგულების პროექტი, სადაც ლაპარაკია ვეკუას ქ. №1-ში არსებული შენობის გადაცემაზე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთვის, მაგრამ ამავე პროექტში ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი, თუ ვის ეკუთვნოდა ეს შენობა და თქვენ ხელი მოგაწერინეს „ენერგოგენერაციის“ შენობის გასხვისებაზე.

ბატონო პრეზიდენტო!

2004 წლის 4 ნოემბერს შესრულდა საქართველოს ენერგოსისტემის შექმნის 70 წლისთავი. ამ დღეს მილოცვის ნაცვლად, ენერგეტიკოსებმა განკარგულება მივიღეთ, შენობის ჩამორთმევის შესახებ. რა დავაშავეთ ენერგეტიკოსებმა? ჯერაც არ გვჯერა, რომ თქვენ პირადად მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ რამდენიმე კოლექტიური წერილი გამოგიგზავნეთ, მაგრამ ალბათ წერილებმა თქვენამდე არ მოაღწია „მიზეზთა“ გამო...

ქართველი ენერგეტიკოსები, რომელთაც თავის ზურგზე ზიდეს ქვეყნის გასაჭირი ბოლო 15 წლის განმავლობაში, არ იმსახურებენ ასეთ ხვედრს: გვმართავდნენ არასპეციალისტები, გვძარცვავდნენ ჩვენც და ქვეყანასაც. ახლა ორგანიზაციის ლიკვიდაციასა და ქუჩაში გაყრას გვიპირებენ.

უმორჩილესად გთხოვთ, გაერკვეთ საქმის ვითარებაში. თუ შესაძლებელი იქნება, დაავალოთ ჩვენთან შეხვედრა ნდობით აღჭურვილ პირს, რომელსაც ავუხსნით ვითარებას.

ნუ დაიჯერებთ, რომ „ენერგოგენერაციამ“ თავისი ფუნქციები ამოწურა. ჩვენ უნდა მოგვცენ ნორმალური მუშაობის საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედიც დაგენგრევათ და ვერც ამ შენობას გამოიყენებს დანიშნულებისამებრ ქალბატონი ნინო, თქვენ კი, უნებლიეთ, იმ „ძლიერთა ამა ქვეყნისაგან“ მოტყუებული აღმოჩნდებით.

***ხულ 24 ხელმოწერა***




## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **25 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **20 ლარი**, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **15 ლარს.** გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „ბებერი“ მაძებრის დაგებული ხაფანგი“ — 69 ხმა
2. **დავით დევიძე** — „ვინ მფარველობდა იარაღის კონტრაბანდას საქართველოში?“ — 58
3. **იზო რიკაძე** — „თავი დამანებონ, თორემ უფრო მეტ ფაქტებს დავუდებ“ — 42
4. **ეთერ ერაძე** — „სამშობლო თუ შენ, რომელი?!“ — 28
5. **ზვიად სეხნიაშვილი** — „ტერორი, რომელიც „კვალს არ ტოვებს“ — 25
6. **ეკა ლომიძე** — „რა მოიტაცეს ბერძნებმა კოლხეთიდან?!“ — 23

7-8. **ლელა ჯიყაშვილი** — „კინაღამ ორივე ხელი გავუშვი შვეულმფრენზე ჩამოკიდებულ კიბეს“ — 20

7-8. **მარინა ბაბუნაშვილი** — „საქართველოა ჩემი ტკივილიც და სიხარულიც“ — 20

9. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 14
10. **დაჩი გრძელიშვილი** — „კრემლი უარს არც ბაღაფშის ლიკვიდაციაზე იტყვის“ — 10

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელები 334-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# ჩნდება სახიფათო განწყობა „ჩვენ“ და „ისინი“




## „ეს არის შევარდნაძის პოლიტიკური რევანშის მცდელობა“

მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის თეთრ კედლებში პოლიტიკა შეიჭრა, ცოდნის ტაძარი პოლიტიკური ვნებების არენად იქცა. იქ დღეს ისეთი განხეთქილების ვაშლი დაგორავს, მხოლოდ ავის მოსურნეს რომ ეამება. სტუდენტი სტუდენტთან, ფაკულტეტი ფაკულტეტთან და კათედრა კათედრასთან — უნივერსიტეტის საქმეებში გარედან ჩარევამ დააპირისპირა, თუმცა, არც შიგნიდან დაუკლიათ ხელი... უნივერსიტეტიდან სტუდენტების (და მათი ლექტორების) გულმხურვალე სიტყვები ისევე გაისმის, როგორც ათეული წლის წინ. აქ ისევ ეროვნულობას, ტრადიციების დაცვასა და ქართველობას გულშემატკივრობენ. ეს საქართველოში მარად გაუხუნარი თემებია, ყველასთვის ტკივილამდე მნიშვნელოვანი და სათუთი... მაგრამ ეს თემები უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებს, ან თუნდაც უმაღლესი განათლების კანონპროექტზე მსჯელობას რამდენად უხდება და მიესადაგება, საკითხავია. იქნებ ვიღაც ახალგაზრდების პირადი მიზნებისთვის გამოყენებას ცდილობს? ერთი ან მეორე კანდიდატის მომხრეობამ საზოგადოება ლამის რეფორმისტებად და რეტროგრადებად დაყო. ეს კი მეტად საშიში პერსპექტივის საფუძველია, რადგან დღეს ქვათა შეკრების ჟამია და არა განბნევისა, საქართველოს ყველაზე მეტად დღეს ქართველების ერთად ყოფნა სჭირდება და არა — შუღლი და განხეთქილება. ხომ არ გახდება უნივერსიტეტი ის ნაღმი, რომელზეც ახალი ხელისუფლების აფეთქებას ეცდებიან? თუკი ხელისუფლების კანდიდატის გამარჯვებას უნივერსიტეტი ზეწოლად აღიქვამს და ეს ვნებების ახალ ალს ააგიზგიზებს, ცუდზე უფრო ცუდი იქნება; ხოლო თუკი ლორთქიფანიძე დამარცხდა, თავად ხელისუფლების იმიჯი დაზარალდება. ერთი შეხედვით, გამოუვალი მდგომარეობაა, თუმცა გვჯერა, გამოსავალი ყოველთვის არსებობს.

რას ფიქრობს უნივერსიტეტში შექმნილ მდგომარეობაზე განათლების მინისტრი **კახა ლომაია**, რომლის მიერ დაწყებულმა რეფორმამ უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, გახლეჩის პირას დააყენა.

— ამ კანონპროექტში 300-მდე შენიშვნა შევიდა, რომელიც ტექნიკურ და სახელმწიფო უნივერსიტეტებს ჰქონდათ, ან კიდევ ინდივიდუალურად მოგვაწოდეს მეცნიერებმა. სამწუხაროდ, არც ერთი შენიშვნა არ მიგვიღია იმ ჯგუფისგან, რომელიც ახლა უნივერსიტეტში აქციებს მართავს. ამიტომ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მათ უკან პოლიტიკური რევანშისტები დგანან. ეს არის შევარდნაძის პოლიტიკური რევანშის მცდელობა. იყენებენ იმ გაუთვითცნობიერებელ სტუდენტებს, რომელთაც წაკითხულიც კი არ აქვთ ეს კანონპროექტი და არც ერთი ჩვენი ინიციატივა. მზად ვართ, ნებისმიერ დებულებაზე ვისაუბროთ ახლაც და კანონპროექტის მიღების შემდეგაც, მაგრამ დაბეჯითებით ვაცხადებ, გამორიცხულია ყოველგვარი კომპრომისი ანტირეფორმატორულ ძალებთან, ხოლო მათთან, რომლებიც მართლაც არიან დაინტერესებული რეფორმით, ჩვენ გვაქვს და გვექნება დიალოგი.

— **ამბობდით, ყველა სტუდენტისა და პროფესორ-მასწავლებლის გულამდე მივიტანთ იმ სიახლეს, რის დანერგვასაც ვაპირებთ. როცა ისინი გაეცნობიან რეფორმის არსს, უთუოდ მხარს დაუჭერენო. თქვენ სახელმწიფო უნივერსიტეტში არაერთხელ იყავით, რეფორმაზეც არაერთხელ ილაპარაკეთ, მაგრამ ის მაინც ვერ მივიდა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გულებამდე.**

— საქართველოში 160 ათასზე მეტი სტუდენტია და, ბუნებრივია, მათ არ ექნებათ ერთგვაროვანი აზრი. დღეს რომ რეფერენდუმი ჩავატაროთ, თუ ვინ ემხრობა კონსტიტუციას, შესაძლოა, ბევრი მისი მოწინააღმდეგე აღმოჩნდეს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონსტიტუცია უნდა შევცვალოთ. დემოკრატია უმრავლესობის მმართველობაა, ჩვენი მოვალეობა იყო, ყველასათვის გასაგები გაგვეხადა ამ პროექტის არსი.

სწორედ ძველი ხელისუფლების ვალებს ვისტუმრებთ დღეს, მიმდინარე 9 თვეში მხოლოდ უმაღლესი განათლების სფეროში 6,5 მლნ ლარი სახელფასო დავალიანება გავისტუმრეთ, ეს ის ვალებია, რომელიც თემურ შაშიაშვილმა, ირაკლი ზათიაშვილმა და ვაჟა ლორთქიფანიძემ დაგვიტოვეს შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნისას, ასეთებთან ყოველგვარ კომპრომისს გამოვრიცხავთ, პოლიტიკურ შანტაჟს ჩვენ კვერს ვერ დავუკრავთ. არც ის სტუდენტები არიან იმდენად პატარები, რომ საკუთარ საქციელზე პასუხი არ აგონ.

## „აუცილებელია პრეზიდენტისგან წამოვიდეს გამაერთიანებელი იდეა“

მთელი ეს აჟიოტაჟი მიმართულია 13 დეკემბერს დანიშნული უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებისაკენ, ამიტომ განგებ დაიდგა ეს სპექტაკლი, რათა მორალური ზეგავლენა მოახდინონ დიდი საბჭოს წევრებზე. ხაზგასმით მინდა ვთქვა, — ხელისუფლება არც 13 დეკემბერს დაუშვებს უწესრიგობას და არც შემდგომ. თუ ვინმე შეეცდება, შეიჭრას უნივერსიტეტში ან იმ დარბაზში, სადაც დიდი საბჭო ჩაატარებს სხდომას, შეეცდება კანონის დარღვევით მოახდინოს მასზე მორალური ზეწოლა, ისინი კანონის მთელი სიმძიმით დაისჯებიან. კანონის უგულებელყოფა და თვითნებობა ხელისუფლებასთან არავის გაუვა.

— **უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტი თქვენი გადადგომის მოთხოვნით შიმშილობს. მათ ჯანმრთელობას რომ საფრთხე შეექმნას, ეს არ გაფიქრებთ?**

— გული მწყდება, რომ ბავშვები შიმშილობენ... მახსოვს, ეროვნული მოძრაობის დროს სამშობლოს დამოუკიდებლობისა და საოკუპაციო ჯარების გაყვანის მოთხოვნით ვშიმშილობდით, ახლა სამიზნეები მკვეთრად შეიცვალა. ადამიანურად მეცოდება ყველა სტუდენტი, რომელმაც შიმშილობა გადაწყვიტა, მაგრამ ყველა უნდა დავუფიქრდეთ, რა მოთხოვნები აქვთ მათ და ვინ მანიპულირებს მათი გულწრფელი გრძნობებით. რამდენიმე ხელმოცარული პოლიტიკოსის შანტაჟს არ წამოვეგებით. იშიმშილებენ და ვუმკურნალებთ, არავის მივცემთ საშუალებას, ამ ახალგაზრდების ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნას.

მინდა განვაცხადო, რომ ამ რეფორმით არანაირი საფრთხე არ ემუქრება ჩვენს ეროვნულ ფასეულობებსა და თვითმყოფადობას. განათლების რეფორმა საფრთხეს უქმნის ყველა იმ ადამიანს და პოლიტიკურ ძალას, რომლებიც წლების განმავლობაში ანადგურებდნენ ქართულ განათლების სისტემას, ქართულ ოჯახებსა და ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს. განათლების სისტემას უთუოდ გავწმენდთ იმ ერთი მუჭა პირებისაგან, რომლებიც საკუთარი კეთილდღეობის ხარჯზე ათიათასობით მასწავლებელსა და პედაგოგს აშიმშილებდა და განათლების სისტემას სახელს უტეხდა — ამის პირობას ნამდვილად გაძლევთ.

— **ანუ არც გადადგომას აპირებთ და არც უკან დახევას?**

— რას ბრძანებთ, უკან დახევა? როგორ შეიძლება... ეს ჩემი უკან დახევა კი არა, ჩვენი მომავლის დათმობა იქნება. გვინდა ქართული განათლების სისტემა თანამედროვე, ევროპული ტიპის განათლების სისტემა გახდეს და ის, რაც ქართველთა თაობების საუკუნოვან ოცნებას წარმოადგენდა, როგორ შეიძლება დავთმოთ შევარდნაძის კუდების პოლიტიკური შანტაჟის გამო? — ეს გამორიცხულია. ეს მძიმე ტვირთია, მაგრამ მას ბოლომდე ვზიდავთ — ამას გპირდებით...

უნივერსიტეტის პრორექტორი და მიხეილ სააკაშვილის პროტეჟე **რუსუდან ლორთქიფანიძე** არჩევნებსა და სტუდენტების აქციას დიპლომატიური სიმშვიდით შეხვდა, ოღონდ ცოტა არ იყოს, გაკვირვებული იყო. თუკი აქციის მონაწილეები კახა ლომაიას გადაყენებას ითხოვდნენ, უნივერსიტეტის ბაღში რატომ მართავენ აქციასო:

— ცოტა გაუგებარია, ეს ხალხი რატომ მოვიდა უნივერსიტეტში, მით უმეტეს, რომ მათი უმეტესობა უნივერსიტეტელი არ არის. ვფიქრობ, აქციის მისამართი ცოტა არეულია. რექტორის არჩევნებისთვის სათანადოდ მოვემზადეთ, უშიშროების ზომებიც დაცული გვაქვს, რათა რაიმე არეულობის პროვოცირება არ მოხდეს. მაინც ვფიქრობ, აქციის მონაწილეთა მიზანი არჩევნებზე რაღაც ფორმით ზემოქმედებაა არის...

— **ამბობენ, უნივერსიტეტელები შეურაცხყოფილი არიან, რომ რექტორობის კანდიდატი გარედან მოუყვანეს.**

— უკვე ორი თვეა, რაც უნივერსიტეტელი გავხდი... მართალია, უნივერსიტეტი არ დამითავრებია, მაგრამ ვფიქრობ, გარეშე თვალი უკეთ დაინახავს აქაურ პრობლემებს. ძალიან მინდა ბევრი სასიკეთო რამ გავაკეთო უნივერსიტეტისთვის, რათა ის ნამდვილ ევროპულ სასწავლებლად იქცეს. ცდებიან, თუკი უნივერსიტეტელები შეურაცხყოფად აღიქვამენ აქ გარედან ვინმეს მოყვანას. განა პეტრე მელიქიშვილიც სხვა ქვეყნიდან არ ჩამოიყვანეს?.. მგონი, უკეთესიც იქნება, თუ იმ კადრებს მოვიზიდავთ, რომლებიც რაღაც პერიოდში აქედან წავიდნენ.

— **მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის კანდიდატურა ხართ, ბევრი მომხრე ჰყავს მიშა ქურდიანს. ხომ არ შიშობთ, რომ დამარცხდეთ, ეს პრეზიდენტის იმიჯზე უარყოფითად იმოქმედებს. გამარჯვების შემთხვევაში დიდ საბჭოზე ზეწოლაში შეიძლება დაგადანაშაულონ.**

— პრეზიდენტმა თავისი პოზიცია დაუფარავად გამოხატა და ეს მეამაყება. თუ ამ ორ თვეში უნივერსიტეტელებში ავტორიტეტი ვერ მოვიპოვე, მათი ნებაა... ეს არანაირად არ იქნება პრეზიდენტის იმიჯის შელახვა... ადამიანს თუ გამარჯვების იმედი არ აქვს, არც უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. დარწმუნებული ვარ, რომ სამართლიანად გავიმარჯვებ...

იმდენი კარგი მინდა უნივერსიტეტისთვის, ვერ წარმომიდგენია, უნივერსიტეტელებს რატომ არ უნდა ვუნდოდე... მას შემდეგ, რაც შაბათს საღამოს სტუდენტები უნივერსიტეტის ფოიედან გარეთ გამოაბრძანეს და კარიც საგულდაგულოდ ჩაურაზეს, „პროტესტანტებმა“ დეკემბრის ყინვასთან ჭიდილს, ღამით დაშლა და საპროტესტო აქციების დღისით გამართვა ამჯობინეს. სანამ დაიშლებოდნენ, ჩვენ რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ:

**ლაშა ჩახვაძე,** სტუდენტი: — ტყუილად ჰგონია ვინმეს, რომ ჩვენი საპროტესტო აქცია რექტორის არჩევნებს უკავშირდება. ეს არის იმ შედეგების წინააღმდეგ მიმართული, რასაც განათლების კანონპროექტი და განათლების სამინისტროში მომუშავე გუნდი მოუტანს ქვეყანას. ჩვენ გაჩუმების უფლება არ გვაქვს.

ამბობენ, სტუდენტების უკან რაღაც ძალა დგასო. გარწმუნებთ, ჩვენ უკან არავინ დგას. თუმცა, არ არის გამორიცხული, ამ აქციით ვიღაცებმა ისარგებლონ, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, ვინმეს პოლიტიკური ქულების დაწერის საშუალება მივცეთ. ჩვენ ერთადერთი მიზანი გვაქვს — დავარწმუნოთ ქართველი საზოგადოება, რომ განათლების რეფორმა საქართველოს მომავლისთვის საშიშროებას წარმოადგენს. 13 დეკემბრიდან ჩვენს აქციებს უფრო სერიოზულ სახეს მივცემთ...

**რატი მაისურაძე,** სტუდენტი: — გვეგონა, ეს ხელისუფლება მოგვისმენდა და გაგვიგებდა, ისევე როგორც ჩვენ მოვუსმინეთ და ვენდეთ მათ. რახან ჩვენი ნდობა ბოროტად გამოიყენეს და არაფრად ჩაგვაგდეს, ისღა დაგვრჩენია, პროტესტის უკიდურეს ფორმას მივმართოთ...

რა არ მოსწონთ განათლების კანონპროექტში სტუდენტებს და არა მარტო მათ, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსაც? მათ შორის არის რექტორობის კანდიდატი მიხეილ ქურდიანიც, რომელმაც მოინახულა სტუდენტები და განათლების მინისტრის მიმართ თავისი დამოკიდებულებაც საჯაროდ დაადასტურა:

„ლომაია არის კაცი, რომელიც თავისი კანონპროექტით უნივერსიტეტს წაართმევს ყველაზე მთავარს, ავტონომიას, უფლებას, რომ დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები“, — ასეთია ქურდიანის პოზიცია.

უნივერსიტეტითა და განათლების რეფორმით დაინტერესებულ თუ გაღიზიანებულ საზოგადოებაში ისეთი დაპირისპირებაა, იმდენად საგანგაშო სიმპტომები იკვეთება, რომ არსებული ვითარების შეფასებისა და რჩევებისთვის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის რექტორს, აკადემიკოს **შოთა ნადირაშვილს** მივმართეთ:

— უმაღლეს სასწავლებლებში რომ არ არის კარგად საქმე, კორუფციაც გვარიანად რომაა იქ ფეხმოკიდებული და რეფორმა აუცილებელია, ამას ყველა ხედავს.

*(გაგრძელება იხ. გვ. 33)*



# მე რომ ეს გამეკეთებინა, დაკავებისთანავე ამაორთქლებდნენ...

## მაინც რატომ არის ჰაერში გამოკიდებული კონტრაბანდული იარაღის საქმე?

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში კონტრაბანდული იარაღის საკითხს შევეხეთ. მაშინ აღვნიშნეთ, რომ ბოლო ათი წლის მანძილზე ქართველ ძალოვნებს ქვეყნიდან გასული ან შემოსული იარაღის სერიოზული პარტია ერთხელაც არ დაუკავებიათ. არადა, საქართველოს მისამართით ყოველთვის გაისმოდა ბრალდება, რომ ქვეყანაში სერიოზული სავაჭრო გარიგებები ხდებოდა და აქედან იარაღი როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე თურქეთის ტერიტორიაზე გადადიოდა. როგორც წესი, ასეთი „დიდი საქმეები“ „დიდი ხალხის“ გარეშე არ კეთდება. ამდენად, პასუხიც არავისთვის მოუთხოვიათ. თუმცა, იარაღის კონტრაბანდისტებმა ყველაზე დიდი ჩავარდნა 2002 წლის ნოემბერში განიცადეს, როდესაც საქართველო-თურქეთის საზღვართან, კონკრეტულად ვალეს საბაჟო-გამშვებ პუნქტზე თურქეთის სპეცსამსახურებმა გააჩერეს საქართველოდან მიმავალი ტრაილერი, რომელიც იარაღის სოლიდური პარტიით იყო დატვირთული(!). ტრაილერის მძღოლმა, ქურთმა დაუდ იორმაზმა სპეცსამსახურების თანამშრომლებს განუცხადა, რომ ტვირთი მარნეულის რაიონში შეიძინა და თურქეთში ქურთი სეპარატისტებისთვის გადაჰქონდა.

ქურთი მძღოლის ამ აღიარებამ თურქეთის პოლიტიკურ წრეებში ბუნებრივია, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. თურქეთის მთავრობა მაშინვე დაუკავშირდა საქართველოს მხარეს და კატეგორიულად მოითხოვა სასწრაფო გამოძიების ჩატარება. თუმცა, მაშინდელ უშიშროების სამინისტროს გამოძიებისათვის საკმაო დრო დასჭირდა. იარაღის კონტრაბანდის საქმეში ერთადერთი ეჭვმიტანილი(!) თამაზ მუმლაძე ხუთი თვის შემდეგ, 2003 წლის 25 მარტს აიყვანეს. მუმლაძის დაკავების მოტივები მაშინ მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. მაგრამ როგორც შევიტყვეთ, დაპატიმრება ქურთი მძღოლის ჩვენებას ეყრდნობოდა, რომელმაც დაკითხვაზე თამაზ მუმლაძე დაასახელა. დაკითხვის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ დაუდ იორმაზმა იარაღი შეიძინა სოფელ ორჯონიკიძის მახლობლად არსებულ ფერმაში, რომელიც ეკუთვნოდა ვინმე თამაზს. უშიშროების სამსახურის დასკვნით, „ვინმე თამაზი“ ფერმერი თამაზ მუმლაძე უნდა ყოფილიყო, რის საფუძველზეც დააპატიმრეს კიდეც. თუმცა, სასამართლომ დაკავებული მუმლაძე მალევე გაათავისუფლა. მიზეზი — სამხილის უკმარისობა გახლდათ. მუმლაძის ფერმაში არც იარაღი აღმოჩნდა და ვერც ქურთმა მძღოლმა ამოიცნო მისი ფოტოსურათი, რომელიც სამი სხვა პირის ფოტოსთან ერთად გადასცეს. მაგრამ თამაზ მუმლაძემ იარაღის გამო მაინც აგო პასუხი. მართალია, ფერმაში იარაღის პარტია არ აღმოჩნდა, მაგრამ უშიშროებამ მისი სახლიდან ორი ავტომატი ამოიღო, რის გამოც მუმლაძეს ფულადი ჯარიმის გადახდა დაეკისრა, ვალესთან დაკავებული იარაღის საქმე კი ჰაერში აღმოჩნდა გამოკიდებული.

რატომ დასრულდა იარაღის კონტრაბანდის საქმე ასე მოულოდნელად? ამ კითხვაზე დღეს პასუხი არც ერთ უწყებას არ გააჩნია. „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას თამაზ მუმლაძეც აცხადებს, რომ წარმოდგენაც არა აქვს, ვის დასჭირდა მისთვის იარაღის კონტრაბანდისტისა და „ოჯალანის მოკავშირეობის“ დაბრალება.

— არ უარვყოფ, რომ ავტომატები მქონდა, — გვითხრა **თამაზ მუმლაძემ**, — ეს იარაღი ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში შევიძინე, მარნეულში მიმდინარე ცნობილი პროცესების (ეთნიკური დაპირისპირების მცდელობა) დროს. თუმცა ერთხელაც არ გამომიყენებია. ჩემი დანაშაული ის არის, რომ როცა ყველაფერი დაწყნარდა, თავიდან არ მოვიცილე და არ გადავყარე.

— **ორი ავტომატის შენახვის გარდა, თქვენ უფრო სერიოზული ბრალდება წაგიყენეს. თუმცა, შემდეგ სასამართლომ გაგათავისუფლათ. როგორ ფიქრობთ, მაშინ რატომ დაგაკავეს?**

— წარმოდგენაც არა მაქვს. ჩემს სიცოცხლეში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მეტი არაფერი გამიკეთებია. იარაღით ვაჭრობა ალბათ ისეთ დონეზე ხდება, მე რომ ეს გამეკეთებინა, დაკავებისთანავე ამაორთქლებდნენ...

ერთი სიტყვით, იარაღის კონტრაბანდაში მონაწილეობას თამაზ მუმლაძე კატეგორიულად უარყოფს. არადა, დაპატიმრების შემდეგ მუმლაძისა და მისი ოჯახისთვის მოვლენები საკმაოდ დრამატულად განვითარდა. როგორც „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში აღვნიშნეთ, თამაზ მუმლაძეს შვილი მოსტაცეს, რომელიც ორმოცდაოთხი დღის შემდეგ დაიბრუნა, მაგრამ ამ ფაქტის გამო დღემდე დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფება...

ასე დამთავრდა ვალესთან დაკავებული კონტრაბანდული ტვირთის ისტორია. საინტერესოა, რომ თამაზ მუმლაძეზე ბრალდების მოხსნის შემდეგ, გამოძიების გაგრძელებით თავი აღარავის აუტკივებია. არადა, ფაქტია, რომ იარაღი სწორედ საქართველოდან შედიოდა თურქეთის ტერიტორიაზე. ჩვენთან საუბრისას უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლები ამ თემაზე კომენტირებისგან თავს იკავებენ. თუმცა, კულუარული ინფორმაციით, საეჭვოა, რომ აღნიშნულმა საქმემ ისევ იხილოს მზის სინათლე(?!). ასეთი მოსაზრება სულაც არ არის ლოგიკას მოკლებული, რადგან ითვლება, რომ იმ ორი წლის მანძილზე, რაც ვალეს შემთხვევის დღიდან გავიდა, კონტრაბანდის ორგანიზატორები მოასწრებდნენ ყველა სამხილის განადგურებას. ამ საკითხზე ღიად ლაპარაკი არავის სურს. უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელი, რომელიც ჩვენთან ინტერვიუს მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდა, რომ ინკოგნიტოდ დარჩებოდა, ამბობს, რომ: „იარაღის კონტრაბანდის საქმეს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიძიებენ, თუკი ამაზე ხელისუფლების ურყევი ნება იქნება. მაგრამ, სამწუხაროდ, საეჭვოა, საქმე ბოლომდე გაიხსნას, რადგან კვალი საიმედოდ იქნება წაშლილი. სხვათა შორის, მე ვიცნობ თამაზ მუმლაძეს. იგი არ გახლავთ ის პირი, ვინც მოახერხებდა საქართველოში იარაღის დიდი პარტიის ჯერ შემოტანას, ხოლო შემდეგ გაყიდვას. სავარაუდოდ, ვიღაცას მისი დისკრედიტაცია და შემდგომ გამოყენება უნდოდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ვფიქრობ, სასამართლოდან თავის დაძვრენა გაუჭირდებოდა“...

— **მაგრამ აქ სრულიად სხვა გარემოებაა საინტერესო. მართალია, კონტრაბანდისტების ვინაობა უცნობია, მაგრამ ვიცით, რომ კონტრაბანდა არსებობდა. საქმის გამოძიებით კი თავი არავინ შეიწუხა.**

— წინა ხელისუფლების დროს ამის გამოძიება შეუძლებელი იყო. მერწმუნეთ, იარაღით ვაჭრობას ვერ მოახერხებდა ვერც ფერმერი და ვერც რომელიმე ბიზნესმენი, თუკი ხელისუფლების მაღალ წრეებთან არ იქნებოდა დაკავშირებული. ეს იყო ბიზნესის უსაფრთხოების გარანტი. არადა, ყოველთვის არსებობდა შიდაინფორმაცია, რომ საქართველოდან იარაღი გადიოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ინფორმაციის დონეზე რჩებოდა. სხვათა შორის, იარაღის გატანით რუსი სამხედროებიც იყვნენ „დაკავებული“. ხშირ შემთხვევაში, კონტრაბანდის გატანა ერთობლივადაც კი ხდებოდა. მოკლედ, ამაზე ყველა ლაპარაკობდა, მაგრამ მაშინ არავის იჭერდნენ, რადგან ყოველივეს ზემოდან მფარველობდნენ. თითოეული წარმატებული ოპერაციის შემდეგ საგულდაგულოდ იშლებოდა ყველანაირი კვალი და სამხილი. ამიტომაც ვამბობ, რომ ამ საქმეთა გამოძიება დღეს საკმაოდ ძნელი იქნება...

P. S. ასეთია ერთადერთხელ აღმოჩენილი კონტრაბანდული იარაღის ისტორია. როგორც მოგახსენეთ, ეს იარაღი თურქეთის სპეცსამსახურებმა დააკავეს. ქართულ სპეცსამსახურებს კი მაშინ თავი არ შეუწუხებიათ გამოძიების ბოლომდე მიყვანით. ასე რომ, კითხვა, ვის გაჰქონდა წლების მანძილზე იარაღი საქართველოდან სხვადასხვა მიმართულებით, ჯერჯერობით ისევ პასუხგაუცემელი რჩება.

*დავით დევიძე*

# მანქანის გამტაცებლებს კანონი იცავს(?!)




დღეს საქართველოში ყველაზე შემოსავლიან და უსაფრთხო კრიმინალურ საქმიანობად ავტომობილთა გატაცება ითვლება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს მუხლი, რომელიც ავტომობილების გამტაცებლებს „მშრალად გამოსვლის“ რეალურ შანსს აძლევს. ოპერმუშაკების განმარტებით, მანქანების გატაცებამ საქართველოში კატასტროფულად იმატა, რადგან დამნაშავეთა იმ ნაწილმა, რომელიც აქამდე ბინების ქურდობით იყო დაკავებული, ამ საქმიანობას თავი დაანება და ავტომობილების გატაცებაზე გადავიდა. ამ მხრივ ძალზე მძიმე მდგომარეობაა ვაკე-საბურთალოს რაიონში. ავტომობილების გამტაცებლები, ძირითადად, „ბმვ“-სა და „მერსედესის“ მარკის ავტომობილებს იტაცებენ. თბილისის სხვა რაიონებში კი უფრო „მოდური“ 06 და 07 მარკის ავტომობილების გატაცება ყოფილა.

*მუხლი №184*

*„ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება.*

*მისაკუთრების მიზნის გარეშე (დროებით გამოყენების მიზნით) ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით ოთხ თვემდე ანდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთით“.*

სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნული მუხლის შეტანის შემდეგ ავტომობილების გატაცებამ საქართველოს დედაქალაქში თითქმის ორჯერ მოიმატა. სამართალდამცველების თქმით, დამნაშავის ფაქტზე დაჭერაც აზრს კარგავს, რადგან ყველა მათგანი ამბობს, რომ მანქანას კი არ იპარავდა, არამედ გასეირნება მოუნდა ან, უბრალოდ, მანქანა დასჭირდა, ტაქსი ვერ იშოვა და ა.შ. ასეთი „ახსნა-განმარტების“ შემდეგ პოლიციელი იძულებულია, ჯარიმის გადახდის შემდეგ დაკავებული გაათავისუფლოს და მოუბოდიშოს კიდეც. დღეისათვის თბილისში სამი კარგად ორგანიზებული ავტომობილების გამტაცებელთა ჯგუფი მოქმედებს. როგორც ოპერატიული სამსახურების წარმომადგენლები ამბობენ, მაქსიმუმ 45 წამია საკმარისი ნებისმიერი სირთულის სიგნალიზაციის ან ე. წ. „სეკრეტის“ მქონე ავტომობილის გასატაცებლად. საქმეში ქართველმა გამტაცებლებმა უკვე ამ სფეროში აპრობირებული უახლესი ტექნიკაც ჩართეს. ე. წ. „სკანერი“ თბილისში უკვე რამდენიმე დანაშაულებრივ ჯგუფს აქვს. სკანერი არის კუსტარული მოწყობილობა, რომელიც იმახსოვრებს გასატაცებული მანქანის სიგნალიზაციის სიხშირეს სწორედ იმ მომენტში, როცა ავტომობილის მეპატრონე ავტომანქანას ავტომატურად კეტავს და სიგნალიზაციას რთავს. ამის შემდეგ ავტომობილის გამტაცებელი მშვიდად და დაუბრკოლებლად აღებს სასურველი ავტომობილის კარს ისე, რომ სიგნალიზაცია არც ჩაირთვება. კუსტარული სკანერის ფასი დაახლოებით 18-დან 20 ათას დოლარამდე მერყეობს და ოპერატიული სამსახურების მონაცემებით, ქართველი გამტაცებლები მას მოსკოვის ლომონოსოვის ინსტიტუტში ან ბელგიაში ამზადებინებენ. ძვირფასი მანქანები, ძირითადად, სამეგრელოსა და შემდეგ აფხაზეთის გავლით ტოვებს საქართველოს. შედარებით იაფფასიანი მოდელები იშლება და ნაწილ-ნაწილ იყიდება. მას შემდეგ, რაც ოსეთის „არხი“ დაიხურა, ამ მიმართულებით მანქანების გაყვანა თითქმის შეწყდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ავტომობილების გამტაცებლებისთვის. საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტიც, რომ ავტომანქანების გატაცება ციხეებიდან იმართება და ამ დაწესებულებებში მყოფთა მეშვეობით ხდება მათი პატრონებისთვის (რა თქმა უნდა, განსაზღვრული გასამრჯელოს ფასად) დაბრუნება.

„კვირის პალიტრის“ ინფორმაციით, ავტომობილთა გატაცებაში ბრალეული ერთ-ერთი დიდი დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელი საპროცესო გარიგების წყალობით ციხეს უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში დატოვებს.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, არ არსებობს მექანიზმი, არც ავტომატური და არც მექანიკური, რომლის გახსნაც დღეს ქართველ „ღამურებს“ (ასე ეძახიან პროფესიონალ გამტაცებლებს) გაუჭირდებათ. მძღოლს საკუთარი ავტომანქანის გადარჩენა იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ავტომანქანის კარი (თუკი ავტომატური სიგნალიზაცია აქვს) ღილაკზე თითის პირველსავე დაჭერისას არ ჩაიკეტა. ეს არის სწორედ იმის მანიშნებელი, რომ სიხშირე ამ დროს გამტაცებელმა „წაიკითხა“...

სამართალდამცველთა თქმით, დედაქალაქში ისეთი ჯგუფებიც „მუშაობენ“, რომელთა „პროფესიული დონე“ მაინცდამაინც მაღალი არ არის, თუმცა მაინც ახერხებენ ავტომობილების გატაცებას. მათი მიახლოებითი რაოდენობის დასახელება დღეს ოპერატიულ სამსახურებს არ შეუძლიათ. თავად ქალაქის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსს, ვლადიმერ ცინცაძეს ავტომანქანა უკვე სამჯერ მოჰპარეს. როგორც ცინცაძე ამბობს, გამტაცებლების დასჯა მან ვერც ერთხელ ვერ მოახერხა, რადგან მანქანის უკან დაბრუნების ვადა 24 საათს არ გადაშორებია (24 საათი სწორედ ის დრო გახლავთ, რომლის გასვლის შემდეგაც ითვლება ავტომობილი მოპარულად).

**ვლადიმერ ცინცაძე:** „სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლს რომ წაიკითხავ კაცი, აღშფოთდები... რას ნიშნავს „ავტომობილის დაუფლება დროებით გამოყენებისა და მისაკუთრების მიზნის გარეშე“? როგორ გგონიათ, დაკავებული დამნაშავე თავის განზრახვას ამცნობს სამართალდამცველებს?! ჩავტოვოთ მაშინ ყველამ მანქანებში გასაღები და ვიაროთ ასე ერთიმეორის მანქანებით. წარმომიდგენია, რა სასიამოვნო ყოფაში აღმოვჩნდებით!.. ეს ხომ აბსურდია, არა? რომელი გამტაცებელი მეტყვის, ახლა მე მანქანას ვიპარავდიო, როცა შეუძლია თქვას, კი არ ვქურდობდი, უბრალოდ, დამჭირდა და ჩავჯექი, აბა, რა მექნაო? ეს მუხლი მართლაც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ვერ ვიტყვი, რომ დედაქალაქში ავტომობილთა გატაცების მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა, მაგრამ ცხადია, რომ ამ კატეგორიის დანაშაულმა აშკარად იმატა. პოლიციელები კი დამნაშავეებთან ბრძოლაში ხელ-ფეხშეკრული აღმოჩნდნენ. საშინელებაა, როცა იცი, რომ კაცი, რომელიც ფაქტზე დააკავე, მანქანის გამტაცებელია, ის გეუბნება, გასეირნება მინდოდაო, შენ კი მას ნამდვილ განზრახვას ვერაფრით უმტკიცებ, — კანონი არ გაძლევს ამის საშუალებას“.

P. S. როგორც ზემოთ ვთქვით, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ავტომანქანა გატაცებულად 24 საათის გასვლის შემდეგ ითვლება. ეს სწორედ ის დრო გახლავთ, რა დროშიც გატაცებული ავტომანქანა საქართველოს თავისუფლად დატოვებს ან მისი ნაწილ-ნაწილ დაშლა დამთავრდება(!). ავტომობილის გატაცებათა სწრაფი ტემპებით ზრდას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მინდობილობა საჭირო აღარ არის და მანქანის ტექნიკური პასპორტი სავსებით საკმარისია სამართალდამცველებისგან „თავის დასაცავად“, ტექპასპორტს კი გამტაცებლები ავტომანქანასთან ერთად იპარავენ, რადგან მძღოლების უმეტესობა მას სწორედ ავტომობილში ინახავს.

*ხათუნა პაიჭაძე*

# მოსარჩელეები სარჩელის შეტანამდე ყოფილან გარდაცვლილი?!

ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის საქართველოს ტერიტორიაზე გავლამ, მრავალ სიკეთესთან ერთად, კონფლიქტები, სასამართლო დავები და კურიოზული სიტუაციებიც წარმოშვა. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტმა, უფრო სწორად კი კომპენსაციამ, რომელიც „ბრითიშ პეტროლიუმს“ მიწების მფლობელებისთვის უნდა გადაეხადა, მიცვალებულებიც „ააღელვა“ და თქვენ წარმოიდგინეთ, სასამართლოში დავაც „წამოაწყებინა“. ამ უცნაურ, თუმცა ქართული რეალობისთვის არცთუ მაინცდამაინც საკვირველ სიტუაციაში თვით რეფორმირებული სასამართლოს მოსამართლემაც მიიღო მონაწილეობა. ერთი პატარა სოფლის მოსახლეობის „მოხერხებულობა“ კი ბრიტანულ კომპანიას 160 ათასი ლარი დაუჯდა.

ახალციხის რაიონის სოფელ ნაოხრების მოსახლეობამ საყოველთაოდ ცნობილი კომპენსაციის გაცემის პირობები რომ შეიტყო, იმ მიწების მისაკუთრება და დამუშავება დაიწყო, რომელზეც ნავთობსადენს უნდა გაევლო. წინასწარი გათვლებით, სოფლის მოსახლეობას „ბრითიშ პეტროლიუმისგან“ კომპენსაციის სახით 160 ათასი ლარი ეკუთვნოდა. მართალია, მიწები, რომელზეც ნავთობსადენს უნდა გაევლო, დღემდე სახელმწიფოს საკუთრებაა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლისთვის, სახელმწიფოს კუთვნილი მიწები, არც მეტი, არც ნაკლები, სოფელ ნაოხრების მიცვალებულებისთვის დაეკანონებინა. მას შემდეგ, რაც ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი დამტკიცდა და კომპენსაციებზე მიდგა ჯერი, ნაოხრების მკვიდრნი წარსულში უნაყოფო და მწირი მიწებით დაინტერესდნენ, — 14-მა მოსახლემ ეს ტერიტორია შეღობა და მასზე ბოსტნეულის „მოყვანა“ დაიწყო. მოგვიანებით, მათ ახალციხის რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს მიწების დაკანონების მოთხოვნით. 2003 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით, მოსამართლე თელიაშვილმა დააკმაყოფილა ნაოხრებელთა სარჩელი და შესაბამის სამსახურებს, კერძოდ, მიწის ამზომ კომისიას, საკრებულოსა და მიწის მართვის სამმართველოს დაავალა შეედგინათ საბუთები მიწის დაკანონების თაობაზე.

სოფლის მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელმაც მიწების მისაკუთრება მომგებიან მონაკვეთზე ვერ მოახერხა, ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში გაასაჩივრა. საოლქო სასამართლოში კი გაირკვა, რომ რაიონული სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული მოსარჩელეები ჯერ კიდევ სარჩელის შეტანამდე ყოფილან გარდაცვლილი, ერთ-ერთი კი საქართველოს მოქალაქეც არ ყოფილა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ მოსამართლე თელიაშვილმა ისე განიხილა და დააკმაყოფილა რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილ პირთა სარჩელი, რომ მათი ყოფნა-არყოფნის, რწმუნებულების წარმოდგენის ან სხვა ამგვარი (სასამართლოში მიღებული წესისამებრ) ფორმალობით არც დაინტერესებულა.

ქართული სამართალწარმოების ისტორიაში ათი-თხუთმეტი წლის წინ გარდაცვლილ პირთა მოწმედ მოხმობის ფაქტებიც არის ცნობილი, მაგრამ ასეთ კურიოზებს საბჭოთა სასამართლო სისტემის მანკიერებად თვლიდნენ, ჩვენს რეფორმირებულ სასამართლოში კი ანალოგიური ფაქტი კარგა ხანია, აღარ დაფიქსირებულა. აღნიშნული დარღვევა, მართალია, თბილისის საოლქო სასამართლოში აღმოაჩინეს, მაგრამ, ამას საქმეზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია. სოფლის მოსახლეობამ კეთილგონიერება გამოიჩინა, საქმე მორიგებით დასრულდა და BP-ის მიერ გამოყოფილი კომპენსაციის, 160 ათასი ლარის, მეგობრულად განაწილებაზე შეთანხმდა.

გარდა იმისა, რომ ამ საქმეში მიცვალებულებიც „აქტიურად“ მონაწილეობდნენ, მეორე კურიოზული მომენტიც გამოიკვეთა: კანონით, არც სოფლის მოსახლეობას, არც იმ თოთხმეტ პირს (გარდაცვლილების ჩათვლით) კომპენსაცია არ ეკუთვნოდათ, რადგან მიწა სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს. შეთანხმების თანახმად, BP-ს კომპენსაცია მხოლოდ კერძო მიწაზე, სოფლის საძოვარსა და სათიბზე ნავთობსადენის გატარების შემთხვევაში უნდა გადაეხადა. მიუხედავად ამისა, საოლქო სასამართლოში საქმე მაინც მორიგებით დასრულდა. მთავარი კი ის არის, რომ წინააღმდეგობა არც BP-ს გაუწევია(?!). როგორც ჩანს, 160 ათასი ლარი ის თანხა არ არის, რომლისთვისაც მსხვილ ბრიტანულ კომპანიას სასამართლოში სირბილი და გარდაცვლილ მოსარჩელეებთან დავა ულირდეს.

*ხათუნა პაიჭაძე*

# მოვითხოვ, გენპროკურორი გამოვიდეს „მიმალვიდან“

## „ასეთი ჩანაწერი ამნისტიის პროექტში ტყუილუბრალოდ არ გაჩნდებოდა“



კონსერვატორი კობა დავითაშვილი ანაბრების გაუფასურების შემსწავლელ საპარლამენტო ჯგუფს უნდობლობას უცხადებს, — ფაქტობრივად, ის ვანო ჩხარტიშვილის ალიბის შექმნისთვის მუშაობს, ხალხს ანაბრებს ვერ დაუბრუნებსო. ამიტომაც მასში მუშაობაზე უარს ამბობს და „კვირის პალიტრას“ ახალი სამიზნის ვინაობას უმხელს. ის პროკურატურისგან ჟვანიას ფავორიტით, დავით ონოფრიშვილით დაინტერესებას ითხოვს და კითხულობს, — როგორ მოახერხა ონოფრიშვილმა აკაკი ჩხაიძის დროს მომგებიანი რკინიგზის რამდენიმე თვეში გალატაკებაო.

**კობა დავითაშვილი,** რომელიც აჭარას უმეტესად ზაფხულში სტუმრობს, რეგიონში სააკაშვილის შემოდგომა-ზამთრის მოგზაურობებზეც გვესაუბრა და იმაზეც, თუ როგორ აპირებს უკრაინის გაერთიანებას.

— უცნაურად მეჩვენება „კმარას“ დაპირისპირება მხოლოდ კობა ხაბაზთან. ალბათ, ჯობდა, აჭარის ხელისუფლების კრიტიკა პირველი პირისგან, ლევან ვარშალომიძისგან დაგვეწყო და მერე არ დაგვეკარგა „დამსახურება“ კობა ხაბაზისთვისაც.

თავის დროზე, კობა ხაბაზი ავტონომიის გაუქმებისთვის იბრძოდა, მაგრამ როგორც კი თანამდებობა მისცეს, ავტონომიის გაძლიერებისთვის დაიწყო მუშაობა. არ მჯერა ისეთი ხალხის, რომელიც იმის მიხედვით იცვლის პოლიტიკურ შეხედულებებს, თუ რომელ სკამზე დაჯდება. როდესაც ხაბაზი ამბობს, არ მინდა თანამდებობიდან გადადგომის პრეცედენტი შევქმნა, რადგან თუ „კმარელებს“ გაუვიდათ, სხვებსაც ამ გზით გადააგდებენო, ნაკლებად მჯერა. ის უფრო ისეთი კაცი მგონია, რომელიც ფიქრობს, ჩემ შემდეგ ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილაო. არა მგონია, მას სხვები აღელვებდეს... ხაბაზი ვინმეს შიშშილობის გამო კი არა, იმიტომ უნდა გადადგეს, რომ საქმეს ვერ აკეთებს და არაფერი აკავშირებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროსთან.

— **თქვენი ერთ-ერთი პრეტენზია ანაბრების საკითხსაც უკავშირდება. პარლამენტში შეიქმნა ამ საკითხის შემსწავლელი საგანგებო კომისია, როგორ ფიქრობთ, რა შედეგს მივიღებთ აქედან?**

— არანაირი კომისია პარლამენტში არ შექმნილა. უბრალოდ, პარლამენტში მომხსენებელი დაინიშნა და რაღაც მუშა ჯგუფი შეიქმნა. ეს ჯგუფი საკითხს მხოლოდ შეისწავლის, გამოძიების უფლება არ აქვს. მერე პარლამენტის წინაშე გააკეთებს მოხსენებას და ამით ყველაფერი დასრულდება, — არავინ დაისჯება. მუშა ჯგუფს არ შეუძლია, მოიწვიოს მოწმე და დაჰკითხოს, ან რომც დაჰკითხოს, მოწმეს იურიდიული სტატუსი არ ექნება. ამ ჯგუფის შექმნა მხოლოდ ერთი რამისთვის იყო გამოსადეგი, რომ შევარდნაძისთვის, ჩხარტიშვილისთვის და იმ პირებისთვის, ვინც ამ საქმეში იყვნენ ჩართული, წინასწარ გახდეს ცნობილი, ვის შეუძლია მათ წინააღმდეგ ჩვენების მიცემა. რაკი მათ ვინაობას გაიგებენ, ალბათ, იმუშავებენ ამ ხალხთან, რათა მათ სწორი ჩვენება აღარ მისცენ. ამ ჯგუფის შექმნა ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა იყო. ე. წ. კომისია, ბატონი ჩხარტიშვილის შეკვეთით შექმნილი, მისი ალიბის მომამზადებელი ჯგუფია. თუ ამ საქმის გამოძიება მართლა უნდათ, ან პროკურატურამ უნდა აღძრას საქმე, ან პარლამენტის საგამოძიებო კომისია უნდა შეიქმნას. ყველაფერი სხვა სიცრუე და თაღლითობაა. ამიტომ კვლავ დაჟინებით მოვითხოვ გენერალური პროკურორისგან, აღძრას საქმე, რადგან სხვა შემთხვევაში ჩხარტიშვილს ამნისტიის წყალობით ხალხისთვის წართმეული ანაბრები შერჩება.

ამნისტიის შეცვლილ პროექტში, რომელიც პარლამენტში შემოიტანეს, ახალი მუხლია შეტანილი. ის აშკარად ამჟღავნებს კანონპროექტის ავტორთა მიზნებსა და სურვილებს. ამნისტიაში ჩაიწერა სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე მუხლი, რომელიც უკანონო კრედიტის აღებასა და მის არამიზნობრივად გამოყენებას ეხება, — საბანკო სფეროში ჩადენილ დანაშაულზე ამნისტია გავრცელდება. ასე, არაფრის გამო, ასეთი ჩანაწერი ამნისტიის პროექტში არ გაჩნდებოდა. როგორც ჩანს, ამ მუხლის შესატანად ბლომად ფული გადაიხადეს მათ, ვისაც ამ მხრივ მისადავებელი ჰქონდა. საინტერესოა, მუშა ჯგუფის სახელწოდებაც — „ანაბრების გაუფასურებაში ჩხარტიშვილის როლის შესახებ“. ანაბრების გაუფასურებაში ბრალი ედუარდ შევარდნაძესა და საქართველოს ხელისუფლებას დავდე. ამ ჯგუფს კი არ აქვს უფლება შევარდნაძისა და სხვა პირთა დანაშაული შეისწავლოს, ის მხოლოდ ჩხარტიშვილით შემოიფარგლება. მას კი ამ დროს ოფიციალური თანამდებობა არ ჰქონია, მხოლოდ შუამავალი იყო დვალიშვილსა და კრედიტების მიმღებთა შორის უკანონო გარიგებებში. ამის დადგენა მხოლოდ საგამოძიებო კომისიას შეეძლო. ასევე მიიჩქმალა ჩემ მიერ დასმული მეორე საკითხიც, — შემნახველი ბანკის უკანონო პრივატიზაცია. ხალხის მოტყუებაში მონაწილეობას არ მივიღებ და არც ამ მუშა ჯგუფის სხდომებს დავესწრები. მას მოკვლევის სფერო იმგვარად აქვს შემოზღუდული, რომ დასკვნა ჩხარტიშვილის სასარგებლოდ გაკეთდეს. რევოლუციის წლისთავზე საზოგადოების ნაწილი იმედგაცრუებულია და აქედან გამომდინარე, ცვლილებები სურთ. ამიტომაც არის, რომ ერთი და იგივე ადამიანები ტრიალებენ კარუსელზე. ეს არაადეკვატური პასუხია ხალხის მოთხოვნაზე. შესაძლოა, ერთხელ და ორჯერ მოტყუვდეს ხალხი, მაგრამ მესამედ აღარ მოტყუვდება. პრეზიდენტი კმაყოფილია იმ ხალხით, რომელიც ჰყავს ხელისუფლებაში და სხვები არ სჭირდება. ამიტომაც შემოიკრიბა ისეთი ხალხი, რომელიც რეალობიდან გაქცევაში მოეხმარება. მას სჭირდება ისეთი ადამიანები, რომლებიც ეტყვიან — ყველაფერი კარგად არისო და ამაში დააჯერებენ კიდეც.

თუმცა, გულის სიღრმეში იცის, ასე რომ არ არის და ამას განიცდის... პრობლემების გადაწყვეტა თვალის არიდებით კი არა, მხოლოდ თვალის გასწორებით არის შესაძლებელი.

— **ხელისუფლება ყველაზე მეტ პოზიტივს კორუფციასთან ბრძოლაში ხედავს, ამ მიმართულებით ვერ ხედავთ უკეთესობას?**

— სინამდვილეში, კორუფცია არ დამარცხებულა, მისი სტრუქტურა შეიცვალა. აქამდე შემოსავლების კორუფცია იყო — ბიუჯეტში არ შედიოდა თანხა. დღეს გასავლების, ანუ ხარჯების კორუფციაა სახეზე, — ფული კი შედის ბიუჯეტში, მაგრამ იქიდან იპარავენ...

აკაკი ჩხაიძე დაიჭირეს — ბიუჯეტს თანხები დააკლოო. დავით ონოფრიშვილმა კი ნულზე დასვა რკინიგზა. ბიუჯეტს ვინ ჩივის, თავად რკინიგზა ლაფავს სულს. ეტყობა, ძალიან მოინდომა რკინიგზის ხელმძღვანელობამ, რომ შევარდნაძის დროს მომგებიანი დარგი წამგებიანად აქცია. საინტერესოა, რატომ არავინ ინტერესდება ამ საკითხით, რატომ არ არის ამაზე საქმე აღძრული? ჩვენი გენპროკურორი მუდმივად „მიმალვაშია“ და არ ვიცი, აქვს კი აზრი, მოვითხოვო მისგან ამ საქმეზე გამოძიების ჩატარება? ვერ ვიტყვი, ადეიშვილი უუნარო, უჭკუო ან კორუმპირებულია-მეთქი, ის უთუოდ გონიერი კაცია, მაგრამ ცოტა მიმკვდარუნებულია, გენპროკურორი უფრო ცოცხალი უნდა იყოს... მოვითხოვ, გენპროკურორი „მიმალვიდან“ გამოვიდეს და გვიპასუხოს, როდემდე აპირებს ანაბრებისა და რკინიგზის წაგებაზე დასმული საკითხებისთვის ყურის არიდებას...

დასასრულ, მინდა საინტერესო ამბავი გაუწყოთ — მე და ზვიად ძიძიგური უკრაინაში ვაპირებთ გამგზავრებას — იქ ჩავიტანთ ორ ხატს, რომელიც თავის დროზე დონეცკის ეკლესიებიდან მოიპარეს და საქართველოში არალეგალურად შემოიტანეს. გვინდა ხატები იუშჩენკოს ჩავუტანოთ და მან დააბრუნოს დონეცკში. ალბათ, ამით იანუკოვიჩის მხარდამჭერი დონეცკელების მიმხრობასაც შეძლებს. თუ ეს ჟესტი უკრაინას გაამთლიანებს და იქ მშვიდობას დაამყარებს, კმაყოფილი დავრჩებით.

***მარი ზანდუკელი***

# „არ გინდა რიჟა ბაზარი... შენა ხარ ჩემი ჯიგარი“

## „ხედავთ, 2.100 დოლარს როგორ „მიტეხავდნენ“

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩადენილი ხულიგნობა გურამ შარაძეს 15-დღიან პატიმრობად დაუჯდა. პროფესორმა, აკადემიკოსმა და ყოფილმა პარლამენტარმა ამჯერად ახალი სტატუსი (ნაჯდომი კაცის) მიიღო, რომლითაც ამაყობს კიდეც და ციხეში არც ხელმეორედ შებრუნებას უფრთხის.

დედაქალაქის შს სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში რამდენიმედღიანი „ჯდომა“ სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ გურამ შარაძე ახალ საქართველოს ახალ ადამიანად დაჰბრუნებოდა...

**გურამ შარაძე:**

— ერთი სიტყვით, მე ის გურამ შარაძე აღარა ვარ... ქურდად ვზივარ, ქურდად... ძველი გურამ შარაძე ხომ არ გგონივართ... აწი ცოტა უფრო ფრთხილად უნდა მელაპარაკოთ...

— **მაინც?**

— ქურდებს არ იცით, როგორ ელაპარაკებიან? ხომ ხედავთ, ამ სიბერეში ციხე და ქურდული ცხოვრების წესიც მოვსინჯე...

— **მაინც რას გულისხმობთ ქურდად ჯდომაში? წილების მიღება დაიწყეთ?**

— არა, არა! ქურდად ჯდომა, სხვათა შორის, ბიუჯეტის ქურდობას არ გულისხმობს. აი ის, „რამკიანი“ ქურდები არ გაგიგონიათ?

— **ზუსტად „რამკიანი“ ქურდები არიან, წილებს რომ იღებენ...**

— ჰოო, მაგდენის გაგება 15 დღეში ვეღარ მოვასწარი. ე. ი. ჯერ „რამკიანი“ ვერ ვყოფილვარ.

— **თანამოსაკნეებს როგორ შეეგუეთ, ქურდებთან, რეციდივისტებთან და დამნაშავეებთან ურთიერთობას?..**

— ჯერ ერთი, ქურდი და რეციდივისტი მე იქ არ მინახავს. პირველ დღეებში საკანში ერთი პატიოსანი კაცი შემომისახლეს. მამა-შვილს გიორგობაზე უქეიფია. ამ კაცს ერთი დანჯღრეული მანქანა ჰყავდა. გზაზე გაფუჭებია და აწვებოდა თურმე მამა-შვილი. პატრულმა დაიჭირა, თქვენ ეტყობა, მანქანას



— მე ის გურამ შარაძე აღარ ვარ... ქურდად ვზივარ, ქურდად...

იტაცებთო. ამას შეხლა-შემოხლა და პოლიციელებთან კონფლიქტი მოჰყვა... საბოლოოდ ჩემთან აღმოჩნდა ეს კაცი „კა-პე-ზეში“. მომდევნო დღეებში კი „ადინოჩკაში“ გადამიყვანეს.

— **ეი. არც თქვენთვის შეუფერებელი კურიოზული სიტუაციები გადაგხდენიათ თავს...**

— პირიქით. რომ დამიჭირეს, იმავე ღამეს გაიღო კარი და ჰოი, საოცრებავ!.. შემოვიდა იცით, ვინ? „კმარასა“ და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ბელადი თეა თუთბერიძე. შემოვიდა კამერაში და საუბარი დამიწყო, თურმე კახეთში ყოფილა და ჩემთან დაჰგვიანებია... ახლა ამაზე მეტი კურიოზი რაღა გინდათ. მეორე დღეს სოზარ სუბარმა გამომიგზავნა მას რომ შეეფერება, სწორედ ისეთი გრძელშარფიანი თანაშემწე. აქეთ რომ ელენე თევდორაძემ დაიწყო ჩემი „დაცვა“, მაშინ გავგიჟდი კაცი. ეგღა მაკლდა, ელენე თევდორაძის მასხარაობის ობიექტი გავმხდარიყავი.

— **რამდენადაც ვიცი, ჯარიმა არ გადაგიხდიათ, მხოლოდ პატიმრობით გადარჩით?**

— არც გადამიხდია და არც გადავიხდი. 2.400 დოლარს რომ მედავებოდნენ გოკა გაბაშვილი და გია ბუღაძე, აღმოჩნდა, რომ თურმე ის პლაკატები 300 დოლარზე მეტი არ ღირებულა. ხომ ხედავთ, 2.100 დოლარს როგორ „მიტეხავდნენ“.

— **გეტყობათ, კამერაში რომ ხართ ნამყოფი, ჟარგონებიც აგითვისებიათ...**

— ნამდვილად! კიდევ ავითვისე რამდენიმე ფრაზა... მაგალითად, არ გინდა „რიჟა ბაზარი“, „შენ ჩემი ჯიგარი ხარ“, მოიცა კიდევ გავიხსენო... ჰო, „ნუ გაახურე“... და კიდევ, „ახლა სვაბოდაზე ვარ!“. ჯერჯერობით ეს ოთხი ფრაზა წარმატებით ავითვისე, მერე ვნახოთ...

— **მერე როდის, უკან, ციხეში დაბრუნებას ხომ არ აპირებთ?**

— ჯერ ყველაფერი წინ მაქვს. ჩვენი მთავრობის ხელში შესაძლოა, მალე ამ გზით მთელი ქურდული ლექსიკონი შემასწავლონ.

***ხათუნა პაიჭაძე***

# „პრესის თავისუფლების ხარისხი ფინანსური შესაძლებლობებით განისაზღვრება“

## „მოგვეცემა ჟურნალისტების მეტად წახალისების საშუალება“

„ჩვენი პოლიტიკური ინტერესია თავისუფალი, დემოკრატიული, მთავრობისაგან და ყველა ინტერესისგან დამოუკიდებელი მასმედია. გვინდა, ჟურნალისტებს ჰქონდეთ ისეთი შემოსავალი, რომ შეძლონ დამოუკიდებლად დასკვნების გაკეთება“, — მიხეილ სააკაშვილის ეს სიტყვები ქართული პრესის „ამნისტიის“ საწინდრად იქცა. პრესას ხელისუფლებამ მაშველი რგოლი გადაუგდო და თავისუფლად სუნთქვის საშუალება მისცა... ბეჭდური მედიისთვის უქმდება ყველა გადასახადი, საშემოსავლოსა და სოციალურის გარდა. ჟურნალ-გაზეთებისთვის საგადასახადო მარწუხების მოცილება წლობით ნანატრი თავისუფლებაა, რომელიც შესაძლოა, ქართული დამოუკიდებელი მედიისთვის მეორე სუნთქვის გახსნის ტოლფასი გახდეს.

მაინც რას ფიქრობენ ადამიანები, რომელთა ხანგრძლივი ლოდინი რამდენიმე დღის წინ კეთილად დასრულდა? ისინი, უბრალოდ, მადლიერი არიან, პროფესიულ ჩვევას ამ დროსაც არ ღალატობენ და პირობას დებენ, რომ ყოველთვის ობიექტური იქნებიან:

**მალხაზ რამიშვილი,** გაზეთ „ახალი ვერსიის“ გამომცემელი:

— ხელისუფლებამ პრესას შეღავათები დაუწესა და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. ეს უკვე იძლევა მუშაობის საშუალებას. ძველი კოდექსით შავი ბუღალტერიის გარეშე ძნელი იყო ბიუჯეტთანაც პირნათლად ყოფნა და მომგებიანად მუშაობაც. დღეს უკვე ხელ-ფეხი გაგვეხსნა.

— **რამდენად იქნება ეს შეღავათი პრესის დამოუკიდებლობის გარანტია?**

— წესით, ამ მხრივ გაცილებით უკეთესი სიტუაცია უნდა შეიქმნას, რადგან ხელისუფლებას ძალიან ცოტა ბერკეტი რჩება პრესაზე ფინანსური ზემოქმედების მოსახდენად. თუ ადრე ყველაფერზე შეეძლოთ შედავება და ხელისუფლების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული ჩვენი არსებობა (მის კეთილ ნებაზე ახლაც კი ვიქნებით დამოკიდებული), ამის შემდეგ უხეში ჩარევის გარეშე პრესის გაკოტრება შეუძლებელი იქნება.

ამ შეღავათის მოპოვების საფუძველი ის იყო, რომ წლების მანძილზე ხელისუფლებას ტვინს ვუჭამდით, — შეღავათები დაგვიწესეთო. ხელისუფლებას ეს ნაბიჯი რომ არ გადაედგა, შესაძლოა, გაზეთები ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილიყვნენ, რადგან მსოფლიო ბაზარზე ქაღალდის ფასი იმატებს და აუცილებლად გაზეთის გაძვირება მოგვიწევდა.

ვფიქრობ, ქართული პრესა კრიტიკულიც იქნება და კონსტრუქციულიც ხელისუფლებისადმი. ასეთი დამოკიდებულების ფონზე ჩვენ მეტი პასუხისმგებლობაც გვმართებს, სამომავლოდ მეტი პროფესიონალიზმი დაგვჭირდება...

**გიორგი თევდორაშვილი,** „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორი:

— მთავრობის ეს გადაწყვეტილება დროული და აუცილებელი იყო. მოგეხსენებათ, საქართველოში მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა დაბალია. გაზეთის ფასის გაზრდა (რისი აუცილებლობაც, ალბათ, დადგებოდა მსოფლიო ბაზარზე ქაღალდის გაძვირების ტენდენციისა და ბუღალტერიის თეთრად წარმოების აუცილებლობის გამო) აუცილებლად გამოიწვევდა ტირაჟების შემცირებას, არადა, ჩვენთან გაზეთის ფასი დაახლოებით ორჯერ ნაკლებია სხვა ქვეყნებთან შედარებით. ბევრად უფრო მცირეა სარეკლამო შემოსავლებიც. შეღავათების დაწესებას წინ უძღოდა გაზეთის გამომცემლებისა და რედაქტორების საკმაოდ ხანგრძლივი დიალოგი პრემიერ-მინისტრთან, ფინანსთა მინისტრთან თუ დეპუტატებთან. ძალიან წაადგა ამ საქმეს პარლამენტარი მარიკა ვერულაშვილი, რომელმაც გვიშუამდგომლა პრეზიდენტთან, დაწვრილებით გააცნო მას ჩვენი სატკივარი და პრეზიდენტმაც გადაწყვიტა, პრესა გაეთავისუფლებინა გადასახადებისაგან. ეს ნაბიჯი მაკონტროლებლებს ართმევს გაზეთების დაშანტაჟების საშუალებას. ბეჭდვითი მედია ამ შეღავათის საფუძველზე უკეთ განავითარებს საკუთარ ბიზნესს, ამაღლდება პროფესიონალიზმის დონე, მოიმატებს გვერდების რაოდენობა და, შესაბამისად, მოგვეცემა ჟურნალისტების მეტად წახალისების საშუალებაც.

— **ამ აუცილებელი შეღავათის დაწესების გამო, ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების შესუსტება ხომ არ არის მოსალოდნელი?**

— შეღავათი იმიტომ დაწესდა, რომ პრესა ხელისუფლებაზე ნაკლებად ყოფილიყო დამოკიდებული. რაკი ხელისუფლებამ ზეწოლის ბერკეტებზე უარი თქვა, ამით კრიტიკა კი არ შესუსტდება, არამედ პრესის თავისუფლების ხარისხი გაიზრდება და კრიტიკაც ობიექტური იქნება. კრიტიკა ხელისუფლებისთვის აუცილებელია, ეს მან არ უნდა აღიქვას მტრობად, რადგან განსხვავებული აზრის გამოთქმა ისევ ჩვენი სახელმწიფოს განვითარებისთვის არის აუცილებელი. პრესისთვის დაწესებული შეღავათი სახელმწიფოსთვის არ არის ეკონომიკურ შედეგებზე გათვლილი გადაწყვეტილება, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ეს პრესას მუშაობის ნორმალურ პირობებს შეუქმნის, რათა იგი არ იყოს დოტაციური, სახელმწიფოს ან თუნდაც რომელიმე პოლიტიკური ძალის დაფინანსებაზე დამოკიდებული. თუ აქამდე თითებზე ჩამოსათვლელი იყო გაზეთები, რომელთაც დამოუკიდებლად არსებობა შეეძლოთ, ახლა მეტი საშუალება გაჩნდება, რომ მკითხველს დამოუკიდებელი და ობიექტური აზრი მიეწოდოს.

**მარიკა ვერულაშვილი,** პარლამენტარი:

— ოთხი წლის განმავლობაში ჟურნალისტიკაში ვმუშაობდი და ამიტომ ჩემთვის ნამდვილად არ არის სულერთი, როგორ მდგომარეობაში იქნება პრესა. მას შემდეგ, რაც პარლამენტარი გავხდი, მეტი საშუალება მომეცა, რაღაც მეც გამეკეთებინა ამ მიმართულებით. პრესისთვის შეღავათის დაწესება პრეზიდენტის ინიციატივა იყო. ხშირად მისაუბრია მედიის წარმომადგენლებთან, ვიცნობ ამ სფეროს პრობლემებს, იმ გაუსაძლის პირობებს, როგორშიც უწევდათ მუშაობა. როდესაც მათი პრობლემა პრეზიდენტამდე მივიტანე, მან კეთილი ნება გამოიჩინა და პრესას შეღავათი დაუწესა. პრეზიდენტს ხშირად უთქვამს, პრესის თავისუფლების ხარისხი ფინანსური შესაძლებლობებით განისაზღვრება. თუ ის ფინანსურად ვინმეზე არ არის დამოკიდებული, გაცილებით თამამად ამჟღავნებს თავის აზრს. ჟურნალისტმა ის რომ დაწეროს, რასაც ფიქრობს, ამის სათანადო პირობები სჭირდებაო. ჩემთვის რამდენიმე გაზეთის დახურვა ახლობელი ადამიანის დაკარგვის ტოლფასი იყო. არ მინდოდა მომავალ თაობებს ეთქვათ — სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს გაზეთები ერთმანეთის მიყოლებით დაიხურაო. პრესაში საღი კონკურენცია უნდა იყოს, საქართველოში ბევრი დამოუკიდებელი გაზეთი და თავისუფალი აზრი უნდა არსებობდეს. იმედი მაქვს, საქართველოში არასოდეს შეიზღუდება თავისუფალი სიტყვა. მიხარია, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით მიხვდება ამ თემაზე ჩემი აზრის გამოთქმა — მე მჯერა თქვენი.

***იზო რიკაძე***

# საკადრო ცვლილებები — „კარუსელის“ გარეშე

## „ექვსთვიანი“ მინისტრობის სინდრომი

„საკადრო კარუსელი-2“ ალბათ არ დატრიალდება ანუ ის, რასაც მთელი გასული კვირის განმავლობაში წინასწარმეტყველებდა ქართული მასმედიის უდიდესი ნაწილი, ალბათ არ მოხდება.

უფრო სავარაუდოა, რომ აშშ-დან დაბრუნებულ პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, საქართველოს პრეზიდენტი მოახდენს რამდენიმე საკადრო ცვლილებას. ყოველ შემთხვევაში, როგორც ხელისუფლების კულუარებში ლაპარაკობენ, შსს-დან თავდაცვის მინისტრის სავარძელში მაინც გადაინაცვლებს ირაკლი ოქრუაშვილი. ასევე შესაძლებელია უშიშროებისა და შსს-ს შერწყმა, მაგრამ როგორ და რა სახით, საბოლოოდ არ არის განსაზღვრული. უშიშროების საბჭოს მდივნად ალბათ გელა ბეჟუაშვილი დარჩება და ამ თანამდებობაზე ახლანდელი თავდაცვის მინისტრის გიორგი ბარამიძის გამოჩენა ნაკლებად სავარაუდოა.

თუ მართლაც ამ სახით წარიმართა ძალოვანთა საკადრო ცვლილებები, ყველაზე მეტად დაზარალდება გია ბარამიძე, რომელსაც თავდაცვის სამინისტროს მართვის საშუალება მხოლოდ ნახევარი წლით მისცეს, სხვათა შორის, ისევე, როგორც მანამდე შსს-სი.

ხელისუფლების მაღალ ეშელონებში, ეტყობა, მეტი ინფორმაცია გააჩნიათ განსჯისთვის, თუ რომელ ძალოვან სტრუქტურას კონკრეტულად რომელი პიროვნება უკეთ უძღვება, მაგრამ, ხელისუფლებისგან განსხვავებით, ჟურნალისტებს უფრო ხშირად ეძლევათ შესაძლებლობა, დააკვირდნენ, ამა თუ იმ სამინისტროს ჩვეულებრივ თანამშრომლებს, — რა განწყობა სუფევს მათ შორის.

ეს განწყობა კი ერთი სიტყვით იშიფრება — საჩემოდნო, ანუ არავინაა დარწმუნებული, რომ როგორ მონდომებულადაც არ უნდა იმუშაოს, სამინისტროს ახალი ხელმძღვანელის და, შესაბამისად, მისი გუნდის მოსვლის შემდეგ, შეინარჩუნებს თუ არა თანამდებობას.

ახალ მინისტრს, როგორც წესი, ახალი აპარატის უფროსი, ახალი კანცელარიის უფროსი, ახალი კადრების უფროსი და ა.შ. მოჰყვება. მთელი ეს საკადრო ცვლილებები თვეობით ჭიანურდება და ამ ხნის განმავლობაში სამინისტროს ეფექტიანი მუშაობის პროცესი, ფაქტობრივად, პარალიზებულია.

მინისტრების ასე ხშირ-ხშირად ცვლა ნამდვილად არ მოქმედებს დადებითად ამა თუ იმ სამინისტროს წარმატებით მუშაობაზე, არანაკლებ ორი წელი მაინც არის საჭირო იმის გასაგებად, შეძლეს თუ არა თავდაცვის, შინაგან საქმეთა თუ უშიშროების მინისტრებმა საქმისთვის თავის გართმევა.

# დაცალეთ ეშელონები!

## ქართველი დეპუტატების „დესანტმა“ უკრაინელი სამხედროები გააღიზიანა

უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატის, ვიქტორ იუშჩენკოს მხარდასაჭერად თბილისიდან კიევში ზარ-ზეიმით „სასწრაფოდ მივლინებულმა“ ქართველი პოლიტიკოსების „დესანტმა“ კინაღამ ჩაგვიშალა ქართული არმიის გაძლიერებისთვის ასე საჭირო ერთი გარიგება.

ქართველი დეპუტატების აქტიურობამ გარკვეულწილად გააღიზიანა უკრაინელი გენერალიტეტი — რაც მოსახდენია, ის მაინც მოხდება, შეიძლება იუშჩენკომ გაიმარჯვოს, მაგრამ რა საჭიროა ქართველი პოლიტიკოსების ასეთი აქტიურობა, რატომ ერევით ჩვენს შინაურ საქმეებში?!

დაახლოებით ასეთი იყო ერთი-ორი ყველაზე გავლენიანი უკრაინელი გენერლის საყვედური.

ამის შემდეგ მათ ბრძანება გასცეს, დაეცალათ ის სარკინიგზო ეშელონი, რომელზეც ქართული არმიისთვის შეძენილი სამხედრო დანიშნულების (არ გავშიფრავთ, რა სახის, ტიპისა და რა რაოდენობის) ტვირთი ელაგა. ფაქტობრივად, ჩაშლის საფრთხის წინაშე დადგა ის ოფიციალური გარიგება, რითაც, პირველ რიგში, ქართული არმია მოიგებდა...

მხოლოდ ქართველი სამხედროებისა და დიპლომატების ძალისხმევით მოხერხდა ზემოხსენებული ტვირთის დატოვება ეშელონებზე და შემდგომ საქართველოში გადმოგზავნა.

ეს ფაქტი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ სხვა, თუნდაც მეგობრულად განწყობილ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში ჩარევა არაერთგვაროვნად შეიძლება შეფასდეს. თუ იუშჩენკო პრეზიდენტი გახდება, მაშინ ეს მხარდაჭერა შეიძლება ერთი-ორად დაფასდეს, მაგრამ დღეს ასეთმა საქციელმა კინაღამ ხახამშრალი დაგვტოვა.

# ანტიტერორისტული ცენტრები რუსულად?!

## ბათუმისა და ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზების კრახი მოახლოვდა




რუსეთის თავდაცვის მინისტრის მიერ ბოლო დღეებში გამოჩენილი ინიციატივა, ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზების გარდაქმნის შესახებ, ბევრ საინტერესო ნიუანსს ამჟღავნებს. პირველ რიგში მოსკოვი, როგორც იქნა, მიხვდა, რომ საქართველოში დარჩენილი თავისი სამხედრო ბაზების დღევანდელი სახით არსებობის გაგრძელება სრულიად უპერსპექტივოა.

რუსეთის ფედერაციას საკმაოდ დიდი ფული უჯდება ამ ბაზებისა და მისი პერსონალის შენახვა, ამიტომაც ცდილობს, მათ შეუცვალოს სტატუსი და სხვა, უფრო მომგებიანი დატვირთვა მისცეს.

თავდაცვის მინისტრის, ივანოვის განცხადებით, მიზანშეწონილი იქნებოდა ბათუმის ბაზის გადაკეთება ანტიტერორისტულ ცენტრად, სადაც მომზადდებიან ის სპეციალისტები, რომლებსაც დაევალებათ ზღვაზე ტერორიზმის ფაქტების აღკვეთა, ხოლო ახალქალაქის ცენტრში გადამზადდებიან მესაზღვრეები და საგანგებო სიტუაციების სპეციალისტები.

მარტო აქედან ჩანს, თუ როგორ ზედაპირულად და არაპროფესიონალურად უდგებიან ამ ბაზების საკითხს რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და გენერალურ შტაბში. რადგანაც ბათუმი ზღვის პირასაა, წესით, იქ ამ სპეციალობის ანტიტერორისტული კადრები უნდა მომზადდეს, ხოლო მაღალმთიან ახალქალაქში კი — მესაზღვრეები. თუმცა იმას არავინ ითვალისწინებს, რომ, საბედნიეროდ, რუსი მესაზღვრეები ჩვენში უკვე დიდი ხანია აღარ არიან.

უნდა ითქვას, რომ რუსული სამხედრო ბაზების სანაცვლოდ ერთობლივი სასწავლო ცენტრის შექმნა თბილისმა მოსკოვს ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ შესთავაზა. მაშინ ამ ინიციატივაში იგულისხმებოდა ისიც, რომ რუსული სამხედრო ბაზები, თავისი მძიმე ტექნიკით, უსიტყვოდ დატოვებდნენ ქართულ მიწას.

აჭარის მოვლენების შემდეგ ბათუმის სამხედრო ბაზიდან გაყვანილია 10 ცალი რუსული T-72 ტიპის ტანკი და სხვა შეიარაღება. გაჩნდა იმედი, რომ აბაშიძის რეჟიმის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი რუსი სამხედროები თავისი ნებით, ნელ-ნელა დატოვებდნენ საქართველოს ამ რეგიონს. ამ მოვლენების პარალელურად, ა.წ. ზაფხულში, ახალქალაქის ბაზიდან შუა რუსეთის სამხედრო ოლქებში სამსახურის გასავლელად გადაიყვანეს ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში მოსახლე სომეხი ეროვნების რუსეთის მოქალაქეობამიღებული 800-მდე ოფიცერი და ზემდეგი.

თითქოსდა საქართველოში რუსული სამხედრო ბაზების ბედი თავისთავად ირკვეოდა, მაგრამ ბოლო დღეების მოვლენები გვიჩვენებს, რომ მოსკოვი მაინც ცდილობს ხავსს მოეჭიდოს — გარკვეული ზეწოლით (შეიძლება ამას ემსახურებოდეს პანკისის თემის ხელახალი აგორება „ნერტილოვანი“ დარტყმების მუქარით) დაიყოლიოს საქართველოს ხელისუფლება, ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზები ერთობლივად გარდაიქმნან მითურ ანტიტერორისტულ ცენტრებად და ამით რუსულ ჩექმას რამდენიმე წლით გაუხანგრძლივდეს ქართულ მიწაზე არსებობა.

AXIS
აქსისი
ახალი მშენებარე სახლი მცხეთის ქ.17



არაყიშვილის ქ.№14 ტელ: 25 34 34; 91 25 34

# „ბორკებით" „წერტილოვანი" დარტყმები პანკისში?..

## კრემლს ახალი აგონია დაეწყო – მას პანკისში ისინი ელანდება, ვინც მეორე წელია, იქ აღარ იმყოფება

„ნეზავისიმაია გაზეტას" რედაქციიდან დამირეკეს — პანკისში მყოფ საერთაშორისო ტერორისტებზე რუსეთის არმია პრევენციულ „წერტილოვან" დარტყმებს აპირებს და კომენტარს გთხოვთო. განვუცხადე, — ეს ვერსია აბსურდულია-მეთქი. ნამდვილად არ მოველოდი, „ნეზავისიმაია გაზეტას" სტატია, „პანკისი კვლავ სამიზნეა", ასეთ რეზონანსს თუ გამოიწვევდა...

როგორც მოვლენების ანალიზი ცხადყოფს, პანკისის თემის აგორება რამდენიმე მიმართულებით დაიწყო: 8 დეკემბერს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტაბის

რუსეთის არმიას მართლაც რომ შეეძლოს „წერტილოვანი" დარტყმების წარმატებით მიყენება ტერორისტთა ბაზებზე ან ცნობილ საველე მეთაურებზე, მაშინ ომი ჩეჩნეთში ათი წელი არ გაგრძელდებოდა და არც შამილ ბასაევი ივლიდა არხეინად.

მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მეტ-ნაკლებად წარმატებით ებრძვის ტერორისტებს და მათ „წერტილოვანი" დარტყმებით ანადგურებს — ისრაელია. ღაზის სექტორის თავზე „ჩამოკიდებულ" „აპაჩებს" მართვადი რაკეტებით არაერთი ცნობილი ტერორისტის ავტომანქანა უქცევიათ ჯართად.




უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ბორის ჩელტოვმა რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის 90 წლისთავთან დაკავშირებით წაიტრაბახა, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს აქვს ზეზუსტი რაკეტები და ბომბები, რომლებითაც გაანადგურებენ ტერორისტების ნებისმიერ ბაზას, თუნდაც რუსეთის ტერიტორიის გარეთ. თუმცა ამ რუს გენერალს კონკრეტულად არაფერი უთქვამს პანკისის ხეობაში ასეთი ბაზების არსებობის შესახებ.

თავის მხრივ, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ამ „წერტილოვანი" დარტყმების, ოღონდ ბირთვული ქობინების გარეშე, შესაძლებლობას ყველა იმ ტერორისტის მოსამზადებელ ბანაკზე, რომლებიც რუსეთის საზღვრებთან ფუნქციონირებენ, მაგრამ „პანკისი" არც მას უხსენებია. ეს ხეობა ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციების სამმართველოს რეგიონალური ოპერატიული შტაბის წარმომადგენელს, გენერალ-მაიორ ილია შაბალკინს ეკერა ენის წვერზე — კონკრეტულად დაასახელა ტერორისტთა რაოდენობა, სოფლები, საერთაშორისო ტერორისტთა ვინაობა და ა.შ.

საქმეში ნაკლებად ჩახედული ადამიანისთვის, მით უმეტეს რუსეთის შუაგულში მცხოვრებისთვის, შაბალკინის ეს სატელევიზიო გამოსვლა უთუოდ მტკიცე დასტური იქნებოდა იმისა, რომ რუსი ბიჭების მკვლელი ჩეჩენი თუ არაბი ტერორისტები მართლაც მეზობელ საქართველოში, კერძოდ, პანკისის ხეობაში ემზადებიან და ამიტომაც საქართველო ღირსია დაუნდობელი საჰაერო დარტყმებისა...

ეს იყო მორიგი რუსული სოლდაფონური პიარი, რადგან ის მონაცემები, რაც გენერალმა შაბალკინმა გაახმოვანა, სიმართლესთან მეტ-ნაკლებად ახლოს იყო, ოღონდ... ორი წლის წინ; ანუ დუისში, წინუბანში, ხალაწანსა თუ ომალოში მართლაც იმყოფებოდა სხვადასხვა ეროვნების კარგად შეიარაღებული ხალხი, მათ შორის რუსლან გელაევის რაზმიც, მაგრამ მათ პანკისის ხეობა 2002 წლის აგვისტოში დატოვეს!

ძველი მონაცემების ახლად გასაღება იმიტომ სჭირდება კრემლს, რომ რაღაცნაირად აღიდგინოს აფხაზეთსა და უკრაინაში განცდილი პოლიტიკური ფიასკოების შემდეგ შელახული სახელი (აფხაზეთში, თვითმარქვია პრეზიდენტობის კანდიდატების დროებითი შერიგება უფრო ფიქციას წააგავს და ბაღაფშისა და ხაჯიმბას ამბიციები კვლავ შეეჯახება ერთმანეთს).

გასაგებია, რომ იმიჯშელახული და ძველ ძლიერებადაკარგული „ველიკოდერჟავული" რუსეთი კვლავ ცდილობს ზემძლავრ აშშ-ს რაღაცით მაინც დაემსგავსოს და პატარა „ერაყის" მოწყობა პანკისში ეცადოს, მაგრამ საინტერესოა, რა სახით ან ძალებით შეეცდება ამის გაკეთებას.

უპირველესად, ეს შეიძლება მოხდეს საბრძოლო ავიაციის გამოჩენით — ღამით ან გამთენიისას საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოპარული რუსული საფრონტო ბომბდამშენი Су-24М-ი ან მოდერნიზებული მოიერიშე Су-25Т-ი რამდენიმე უმართავ ან მართვად ბომბს ჩამოაგდებს და რაკეტას გაისვრის პანკისის ხეობის მიმართულებით. ასეთი საჰაერო დარტყმის სიზუსტეზე ლაპარაკიც არ შეიძლება — მას ალბათ ვინმე მშვიდობიანი მოსახლე შეეწირება. ეს, სამწუხაროდ, ორი წლის წინ უკვე მოხდა — ტყეში შეშის საჭრელად შესული მშვიდობიანი მოსახლეობის სატვირთო ავტომობილი დაბომბა რუსულმა თვითმფრინავმა.

რუსი ინკოგნიტო სამხედროები, რომლებმაც პანკისის ხეობის თემის ხელახალი აგორება „ნეზავისიმაია გაზეტას" საშუალებითაც სცადეს, ალბათ არ გამორიცხავენ რუსული დივერსიული სპეცრაზმების გადასხმას პანკისის ხეობაში.

რჩება კიდევ ერთი საფრთხე — ეს არის რუსული შორსმსროლელი არტილერიის, უწინარესად კი ტაქტიკური დანიშნულების ბალისტიკური რაკეტების Точка-У-ების გამოყენება. რამდენიმე წლის წინ ერთი რუსული ბალისტიკური რაკეტა მართლაც აფეთქდა სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე — ჩეჩნეთის სამხრეთ რაიონში დამიზნებული „სკადი" კავკასიის ქედის აქეთ „დაეშვა". რუსული Точка-У-ების სროლის მაქსიმალური სიშორე 120 კმ-ია და უფრო მეტი სიზუსტით გამოირჩევა, ვიდრე „სკადი". Точка-У-ები რუსმა სამხედროებმა რამდენჯერმე გამოიყენეს ჩეჩნეთის ომში — ერთი ამგვარი რაკეტა გუდერმესის ცენტრში მაშინ დაეცა, როდესაც შეიარაღებულმა ჩეჩნებმა ამ ქალაქში რუსული შტაბი აიღეს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პანკისის თემის მორიგი აგორება და ახალი რუსული მუქარა კრემლიდან მომდინარე პოლიტიკურ-მორალური ზეწოლის გაგრძელება უფროა, ვიდრე რეალური საფრთხე, მაგრამ ძალიან ძნელია არაპროგნოზირებადი რუსული „დათვის" ბოლომდე ნდობა.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ბრძოლაში წინ განუბაჟებელი ტანკები უნდა გავუშვათ?!

## რად სჭირდება საზღვარგარეთ ნაყიდ ჯავშანტრანსპორტიორს განბაჟება?!

*ერთი შეხედვით რა საერთო უნდა ჰქონდეს „ბე-ემ-ვეს" და მრისხანე „ბე-ემ-პეს", მაგრამ საქართველოს საკანონმდებლო ბაზამ ისინი „დააძმობილა" — ორივე მათგანს განბაჟება სჭირდება*



საქართველო ალბათ ერთადერთი ქვეყანაა მთელ მსოფლიოში, რომელსაც შეიარაღებაში განუბაჟებელი ტანკები, საარტილერიო დანადგარები თუ ქვეითთა საბრძოლო მანქანები ჰყავს(!).

საქმე საქმეზე რომ მიდგეს, საბაჟოს კანონიერი უფლება ექნება, განუბაჟებელი ტანკის ეკიპაჟს აუკრძალოს ომში წასვლა.

ასეთი განუბაჟებელი ტექნიკა კი ქართული არმიის შეიარაღებაში საკმაოდ დაგროვდა — გავიხსენოთ ის 11 ჩეხური T-55AM2 ტიპის ტანკი, რომლებიც ჩეხეთში ამ სამიოდე წლის წინ შევიძინეთ, ან თუნდ ის თვითმავალი საარტილერიო დანადგარები — DANA და ასევე ჩეხეთიდან ჩამოტანილი RM-70 ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, რომლებმაც 26 მაისის სამხედრო აღლუმზე დამსწრე საზოგადოება და განსაკუთრებით პრეზიდენტი ალაფრთოვანეს.

ყველა ეს ტექნიკა დღემდე განუბაჟებელია და კანონით, მათი გარეთ გამოყვანა და მით უმეტეს, სამხედრო მანევრებში მონაწილეობა აკრძალულია.

ყოველ შემთხვევაში, ამას მოითხოვს „საქართველოს საგადასახადო კანონი".

ისევე, როგორც იმპორტირებული მსუბუქი ავტომობილი, საზღვარგარეთ ნაყიდი საბრძოლო ტექნიკა, შეიარაღება (ავტომატები, ტყვიამფრქვევები თუ ტყვია-წამალი) იბეგრება, ოღონდ ერთი შეღავათით, მსუბუქი ავტომობილისგან განსხვავებით, ტანკი ძრავის მოცულობით არ იბეგრება, თორემ თითქმის 800 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ძრავიანი და თანაც 15-20 წლის ტანკის განბაჟებას დიდი ფული დასჭირდებოდა.

საბრძოლო ტექნიკის საბაჟო გადასახადი ისაზღვრება, როგორც თავად მატერიალური ფასეულობის ღირებულებით, ისე ტრანსპორტირების ხარჯით და გამოითვლება სპეციალური ფორმულით. გადასახადი აღწევს დაახლოებით 34,56%-ს ანუ თუკი ტანკის შესყიდვა, თავისი ტრანსპორტირებით, 38 ათასი დოლარი დაჯდა, საბაჟო გადასახადი 13 ათასზე მეტია(?!).

გამოდის, რომ სახელმწიფო თავისსავე ფულს ერთი ჯიბიდან იღებს და მეორეში იდებს. თითქოს არავითარი პრობლემა არ უნდა არსებობდეს, მაგრამ მეორე მხრივ, ამ თანხების დროული გადარიცხვა სხვა ფინანსურ პრობლემებთან და ამა თუ იმ ძალოვანი სტრუქტურის მწირ ბიუჯეტთანაა დაკავშირებული.

ასე რომ, უახლოეს მომავალში თუ მაინც მოგვიწია ბრძოლა, წინ განუბაჟებელი ტანკები უნდა გავუშვათ, რომელთაც ზურგიდან ასევე განუბაჟებელი საარტილერიო დანადგარები დაეხმარებიან.



# „ვოლგებზე" მონადირე ლამაზმანმა გაყიდა



ბავშვების კივილზე, ორიოდ წუთში, მთელი სოფელი მიაწყდა უფსკრულს, რომლის თავზეც ხაფანგში გაბმული ჩიტივით ცალი ფეხით ეკიდა ზემოუბნელი გიორგაძეების ათი წლის გიგი და ჰაერში ასავსავებდა ხელებს. კიდევ უფრო თავზარდამცემი ის იყო, რომ მდინარის პირას, ფლატეზე გადმომდგარი ვეებერთელა ველური ლეღვის ტოტზე დაკიდებული ბავშვი ხმას არ იღებდა.

არავინ იცოდა, რა მოხდა, როგორ აღმოჩნდა ბიჭი ხეზე მიბმული თოკის ბოლოზე. ამხელა ხეს ხელით ვერავინ მოდრეკდა ისე, რომ, იქ, კენწეროში თოკი ჩაებათ. უთუოდ, ჯერ ტრაქტორით დაქაჩეს, მერე ალბათ ბაგირი სადღაც, იქვე, გამძლე ჯირკს გამოაბეს. მერე, ეტყობა, ხის წვერზე ძროხის საბელი ჩააბეს, მისი ბოლო კი მდინარეში ჭყუმპალაობისაგან დაღლილ, მძინარე გიგის მარყუჟივით ჩამოაცვეს ფეხზე.

გიგის თანატოლები ჰყვებოდნენ, ლეღვის ჩრდილს რომ თავი შევაფარეთ, მაშინ შევნიშნეთ, ხე რომ გადმოზნექილიყო და გაგვიხარდა, ვიღაცას რომ საჩრდილობელი გაეკეთებინაო. ახლა კი მიხვდნენ, რომ ვიღაცას ეს განგებ გაუკეთებია, — ბავშვი მიუბამს ხეზე ჩამობმულ მეორე თოკზე და ის პირველი კი გადაუჭრია.

— გიგი ჩემ გვერდით იწვა. სწორედ მაშინ გავახილე თვალი, ხე რომ მძლავრად შექანდა და ერთბაშად გასწორდა. იმ კუსთავა ჯანრის ნახელავი იქნება ეს. აგერ, ტრაქტორის ნაკვალევიც. მისი ბიძაშვილის, ჭკუასუსტი კალენიკეს ტრაქტორის ნაკვალევია. მას ადვილად დაიყოლიებდა. ეტყობა, წუხელ დააგეს ეს ხაფანგი. დღეს კი ისე მოგვეპარა, რომ ვერ გავიგეთ და აი...

დრო აღარ ითმენდა, რაიმე უნდა ეღონათ, — ბიჭი ზედ უფსკრულის თავზე ეკიდა. ხეზე გასვლა ან ქვემოდან მისი ჩამოხსნა თითქმის შეუძლებელი იყო. თოკი ხის კენწეროში ისე მიებათ, შეიძლებოდა, ხე გადატეხილიყო და ბიჭს ვერაფერი იხსნიდა. ძირში მოეჭრათ და თან გადაიყოლებდა საბრალოს. ისევ ბავშვის უფროსმა ბიძაშვილმა იმარჯვა. ჯერ გრძელი ჭოკით მიაწოდა თოკი გიგის — როგორმე წელზე შეიბიო, მერე ხეზე აძვრა, თოკი ტოტის გამონაყარზე გადმოატარა და დაბლა მდგომებს ჩამოსძახა, დაქაჩეთო. რის ვა-ივაგლახით დაიხსნეს ბავშვი. ის გარეწარი ჯანრი ბაჯაძე, რომელიც არც აქამდე ეხატებოდათ გულზე, იმ დღიდან საბოლოოდ შეიძულა სოფელმა.

ჯანრის გიგი მხოლოდ იმიტომ სძულდა, რომ ბიჭი კარგად სწავლობდა.

— შენც ისწავლე, ვინ გიშლის? — არ ეპუებოდა გიგი.

— ეგღა მაკლია, ბიჭო, წიგნის კითხვით ავიტკივო თავი. მე ხულიგანი ვარ, ხულიგანი, გესმის? იცი, რა არის ხულიგანი? — და ისე გაიფხორებოდა, როგორც უხეირო მამალი მეზობლის ღობიდან შემომძვრალი დედლის დანახვისას. არადა, ვინმეს რომ ეკითხა, რას ნიშნავს ხულიგანიო, ვერაფერს უპასუხებდა. არც მან, არც მისმა ამალამ, გამუდმებით რომ უკან დასდევდა, ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდა. გამუდმებით წიგნებში მოკირკიტე გიგიმ კი იმდენი ქნა, გაიგო, რომ „ხულიგანი" ინგლისელი დამნაშავის, ჰულიგანის გვარიდან წარმოიქმნა. ჰულიგანების ოჯახი იმდენად თავზე ხელაღებული ყოფილა, რომ მათი გვარი ბოროტმოქმედების აღმნიშვნელ სიტყვად ქცეულა. დროთა განმავლობაში „ჰულიგანი" სხვადასხვა ქვეყნის სამეტყველო ენაში საზოგადო სახელად დამკვიდრდა. რუსეთში კი მცირედი ფონეტიკური ცვლილებით — „ხულიგანი" — გადმოვიდა. რევოლუციის წლებში რუსეთში „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი", ანუ „ხულიგნების" პარტიაც შეიქმნა და ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლება მას არაკეთილსაიმედოთა დასარბევად იყენებდა.

ჯანრისათვის კი ხულიგანი ნიშნავდა ქურდსაც, გადამგდებსაც, მძარცველსაც და, ასე განსაჯეთ, მკვლელსაც. ყოველ შემთხვევაში, კრიმინალურ სარბიელზე მისი საქმიანობა აშკარად იძლევა ამის თქმის საფუძველს.

საოცარი სისწრაფით გავიდა დრო. ჯანრი ორჯერ გაასამართლეს და სასჯელიც მოიხადა. ბოლოს იმ დღეს შეხვდა გიგის, მეორედ რომ გამოვიდა ციხიდან. იქვე, სატუსაღოსთან შეეფეთა მეზობელს. წამით ისიც კი იფიქრა, ჩემს დასახვედრად ხომ არ მოვიდაო, მაგრამ თავისი „გმირობები" რომ გაახსენდა, ეს აზრი უარყო. მერე რაღაც აგდებულად მიესალმა და თავის გზას გაუყვა. ახლა ის გიგიზე კი არა, იმაზე ფიქრობდა, რა „დამსახურებისთვის" შეუმცირეს სასჯელის ვადა, რისთვის გაათავისუფლეს ორი წლით ადრე. ხელშესახები რომ ვერაფერი გაიხსენა, უკან გაბრუნდა. ციხისკენ გადააფურთხა და მხოლოდ ამის შემდეგ გააგრძელა გზა. ორი წელი კი აჩუქეს, მაგრამ მაინც არ იყო კმაყოფილი, — ციხიდან „ნადზორი", ანუ მილიციის ზედამხედველობის დადგენილება გამოაყოლეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ერთი პატარა შეცდომა და მაშინვე უკან მიაბრძანებდნენ. სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა ემუშავა და რაკი იქ, კოლონიაში, თუნუქის დამუშავება ისწავლა, დამტვრეული მანქანების „დაკერებას" მიჰყო ხელი. თუმცა, წინასწარ იცოდა, დიდხანს ვერ გაუძლებდა. 1959 წლის ზაფხული იდგა.

— ეს ოხერი სულ ახალი მანქანაა და მეორედ დამარტყეს, ამის დანახვაც კი არ მინდა! — ამ სიტყვებით შეათრია სატვირთოზე მიბმული დალეწილი „ვოლგა" სახელოსნოს ეზოში მისმა პატრონმა, გიული ჭოველიძემ.

— ჰოდა, თუ არ გინდა, ეგ ჯართი მე მომყიდე. ბავშვობიდან ვაგროვებ ფულს, მაგრამ ეტყობა, ახლის ყიდვა არ მიწერია, — შეაგება ჯანრიმ და იქვე მორიგდნენ. მართალია, გვარიანად შესაკეთებელი იყო, მაგრამ ახალი და პატრონმა ჯანრის ოცდარვა ათასი მანეთი დაუფასა ავტომანქანა. მანაც იმავე დღეს გადასცა ბედ სამი ათასი მანეთი ჭოველიძეს. ორი კვირის შემდეგ კი სთხოვა, — ფეხით ნუ გამიშვებ ჩემებთან, რაიონში, საბუთები მომეცი, ჩავალ, დარჩენილ ოცდახუთი ათას მანეთსაც ჩამოგიტან და ყიდვა-გაყიდვაც გავაფორმოთო.

რაკი მანქანის საბუთები ხელთ იგდო, იმავე საღამოს კაიფერა მსხლით გამოავსო და როსტოვისკენ გაუტია. როსტოვში უთხრეს, ლენინგრადში მაგნაირ მსხალს ორმაგ ფასად გაყიდიო და ახლა იქით გააგრძელა გზა. მსხალი კი მართლა კარგ ფასად გაყიდა, მაგრამ ახლა მანქანის გაყიდვაც დააპირა, მაგრამ როგორ უნდა გაეყიდა, სხვის სახელზე გაფორმებული, არ იცოდა. მისი კრიმინალური გამოცდილება, ჯერჯერობით, მწირი იყო.

— ჯანრი, გატყობ, რაღაცას ჩაუფიქრებიხარ, თუ გამიმხელ, ეგებ გამოგადგე რამეში, — სუფთა ქართულით, ზედ ყურთან ჩაულაპარაკა ვიღაცამ. ერთბაშად შემობრუნდა და გაოცებისგან პირი დააღო. მის წინ ციხის ძმაკაცი ვახტანგ ირემაშვილი იდგა.

— რაო, მანქანა ვერ გაგიყიდია? მომიკვდეს თავი. ხვალვე აგაღებინებ მაგ მანქანის ფულს. მე რომ მიყურებ, ბარონივით ვცხოვრობ. აქ, ძმაო, ყოველდღე იმდენი ფულიანი ქართველი ჩამოდის, ასიდან ერთი რომ გადააგდო, არაფერი დაშავდება. თუმცა, ჯერ ეგ მანქანა კარგად გაარეცხვინე და როგორც გეტყვი, ისე მოიქეცი, დანარჩენი მე ვიცი.

მეორე დღეს ლენინგრადის რომელიღაც გარეუბანში, მანქანების ბაზრობაზე ვახტანგი ერთ პატიოსან რუსს, ვინმე ალექსეი სუხოვს გადაეყარა.

— ვხედავ, მანქანის ყიდვა გინდათ. ჩემს მეგობარს ისეთი „ვოლგა" ჰყავს, უკეთესს ვერ ინატრებთ. მანქანას არ შეელეოდა, მაგრამ ძმა უკვდება უბედურს. სამკურნალოდ ჩამოიყვანა და ისეთი დაავადება აღმოაჩნდა, წამლების ყიდვას ველარ აუდის. თუ დაინტერესდებით, აგერ, ისაა, პირდაპირ რომ დგას, ლურჯი, გაპრიალებული „ვოლგით"... დიდხანს არ უვაჭრიათ. ჯანრიმ იოლად დააჯერა რუსი — მე ვაჭარი არ ვარ, ფული მჭირდება, ძმას უნდა მივაშველო, თორემ დამელუპება და ამიტომ, რასაც შემომთავაზებთ, თანახმა ვარო. თუმცა, რუსს მისი გაჭირვებით არ უსარგებლია, — კარგი ფასი შესთავაზა — ოცდაათი ათასი მანეთი და დიდადაც გაიხარა, როცა ჯანრი ულაპარაკოდ დათანხმდა. ახლა მანქანის გაფორმებაღა რჩებოდა, მაგრამ ჯანრიმ გულისჯიბეში საბუთები მოისინჯა და უეცრად თავში შემოიკრა ხელი.

— რა მოხდა? — ჰკითხა ალექსეიმ.

— ეს რა დამემართა?! ისე სწრაფად გამოვემგზავრეთ, რომ სიჩქარეში საბუთები შინ დამრჩენია. მანქანისას ვინ ჩივა, ჩემი პასპორტიც არ მაქვს. ახლა რაღა უნდა ვქნა, უკაპიკოდ სად წავიდე? თუ გაწყობს, ოცდაათი ათასიდან ოცი ახლა მომეცი, ათი შენთან იყოს, მანქანასაც დაგიტოვებ, მე კი ამ დილით წამლებს ვიყიდი, შუადღისას კი საქართველოში გადავფრინდები და ხვალ თუ არა ზეგ, საბუთებიანად დავბრუნდები. იმ ათი ათასსაც მანქანის გადაფორმების შემდეგ მომცემ.

— დარდი ნურაფრისა გექნებათ, ავადმყოფს მიხედეთ, — ალექსეი სუხოვს ისე შეებრალა გაჭირვებული ქართველი, რომ მთლიანად აპირებდა ფულის მიცემას, მაგრამ მერე იფიქრა, ჯობს, უკან რომ დაბრუნდება, მაშინ მივცე, უფრო გამოადგებაო და ოცი ათასი მანეთი მისცა.

— ჩქარა, ტაქსი! — იყვირა ჯანრიმ. ჯერ ალექსეის მოუბოდიშა, მერე მის გასაგონად ტაქსის მძღოლს რომელიღაც საავადმყოფო დაუსახელა და ის იყო, იქაურობას სულ ცოტათი გასცდნენ, რომ ვახტანგ ირემაშვილს გადაეხვია, — კაცი ვარო, შენ უნდა თქვა, ვახტანგ. ეს რა კარგი რამე მასწავლე. ა, ძმაო, აგერ ფული და ახლა იქნებ ისიც მოიფიქრო, როგორ გამოვიყენოთ სარფიანად.

— მაგას მოვიფიქრებ. ამ საღამოს კი გოგოებში გეპატიჟები, რა თქმა უნდა, შენი ფულით, ქალაქგარეთ გავიდეთ.

— მერე მანქანა? აფსუს, ჩემი მანქანა.

— არა უშავს, უკეთესი მანქანა მოგვემსახურება, — ანუგეშა ვახტანგმა. — ხომ გითხარი, აქ ბარონივით ვცხოვრობ-მეთქი. არც მანქანა მიჭირს და არც ქალები. ფულიც ბევრი მაქვს, მაგრამ შენნაირი კაცი მაკლდა და გიპოვე კიდეც.

სასტუმროდან, რომელშიც ჯანრი ცხოვრობდა, ვიღაც იაშას დაურეკა ვახტანგმა და გოგოების მოყვანა დაავალა. შეხვედრა სასტუმროს წინ, საღამოს შვიდზე იყო დანიშნული.

იაშა გოხმანი მშობლებისაგან განებივრებული, მაგრამ უაღრესად წესიერი ახალგაზრდა იყო. დაიჟინა, ამ დაფეხვილი „მოსკვიჩით" ველარ ვივლი, „ვოლგა" უნდა მიყიდოთო. მამამისმა, სოლომონმა, ებრაული პრაგმატიზმით გამორჩეულმა კაცმა, იმდენი ფული ვერ მოუგროვა შვილს, რომ ახალი მანქანა ეყიდა. თუმცა, ბიჭს ისეთი მეგობრები ჰყავდა, რომ რაკი ერთხელ წამოსცდა, ახალი მანქანისთვის ფული მაკლიაო, სულ ას-ას მანეთობით შეუგროვეს და ახალთახალი „ვოლგა" აყიდვინეს. განა რამეს იშურებდა მოხუცი ცოლ-ქმარი ერთადერთი ბიჭისთვის, მაგრამ იცოდნენ, რომ თუ მანამდე თავისი ძველი „მოსკვიჩით" იაშა და მისი მეგობრები ლენინგრადის შემოგარენს ვერ სცილდებოდნენ, ვაითუ, მანქანა გაგვიფუჭდესო, ახალი „ვოლგით" ვინღა დააკავებდათ? თვითონ იაშასაც არ ჰბეზრდებოდა ძმაკაცების გასეირნება და მშობლებს არაერთხელ გაუთევიათ ღამე შვილის ლოდინში.

— ეს იაშა როგორღა გაიცანი, ეტყობა, მართლა კარგი ბიჭია, — ჰკითხა ჯანრიმ ვახტანგს.

— როგორ და ერთხელ, გვიან ღამით, ნევის პროსპექტზე ტაქსის ველოდებოდი. უცებ ჩემ ახლოს ახალთახალი „ვოლგა" გაჩერდა... დაშვებული საბურავით. მის პატრონს შევატყვე, საჭის ტრიალის მეტი რომ არაფერი გაეგებოდა და საბურავის შეცვლაში მივეხმარე. ასე დავძმაკაცდით. კბილის ტექნიკოსია, სულ მერცხალივით გოგოები ახვევია. მინდოდა, მანქანა „ამეხია", მაგრამ იმდენად კარგი ბიჭია, ვერ ვიკისრე, არადა, რა უნდა. მაგას თავისსავე ძმაკაცების ვალი აქვს და ძალიან დარდობს, რომ ვერ ისტუმრებს. რომ შევთავაზო, ხვალვე გაყიდის „ვოლგას", მაგრამ არ გამოვა. მაგისი მშობლებიც მიცნობენ, ძმაკაცებიც და თანამშრომლებიც. მაშინვე გავიყიდები, მით უმეტეს, რომ ჩემი საყვარელი ვალიაც მათ წრეში ტრიალებს. საფლავიდან ამომიღებენ...

ქეიფის შემდეგ, ყველანი რომ სახლებში ჩამოარიგა, იაშამ სასტუმრო „ოქტავიასაკენ" აიღო გეზი. მანქანაში მხოლოდ ის და ჯანრი ისხდნენ.

— კარგი მანქანა გყავს, იაშა. ასეთ „ვოლგაში" თბილისში ორმოცდაათ ათასს იძლევიან. ჩემი რომ იყოს, იქ გავყიდდი და აქ ბევრად იაფად ვიყიდდი სხვას.

ალალი იაშა იმწამსვე წამოეგო ანკესს.

— რაო რაო, ფულს მოიგებდი?

— ჰო, ერთი ათი ათას მანეთს გამოვკრავდით ხელს, მაგრამ იმდენი ფული სად მაქვს, აქ რომ მანქანა ვიყიდო.

— იცი რა, ჯანრი, მე ამ მანქანის ვალი მაქვს. თუ დამეხმარები და მაგ ფასად გამაყიდვინებ, შენზე უკეთესი არავინ მეყოლება.

— რა პრობლემაა, ოღონდ იცოდე, ეს საიდუმლო ჩვენ შორის უნდა დარჩეს. არც შენმა მშობლებმა უნდა გაიგონ რამე და არც ვახტანგმა. აი, საქმეს რომ მოვრჩებით, მევალეებსაც გაუსწორდები და ახალ მანქანაშიც გამოიჭიმები, მერე თუ გინდა, იყვირე. არ მიყვარს წინასწარ ბაქიაობა. მე ყოველთვის ბოლოს ვზეიმობ... თუ ჭკუაში დაგიჯდება, როცა მეტყვი, მაშინ წავიდეთ.

ორი დღე-ღამე შეუჩერებლად იარეს. მესამე ღამეს, თერჯოლასთან, სოფელ ჭოგნართან გააჩერა მანქანა ჯანრიმ.

— იაშა, ცოტა ხანს მუხლი გავმართოთ, შუბლი გავიგრილოთ და ორ საათში თბილისში ვართ. ხვალ ამ დროს კი ალბათ თვითმფრინავში ვიქნებით და ჩვენი მოგზაურობაც ახალი მანქანის ყიდვით დამთავრდება.

იაშამ ხარბად ჩაისუნთქა მთვარის შუქზე მოლივლივე მდინარე ყვირილადან მონაბერი გრილი ნიავი და ვარსკვლავებს გახედა.

ჩვევად ჰქონდა — თავს უკან გადააგდებდა და ერთ რომელიმე ვარსკვლავს მიაშტერდებოდა. კაცმა არ იცოდა, რას ფიქრობდა ამ დროს. უკან მდგომმა ჯანრიმ ჩანთაში გადამალული პისტოლეტი ამოიღო, დინჯად მიმართა იაშას კეფისკენ და ზედიზედ სამი ტყვია დაახალა. ბიჭი სახით დაასკდა გზის გვერდულს. ამის შემდეგ აღარც გატოკებულა. ჯანრიმ გვამს ჯერ ჯიბეები მოუჩხრიკა, მერე სასწრაფოდ გადაათრია გზის გვერდით გამავალი არხის მიმართულებით და გუბურაში მოისროლა. მერე მანქანას მოაჯდა და უკან, ზღვისპირისკენ აიღო გეზი.

სამი თვე უტრიალეს ამ საქმეს თერჯოლელმა მილიციელებმა. მართალია, გვამი აშკარად გაქურდული იყო, მაგრამ მაჯაზე „მაიაკის" მარკის საათი შერჩენოდა წარწერით „მხატვრული თვითშემოქმედებისათვის". მთელი საქართველო შემოიარეს, ასეთი და ასეთი ახალგაზრდა ხომ არავის დაკარგვიაო. ყველგან მიაწვდინეს ხმა, ამგვარი საათით ვინმე ხომ არ დაჯილდოებულაო, მაგრამ ამაოდ. მილიციელებს იმედი გადაეწურათ და მკვლელობის საქმე მოკლულის დაუდგენლობის მოტივით თაროზე შემოდეს.

შვიდი თვის შემდეგ ამ საქმის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს რომელიღაც ცირკულარით შეიტყო პროკურორ-კრიმინალისტმა გივი ჟორდანიამ.

— მართალია ეს ხალხი. მკვლელი რომ მოძებნო, ის მაინც უნდა იცოდე, ვინაა მოკლული. რაკი საქართველოში ვერ მოინახა, იქნებ რესპუბლიკის გარეთ გვეცადა ჭირისუფლების პოვნა. დიახ, იქ, იმ ვეებერთელა სივრცეში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჰქვია და დედამიწის ერთ მეექვსედზეა გადაჭიმული, — ფიქრობდა პროკურორი და თავისი არგუმენტის დასადასტურებლად იმასაც იხსენებდა, რომ მოკლულის ჩაცმულობა სულაც არ ჰგავდა მაწანწალისას.

— არა, ასეთი ადამიანის პოვნა არ უნდა გაჭირდეს. ასეთს აუცილებლად გამოუჩნდება პატრონი, — დაასკვნა თავისთვის და ორიოდ დღეში ტელეგრამები და გარდაცვლილის ფოტოები აფრინა საბჭოების ქვეყნის ყველა რეგიონში. მეთერთმეტე დღეს დეპეშა მიიღო ლენინგრადიდან, მოქალაქე სოლომონ გოხმანი იტყობინებოდა:

„მე წარმომიდგინეს თქვენს სამოქმედო ტერიტორიაზე ნაპოვნი გარდაცვლილი ახალგაზრდის ფოტოსურათი, რომელზეც ჩემი შვილი იაკობ (იაშა) გოხმანი ამოვიცანი. იაკობი შვიდი თვის წინ გავიდა სახლიდან და დაიკარგა".

მეორე დღეს რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილე ფარნა მამუჩეიშვილი და გივი ჟორდანია ლენინგრადში ჩაფრინდნენ.

— ჩემი შვილი ვახტანგ ირემაშვილთან მეგობრობდა და მართალია, ეს ბიჭი დიდად არ მოგვდიოდა თვალში, მაგრამ შვილის ხათრით ხმას ვერ ვიღებდით. მერე მის მანქანაში მეორე ქართველიც შევნიშნეთ. აი, ის კი აშკარად არ მოგვეწონა. რაღაც ქვეშქვეშა გამოხედვა ჰქონდა. ერთ დღეს იაშამ გამოგვიცხადა, ტალინში მივდივარ მივლინებით, სამსახურისთვის აპარატურა უნდა ჩამოვიტანოო და მას შემდეგ დაიკარგა. აღარც ის მეორე ქართველი ჩანს. ვახტანგი კი, აგერ, ჩვენს მეზობლად ცხოვრობს და თვითონაც განიცდის იაშას დაკარგვას, — მოხუცი ცრემლებს ვერ იკავებდა, — დედამისისთვის დღემდე არ მითქვამს, რომ ჩვენი შვილი მკვდარია. არადა, ხომ უნდა გადმოვასვენო, — ოხრავდა და მუშტებს მკერდზე იცემდა ბერიკაცი.

ვახტანგმა მიანიშნა მაძებრებს, ჯანრი ბაჯაძე ყველაფრის ჩამდენია და თუ არ მეშლება, რამდენიმე თვის წინ რიგაში ჰყავდათ დაკავებულიო.

მანამდე კი მოვლენები დაახლოებით ამგვარად განვითარდა:

ჯანრიმ ნაყაჩაღარი „ვოლგა" ქობულეთში გაყიდა და უკან, ლენინგრადში დაბრუნდა ერთ იქაურ ლამაზმანთან, რომელიც დროთა განმავლობაში ისე შეუყვარდა, მზად იყო, ცოლად შეერთო. სწორედ მაშინ იყო, ქალმა რომ სთხოვა, რიგაში ერთ ჩემს ნათესავს უნდა შევხვდე, ძალიან მნიშვნელოვან საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ ახსნა-განმარტებას ნუ მომთხოვ, თუ ყველაფერი კარგად დამთავრდება, მერე გიამბობო. ჯანრი რის ქართველი იქნებოდა, ქალი რომ მარტო გაეშვა ამხელა გზაზე. მით უმეტეს, რომ ეს საუბარი რესტორანში შედგა და არყისაგან ტვინგახურებულმა დუსიას მეგზურობა იკისრა. მეორე დღის პირველ საათზე მათი მატარებელი რიგის სადგურში გაჩერდა. რის ვაივაგლახით მოეწყვნენ სასტუმროში. როგორც მიღებული იყო, ქალი ცალკე, კაცი სხვა ნომერში. დუსია მთელი დღე ტელეფონთან იჯდა. საღამოს, როგორც იქნა, დაუკავშირდა თავის ნათესავს და შეხვედრა მეორე დღისთვის დაუთქვა.

შუადღისას ნათესავიც მოვიდა. ერთი ვიღაც ზორბა, ჭროლათვალება ბიჭი იყო. სასტუმროს ფოიეში მათ შეხვედრას მალულად უთვალთვალებდა ჯანრი. ახლა ის ამ გოგოს თავისად თვლიდა და დიდად განრისხდა, როცა მოქრთამულმა სართულის მორიგემ აცნობა, ორ საათზე რომ ჩაიკეტნენ დუსიას ნომერში, აქამდე არ გამოსულანო.

საღამოს, როგორც იქნა, დუსიაც გამოჩნდა, — მეტისმეტად კმაყოფილი იყო იგორთან შეხვედრით.

— არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ ისე ბედნიერი ვარ, რომ უნდა გახარო. იგორი ჩემი ნათესავი კი არა, შეყვარებულია. დღეს საბოლოოდ მოვილაპარაკეთ, — ერთი თვის შემდეგ ხელს მოვაწერთ...

ამ ამბის „მახარობელ" დუსიას იმდენი მოხვდა, რომ ხუთი წუთის შემდეგ დედაც ველარ იცნობდა. ამ ჩხუბსა და დავიდარაბაში ჯანრის საწოლიდან მცირეკალიბრიანი იარაღი გადმოუცურდა. ქალმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს არც შეუნიშნავს. მაგრამ ის იყო, თავის ნომერში შეძვრა, რომ მაშინვე მილიციას შეატყობინა, — ვიღაც ქართველს, ამა და ამ ნომერში იარაღი აქვსო, ცემაზე კი კრინტიც არ დაუძრავს.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)

# ვინ არის ყველაზე სანდო და პოპულარული?!

რა ადგილი უჭირავს ქართულ მედიასაშუალებებს საზოგადოებაში, არსებობს თუ არა მათ შორის გამოკვეთილი ლიდერი, რა ფუნქციას ანიჭებს მათ მკითხველი, მაყურებელი და მსმენელი, ვინ და რამდენად ენდობა მედიასაშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციებს, — ამ და სხვა კითხვებზე პასუხს იძლევა პიარკომპანია „პიარ-პოლისის“ მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანსაც მედიაბაზარზე არსებული სიტუაციის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღება და პოპულარული მედიასაშუალებების გამოვლენა წარმოადგენდა.

როგორც კვლევის ავტორებმა აგვიხსნეს, დედაქალაქის მასშტაბით ჩატარებულ კვლევაში ორ ჯგუფად გაყოფილი 766 რესპონდენტი მონაწილეობდა. პირველ ჯგუფს დედაქალაქის ხუთივე რაიონის მოსახლეობა წარმოადგენდა. მეორე ჯგუფი კი ე. წ. „VIP“ პერსონებისაგან, — სახელმწიფო მოხელეებისგან, პოლიტიკოსებისგან, ბიზნესმენებისგან და მედიის წარმომადგენლებისგან შედგებოდა.

კვლევის შედეგები ასეთია: მაყურებელთა რაოდენობის მიხედვით ლიდერობს სამი ტელეარხი, მაშინ, როცა პიარკომპანიის მიერ შარშან ჩატარებული კვლევის დროს ლიდერობდა მხოლოდ „რუსთავი 2“. ამჯერად გამოკითხულთა ორივე ჯგუფში „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ უმნიშვნელო პროცენტით, თუმცა მაინც ჩამორჩება პირველ ადგილზე გასულ „მცირეწლოვან“ „ტელე-იმედს“. თუმცა, გავლენიანობის თვალსაზრისით, ორივე ჯგუფი უპირატესობას კვლავ „რუსთავი 2“-ს ანიჭებს.

კვლევის შედეგად ლიდერი რადიოსადგურებიც გამოვლინდნენ. „მოსახლეობა“, ძირითადად, ოთხ რადიოსადგურს: „ფორტუნა+“-ს, „ფორტუნას“, „რადიო იმედსა“ და „არ დაიდარდოს“ უსმენს. "VIP"-ჯგუფში კი პოპულარობით ორი რადიოსადგური — „რადიო იმედი“ და „ფორტუნა“ — სარგებლობს.

რაც შეეხება გაზეთებს, — „მოსახლეობის“ ჯგუფის 58% უპირატესობას „კვირის პალიტრას“ ანიჭებს. "VIP"-ჯგუფში ლიდერობენ: „კვირის პალიტრა“, „24 საათი“, „ალია“ და „რეზონანსი“. ჟურნალებში პოპულარობით სარგებლობს „სარკე“, „თბილისელები“ და „გზა“. აღსანიშნავია, რომ VIP-ჯგუფში უფრო ბევრია ზოგადად გაზეთის მკითხველი, ვიდრე მოსახლეობაში.

კვლევის თანახმად, რესპონდენტები ორივე ჯგუფში გასართობ ფუნქციას აკისრებენ ჟურნალსა და რადიოს, ხოლო ტელევიზიასა და გაზეთს გასართობთან ერთად ანალიტიკური დატვირთვაც აქვს...

რა განაპირობებს ამგვარი კვლევის ჩატარების აუცილებლობას? რაზე მეტყველებს შექმნილი სურათი? ამ და სხვა კითხვებზე გვიპასუხა „პიარ-პოლისის“ ხელმძღვანელმა **ნინო ქვარიანმა:**

— ვინაიდან ჩვენი პიარკომპანია თანამშრომლობს სხვადასხვა ბიზნესკომპანიასთან, სახელმწიფო სტრუქტურებსა და პოლიტიკურ პარტიებთან, ჩვენ მათ პიარსტრატეგიის შემუშავებაში ვეხმარებით. მედიაბაზარზე არსებული სიტუაციის შესახებ ზუსტი ინფორმაცია კი საშუალებას გვაძლევს, ჩვენი კონსულტაცია სანდო და ეფექტიანი იყოს. ამიტომაც პერიოდულად გვიწევს ამგვარი კვლევის ჩატარება, რათა განვსაზღვროთ, რომელ მედიასაშუალებას ეცნობა მკითხველი, მაყურებელი და მსმენელი და რამდენად პოპულარული და გავლენიანია ესა თუ ის ტელეარხი, რადიო, გაზეთი თუ ჟურნალი.

ჩვენი კვლევა 65-გვერდიანია და მოიცავს მედიასაშუალებების შეფასებას: პოპულარობის, გავლენიანობის, სანდოობის, სკანდალურობის, ტენდენციურობის, აკადემიურობის და სხვა პარამეტრების მიხედვით, აგრეთვე, ტელე და პრესის ჟურნალისტების რეიტინგებს. თუმცა, ყველა რეიტინგის გამოქვეყნებისაგან თავს ვიკავებთ, რადგან ზოგიერთი მათგანი კონფიდენციალურად ჩავთვალეთ. მიგვაჩნია, რომ ეს არის სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ჩვენთვის, მედიასაშუალებებისთვისა და იმ ორგანიზაციებისთვის არის საინტერესო, ვინც გეგმავს ამა თუ იმ ფორმით საზოგადოებასთან ურთიერთობას.

— **იქნებ გვითხრათ პრესაში მოღვაწე ჟურნალისტებს შორის ვინ არის საუკეთესო?**

— შემიძლია გითხრათ, რომ გამოიკვეთა 15-მდე ჟურნალისტი, რომლებიც პოპულარობით სარგებლობენ. მათ შორის, თუ არ ვცდები, 4 „კვირის პალიტრაში“ მუშაობს.

— **საინტერესოა, რესპონდენტებს როგორ ესმოდათ კრიტერიუმები, — სანდოობა და გავლენიანობა?**

— გავლენიანობის თვალსაზრისით, გამოკითხულთა შეფასების პროცენტული მაჩვენებელი მოსახლეობაში გაცილებით დაბალია „VIP“-თან შედარებით. „VIP“-ჯგუფში გავლენის განმსაზღვრელია ის, თუ ამა თუ იმ მედიასაშუალებით გავრცელებული ინფორმაცია რამდენად რეზონანსულია. „მოსახლეობისთვის“ კი გავლენიანსა და პოპულარულს შორის პირდაპირი კავშირია.

— **თქვენს კვლევაში ზოგიერთ გამოცემას (რომელთა ტირაჟი საკმაოდ დაბალია) არცთუ დაბალი რეიტინგი აქვს, რით ახსნით ამგვარ ტენდენციას?**

— ჩვენ თვითონაც დაგვებადა ეს კითხვა, როცა შედეგებს დავხედეთ. შესაძლოა ეს იმის შედეგია, რომ რესპონდენტთა მიერ ზოგიერთი შედარებით დაბალტირაჟიანი ბეჭდვითი მედიასაშუალების შეფასებაზე გავლენა იქონია ტელევიზიით მათი რეკლამების ხშირმა ჩვენებამ. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გამოკითხულთა არც ერთ ჯგუფში ასი პროცენტი არ კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კონკრეტულ პროცენტებშია გადანაწილებული ეს შედეგები და არა გამოკითხულთა 100%-ში. ანუ თუ გაზეთებს კითხულობს, მაგალითად, ჩვენ მიერ გამოკითხული მოსახლეობის 55%, ყველა, ჩვენ მიერ დასახელებული გაზეთის რეიტინგი 55%-ში ნაწილდება და არა ყველა გამოკითხულში.

P.S. იკითხეთ „კვირის პალიტრა“, თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

*ეკა ლომიძე*

## ჩვეულებრივ, რომელ გაზეთს კითხულობენ







## რომელი გაზეთია ყველაზე სანდო







ახალი წელი!




სასწრაფოდ გჭირდებათ რამდენიმე კილოგრამის დაკლება და არ იცით როგორ?

ეს შესაძლებელია!

„ფიბარი“ _ მცენარეული უჯრედისი (შტოშის და მარწყვის), შოკოლადის ბატონების სახით _ მდიდარია ვიტამინებითა და მიკროელემენტებით. ხელს უწყობს ინსულინის თანდათანობით გამოდევნას, რითაც შიმშილის გრძნობას აკონტროლებს. განაპირობებს ნაწლავის მიკროფლორის ნორმალიზაციას და შეუცვლელია საკვების ნორმალური გადამუშავებისა და ორგანიზმის ეფექტური გაწმენდისთვის.




„დაიეთ&ენერჯი“ _ მცენარეული ექსტრაქტების (მწვანე ჩაი, კოლას კაკალი, დარიჩინი და კოლუმბიური წითელი წიწაკა) ფორმულა. არ შეიცავს ეფედრინს! მნიშვნელოვნად ზრდის ცხიმებისა და ნახშირწყლების მეტაბოლიზმს, რაც ორგანიზმში მათ სრულ წვას განაპირობებს; მასში შემავალი ქრომის პიკოლინატი კი არეგულირებს ინსულინის გამოყოფას და თრგუნავს მადას; ააქტიურებს მენტალურ ფუნქციას.

„თაიგერზ მილქ“ _ პროტეინო-ვიტამინური შოკოლადის ბატონი _ ზრდის ფიზიკურ და ინტელექტუალურ ამტანობას და იმავდროულად, განაპირობებს ორგანიზმის ცხიმოვანი დეპოს წვას იმ ენერგიის მისაღებად, რომელიც პროტეინის ათვისებისთვის სჭირდება(პროტეინის ათვისებისთვის ორგანიზმს 40%-ით მეტი ენერგია სჭირდება, ვიდრე ნახშირწყლებისა და ცხიმების ასათვისებლად).




ყველა შემადგენელის კომპლექსური მიღებისას, თქვენ წარმატებულად იკლებთ წონაში, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

გისურვებთ წარმატებულ ახალ წელს!

კომპანია „ვეიდერ“-ის (აშშ) ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ)

☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით 9.00-17.00

# „ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლ მჩქეფე“

## 1757 წლის 14 დეკემბერს ხრესილში ქართველებმა დიდი ომი მოიგეს



1752 წელი, იმერეთი — დაშლილ-დანაწევრებული საქართველოს სულთმობრძავი მარგალიტი...

თურქული უღლის სიმძიმე უაღრესად შესჭირვებია იმერელ გლეხობას. წელში გამწყვეტი გადასახადებით სულს ხდიან ქართველობას ურჯულონი. გადასახადიც არის და გადასახადიც: სტამბოლის კარზე ყოველ წელს მიერეკებიან უტურფეს ასულებს და ახალშეღერილ ჭაბუკებს...

და მიჰყვება ქართული მიწიდან ძალად მოგლეჯილ შვილებს უსაშველო ვაებისა და კაეშნის მდუღარე ცრემლი...

არც მოღალატე თავადები აკლებენ ხელს, შარაგზის ავაზაკებად ქცეულან, იტაცებენ და საქონელივით ჰყიდიან სვეგამწარებულ ქართველებს ტყვეთა ბაზარზე. ყველაზე ძვირად ხომ სწორედ ქართველი ტყვე ფასობს...

30 ვერცხლი ჩხრიალებს დასავლეთ საქართველოში...

აღარც ღმერთი, აღარც რჯული, აღარც მამული ახსოვთ სულგაყიდულ ფეოდალებს და კაენის ცოდვით იმძიმებენ ავზნიან ყოფას...

სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა ლიხსიქითა საქართველო და სწორედ საბედისწერო ჟამს იმერეთის ტახტზე ადის 17 წლის მეფე, რომელმაც საკუთარ მხრებზე უნდა იტვირთოს უმძიმესი მემკვიდრეობა. მეფე, რომლის მსგავსი არ მოსწრებია დაქუცმაცებული ივერიის სისხლხორცეულ ნაწილს — იმერეთს და რომელიც ისტორიაში უნდა შევიდეს სამარადჟამო გმირად. მისი სახელია — სოლომონ პირველი.

### სოლომონის მზეს ფიცულობდა წვრილი ერი

მეფე ერქვა და სამფლობელო დანაწევრებული დახვდა ჭაბუკ სოლომონს. იმერეთის მთავარი ციხეები თურქებს უპყრიათ მტკიცედ. შინა ორგულნიც საკმაოდ ჰყავს სოლომონს, მათ შორის პაპა — ლევან აბაშიძე და მშობელი დედა(!).

გულუძვრელი სიმტკიცით შეუდგა იმერთა მეფე ორგულთა დასჯას. გამორჩევით მსხვილ თავადებს ეკვეთა და საფუძველი მოურყია. დასაყრდენად საქართველოს მარად ერთგული ფენა აირჩია — ეკლესია, გლეხობა და წვრილაზნაურობა. წელში გაწყვეტილ გლეხკაცობას სათურქო და საფეოდალო გადასახადები გაუუქმა, სული მოათქმევინა, არსებობის ნიშატი დაუბრუნა...

სოლომონის მზეს ფიცულობდა წვრილი ერი...

რაც ყველაზე მთავარი იყო, იმერთა მეფემ მტკიცე და შეურყეველი ნებით აკრძალა ყველაზე მძიმე სირცხვილი საქართველოსი — ტყვის სყიდვა(!).

ეს კი ბოლომდით აშლილი თურქეთის გამოწვევას ნიშნავდა...

### ხონთქარი აღიძრა იმერეთთან საომრად

სოლომონს მშვენივრად ესმოდა, რომ სტამბულის კარზე მის თამამ განზრახვას არ შეეგუებოდნენ. იმერეთი გამალებით ემზადებოდა საომრად. მეფემ თორმეტი გვარის მოთავენი შემოიკრიბა, „ფიცის კაცად“ წოდებულნი, მამულიშვილური სული გამოუფხიზლა, „ნიჭითა და წყალობით“ აავსო და ბრძოლებისთვის შეამზადა. დიდი ძალა იყო სოლომონისთვის „ფიცის კაცნი“, ათი ათასამდე მეომარი გამოჰყავდათ მეფის თანამდგომებს, ბრძოლაც მედგარი იცოდნენ — უღალატო, ვაჟკაცური, გმირული...

ნელ-ნელა, მაგრამ ფეხზე დგებოდა მიწასთან გასწორებული იმერეთი...

დროულიც იყო, რადგან ხონთქარი უკვე სადამსჯელო ჯარს ამზადებდა სოლომონის ამოსაგდებად. არც მთლად უიმედოდ იყვნენ სტამბოლის სასახლეში, რამეთუ მეფის მოღალატენიც — როსტომ რაჭის ერისთავი და ლევან აბაშიძე აქეზებდნენ იმერეთის დასარბევად მადააღერღილ ურჯულოთა მხედრობას...

...და გამოვიდა საომარ ველზე ხონთქარ ოსმან -ის ლაშქარი ურჩი ქვეშევრდომის დასასჯელად და ტყვეთა სყიდვის აღსადგენად...

ეს მერამდენედ ჩამოაწვა სისხლის ავბედითი ღრუბელი საქართველოს...

### ჭეშმარიტი აღდგომა

1757 წელი იდგა. აღდგომა დილა გათენებულიყო. სოლომონ მეფე უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულისთვის ემზადებოდა ქუთაისის სასახლეში და ვიდრე სუფრა გახსნილდებოდა, მეფის ამალას მწარე მარცხი შეემთხვა. სასახლეში თურქმა იანიჩარმა შეალაჯა, მასპინძელივით შეათვალიერა იქაურობა, სახსნილოსთვის გამზადებულ შემწვარ-შეკაზმულ ცხვარს ბარკალი აახლიჩა და უდიერი ჭამა-თქლაფუნით თავის გზას ეწია. ბოლომდით გულდამწვარმა ფარეშებმა ხელი ვერ შებედეს გათავხედებულ თურქს და ვიდრე მზარეული ახალ ცხვარს გაატყავებდა და მოამზადებდა, მეფეს სუფრის კურთხევა და სტუმართა მიღება შეუგვიანდა. მიზეზი მოიკითხა სოლომონმა, ძლივს გაუმხილეს მეფეს ეგზომ მკრეხელური საქციელი თურქი იანიჩარისა. ფეხზე წამოვარდა გვირგვინოსანი და დასჭექა: — განა სიკვდილი არ სჯობს ამისთანა სიცოცხლეს?! ღმერთმა მეორე აღდგომა ნუ გამითენოს, თუ ეგ წუნკლები იმერეთიდან სამუდამოდ არ გადავაშენოო...

ჭეშმარიტად აღდგომის დღე გაუთენდა იმერეთის სამეფო კარს!...

სოლომონ მეფე თურქებს საომარ დავლურში ქართული სულით და ქრისტეს სიყვარულით გაეგება...

„ფიცის კაცებმა“ მეფის ბრძანება მიიღეს: — სიკვდილი თურქებს!..

ომი დაიწყო!..

### 11 ათასი ქართველი, ისიც მამულისთვის გულანთებული?!

40 ათასი თურქი მოქროდა სოლომონის დასასჯელად და იმერეთის ასაოხრებლად. სამი სარდალი მოუძღოდათ — გოლა ფაშა, ქეჰაია ფაშა და ბაშ-აღა. მეგზურ-რენეგატებად მოჰყვებოდნენ სოლომონის პაპა ლევან აბაშიძე და თავადი წულუკიძე.

ხრესილს მოვიდნენ, წყალწითელას ხეობაში და გაშლილ მინდორზე დასცეს წოწოლა კარვები. უკვე ცუცხვათის ციხიდან გამოსული და მტრის ურდოს შეერთებული ალი-ბეგ ფაშა სარდლობდა თურქებს...

ქართული დამხმარე ჯარიც მოუვიდათ მომხდურებს, 3-4 ათასი იმერელი და რაჭველი — აბაშიძე-წულუკიძის გამყიდველობით გზააბნეულნი...

სოლომონმაც შეაგროვა მეომრები, 11 ათასი მებრძოლი დადგა მისი დროშის ქვეშ. ოთხჯერ კი აღემატებოდა თურქთა ჯარი ქართველი მეფის ლაშქარს, მაგრამ — 11 ათასი ქართველი, ისიც მამულისთვის გულანთებული?!

იმედი ასწილად სჭარბობდა სასოწარკვეთას...

### სიტყვა მეფური

1757 წლის 14 დეკემბერი, ხრესილის ველი. შემართული დგას იმერთა ჯარი. ბრძოლის წინ, ვითარცა ჭეშმარიტი წინამძღოლი და მხედართმთავარი, საოცარ სიტყვას ამბობს 22 წლის მეფე იმერეთისა — სოლომონ : „შვილებო(!), ძმებო, ქართველებო! მჯერა, არ შეგაკრთობთ მტერთა სიმრავლე. აკი ყოველთვის ასე გვჭირდა ქართველთა, მუდამ მცირენი ამარცხებდნენ ჩვენი წინაპარნი ათგზის უმრავლეს მოსისხლეებს. დღესაც მარტონი როდი ვიბრძვით, არამედ ჩვენთან არს ძალი იესო მაცხოვარისა! მისი თანადგომით უნდა ვიხსნათ ჩვენი სამშობლო და ქრისტეს სარწმუნოება. მაშ, მომყევით გულმხნედ და ვაჟკაცურად, ჩემო შვილებო!“

სულიერ მამასავით ლოცავდა ჭაბუკი მეფე საკუთარ ლაშქარს, რომელთა უმეტესობა ასაკით აღემატებოდა დაბრძენებულ გვირგვინოსანს...

ხმალი ამოაგელვა და შევარდნებივით აიყოლია მტრისკენ გაფრენილმა მეფემ ქართული ლაშქარი...

ყიჟინითა და ბუკ-ნაღარის ცემით ეგებებოდა ხრესილის მინდორი ზამთრიანი რიჟრაჟის შემობრძანებას, რათა ძლევამოსილი ბრძოლის სამუდამო მემატიანედ აღბეჭდილიყო საქართველოს მრავალტანჯულ ისტორიაში.

დასცხეს და მილეწეს ქართველებმა მრავალრიცხოვანი ურდო. მეწინავეებმა მსწრაფლ გადათელეს ჯგროდ აღმართული თურქები. ბრძოლის დასრულებას ესწრაფოდა სოლომონ-მეფე და ყველაზე სქლად შეკრულ რაზმებს ეტევებოდა არნახული სიმამაცით. გმირებად ქცეულიყვნენ მისი თანამდგომნიც...

მაგრობდნენ თურქნი, რიცხვის სიმრავლით გულმიცემულნი. ბრძოლის გადამწყვეტ ჟამს გამოაგელვა მერანი წინა ხაზზე სოლომონმა და თურქულად დაიგრგვინა: „მთავარსარდალ ალი-ბეგ ფაშას ვიწვევ საომარ დავლურშიო“...

გამოვარდა ალი-ბეგ ფაშა და შუბის ძგერება მოუნდომა, ფარი აიქნია სოლომონმა, იარაღი დააგდებინა და ვიდრე თურქთა თავკაცი გონს მოეგებოდა, ხმალი აცეცხლა წითელთუღა ჩალმიან ფაშას. მთავარსარდლის მოკვეთილი თავი დაგორდა ხრესილის ველზე. გასაქცევად შებრუნდა სოლომონის ვაჟკაცობით დადედლებული მტრის ჯარი, მაგრამ ერთიც იძალა მოღალატურმა სისხლმა. პაპამ გმირ შვილიშვილს ერთხელაც ჩასცა „ზურგის მახვილი“ და ახლა თავად ჩაუდგა მთავარსარდლად თურქებს.

ისევ შეჯგუფდა მტრის ჯარი, შუადღის ჩრდილი ტაატით გადააგორდა ნაომარ მინდორს. გმირის სიკვდილით დაეცა სამურზაყანოს ჭაბუკი მთავარი, სოლომონის ერთგული ხუტუნია შერვაშიძე...

სწორედ ამ დროს ქართველი გლეხის გეგელა თევდორაძის ნასროლმა თოფმა უნაგირს მოსწყვიტა მოღალატე ლევან აბაშიძე. წელგატეხილ თურქებს თავიც წარეკვეთათ საბოლოოდ და უგზოუკვლო სირბილით ბრძოლის ველიდან დაიკარგნენ...

ჩამთავრდა ომი — ყველაზე დიდი სახელის მქონე იმერეთის ისტორიაში. 12 ათასი თურქი გაეწყვიტათ ქართველებს, 15 ათასი ტყვედ აეყვანათ...

ზეიმობდა ქართული სული ისტორიულ გამარჯვებას...

გამყიდველი პაპის ცხედარი მოიკითხა იმერთა მეფემ, ერთიც მოიხადა მამაპაპური ვალი დიდსულოვანმა გვირგვინოსანმა, ცრემლი აპკურა შვილიშვილმა პაპას, მერე მკაცრად იკითხა: „ვინ მოჰკლაო ლევან აბაშიძე!..“ სამარისებურმა სიჩუმემ უხერხულად გადაუარა ბრძოლის ველს. სიმართლე სად დაიმალებოდა და წარუდგა გლეხი გეგელა თევდორაძე მეფეს: „მე მოვკალიო ლევან აბაშიძე, დიდო მეფეო!.. „ვითარ გაბედეო პაპჩემის მოკვლა“ — გამომცდელი მზერით დააშტერდა სოლომონი. ამაყად წარმოსთქვა მეფის ერთგულმა გლეხმა: „პაპათქვენი კი არა, ქვეყნის მტერი და ორგული მოვკალი, მეფევ მწყალობელოო!“

ბრძანა სოლომონმა: „გეგელა თევდორაძევ, ქვეყნის თავდადებისთვის აზნაურობა მიბოძებია!..“

ჭეშმარიტად მეფური სიტყვა გახმიანდა ჭაბუკი გვირგვინოსნის ბაგეთაგან...

სიხარულის მაცნეც იქვე მოუვიდა სოლომონს. „ფიცის კაცნი“ იტყობინებოდნენ — ქართული ციხეები დავაყრევინეთო თურქებს...

ქუთაისის ციხეღა რჩებოდა მტრის ხელში და ისიც რკინის ალყაში შეეკრა „ფიცის კაცს“ — ბერი ლორთქიფანიძეს.

სოლომონიც გაეშურა ქუთაისისკენ ქართველთა ჯარით, ორი კვირა კიდევ მაგრობდა შიმშილით ხელდარეული თურქობა მემედ-ალი კიკიან ფაშას სარდლობით. ორი კვირის თავზე გადამწყვეტი ბრძოლის დღეც მონიშნა იმერთა მეფემ. დილაბნელზე საიერიშო კიბეებით ჩაუხტნენ ქართველები ჯანგაბზარულ მტერს, ჩაუხტნენ და დაასიკვდილეს უკლებლივ, სიკვდილს შეჰყარეს მემედ-ალი კიკიან ფაშაც. — ოდესღაც ქართველად დაბადებული, ბედუკუღმართობით გათურქებული და ქრისტიანობის მოსისხლედ გადაქცეული...

...შემობრძანებულიყო 1758 წელი და იმერეთი დახსნილი იყო თურქთა უმძიმესი უღლისაგან. ქუთაისის ტახტს მოვლენოდა ღირსეული გვირგვინოსანი. უკვე ამკობდნენ ქვეშევრდომნი მამულისა და ხალხის სიყვარულით გულანთებულ მეფეს გმირის თიკუნით: „ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლ მჩქეფე, იმერთ მეფესოლომონ!...“

ჭაბუკი ხელმწიფე ძლევამოსილების მწვერვალზე იდგა..

***ისტორიული წყაროების მიხედვით მოამზადა ზვიად სეხნიაშვილმა***

№11, დეკემბერი, 2004
ფასი 80 თეთრი
მართლმადიდებლური ჟურნალი
გამოვიდა დეკემბრის ნომერი
ჟურნალში საჩუქარია — 2005 წლის მართლმადიდებლური კალენდარი



## რას გვეტყვი, მამაო?

**— მინდა დავქორწინდე მამაკაცზე, რომელსაც ჯვარი სხვა ქალზე აქვს დაწერილი, ის უცხოეთში სხვა კაცთან ერთად ცხოვრობს. შეიძლება თუ არა მას ჯვარი აეხსნას?**

— მართლმადიდებელი ეკლესია ჯვრის ახსნასა და მეორედ ჯვრისწერას უშვებს, მაგრამ ამ საკითხს განსაკუთრებული გულისყურით განიხილავს. ჯვრის ახსნა ისეთ შემთხვევაში ხდება, როცა ქორწინების ჯვარი ცოლ-ქმარს ამძიმებს და მომავალში მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელია. განქორწინების საკითხის მოგვარებისთვის საპატრიარქოში საგანგებო განყოფილება არსებობს, რომელსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი მეუფე გერასიმე ხელმძღვანელობს. ჯვრის ახსნასთან დაკავშირებულ საკითხებზე მასთან გასაუბრება აუცილებელია.

**— შეიძლება თუ არა შინ კედელზე მუდმივად მქონდეს მიცვალებულის სურათი?**

— საეკლესიო კანონიკა კედელზე მიცვალებულის სურათის ჩამოკიდების ხანგრძლივობას არ განსაზღვრავს და მთელი სიცოცხლეც რომ არ ჩამოხსნათ, ცოდვად არ ჩაგეთვლებათ. თუმცა ჩვენი აზრით, ასე მოქცევა სასურველი არ არის. ჩანს, თქვენ არ გაქვთ რწმენა იმისა, რომ სული უკვდავია და ამქვეყნიური გარდაცვალების შემდეგ იმ ქვეყნად აგრძელებს სიცოცხლეს. თუ თქვენ ნამდვილად გიყვარდათ ის ადამიანი, მის სულზე ლოცვითა და მის სახელზე მოწყალების გაცემით უნდა იზრუნოთ. გარწმუნებთ, ეს უფრო მეტ სიმშვიდეს მიანიჭებს მას, ვიდრე თქვენგან ყოფითი წესების გადამეტებულად დაცვა. უმჯობესი იქნება, თუკი ჩვენს რჩევას ყურად იღებთ და სურათის ჩამოხსნას გადაწყვეტთ.

**— შეიძლება თუ არა ერთი ბავშვის ნათლია ორი და იყოს?**

— შეიძლება, მაგრამ ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში, დანათესავების გადაჭარბებული სურვილი უფრო მოჩანს, ვიდრე ბავშვის გაქრისტიანებისა და უფლისთვის ჩაბარებისა. თუკი ნათლიის მოვალეობას ერთი დაც შეასრულებს, ანუ თვალყურს მიადევნებს, რომ მისი ნათლული ჭეშმარიტ გზას არ ასცდეს, რაღა საჭიროა მეორეც ნათლია იყოს? ჩვენში არსებული ნათლობის ტრადიციული წესებით ის ხომ ისედაც ოჯახის ნათესავი ხდება. სასურველია საეკლესიო საიდუმლოების ასრულებისას შევეცადოთ, პირველ რიგში საიდუმლოების მადლი და მნიშვნელობა დავაყენოთ და ზედმეტი პირადი ინტერესებით ღვთის მიმართ მოკრძალების განცდა არ დავარღვიოთ.

**— რას ნიშნავს სიტყვა მეტანია და რით განსხვავდება დიდი და მცირე მეტანია ერთმანეთისგან?**

— სიტყვა მეტანია ბერძნულად „სინანულს“ ნიშნავს. დიდი და მცირე მეტანია ერთმანეთისგან უმთავრესად გარეგნული ფორმით განსხვავდება. მცირე მეტანიის დროს ვიხრებით და ხელით ვეხებით დედამიწას, დიდი მეტანიისას კი ვიჩოქებთ და თავს მიწაზე ვხრით. დიდი მეტანია სრულდება კვირის ყოველ დღეს, გარდა კვირადღისა. დიდ მეტანიას არ ვასრულებთ აღდგომიდან სულთმოფენამდე. სულთმოფენობა დღეს მუხლის მოყრის ლოცვები იკითხება და დიდი მეტანიის შესრულებაც იწყება. როგორც ხედავთ, დღესასწაულების დღეებში დიდი მეტანიის შესრულება აუცილებელი არ არის. ეს იმითაა განპირობებული, რომ საღვთო სიხარულის დროს ყოველივე მსუბუქდება. უფლის წინაშე სინანულის გამოხატვა უფრო დატვირთულია დიდი მარხვის დღეებში. გვახსოვდეს, რომ მთავარია არა მეტანიის გადაჭარბებული ხაზგასმულობით შესრულება, არამედ ის, რომ შინაგანად იგრძნოთ სინანული უფლის წინაშე ჩადენილი ცოდვების გამო.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# „გამსახურდია ჩემთვის საშიში აღარ იყო“



**ზვიადის ადგილსამყოფელი რომ მცოდნოდა, ალყაში მოვაქცევდი, ტყვედ ავიყვანდი, შესაძლოა, არც გამესამართლებინა და ისევ გროზნოში გამეგზავნა. ჩემთვის ზვიად გამსახურდიას სიკვდილი ხელსაყრელი არ იყო, რადგან ქვეყნის მეთაური ვიყავი და, ბუნებრივია, მე დამაბრალებდნენ. გამსახურდია ჩემთვის საშიში აღარ იყო, გვერდით აღარავინ ჰყავდა და მისი სიკვდილი რატომ მენდომებოდა?!..**

ადამიანები, რომლებიც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში იყვნენ, ხშირად ახსენებენ საქართველოს ხელისუფლების მაშინდელ მეთაურს, ედუარდ შევარდნაძესა და ყოფილ უშიშროების მინისტრის მოადგილეს, ავთანდილ იოსელიანს, — მათ პრეზიდენტ გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზებზე ბევრი „იციანო“, ზოგი მათგანი კი, პირდაპირ თუ ირიბად, ბრალდებებსაც უყენებს. რა იციან ედუარდ შევარდნაძემ და ავთანდილ იოსელიანმა პრეზიდენტ გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებზე, ვინ გამოუტანა საქართველოს პრეზიდენტს სასიკვდილო განაჩენი და მართლა დასდევდნენ თუ არა მას სალიკვიდაციო ჯგუფები, ინტერვიუდან შეიტყობთ.

**ედუარდ შევარდნაძე:**

— საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგომის შემდეგ მოსკოვშივე შევქმენი ასოციაცია და იქ ვმუშაობდი. გეტყვით, ვინც ჩამოდიოდა მაშინ ჩემთან და მეხვეწებოდა, საქართველოში დაბრუნდიო: ოთარ ლითანიშვილი, რამაზ ჩხიკვაძე, ირაკლი ბათიაშვილი, გია ჭანტურია, ირინა სარიშვილი... კიდევ ათიოდ კაცის ჩამოთვლა შემიძლია. ყველა ცნობილი და ანგარიშგასაწევი ხალხი იყო, მეცნიერები, ორჯერ კიტოვანიც ჩამოვიდა. დარწმუნებული ვარ, ჩემი საქართველოში დაბრუნება გულის სიღრმეში არც უნდოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ქვეყანას მართვა უნდოდა. ყველაზე მოწადინებული ბატონი ჯაბა იყო. ჩამოვიდა კიდეც ჩემთან, მაგრამ ვეუბნებოდი — მზად არ ვარ-მეთქი. მაგრამ მერე ისე აირია საქართველოში ვითარება, რომ ქვეყანა დაშლის პირას მივიდა და ამის გამო გადავწყვიტე ჩამოსვლა...

— **1991-92 წლების სამოქალაქო დაპირისპირებას გარედან ინსპირირებულად მიიჩნევენ, არ გამორიცხავენ ამ პროცესში თქვენს მონაწილეობასაც...**

— ზვიადს არ ვიცნობდი, ერთხელ მყავს მხოლოდ ნანახი. ჩემთან მამამისი იყო ძალიან ახლოს. როდესაც შს მინისტრი ვიყავი, კონსტანტინე გამსახურდია ორ კვირაში ერთხელ მაინც შემომივლიდა. მისი ნაწარმოებები ისე მიყვარდა, ლამის ზეპირად ვიცოდი... კარგა ხანს რომ ვისაუბრებდით, მეტყოდა — ერთი ფიშტო მაინც მომეციო. მის ნათქვამს ხუმრობაში ვატარებდი, თვითონაც მეუბნებოდა — ისე გითხარი, თორემ ფიშტოს მეტი რა მაქვს სახლშიო. ერთხელ ავად გახდა და სანახავად შინ მივაკითხე. ორმოციოდე წუთი ვისაუბრეთ და მითხრა — ჩემი შვილი უნდა გაგაცნოო. შინამოსამსახურეს უთხრა, ზვიადს დაუძახეო. 17 წლისა იქნებოდა მაშინ ზვიადი. ძალიან სიმპათიური ახალგაზრდა იყო. ცოტა ხანს ვისაუბრეთ და თქვა — წავალ, ხელს აღარ შეგიშლითო. ამის მეტად ზვიადს აღარ შევხვედრივარ.

როდესაც ზვიად გამსახურდია პრეზიდენტად აირჩიეს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი. პრეზიდენტობის დროს ზვიადი ორჯერ მელაპარაკა ტელეფონით. პირველად რომ დამირეკა, მითხრა — ჩრდილო ოსეთში გორბაჩოვმა ორი დივიზია შეიყვანა, საქართველოში აპირებს ამ ძალების გადმოსროლას და ქართველი კაცი მანდ რომ ხარ, შენს სამშობლოს რომ საფრთხე ემუქრება, რას ფიქრობო. მახსოვს, საღამოს 11 საათი იყო და მაშინვე დავურეკე გორბაჩოვს — ჯობს თავად ჩახვიდეთ ან მე წავიდე საქართველოში, მოსახლეობას უნდა ავუხსნათ, ორი დივიზია რატომ შეიყვანეთ ვლადიკავკაზში-მეთქი. გორბაჩოვმა მითხრა, ნახევარ საათში დაგირეკავო. მართლაც დამირეკა, — მსგავსი არაფერი ხდება, ვინც თბილისიდან გირეკავს, თავად ჩავიდეს ვლადიკავკაზში და თუ იქ ორ ასეულს მაინც ნახავს, ჩემი თანამდებობით ვაგებ პასუხსო. ზვიადს ვუთხარი, — თქვენთვის ტყუილი უთქვამთ-მეთქი. დავუშვათ, ეს ინფორმაცია ტყუილია, მაგრამ თქვენს ქვეყანას უნდა ეხმარებოდეთო, — მეჩხუბა. რა ვქნა, საქართველოს ისე ვეხმარები, როგორც სხვა რესპუბლიკებს-მეთქი. როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გადავდექი, მეორედ მაშინ დამირეკა — მკითხა, შეუძლებლად მიგაჩნიათ, რომ თქვენი განცხადება გადადგომაზე უკან წაიღოთო (ეტყობა, გორბაჩოვის ხალხმა უთხრა, ქართველებმა სთხოვეთ, რომ თანამდებობაზე დაბრუნდესო), — ბატონო ზვიად, რაკი ეს გადაწყვეტილება მივიღე, აღარ გადავთქვამ-მეთქი. ჩხუბი დამიწყო, — მინისტრად რომ დარჩენილიყავი, საქართველოს დახმარებას შეძლებდიო. რით დავეხმარებოდი, ჯარი არ მყავს და დაზვერვა, მე რა შემიძლია, შენზე უფროსი კაცი ვარ და გთხოვ, ასეთ ლაპარაკს თავი დაანებე-მეთქი...

— **ზოგიერთი ამბობს, რომ თქვენ მისი ფიზიკური ლიკვიდაციით იყავით დაინტერესებული.**

— ბესო გუგუშვილი და მისი დაცვა ხომ ლაპარაკობს, ტყეში რომ გავიდა, ზვიადი ძალიან დასუსტებული და დათრგუნვილი იყოო. ხომ ირწმუნებიან, ზვიადმა თავი მოიკლაო. სიმართლეს გეტყვით, ჩვენ ზვიადს ვეძებდით. გვინდოდა, დაგვეზუსტებინა, სად იყო, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. დაზვერვის თანამშრომლებმა მიაკვლიეს ერთ ოჯახს, რომელიც საეჭვოდ მოეჩვენათ. ეზოში ნახეს ახალნათხარი მიწა, რომელიც ძალიან ჰგავდა საფლავს. ის ადგილი რომ ამოთხარეს, კუბო ნახეს, — შიგ ზვიადი ესვენა... ამ დროს გროზნოდან ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტი იანდარბიევი ჩამოფრინდა. მაშინვე გავეცი განკარგულება, რომ ავთანდილ ჯორბენაძე, პათანატომი თამარ დეკანოსიძე და სხვა სპეციალისტები ჩასულიყვნენ სამეგრელოში და ექსპერტიზა ჩაეტარებინათ, მაგრამ მათ გვამის გაკვეთის უფლება არ მისცეს. მანანა წინააღმდეგი იყო, იანდარბიევმაც, დრო არ გვაქვს, ზვიადი უნდა გადავასვენოთო. არ დაგიმალავთ, ხშირად მესმოდა, — რა გახდა ეს ზვიადი, ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება მისი განადგურებაო, იყო ამის მთქმელი ხალხი, მაგრამ უშიშროება ამას ჩემ გარეშე ვერ გააკეთებდა, მე კი ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ზვიად გამსახურდია ჩემი პოლიტიკური მოწინააღმდეგე იყო და ის პოლიტიკურად უნდა დამარცხებულიყო. მისი ფიზიკური განადგურება მე არაფერში მჭირდებოდა.

— **ამბობენ, რომ ბალტინის ჯარები საქართველოში თქვენ მოიწვიეთ.**

## „ელცინმა მითხრა, რიკოთს იქით გამსახურდია იყოს, აქეთ — შენო“(!)

— დიახ, ასე იყო... ფოთი გამსახურდიას მომხრეებმა, ჩეჩნებმა და ჩრდილოკავკასიელებმა დაიკავეს და ამით ჟანგბადი გადაგვიკეტეს — სურსათი ვეღარ შემოდიოდა ქვეყანაში. მოსკოვში ჩავედი და ელცინს ვთხოვე, ფოთში გემებიდან სურსათი მატარებელზე რომ გადაიტვირთება, იქნებ თქვენ გააცილოთ, რომ თბილისამდე ჩამოვიდეს, თორემ 2-3 დღეში ქვეყანაში შიმშილობა დაიწყება-მეთქი. ჩვენს საუბარს გრაჩოვი ესწრებოდა და ელცინმა მას უთხრა, — რუკა მომეციო. მაგიდაზე გაშალეს რუკა. დავინახე, წითელი ფანქრით შუაზე იყო გახაზული საქართველო. ელცინმა მითხრა, მატარებლებისა და ტვირთების საკითხი ძნელი მოსაგვარებელია, უკეთესია, რიკოთს იქით გამსახურდია იყოს, აღმოსავლეთ საქართველოში კი შენო. ბუნებით თავშეკავებული ვარ და ამან გამაჩერა... სხვა არაფერი გაქვთ სათქმელი-მეთქი? ამაზე კარგი რა უნდა გითხრათო. მაშინ კარგად იყავით-მეთქი, იმ დღესვე ჩემი თვითმფრინავით კოპიტნარში ჩავფრინდი. აბაშაში სატელეფონო სისტემით აღჭურვილი ჩემი ვაგონი იდგა. იქიდან დავურეკე უკრაინის პრეზიდენტ კრავჩუკს — მე-10 საუკუნიდან უკრაინელები და ქართველები ვმეგობრობთ, ძალიან მიჭირს. ხვალ-ზეგ საქართველოში შიმშილობა დაიწყება, ფოთი ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა დაიკავეს, მომეხმარე, ფლოტი მჭირდება-მეთქი. უკრაინულ-რუსული ფლოტი ხომ არ დამეხმარებინაო.

*(გაგრძელება იხ. გვ. 33)*


## შუშხუნებს, შუშხუნებს... ასპროვიტ C

მიილია თბილი და ხალისიანი ზაფხული... გავიდა მსუბუქი ტანსაცმლის სეზონი... როგორ დავიცვათ თავი მოძალებული სიცივისაგან?! თბილად ჩავიცვათ? გეთანხმებით, მაგრამ გარდამავალ სეზონურ პერიოდში, როდესაც ზამთარიც კარს მოგვდგომია, სამწუხაროდ, ადვილად შეიძლება ვერ გავუძლოთ გარემოს ტემპერატურის ცვალებადობას და ...გავცივდეთ.

მართალია, ყინვები ვირუსის ერთგვარ პროფილაქტიკად ითვლება, მაგრამ საქართველოში ყინვები იშვიათია, თანაც იქამდე დიდი დროა და ვირუსის შემოტევისგან არავინ ვართ დაცული.

გაციებისა და გრიპის პირველი სიმპტომების გამოვლინებისთანავე, ბუნებრივია, გვიჩნდება სურვილი მივიღოთ ისეთი პრეპარატი, რომელიც მოგვიხსნის სურდოს, თავისა და სახსრების ტკივილს, დაგვიწევს მომატებულ ტემპერატურას და დაგვაბრუნებს ცხოვრების ჩვეულ რიტმში.

მივემართებით აფთიაქისაკენ და ... თავგზა გვერევა! ამ რიგის პრეპარატების მრავალფეროვნება გვაბნევს და გვაოცებს: ტაბლეტირებული და კაფსულირებული მედიკამენტები, სხვადასხვა ხილის არომატით შეზავებული ჩაის ფორმები... ყურადღებას იპყრობს წყალში ხსნადი, შუშხუნა ასპირინის ნაირსახეობები.

შუშხუნა ასპირინების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ასპროვიტ-C კომბინირებული პრეპარატი, 400მგ აცეტილსალიცილის მჟავისა და 300მგ ასკორბინის მჟავის შემადგენლობით.

ასპირინი ანუ აცეტილსალიცილის მჟავა არასტეროიდულ ანთებისსაწინააღმდეგო საშუალებას წარმოადგენს სიცხისდამწევი და ტკივილგამაყუჩებული თვისებებით; ფართოდ გამოიყენება ცხელების, თავის ტკივილის, შაკიკისა და ნევრალგიური ტკივილების დროს.

ასპროვიტ-C-ს მეორე შემადგენელი კომპონენტი ვიტამინი C ანუ ასკორბინის მჟავაა. ვიტამინი C შედის ისეთი პროდუქტების შემადგენლობაში, როგორიცაა ასკილის ნაყოფები, ლიმონი, ჟოლო და ა.შ. ეს ის მცენარეები გახლავთ, რომელთაც სხვადასხვა ფორმით ვიყენებთ გაცივებისა და გრიპის თანმხლები სიმპტომების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. ასკორბინის მჟავას დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის ნორმალური ცხოველქმედებისათვის. ადამიანის ორგანიზმს არ გააჩნია ვიტამინ C-ს სინთეზირების უნარი. მასზე მოთხოვნის შევსება მიღებულ საკვებთან ერთად ხდება. სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობების დროს ორგანიზმის მოთხოვნილება ვიტამინ-C ზე მნიშვნელოვნად იზრდება და საჭირო ხდება მისი სინთეზური ფორმის დამატებით მიღება.

ასპროვიტ-C-ს შემადგენელი კომპონენტების დოზირება საშუალებას იძლევა 1-2 შუშხუნა ტაბლეტი გავხსნათ ოთახის ტემპერატურის მქონე 200მლ (ერთ ჭიქა) წყალში და მივიღოთ ყოველ 4-6 საათში (მოზრდილებში), მაქსიმალური სადღეღამისო დოზა შეადგენს 8 ტაბლეტს. პრეპარატის მიღება სასურველია ჭამის შემდეგ, ასპროვიტ C-ს ტაბლეტების შუშხუნა ფორმა მაქსიმალურად ამცირებს კუჭის ლორწოვანი გარსის გაღიზიანების საშიშროებას და ხელს უწყობს მისი შემადგენელი კომპონენტების სწრაფ შეწოვას.

ასპროვიტი-C გამოიყენება როგორც გაციებისა და გრიპის სიმპტომატური მკურნალობისათვის, ასევე მათთან კონტაქტში მყოფ პირებში პროფილაქ-ტიკისათვის. კლინიკური სიმტომების გამოვ-ლინებამდე ასპრვიტ-C-ს მიღებ

მაქსიმალურად შეამცირებს დასნებოვნების რისკს.

... როგორც ამბობენ: "სჯობს ავად არ გახდე", მაგრამ თუ მაინც გაცივდით და "უქეიფოდ" შეიქენით, საკმარისია გქონდეთ ერთი ჭიქა წყალი და "ასპროვიტი C", რომე-ლიც აშუშხუნდება და იზრუნებს თქვენი ჯანმრთელობისა და გუნება-განწყობის აღდგენაზე.




პრეპარატის მიღებამდე გაეცანით ანოტაციას

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი

ასპროვიტ C



# წლიური ანგარიში



წლის ბოლო. . .

- საათობით ზიხართ საწერ მაგიდასთან ან კომპიუტერთან - დროის სრული დეფიციტი სპორტული სიარულისა და „ჯოგინგისთვის“?
- მოუსვენარი ძილი ღამე მოშარდვის ხშირი მოთხოვნის გამო.

და ბოლოს:

- სურვილი გაგიქრათ. . . ?

იმედს ნუ გადაიწურავთ!

„პროსტატ ჰელსი“ - სწრაფად და ეფექტურად დაგიბრუნებთ მამაკაცურ ჯანმრთელობას!

✔ გაგიუმჯობესებთ სისხლის მიმოქცევას და აგაცილებთ შეგუბებით მოვლენებს პროსტატაში.

✔ აფერხებს პროსტატის ქსოვილის პათოლოგიურ ზრდას, რაც თავის მხრივ, ამცირებს შარდ-სასქესო ტრაქტზე კომპრესიას და არეგულირებს მოშარდვის მოთხოვნის სიხშირეს.

✔ თრგუნავს წინამდებარე ჯირკვალში ანთებით მოვლენებს.

✔ ასტიმულირებს ტესტოსტერონის გამომუშავებას, რითაც განაპირობებს სექსუალური პოტენციისა და სპერმატოგენეზის აღდგენას.

✔ ამცირებს ადენომის გაავთვისებიანობის რისკს.




## „პროსტატ ჰელსი“ – გამოცდილია მამაკაცების მიერ!

კომპანია „შიფ“-ის (აშშ) ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრებში: ქ. თბილისი, აბულაძის 8

☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით 9.00-17.00

# ყვავილების ბუნტი: მოსკოვი სააკაშვილთან აშკარა კონფრონტაციაზე მიდის

„ყვავილების ბუნტი“ — სწორედ ასე შეიძლება დაერქვას იმ პოლიტიკურ ქარბორბალას, რომელიც დღითი დღე იკრებს ძალას დსთ-ის ქვეყნებში. საქართველოს „ვარდების რევოლუცია“ ერთი წლის შემდეგ კიევის „მიხაკების რევოლუციად“ იქცა. როგორც ეტყობა, რიგში „მოლდავური ყურძენი“, „სომხური ჭადრები“ დგანან. თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ, რომ მათ „ყაზახური ვაშლებიც“ წამოეწევა. ამიტომ დროა, რუსეთმა ახალი სტრატეგია შეიმუშაოს პოსტსაბჭოური პოლიტიკური ჯუნგლების სამყაროში.

1991 წლის დიდმა ანტისოციალისტურმა რევოლუციამ კი დაანგრია მთელი საბჭოთა კავშირი, მაგრამ ეს მაინც მოსკოვში მოხდა. საკუთარი იმპერიის ულლით არაქათგამოცლილმა რუსეთის ებრძოლოს „ყვავილების რევოლუციებს“, ან დაუყრდნოს მათთვის არც ისე სასურველ, მაგრამ მომავლის მქონე პოლიტიკოსებს, რომლებიც მარტო კრემლისკენ კი არა, არამედ ევროპისა და ამერიკისკენ იყურებიან. მაგრამ რუსეთის არჩევანი ეტყობა, უფრო შიდაპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარეობს, ვიდრე გარეპოლიტიკური ლოგიკიდან.

რუსეთში პოლიტიკური პროცესები ისე ვითარდება, რომ თანდათან მცირდება თავისუფლება და რაციონალიზმი. ძალოვნები, რომლებსაც ახლა პოლიტიკური ხაზი მიჰყავთ, 90-იანი წლების გამო „რევანშის აღების“ სურვილით არიან ანთებული. ისინი მიიჩნევენ, რომ „დაუშვებელია ამერიკელების შეშვება ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების ზონაში“.



მოქალაქეებმა ხელიდან გაუშვეს არა მარტო ბალტიისპირეთი, არამედ ისეთი რესპუბლიკებიც, რომლებიც არსად წასვლას არ აპირებდნენ — შუა აზია და ბელორუსია. 1991 წლიდან თითქმის ყველა პოსტსაბჭოურმა ქვეყანამ ერთნაირი გზა გაიარა. როგორც კი გამდიდრების შესაძლებლობა მიეცათ, მათმა მეთაურებმა დაივიწყეს პროგრესული გარდაქმნები, ეკონომიკის გამჭვირვალობა და პოლიტიკური პროცესების დემოკრატიულობა. ყველგან მექრთამეობამ და ძარცვა-გლეჯამ მოიკიდა ფეხი. რუსეთის ახალმა ხელისუფლებამ სწორედ ამ მახინჯ რეჟიმებს დაუჭირა მხარი — ეშინოდა, რომ მისი შეცვლით რუსეთი დსთ-ში ერთპიროვნულ ლიდერობას დაკარგავდა. ამის საუკეთესო მაგალითია საქართველო. ჩვენ დიდხანს და დამსახურებულად ვადანაშაულებდით ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებას და ამავე დროს, ჩუმად ვეხმარებოდით გაზითა და ელექტროენერგიით. ჩვენთვის ხელსაყრელი იყო სუსტი, არაპოპულარული ხელმძღვანელი, რომლის დროსაც რუსეთის გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური კლანები აკონტროლებდნენ საქართველოს პორტებს, სამხრეთ ოსეთის საზღვარს და ა.შ. ამის გამო რუსეთი მყარად გრძნობდა თავს სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ ყოველივე ეს ხომ მავანს ბათუმის პორტში კონტრაბანდული საქონლის შეტანის, აფხაზური მანდარინებით გამდიდრების და სამხრეთ ოსეთში შავი ბაზრის ფუნქციონირების საშუალებას აძლევდა. ამიტომაც, როცა შევარდნაძის ჩამოგდება დააპირეს, მოსკოვმა მისი დაცვა გადაწყვიტა, როცა არაფერი გამოუვიდა, სააკაშვილთან აშკარა კონფრონტაციაზე წავიდა. მართალია, ვერავინ დაამტკიცებს იმას, რომ შევარდნაძის, აბაშიძის, კუჩმას შემცვლელები პატიოსნები და დემოკრატიულები იქნებიან, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო 15 წლის მანძილზე დსთ-ის ქვეყნებმა დიდი გზა განვლეს და უკეთესობისკენ უნდათ წასვლა. კუჩმები, ქოჩარიანები, შევარდნაძეები ამ „უკეთესობაში“ ნამდვილად არ იგულისხმება. ეს რეალობა რუსეთს პრინციპული არჩევანის წინაშე აყენებს — ან მკაცრად

ჩვენს ძალოვნებს ეზიზღებათ საზოგადოებრივი პროცესები. მათ მტკიცედ სჯერათ, რომ ქვეყნის ისტორიას სპეცსამსახურების ნება განაგებს. მაგრამ ასე არ არის. სწორედ მათეულმა მიდგომამ არ გაამართლა კიევში — დიახ, იუშჩენკო დიდი ფული ულირთ, მაგრამ ნახევარი მილიონი კაცი ორი კვირა მარტო ფულისთვის არ იდგება ყინვაში. დსთ-ის ქვეყნების მიმართ ამგვარმა აგდებულმა დამოკიდებულებამ უკვე ჩაგვადენინა შეცდომები და კიდევ არაერთხელ ჩაგვაგდებს ამ დღეში. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა ან თავად ჩავუდგეთ სათავეში ამ ცვლილებებს, ან ძალის გამოყენებით ჩავახშოთ. თავიდან ჩვენმა ძალოვნებმა აფხაზების გასატეხად საზღვარი გადაკეტეს. პოზიციების შესანარჩუნებლად, შეგნებულად შეუწყვს ხელი ანტირუსული განწყობილების გაზრდას აფხაზეთში, სადაც სამი თვის წინ რუსების მზეს ფიცულობდნენ. საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. ბაღაფში ტელეკრანიდანაც კი უფრო თავდაჯერებული, ძლიერი და ჭკვიანი ჩანს, ვიდრე მისი მომავალი ვიცე-პრეზიდენტი ხაჯიმბა, რომელსაც ზურგს ჩეკისტები უმაგრებენ. ძალიან მალე ამ „განუყრელ [illegible] შორის [illegible] მოხდება კონფლიქტი. აბა, ხაჯ[illegible] ლუბიანკაზე გაიქცევა. საით უნდა გაიქცეს ბაღაფში — საქართველოში? საშინელება ის არის, რომ ზოგიერთ ტვინნალრძობს ჰგონია, რომ უკრაინაზეც ისეთივე ზეწოლა შეიძლება, როგორიც აფხაზეთზე. ალბათ უკვე მეზობელი სახელმწიფოს დაშლაზეც ფიქრობენ. მაგრამ ნებისმიერი პატარა ომიც კი რუსეთს ორმოცდაათი წლით უკან დახევს. სწორედ ამაზე ოცნებობენ ჩვენი მტრები; ეს არც სამხედროებს და არც პოლიტიკოსებს არ ესმით. ასე გგონია, ქვეყანა ჭაობში იფლობა. მაგრამ ადრე თუ გვიან სასწორი სხვა მხარეს გადაიხრება... თუ ეს მოხდა, „ყვავილების რევოლუცია“ წითელ მოედანსაც მოიცავს და ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთ შეზანზარებას ვეღარ გადაიტანს...

*მოსკოვსკი კომსომოლეცი*

# პანკისი ისევ მიზანშია აღებული

რუსეთის სამხედრო უწყებების სარწმუნო წყაროს ცნობით, რფ-ის თავდაცვის სამინისტრო მზად არის გამაფრთხილებელი დარტყმები მიაყენოს სხვის ტერიტორიაზე არსებულ ტერორისტულ ბაზებს. დიდი მარჩიელობა არ უნდა იმას, რომ აქ, უპირველესად, იგულისხმება საქართველოში განლაგებული ჩეჩენ ტერორისტთა ბაზები.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმატორის დაჟინებული მოთხოვნა ამ ინფორმაციის გამოქვეყნებისა, იმაზე მეტყველებს, რომ მას განზრახული აქვს, მესიჯი გაუგზავნოს საქართველოს ხელმძღვანელობას.

ჩრდილო კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციების სამმართველოს რეგიონული ოპერატიული შტაბის წარმომადგენლის, გენერალმაიორ ილია შაბალკინის ცნობით, „ბოევიკების“ 200-კაციანი ჯგუფი, რომელშიც შედიან რუსლან გელაევის მომხრეები, დუისსა და ხალაწანში იმყოფება, უფრო მომცრო ჯგუფი — ომალოსა და წინუბნის მიდამოებში. შაბალკინი ამტკიცებს, რომ სოფელ ბირკიანთან მყოფ „ბოევიკთა“ ჯგუფში 30 უცხოელია, რომლებიც ერთმანეთში თურქულად ლაპარაკობენ. მათი ინსტრუქტორები და ხელმძღვანელები კი უმეტესად არაბები არიან, რომელთა სახელები შტაბში ცნობილია, მაგალითად, მეთაურები — აბუ ატია და აბუ რაბია. ამბობენ, რომ ეს ხალხი იმ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან, რომელთაც ბინ ლადენის უახლოესი თანამებრძოლი აბუ ჰავსი ხელმძღვანელობს. არაბები სოფელ ხალაწანში ბინავდებიან, სადაც კარგა ხანია ტერორისტების საწვრთნელი ბაზებია. შაბალკინი ამბობს, რომ „ბოევიკები“ არა მარტო რუსეთში გასასვლელად ემზადებიან, არამედ ადგილობრივ მოსახლეობაში რეზერვისტებსაც აგროვებენ, უტარებენ აგიტაციას, ართმევენ საქონელს და სურსათს(?!). ამასთან, შაბალკინი კატეგორიულად უარყოფს ამ ბაზებზე დარტყმების შესაძლებლობას. „ჩვენ მზად ვართ მათ საზღვარზე დასახვედრად. მაგრამ „ბოევიკები“ რუსეთში შესვლას ვერ მოახერხებენ, რადგან ხეობა თოვლით არის დაფარული და 2005 წლის ივნისამდე ჩაკეტილი იქნება“, — თქვა გენერალმა.

რფ-ის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა კი თითქმის დაადასტურა, რომ სამხედრო უწყება მაინც ემზადება ტერორისტთა ბაზებზე დასარტყმელად. „ყურადღებით წაიკითხეთ თავდაცვის მინისტრის ნათქვამი. ამ საკითხზე იქ ყველაფერი წერია. მეტს ვერაფერს დავამატებ. უფლება არა მაქვს“, — განაცხადა მან.

სამხედრო ექსპერტი, აკადემიკოსი ვლადიმირ პოპოვი ამბობს: „მოსალოდნელია რუსეთმა მართლაც განახორციელოს ზუსტი დარტყმები ჩეჩენ „ბოევიკთა“ ბაზებზე, მაგრამ ეს ხომ ავნებს ადგილობრივ მოსახლეობას? ან ვინ გააკეთებს ამას — სპეცრაზმი, სამშვიდობოები თუ ГРВЗ-ის რეგულარული ნაწილები? საამისოდ საჭიროა საერთაშორისო სანქციები, რუსეთის სენატორთა მხარდაჭერა. რასაკვირველია, გამორიცხული არ არის ისიც, რომ ვიღაც „გაურკვეველი“ ეროვნების უსაბუთო ნიღბოსნები დაიწყებენ ქართული სოფლების „წმენდას“. ასეთი ქმედებების ლეგიტიმურობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება“.

როგორც ირკვევა, მოვლენების ამგვარი განვითარებისთვის საქართველოში მზად არიან, სამხედრო ექსპერტმა ირაკლი ალადაშვილმა განაცხადა, „მოსკოვის ეს გეგმები ჩვენთვის ცნობილია. ეტყობა, რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის გარკვეული ნაწილი ამით ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსეთი კვლავ სამხედრო ზესახელმწიფოა. თუ რუსეთი საქართველოში დივერსიულ ჯგუფებს „შემოყრის“, ვითომდა პანკისის ხეობაში ჩეჩენი „ბოევიკების“ ასაყვანად, ან უფრო უხეში ძალის გამოყენებას ეცდება, მაგალითად, სარაკეტო დარტყმებს — ეს აღიქმება, როგორც შეიარაღებული აგრესია სუვერენული სახელმწიფოს მიმართ“.

საქართველოს ელჩმა რუსეთში ვალერი ჩეჩელაშვილმა ასეთი მკაცრი კომენტარი გააკეთა: „მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არავითარი „ბოევიკები“ პანკისის ხეობაში არ არიან. ქვეყნის ხელმძღვანელობა სავსებით აკონტროლებს სიტუაციას. გარდა ამისა, პანკისში, ჩვენ გარდა, რეგულარულ მონიტორინგს ატარებენ ეუთოს დამკვირვებლები, მათ შორის რუსეთის წარმომადგენლებიც. ეს პატარა ტერიტორიაა, ბოევიკები ასე ადვილად ვერ დაიმალებიან.“

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა უფრო კონკრეტულია: „ისმის კითხვა: თუ პანკისის ხეობაში „ბოევიკები“ შეიპარნენ, სად იყვნენ რუსი მესაზღვრეები, როგორ დაუშვეს ეს? ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში ჩვენ მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს, სწორედ ამ მიმართებით მიღწეულ წარმატებებზე ისაუბრეს ამას წინათ რფ-ის უშიშროების საბჭოს მდივანმა იგორ ივანოვმა და თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა. გენერალ შაბალკინს, ეტყობა, თავისი წარუმატებლობის გასამართლებელი მიზეზის მოძებნა დასჭირდა — ჰოდა, აქედან იშვა პანკისის პრობლემა“.

*ნეზავისიმაია გაზეტა*

# აფხაზური მანდარინი — უკრაინული ფორთოხლის უმცროსი ძმა

როცა პუტინი „აფხაზური პრობლემების“ მოგვარების გამო საჯაროდ გამოხატავდა კმაყოფილებას — სოხუმში უკმაყოფილო აფხაზები ბუზღუნებდნენ — ლიდერებმა გვილალატეს, რუსეთმა გვიმუხთლაო. ისინი უკვე დარწმუნებული არიან, რომ კორუფციონერთა მმართველ კლანს ვერასოდეს მოიცილებენ და უკრაინულისგან განსხვავებით, „მანდარინის რევოლუცია“ ჩაფლავდა. უკვე აღარავის სჯერა მაწანწალა პროკურორის კოლესნიკოვისა და ყავლგასული პატრიოტის, ბაბურინის შუაკაცობისა.

აფხაზებს ელემენტარული — საკუთარი პრეზიდენტის არჩევის საშუალებაც არ მისცეს, შესაძლოა ახლა თავს ახალი კანდიდატი მოახვიონ. სწორედ ის გახდება გარანტი ზღვისპირა ვილებზე, სასტუმროებსა და დასასვენებელ სახლებზე, პლანტაციებსა და ბზის ტყეებზე საკუთრების უფლების შენარჩუნებისა, ყოველივე იმისა, რასაც ერთი მეზობელი ქვეყნის ახალგაზრდა პრეზიდენტმა „მოპარული საკუთრება“ უწოდა.

ერთი კი მოხდა — მართალია, აფხაზებს ჯერჯერობით თავისი პრეზიდენტის არჩევის უფლება არ მისცეს, მაგრამ უცხოს არჩევის შესაძლებლობა თავად მათ არ დაუშვეს. აუღიარებელი რესპუბლიკის აუღიარებელ არჩევნებში პრეზიდენტობის მოქიშპე კანდიდატებმა — ბაღაფშმა და ხაჯიმბამ ტელეკამერების წინ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, გადაკოცნეს კიდეც ერთმანეთი და განაცხადეს, არჩევნებზე ერთად გავალთო. ბაღაფში პრეზიდენტობას აპირებს, ხაჯიმბა — ვიცე-პრეზიდენტობას. კი მოილაპარაკეს, მაგრამ როგორც ეს უკვე არაერთხელ მომხდარა, შეიძლება პირი უტეხონ ერთმანეთს. საქმე ის არის, რომ ბაღაფშის შეიარაღებულ მომხრეებს, ისევე როგორც ხაჯიმბასას, ეს კომპრომისი მაინცდამაინც არ ეჭაშნიკათ. მოლაპარაკების დღესვე გაისმა სოხუმში აფეთქებების ხმა...

— ჩემზე გულს ნუ აიყრით. ის, რაც აფხაზეთში ხდება, ჩემზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ ჩვენ კიდევ გავიმარჯვებთ, — სთხოვა ბაღაფშმა მომხრეებს.

*ნოვაია გაზეტა*

**გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა**





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიითხოზმნ

პატარა **სანდროს** ეფერებიან და ეუბნებიან: — ჩვენც გვყავს პატარა ბაია, მაგრამ შენსავით კარგად ვერ ლაპარაკობს.

— რატომ, უვიცია?!

***

4 წლის **თამუნა ხვედელიძე** უყურებს ფეხბურთს და დედას ეკითხება:

— დედიკო, ფეხს რომ ურტყამენ ბურთს, ხომ იმიტომ ჰქვია ფეხბურთი?

— კი, — პასუხობს დედა.

— ხელი რომ დაარტყან, ხომ ხელბურთი ერქმევა?

— კი.

— ტაკუნა რომ დაარტყან, მაშინ?

***

პატარა **თაკო კერესელიძემ** მამას ჰკითხა:

— რუსულად ორასი როგორ იქნება?

— „დვესტი", — ამბობს მამა.

— მაშინ, სამასი ტრესტი იქნება, არა? — ხვდება თაკო.

# ბულბული და ყიყინა

**მოთხრობა**

ყიყინა ახტა, დახტა და ბუჩქის ძირში, წვიმისაგან ჩამდგარ პატარა გუბეში ტყაპანი მოიღო.

ხმაურზე ბუჩქზე მთვლემარე ბულბული გამოფხიზლდა და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა.

— შენ ეი, ვინ ხარ, ძმობილო? — ჰკითხა ბულბულმა.

— თავად ვინ ბრძანდები? მე ცნობილი მომღერალი ყიყინა გახლავარ, განა ვერ მიცანი?

— მომღერალი?.. მე თქვენი სიმღერა არსად მომისმენია... სიმღერა ძლიერ მიყვარს. იმღერე, გეთაყვა, სიამოვნებით მოგისმენ.

„ნამდვილად კარგი მომღერალი იქნება, ბულბული რომ ასე სთხოვს სიმღერას", — გაიფიქრა სიომ და სიმღერის მოსასმენად იხმო ყველა მწერი და ფრინველი.

ყიყინამ ამდენ მსმენელს ერთად რომ მოჰკრა თვალი, გულში სიამაყე იგრძნო და ბევრიც აღარ დაუხანებია. სიპ ქვაზე წამოსკუპდა, ჩაახველა. ხმა შეამოწმა, თვალები მინაბა და დაბალ ხმაზე დაიწყო ყიყინი... თანდათან ხმას აუწია და ბოლოს ისე ძლიერ აყიყინდა, რომ ბულბული უგონოდ მიესვენა ტოტზე. ჩიტუნებმა ფრთა ფრთას შემოჰკრეს და მაღლა-მაღლა აფრინდნენ. ჭიალუები ღრმად ჩაძვრნენ მიწაში, მწერები თვალის დახამხამებაზე მიმოიფანტნენ.

აი, მოათავა ყიყინამ ყიყინი, ტაშის მოლოდინში სასიამოვნო ჟრუანტელი უვლიდა ტანში... მაგრამ ირგვლივ დუმილი სუფევდა.

იმედგაცრუებულმა უგუნებოდ გაახილა თვალი, ერთი სულიერიც კი არ ჭაჭანებდა მის გარშემო. ბუჩქის ქვეშ შეძვრა და გაინაბა.

შებინდდა. ყიყინა ბუჩქიდან გამოძვრა. შეუმჩნევლად უნდოდა გასცლოდა იქაურობას, მაგრამ უცბად ჰაერში ტკბილი და სათუთი გალობა გაისმა.

ბუნება სმენად იქცა.

„ვინ უნდა იყოს, ნეტავი?" — გაიფიქრა ყიყინამ, მიდამოს თვალი მოავლო და დაინახა, სიო ნაზად არხევდა ტოტზე ჩამოსკუპულ მგალობელ ბულბულს.

— რა ჩინებული მგალობელი ყოფილა და არც კი მითხრა, — გაიკვირვა ბაყაყმა.

***ქეთევან ჭილაშვილი***

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„ნაწილობრივ ხეა იგი, ნაწილობრივ ძუა და გვერდებში მაშინ სცემენ, შიგნით ფქვილი თუა".**

I



**ისრის მიხედვით მოხვდი ოქროთი სავსე თასთან**



**II ანა, გამოიცანი**

**1) ამათგან რომელია ცხოველი?**

ა) სიასამური; ბ) დურაჯი; გ) როჭო; დ) შურთხი.

**2) ანდაზის მიხედვით, რა არის რჯულზე უმტკიცესი?**

ა) ხასიათი; ბ) ჩვეულება; გ) ტრადიცია; დ) გემოვნება.

**3) ვის ეძახოდნენ ძველად დასტაქარს?**

ა) კბილის ექიმს; ბ) ყელ-ყურის ექიმს; გ) ქირურგს; დ) გულის ექიმს.

**4) ვისი ძე იყო საქართველოს მეფე დაჩი?**

ა) გუბაზ II-ის; ბ) ბაგრატ I-ის; გ) გიორგი II-ის; დ) ვახტანგ გორგასლის.

**5) რომელ ქრისტიანულ დღესასწაულს ვზეიმობთ 17 დეკემბერს?**

ა) სულთმოფენობას; ბ) ბარბარობას; გ) შობას; დ) ნათლისღებას.

**III დაალაგე პირველი მოზაიკა და გამოიცანი, რით განსხვავდება მეორისგან**




პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*




# კვირის «მინიკალენდარი»

„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების მინიკალენდარი კი ასეთია:



**13 დეკემბერი:**

**ნოდარ ანდღულაძე,** მომღერალი, მსახიობი, პროფესორი; **ერნსტ სიმენსი,** ინჟინერი, გამომგონებელი, ფირმა „სიმენსის“ დამაარსებელი; **ევგენი პეტროვი,** მწერალი.

**14 დეკემბერი:**

**შალვა ნუცუბიძე,** ფილოსოფოსი, აკადემიკოსი, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელი; **მატვეი განაპოლსკი,** ტელე და რადიოწამყვანი; **რაჯ კაპური,** მსახიობი.

**15 დეკემბერი:**

**ანა კალანდაძე,** პოეტი; **ალექს კოქსი,** რეჟისორი, სცენარისტი; **მორის უილკინსი,** ფიზიოლოგიის და მედიცინის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი; **ალექსანდრე ეიფელი,** ინჟინერი, ეიფელის კოშკის ავტორი; **ჟან გეტი,** ნავთობის მაგნატი.

**16 დეკემბერი:**

**ბათუ კრავეიშვილი,** მომღერალი, მსახიობი; **ალბერტ თავხელიძე,** ფიზიკოსი, აკადემიკოსი; **ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი,** კომპოზიტორი; **ანტონ დენიკინი,** გენერალი, რუსეთის სამოქალაქო ომის დროს თეთრი გვარდიის მთავარსარდალი; **მაქს ლინდერი,** მსახიობი, კომიკოსი; **ბენი ანდერსონი,** ჯგუფ „აბბას“ წევრი; **იური ნიკოლაევი,** ტელეწამყვანი.

**17 დეკემბერი:**

**შიო არაგვისპირელი,** მწერალი; **ოთარ კობერიძე,** მსახიობი; **მილა იოვოვიჩი,** მსახიობი; **ლეონიდ ბრონევოი,** მსახიობი.

**18 დეკემბერი:**

**სტივენ სპილბერგი,** რეჟისორი, სცენარისტი; **ქრისტინა აგილერა,** მომღერალი; **ბრედ პიტი,** მსახიობი; **იური ნიკულინი,** მსახიობი; **იგორ სკლიარი,** მსახიობი; **არანტა სანჩეს-ვიკარიო,** ჩოგბურთელი.

**19 დეკემბერი:**

**ედიტ პიაფი,** მომღერალი; **არვიდას საბონისი,** კალათბურთელი.

# სიტყვათა კონა

**ლამბი** — 1. იგივეა, რაც ბლანდი (ნემსის შორი-შორ ამოგებით ნაკერი). 2. მშვილდის ბაწარი, — ლარი.

**ლამიყლაპია** — ჭაობის ფრინველი ერთგვარი.

**ლამპასი** (ფრ.) — შარვლის ტოტების გვერდებზე სიგრძივ დაკერებული ფართო ფერადი ზოლი.

**ლამუნი** — ტრფიალი, ალერსი, მოფერება.

**ლამფა** — ქერის თხელი ფიცარი (კოჭებზე ქვემოდან მიკრული).

**ლანდშაფტი** (გერმ.) — 1. რაიმე ადგილის საერთო ხედი, პეიზაჟი. 2. დედამიწის ზედაპირის ფორმა.

**ლანკანი** — იგივეა, რაც ლანგარი.

**ლანქერი** — დამდნარი თოვლი, ღვარად წამოსული.

**ლანძვი** (ძვ.) — ვიწრო და მაღალი ფანჯარა, სარკმელი, სანათური.

**ლაპი** — ზოგი ფრინველის (მაგ., ხოხბის, კაკბის, გნოლის) ბარტყი.

**ლაპოტი** — 1. დიდი ცაცხვი (საბა). 2. ნავიდან წყლის ამოსახაპი ნიჩაბი. 3. ნავის ნიჩბის, გემის ბორბლის, საჰაერო ხრახნისა და მისთ. ფრთა.

**ლაჟვარდი** (სპ.) — 1. ძვირფასი ქვა ლურჯი ფერისა. 2. ღია ლურჯი ფერი (ცის მუდმივი ეპითეტია).

**ლარი** (ძვ.) — ძვირფასი ნივთეულობა, განძი, საუნჯე.

**ლართხი** — ურემზე დაგებული ფიცარი.

**ლარტყა** — ოთხკუთხა ბრტყელი ძელი სხვადასხვა დანიშნულებისა.

**ლარძაყინი** — იგივეა, რაც ნივნივი.

**ლასტი** — წნელის ბრტყელი წნული.

# ამჟამადაც ვმღერი რესტორანში

— ვართ მაია ყარყარაშვილის ფანები. გვაინტერესებს, როდის გამოჩნდება სცენაზე. როგორც თქვენი გაზეთი წერდა, იგი ახალი იმიჯით უნდა დაბრუნებოდა სცენას, რატომ აღარ გამოჩნდა აქამდე? და კიდევ, ნამდვილად არის თუ არა მანანა თოდაძის დისშვილი?

*მაკა გვაზავა*

კითხვას უპასუხებს **მაია ყარყარაშვილი**, მომღერალი:



— წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია, სამომავლო გეგმები ჯერ არ მაქვს ჩამოყალიბებული. ცოტა არ იყოს, გაზარმაცებული ვარ. ხშირად დავდივარ საზღვარგარეთ. ამ ერთი წლის მანძილზე რამდენჯერმე ვიყავი რუსეთსა და ისრაელში. დეკემბერში კი იტალიაში ვაპირებ გამგზავრებას.

ესტრადაზე მართლაც განახლებული იმიჯით მსურს დაბრუნება, ამისთვის კი ფულია საჭირო, რომელიც ამჟამად არ მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ კვირაში სამი დღე ვმუშაობ (რესტორან „ნიკალაში“ ვმღერი), ჩემი შემოსავლით 20-ათასიანი კლიპისა და 30-ათასიანი დისკის ჩაწერა წარმოუდგენელია. ამბობენ, თითქოს სიმღერას დავანებე თავი. ეს სიცრუეა — სიმღერისთვის თავი არ გამინებებია. გაზარმაცებაში კი ახალი სიმღერის ჩაწერას ვგულისხმობდი. ამჟამად არც პროდიუსერი მყავს და არც სპონსორი. ამიტომ ჩემთვის სამმაგად რთულია რაიმის კეთება. ხშირად შემოუთავაზებიათ დუეტში ჩამეწერა სიმღერა რომელიმე კონკრეტულ პროექტში, მაგრამ მე უარს ვაცხადებდი. მირჩევნია საკუთარ პროექტზე ვიმუშაო, ამასთან, მე ცოცხლად ვმღერი. ვინმემ შეიძლება იფიქროს, რესტორანში სიმღერას რა უნდაო, მაგრამ მერწმუნეთ, არც ისეთი ადვილია. იმდენად მრავალფეროვანი რეპერტუარი მაქვს და იმხელა ენერგია მეხარჯება ცოცხალი შესრულებისას, რომ ძნელი დასაჯერებელია.

რაც შეეხება მანანა თოდაძისა და ჩემს ნათესაობას, რესპონდენტი მართალია — მე მანანას დისშვილი ვარ.




# რამდენ ხანში ქარწყლდება ნასამართლობა?

— ვარ ნასამართლევი 8 წლის წინ. მინდა სამსახურის დაწყება. რამდენ ხანში ქარწყლდება ნასამართლობა?

*მკითხველი*

კითხვას უპასუხებს **ემზარ ღარიბაშვილი**, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

— ნასამართლობის გაქარწყლება იმისდა მიხედვით ხდება, თუ რა სახის დანაშაული ჰქონდა ჩადენილი პირს. მაგალითად, თუ პირს მისჯილი ჰქონდა პირობითი მსჯავრი, საქართველოში მოქმედი კანონის შესაბამისად, სასჯელის ვადის ამოწურვისთანავე მას ეხსნება ნასამართლობა. თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში ნაკლებად მძიმე დანაშაულზე, ნასამართლობა სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ ქარწყლდება, მძიმე დანაშაულზე კი სასჯელის მოხდიდან 6 წლის შემდეგ; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, სასჯელის მოხდიდან 8 წლის შემდეგ.

კითხვის ავტორს ნასამართლობა მოეხსნება ავტომატურად, თუ მან მის გაქარწყლებამდე არ ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული.

# სრულდება თუ არა პრეზიდენტის დანაპირები

— გთხოვთ, განგვიმარტოთ, შეიცვალა თუ არა პირადობის მოწმობის აღებასთან დაკავშირებით პენსიონერებისა და სამამულო ომის მონაწილეთათვის სახელმწიფო ბაჟის გადასახადი. პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, რომ ჩვენ სახელმწიფო ბაჟისგან უნდა გავთავისუფლდეთ. შევიდა თუ არა ცვლილება ძალაში?

*მიხეილ კლიმიაშვილი*

კითხვას უპასუხებს **გურამ ახალაია**, იუსტიციის სამინისტროს სავიზო და საპასპორტო ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე:

— ამჟამად პირადობის დამადასტურებელი მოწმობის აღებისთვის დაწესებული ბაჟი პენსიონერებისთვის არ შეცვლილა. არსებობდა პროექტი, რომლის მიხედვითაც, სრულად უნდა მოხსნილიყო ბაჟი, თუმცა ის ძალაში არ შესულა. რაც შეეხება ომის მონაწილეებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონი მათთვის ითვალისწინებს 50%-იან შეღავათს. თუ ამჟამად სახელმწიფო ბაჟი არის 2 ლარი და 50 თეთრი, ომის მონაწილეთათვის და მათთან გათანაბრებული პირებისთვის, ასევე იძულებით გადაადგილებულთათვის, ეს თანხა განახევრებულია.

ამჟამად მიმდინარეობს ახალ კანონპროექტზე მუშაობა, იცვლება პირადობის მოწმობისა და პასპორტის ფორმა. პასპორტს დაემატება საქართველოს გერბი, „საქართველოს რესპუბლიკის“ ნაცვლად დაიწერება „საქართველო“ (კონსტიტუციის შესაბამისად), პასპორტიც და პირადობის დამადასტურებელი მოწმობაც უკეთ იქნება დაცული.

# რა წესით იყიდება იარაღი?

— მაქვს იარაღი მისი შენახვის ნებართვით. მინდა მისი გაყიდვა, ხოლო მყიდველი ჩემი ახლობელია. კანონის მიხედვით, რა წესით შეიძლება გავყიდო და გადავუფორმო მას იარაღი?

*მკითხველი*

კითხვას უპასუხებს **ზურაბ ციცქიშვილი**, შსს-ს სანებართვო განყოფილების უფროსი:

— თავდაპირველად, იარაღის მყიდველმა პირმა წერილობით უნდა მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სანებართვო განყოფილებას. მხოლოდ ამის შემდეგ მისცემენ მას იარაღის შეძენის ნებართვას. მოქალაქეს შეუძლია შეიძინოს იარაღი როგორც იურიდიული (ლიცენზირებული მაღაზია), ასევე ფიზიკური პირისგან. ნებართვა სამთვიანია. ეს ვადა მოქალაქეებს უწესდებათ იმიტომ, რომ მათ შეძლონ სასურველი არჩევანის გაკეთება. იარაღის შეძენის შემდეგ კი კანონი რეგისტრირების ათდღიან ვადას აწესებს, რომლის გადაცდომის შემთხვევაშიც ადმინისტრაციულ სახდელს დააკისრებს მოქალაქეს.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ორივე, იარაღის გამყიდველი და მყიდველი, უნდა გამოცხადდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სანებართვო განყოფილებაში, სადაც მოხდება იარაღის გადაცემის დადასტურება. გამყიდველმა უნდა წარმოადგინოს იარაღზე საკუთრების უფლება, შენახვის ან ტარების ნებართვა, პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

თუ იარაღი მოკლელულიანია, მან უნდა გაიაროს ბალისტიკური შემოწმება, ვინაიდან გადაეცემა ახალ მფლობელს.

**რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა**

# „მე არაფრის მეშინია — ამას ვილაცების გასაგონად ვამბობ“

## „საქართველოში შოუბიზნესის კანონები ბევრმა არ იცის“


მუსიკალური ორშიმო

ჭაბუკა ამირანაშვილის ხსენებისას გოგი ცაბაძის უმშვენიერესი მელოდია მახსენდება და უნებლიეთ წავილიღინებ ხოლმე: „ეს რამხელა, რა უძირო და რა გამძლე გამოდექ, ჯოჯოხეთის დამტეველო, პაწაწინა სამოთხევ“... გულმა, რომელსაც დიდი კომპოზიტორი უმღეროდა, ჭაბუკა ამირანაშვილსაც უღალატა ამ გაზაფხულზე, რის გამოც მისი კოლეგებისა და საზოგადოების ზრუნვის საგნად იქცა. ალბათ, გახსოვთ, აქცია-კონცერტი, რომელიც მუსიკოსის ოპერაციისთვის საჭირო თანხის შესაგროვებლად ჩატარდა. შეიძლება, ვილაცისთვის ეს ჩვეულებრივი აქცია იყო, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის კი თანადგომის მაგალითია, რომლის წყალობითაც მშვენიერი მუსიკა ისევ გრძელდება.

**ჭაბუკა ამირანაშვილი** პროფესიონალი საქსოფონისტია. გასული საუკუნის 90-იან წლებში მან ორი ცნობილი მუსიკალური ჯგუფი შექმნა. მერე სოსო პავლიაშვილსა და თამარ გვერდწითელთან ერთად გამოდიოდა რუსულ ესტრადაზე. ნიჭიერ მუსიკოსს პოპულარობა არ აკლდა, მაგრამ მაინც სამშობლოში დაბრუნება არჩია. არის რამდენიმე ცნობილი სიმღერისა და მუსიკალური კომპოზიციების ავტორი.

როგორც გავიგეთ, ჭაბუკა ამირანაშვილი ისევ აპირებს საქართველოდან გამგზავრებას, სამუშაო პირობების უქონლობის გამო. გადავწყვიტეთ, ამ და სხვა საკითხებზე თავად ხელოვანთან გვესაუბრა:

— მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში რამდენიმე კლუბში იმართებოდა ჩემი სოლო კონცერტები, კმაყოფილი მაინც არ ვიყავი, რადგან ეს მხოლოდ და მხოლოდ საკლუბო საქმიანობა იყო. ამით რუსეთში ბევრს ვერაფერს მივაღწევდი, არადა, შემოქმედებითი მუშაობა ძალიან მინდოდა. ამიტომ ჩამოვედი თბილისში. საცეკვაო მელოდიებზე მუშაობა გადავწყვიტე. ამ იდეამ განაპირობა სუხიშვილების ანსამბლთან ჩემი თანამშრომლობა, რომელიც ვფიქრობ, საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. თუმცა, ამჯერად ჩვენ ერთად აღარ ვმუშაობთ. ახლანდელ კონცერტებზე ანსამბლი ჩემს მუსიკაზე ცეკვავს, თუმცა, ჩემთვის მოსაწვევიც კი არ გამოუგზავნიათ.

— **თქვენ შორის რამე მოხდა? გატყობთ, გულნატკენი ხართ...**

— რა უნდა მომხდარიყო? არაფერი. გულნატკენი უკვე ოპერაციამდე ვიყავი, მაგრამ ეს სუხიშვილებს არ უკავშირდება. აი, რომ გამოვჯანმრთელდები და დაკვრას დავიწყებ, მერე გიამბობთ ყველაფერს...

მინდა საქველმოქმედო კონცერტისთვის მადლობა ვუთხრა ჩემს კოლეგებს. ოპერაციის შემდეგ თითქოს თავიდან დავიბადე. მართალია, ჯერ ვერ ვუკრავ, მაგრამ სრული დატვირთვით კი ვმუშაობ.

— **ანუ სხვები უკრავენ თქვენს კომპოზიციებს. ქორეოგრაფიული თეატრის, „ნაბადის“ ბენდიც თქვენს მუსიკას უკრავს. ეს ოპერაციამდე შექმნილი მასალაა?**

— არა, „მეორედ დაბადების“ შემდეგ დავწერე. საავადმყოფოშიც ვწერდი მუსიკას, ოღონდ არა ქაღალდზე. ვიწერდი ტვინში, რომელსაც ჩანთის მსგავსად „ჯიბეები“ აქვს.

— **ოპერაციის წინაც მუსიკაზე ფიქრობდით?**

— არა. ვფიქრობდი, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. მაწუხებდა ჩემი ოჯახის, ბავშვების, მეუღლის, დედის, მეგობრების ბედი. ვტოვებდი ჩემს ქალაქს, სცენას... ეს შიში იყო, ისევე როგორც ყველას, მეც მეშინოდა დასასრულის.

— **დღეს თავსაც იკლავენ ადამიანები მძიმე, აუტანელი ცხოვრების გამო.**

— აუტანელი ცხოვრება არიფი კაცის გამოგონილი ზღაპარია. თუ რაღაც არ მოგწონს, უნდა გამოასწორო, სრულყოფილი არაფერია. უნდა იბრძოლო და არ უნდა შეგეშინდეს. პირადად მე არაფრის მეშინია. ამას ვილაცების გასაგონად ვამბობ.

— **ეს რას ნიშნავს, ვილაცას თვალში ხომ არ ეჩხირებით?**

— დიახ. ასეა და ეს სულაც არ არის დასამალი. იმიტომაც გითხარით, ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს გიამბობთ-მეთქი, დღეს კი მხოლოდ იმას ვიტყვი, არავისი არ მეშინია და მუსიკას მაინც დავწერ...

— **რადგან არ გსურთ ახლა ამ თემაზე საუბარი, აღარც ჩაგეძიებით. როგორ ფიქრობთ, გული ჰგავს რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტს?**

— კონკრეტულად, არც ერთ მუსიკალურ საკრავს არ ჰგავს. თუ გულისცემა არ გივარგა, ე. ი. ცუდი პულსი გაქვს. ასეა მუსიკაშიც, მუსიკას თვლა სჭირდება. გულისცემა თუ არ გივარგა, ვერც ერთ მელოდიას ვერ აღიქვამ.

— **თავის დროზე, თქვენი სიმღერები პიტად იქცა. მაგალითად ქეთა თოფურიას შესრულებულ „რიმტი რის“ მოვიყვან. თუმცა, როგორც ვიცი, ქართულ შოუბიზნესს თქვენ კრიტიკულად უყურებთ.**

— შოუბიზნესი არ არის საქართველოში. აქ ბევრმა არ იცის არც ეს საქმე და არც მისი კანონები... და სწორედ მათ აფინანსებენ. თუ გამოცდილება არ გაქვს, სანახაობას ვერ უჩვენებ. საქართველოში შოუბიზნესის უნიკალური ნიმუში იყო ანსამბლი „ივერია“, კონცერტების სერია „მღერიან და უკრავენ ესტრადისა და კინოს ვარსკვლავები“... ჯემალ ბაღაშვილმა კარგად იცის ეს საქმე. გაიძახიან, შოუბიზნესს დიდი ფული სჭირდებაო. ფული კი არა, ცოდნა სჭირდება. საბედნიეროდ, მცოდნე ხალხი გვყავს, მაგრამ ჩვენთან ათვალწუნება სჩვევიათ. ერთ კაცს აკეთებინებენ ყველაფერს და კონკურენციაც კვდება. ეს კი შემოქმედებით ხარისხს ამცირებს და გემოვნებაც უფასურდება. მე უამრავი იდეა მაქვს, მაგრამ საეჭვოა, აქ რომელიმეს ხორცი შევასხა.

გაიძახიან, შოუბიზნესს დიდი ფული სჭირდებაო. ფული კი არა, ცოდნა სჭირდება. საბედნიეროდ, მცოდნე ხალხი გვყავს, მაგრამ ჩვენთან ათვალწუნება სჩვევიათ. ერთ კაცს აკეთებინებენ ყველაფერს და კონკურენციაც კვდება. ეს კი შემოქმედებით ხარისხს ამცირებს და გემოვნებაც უფასურდება.

— **როგორც გავიგე, თქვენი შემოქმედებით დაინტერესებულან აშშ-ში.**

— დიახ. ძალიან აინტერესებთ მოდერნიზებული ფოლკლორული მუსიკა, რომელშიც არ არის აუცილებელი ყველაფერი ქართული იყოს. მთავარია, თემა იყოს ქართული. ამგვარი „შეფუთვა“ აუცილებელია, რადგან უცხოელისთვის ქართული სიმღერის ან კომპოზიციის მიწოდებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

— **თქვენ საქსოფონისტი ხართ, როცა მუსიკის წერა გადაწყვიტეთ, მაინცდამაინც ფოლკლორის მოდერნიზებით რატომ დაინტერესდით?**

— ეს ძალზე მომგებიანია. სამწუხაროდ, ბევრს ამის გაგება არ სურს. ჩვენ აგურები გვაქვს, მათი ერთმანეთზე დაწყობა კი არ ვიცით. აი, ეს საკრავები, რომელთაც აქ ხედავთ, ეგზოტიკაა თავისი გარსითაც და არსითაც. აი, ეს, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ორშიმოა, მაგრამ ამავე დროს მუსიკალური ინსტრუმენტიცაა. აქ ყველაფერი ჩემი ხელითაა გაკეთებული. ყველა სხვადასხვა ხმას გამოსცემს. ეს საკრავები თავად ქმნის შოუს.

— **როგორც ვიცი, ახალ მუსიკალურ ალბომზე მუშაობთ. როდის და რას შესთავაზებთ მსმენელს?**

— ეს იქნება წმინდა სადისკოთეკო მუსიკა, თუმცა, ქართული. თემატიკა მხოლოდ და მხოლოდ ქართული იქნება.

*ეკა ლომიძე*










# პოეტური „პარალელები“

*პოეტი მარიკა ბარათაშვილი თავად შეგვეხმიანა. ცოცხალი ვარო, „შეგვახსენა“, ლექსებსაც ვწერ და „კვირის პალიტრასაც“ ვკითხულობო... ისიც დასძინა, ძალიან მინდა, ჩემი ახალი ლექსები სწორედ თქვენს მკითხველს წარვუდგინოო...*

*ერთ დროს ძალზე პოპულარული პოეტი, ყველასათვის საყვარელი, სიმღერად ქცეული ლექსის — „საპოვნელას“, გახმაურებული პიესის „ჭრიჭინას“ ავტორი არც მეტი, არც ნაკლები, 97 წლისა მოყრილა და ისევ ლექსის სიყვარულში ათენ-აღამებს...*

*პოეტს შინ ვეწვიეთ...*

*საუბრისას ქალბატონმა მარიკამ ისიც გვითხრა, ლადო ასათიანი მიყვარს ძალიან, მის ლექსებს დღესაც ისე აღტაცებით ვკითხულობ, როგორც მაშინ, დიდი ხნის წინო.*

*ბოლოს, გარდაცვალების წინადღით ესტუმრა თურმე პოეტი ქალი სარეცელს მიჯაჭვულ ლადოს. ლურჯი იები მიუტანია, თავისი ახალი ლექსები წაუკითხავს და ამ სტუმრობით უსაზღვროდ ბედნიერი დაუტოვებია... მერე დაწერეს კიდეც, მგოსნის ბოლო მნახველი მარიკა ბარათაშვილი იყოო. ის ლურჯი იებიც საფლავზე დაუყრიათ უდროოდ წასული ლადო ასათიანისთვის...*

*ამჯერად გვინდა, არაერთი თაობის სათაყვანო პოეტის, ლადო ასათიანის კარგად ნაცნობი ლექსები გავახსენოთ მკითხველს. აქვე გვინდა წარმოგიდგინოთ ქალბატონ მარიკა ბარათაშვილის ახალი ლექსებიც, რომელიც პირველად ჩვენს გაზეთში იბეჭდება.*

*და კიდევ ერთ ახალგაზრდა პოეტს, გიორგი კეკელიძესაც წარმოგიდგენთ ახალი ლექსებით.*

***ელენე სალარიძე***


ბადრი ვადაჭკორიას ფოტოეტიუდი

## მარიკა ბარათაშვილი

### ალუბლის ტოტი

ალუბლის ტოტი — მეტიჩარა
ტოტი — პატარა,
ამ სექტემბერში ხელმეორედ
რამ ააყვავა!
ის ხომ ტოლებთან
კეკლუცობას იყო ჩვეული,
რად მოისურვა, იყოს მათგან
გამორჩეული?
უცნაურია! — გულში თუ აქვს
ჰობი — უთქმელი
და ამ ახალ წელს სურს
რომ შეხვდეს
ფერად ბურთებით?
არც არავისი ეშინია,
არც ემორცხვება,
უნდა, იცხოვროს
ბებერ ქვეყნის გასაოცებლად...

**31.05.2003**

### დასასრულის დასაწყისი

როცა გორაკზე გაზაფხული
იხდის დღეობას,
მომხიბლავია ფერადების
მონაცვლეობა.
როცა შიშვლდება, სიბრალული
არ გაქვს მცირედიც,
„კვლავ აყვავდება!“ —
არ ჩუმდება წამით იმედი.
...რა საბრალო ხარ,
მძიმე ფიქრი თუ არ გშორდება,
რომ ის, რაც იყო,
არასოდეს განმეორდება...
რომ მოხეიმე გაზაფხული, —
შენ რომ გეღირსა,
დასაწყისია უეჭველი
ფოთოლცვენისა.
არც ოცნებები, იმედები
ნაირფერადი...
შეხედავ გორაკს, მგლოვიარეს...
მის ბედს შენატრი!

**20.07.2004**

### იქნებ?

ცა მოიღუშა, წარბშეკრული
გადაჰყვა ფიქრებს...
წვიმის კალმებით წერს მინებზე
იეროგლიფებს.
რამ გააჯავრა, რად გვიწყრება
ნეტავ, თავნება,
რა ჩაიფიქრა,
— დაგვაყარა გამოცანებად?
ლექსი? — ლექსს არ ჰგავს
არც მუსიკით, რიტმით, ან რითმით —
თავსატეხია, საოცარი —
ეს ჩანაფიქრი.
ეგებ, არ მოსწონს ჩვენი ქცევა,
ეჩოთირება
და გადაწყვიტა ასე დასჯა —
ქვეყნად მხილება?
ჩვენ კი გვეგონა... დახმარებას
ცისგან ველოდით,
ყველა — სნეული მრავალტანჯულ
საქართველოთი.
უნდა გვეთხოვა მისნის ძალა —
გავეხსნიდით იქნებ,
სადღაც დაგმანულს —
ქართლის ბედის
იეროგლიფებს.

**28.05.2003**

## გიორგი კეკელიძე

### ტაძარი

როცა დამეცალა მათარა,
როცა ბრმა ბილიკებს
თვალი აეხილა,
მთვარით რომ აივსნენ...
შარაზე მოხუცი წამოწვა ჭადარი,
როგორც შუაღამის ნეკნი გატეხილი,
ქარისგან ავისა...
როცა გაეცალა სულყველა
ვარსკვლავი
ლურჯი ცის კრეტსაბმელს,
ნარდიდან გადმოვარდა მთვარე —
ბრუციანი ქარის კამათელი:
გამოჩნდა ბაგრატი —
შენი გატეხილი ნეკნი
საქართველოვ!..

### ისევ შენ...

მთვარე სალამბო,
მთვარე — დალის დაღლილი ლანდი
და ფრთამოტეხილ მთვარესავით
ანთია ლამფა...
დაისის ფერფლი დაეფიფქა
სველ გირლიანდებს
და მთვარის სულის
დაბებკილი კაბა შელამბა...
სანამ თვალთა შენთ
ბნელმა თვალნი ჩემნი დაბინდოს,
სიმ მოიისფრო მაისებზე ეგებ გეამბა,
მთვარე — სალამბო,
მთვარე — დალის დაღლილი ლანდი
და ფრთამოტეხილ მთვარესავით
ანთია ლამფა...

### ღალატი

ქარია.
ყვავილების გახამებულ საყელოთი
მოფრინდა ანგელოზი ფრთამფრთხალი...
ეგებ საანკესოდ ჩანჩქერზე გამყოლოდი,
გული კალმახივით ფართხალებს...
თქეშში გალუმპული მიწა აყალო და
ღრუბელი ნაბარავ ბელტივით...
ეგებ საანკესოდ ჩანჩქერზე გამყოლოდი,
ეგებ გაპარვოდი ჩაჩანაკ მეტივეს...
ქალო, ქალო, ძალად გათხოვილო,
ცრემლებს დააფინე შენი სახელი და
სანამ დაჭკნობიათ ფრთები ყოილებს,
ეგებ საანკესოდ ჩანჩქერზე გამყოლოდი...

## იბეჭდება პირველად

### იასამნები

მომაგონდება: გაზაფხული და იმერეთი.
იასამნებში ხუთფურცლიან
გვირგვინს ვეძებდი.
თუ ვიპოვიდი, ო, როგორი
გულით ვხარობდი
იმ გაზაფხულით, იმ ჯილდოთი,
იმ სამყაროთი.
„ნუთუ ვუყვარვარ?“ (ვმკითხაობდი)...
რა შეედრება
იმ საოცარი „აღმოჩენის
ბედნიერებას!“
...შორეულიდან წლები, წლები,
წლები გასულა...
აღარც მახსოვდა — მომაგონა
ამ გაზაფხულმა,
როდესაც ისევ, ჩვეულებრივ,
დროის განგებით,
კვლავაც აყვავდა ჩემს სარკმელთან
იასამნები.
საოცრებაა, მოგონებას
რა შეუძლია!
შვილთაშვილისთვის ყვავილს ვეძებ, —
კვლავ ხუთფურცლიანს.

**30.05.2003**

### ლექსს მოსწყურდა...

ვზიდავ აუწონავ ტკივილსა და ძმწარს:
ლექსმა მიგვატოვა, მგონი, დაგვივიწყა.
ისე უხმაუროდ გაიხურა კარი,
დაგვიტოვა გულზე უსაშველო ბზარი.
...ჩვენ ხომ ციურ გუნდის
ჰანგთა უცხო თრთოლვით
გვეფრქვეოდა მუდამ თვალციაგა ხომლი...
ახლა ფიქრის სარკმლებს
სევდის მრუმე ჰფარავს,
ძლივს ციაგა სანთელს, მიტოვებულ კარავს.
ჩვენ ხომ უცხო გზაზე
ვრგავდით ვარდებს, იებს
და ვუძლებდით რამდენ
ომს, რევოლუციებს?..
დაუპყრია გონი ეჭვს, უზომოდ საშიშს.
ველარ ვარჩევთ, მგონი,
ელექსირს და ჰაშიშს...
თვალს გავახელ ფართოდ
და სარკმელთან ვდგები,
აღარც სხივი მართობს,
არც შრიალი ფრთების...
დღეს იმ ლექსის დროა,
მქუხარედ რომ ითქმის,
თან გულუხვად მოაქვს სიყალბე და ლიქნი.
და ვემდურით იმ დროს,
სამყაროს და ტაროსს,
გრძნობა რომ ვერ ლაღობს,
ლექსი რომ ვერ ხარობს...
ავგულობა უჭირს და სიმწარით ითმენს
მოწყვეტილებს ფუძით —
ნაჯახირებ რითმებს.
აკრძალული გვახსოვს
ღმერთზე, ხატზე ფიქრიც,
სულის ნაკრძალები დაიფარა ფითრით.
დაამძიმა ყოფა უსაშველო დამღამ:
„აბა, მიდი, მოჰკალ!“
„აბა, მიდი, დაჰკა!“
...ბოლოს შენში, ჩემში
გაიბრძოლა სულმა —
სადღაც, სულდარებში მძიმედ შეფუთულმა
და იკითხა: „როდის გათენდება მწუხრი,
მოეღება ბოლო
ქვემეხების ქუხილს,
ამ უაზრო ჰანგებს,
ტანშიშველა როკვას,
სატანისგან ნაქებ
სიტყვებს: — მიდი, მოჰკალ!“
...
...ათწლეულებს ვითვლი,
ვერ ვბედავდით ლოცვას...
ლექსს მოსწყურდა მშვიდი
ალიონის მოსვლა!

**15.10.2004**

## ლადო ასათიანი


ლადო გუდიაშვილის ნახატი

### კრწანისის ყაყაჩოები

***სამასი არაგველის ხსოვნას***

ჰეი, თქვენ, არაგველებო,
გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და
მუხლის მოდრეკა მომინდა.
შავჩოხიანო ვაჟკაცო,
ჭრილობა ხომ არ შეგხსნია!
ეს სისხლი არის თუ მართლა
ყაყაჩოების ცეცხლია?
შავჩოხიანო ვაჟებო,
ასე რამ გაგახალისათ,
ჟრიალი ხომ არ მოგესმათ
ოჟა ჯავრხაის ფარისა?
სიმღერა ხომ არ მოგესმათ
პატარა კახის ხმალისა?
იქნებ მე თვალი მატყუებს,
ზეცა მაბრმავებს კრიალა,
მაშინ თქვენ თვითონ აღსდექით
და მარქვით ომახიანად,
თუ არც ყაყაჩოს ცეცხლია
და არც ახალი იარა,
მა ეს ბებერი კრწანისი
რა ძალამ ააბრდღვიალა?
ჰეი, თქვენ, არაგველებო,
გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა
და მუხლის მოდრეკა მომინდა!

### გზაში

სიხარულს გთხოვ, — მწუხარებას
მთავაზობ.
ნუთუ ასე დაგატყვევეს ფიქრებმა?
ცოტა კიდევ მოითმინე, ლამაზო,
და ნანატრი მთა-გორებიც იქნება.
ცოტა კიდევ, სალოცავო ხატებავ,
და ლაშქარი სვავების და ყორნების,
ვით ღრუბელი, ისე გაიფანტება
და თბილისის მიწას ვეამბორებით.
ხომ უყურებ, როგორც ხვადი ავაზა,
ორთქლმავალი ისე უტევს უკუნეთს,
ცოტა კიდევ მოითმინე, ლამაზო,
და ვიხილავთ ირმებსა და ბულბულებს.
ცოტა კიდევ — და იელვებს კრწანისი
და მეტეხის ეკლესიის თავანი,
სადაც წმინდა მაცხოვარის ხატის წინ
ფეხშიშველა ლოცულობდა თამარი.
სიხარულს გთხოვ, — მწუხარებას
მთავაზობ.
ნუთუ ასე დაგატყვევეს ფიქრებმა?
ცოტა კიდევ მოითმინე, ლამაზო,
და ნანატრი მთა-გორებიც იქნება!

### თქვენ გეუბნებით, ძმებო, მგოსნებო

რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე, —
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს.
რომ ვდგავარ ახლა თბილისის კართან,
შენ გეკითხები, ცაო ნათელო,
ამ უხეირო ლექსების გარდა
რას გავუკეთებ მე საქართველოს?
რომ ვდგავარ ახლა თბილისის კართან,
თქვენ გეუბნებით, ძმებო, მგოსნებო,
ამ უხეირო ლექსების გარდა
დაგვრჩა საფიქრი და საოცნებო.
რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე, —
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს!

# განუმეორებელი ლაზური აივანი

სამწუხაროდ, საქართველოს ისტორია ისე წარიმართა, რომ ქართველ მეფეებსა და დედოფლებს ნაკლებად ეცალათ დიდებული სასახლეების ასაშენებლად. უფრო ციხე-დარბაზებსა და სიმაგრეებს აგებდნენ, ხოლო სასახლე თუ იყო, ისიც მტრის შემოსევას ან ისტორიულ ავბედითობას ემსხვერპლა. ამ მხრივ ქალაქი ზუგდიდი გამონაკლისია — აქ დღემდეა შემორჩენილი უნიკალური არქიტექტურული ანსამბლი — სამეგრელოს მთავართა რეზიდენცია, დადიანების სასახლეები. აქ ამჟამად ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მუზეუმია განთავსებული, სადაც ექსპონატთა რაოდენობა 41 ათასზე მეტია. მე-17 საუკუნეში ამ სასახლით მოხიბლული იტალიელი მოგზაური არქანჯელო ლამბერტი წერდა: „სამეგრელოს მთავარს ორმოცდაათზე მეტი სასახლე აქვს, რომელთა შორის უმშვენიერესია ზუგდიდის სასახლე. იგი აგებულია საუცხოო ქვისაგან და შესანიშნავია, როგორც სივრცე-სიდიდით, ისე ფანჯრების, აივნების და სპარსული მხატვრობის მშვენიერებით“. არქიტექტურული ანსამბლი შეიცავს ორ სასახლეს — დედოფლისეულსა და ნიკოსეულს, სამეფო ბაღს, უფლისწულების შადრევნებს და კარის ეკლესიას. მათ შორის ყველაზე მშვენიერია სამეგრელოს უკანასკნელი დედოფლის, ეკატერინე დადიანის თეთრი რეზიდენცია, რომელიც რუსი არქიტექტორის, ედვიგ იაკობის ძე რაისის გეგმით განახლდა. 1800 კვადრატულ მეტრზე გაშლილ შენობაში ურთიერთშეთანხმებულია ქართული, ფრანგული, ინგლისური და თურქული არქიტექტურული სტილი. მაგალითად, სასახლის პირველი სართული ოსმალური თაღებითაა დამშვენებული, მას ადგას ფრანგულ-ინგლისური კლასიკური დეკორაციებით გაფორმებული მეორე სართული. ეს ნაზავი ერთიან და ბრწყინვალე იერს ქმნის.


აივნის ჭერის ფრაგმენტი

არქიტექტურული ანსამბლის მარგალიტია ეგრეთ წოდებული ლაზური აივანი, მას მეორენაირად დედოფლის აივანსაც ეძახიან. იგი მთლიანად ხისაა და შიდაეზოში მთელ შენობას გარს აკრავს. აივანი 51 მასიურ ხის ბოძზე დგას და ისეა ნაკეთები, რომ არსად ლურსმანი არაა გამოყენებული. თითქმის ყველა დეტალი მოჩუქურთმებულია. აივნის გალერეით, ხისაგან ხელით ამგვარადვე დამზადებული სადარბაზო კარით მთავარ მოედანზე შედიხართ, რომელსაც უნიკალური ხის ჭერი ამშვენებს. მის შესაქმნელად ხუროთმოძღვრებს 10 ათასამდე ხის პატარა დეტალი ხელით დაუმუშავებიათ და ასე შეუქმნიათ დაახლოებით 5-მეტრიანი მოზაიკა, სადაც ცენტრალური ადგილი შვიდკუთხა გეომეტრიულ ფიგურას უკავია. მთლიანად აივნის მოზაიკურ გაფორმებაში დაახლოებით 50 ათასამდე ხის პატარა ორნამენტია გამოყენებული. ზუსტად არაა ცნობილი, ვინ არის აივნის არქიტექტორი, თუმცა გადმოცემის მიხედვით, სამეგრელოს დედოფალს აივნის გასაკეთებლად ლაზეთიდან საუკეთესო ოსტატები მოუწვევია და მათთვის მანამდე არნახული არქიტექტურული ნიმუშის შექმნა დაუვალებია. ლაზებსაც ძალა არ დაუშურებიათ და დედოფლის ბრძანება ბრწყინვალედ შეუსრულებიათ, წაბლის ხის პატარა დეტალები არა მარტო ხელით გამოუთლიათ, არამედ ყოველი მათგანი თაფლში სხვადასხვა ტემპერატურაზე მოუხარშავთ, რითაც ხემ სხვადასხვა ფერი მიიღო და ამიტომ აივნის მოზაიკა საუცხოო გამოვიდა. მისი სილამაზით მოხიბლულ დედოფალ ეკატერინეს ლაზები ოქროთი უხვად დაუჯილდოებია. ოსტატებს ეკატერინესათვის პირობა მიუციათ, რომ მსგავს მშვენიერებას მეტად აღარ შექმნიდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ XX საუკუნის 80-იან წლებში მუზეუმის დირექტორ ნელი მიქაიას თაოსნობით, აივანს რესტავრაცია ჩაუტარდა, რამაც იგი, ფაქტობრივად, განადგურებას გადაარჩინა. რესტავრატორებმა უნიკალური სამუშაო ჩაატარეს — შემორჩენილი ფრაგმენტებისგან მთელი კომპოზიცია აღადგინეს. თუმცა, როგორც ჩანს, აივნისთვის პირველადი სახის სრულად დაბრუნება ვერ შეძლეს, რაზეც მუზეუმის ფოტოფონდში დაცული XX საუკუნის ფოტოები მეტყველებს.

მართლაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზუგდიდის ლაზურ აივანს მსოფლიოში ანალოგი არსად მოეძებნება. მსგავსი მასშტაბებისა და გაფორმების არქიტექტურული ნიმუში ერთადერთია.

ზუგდიდის სასახლეში სხვაც ბევრი რამაა უნიკალური. აქ დღემდე ინახება თამარ მეფის დედის, ბორდოხან დედოფლის ხატი, ოქროს ანტიკური ნიღაბი, ევროპული, რუსი და თურქი მხატვრების ტილოები, სასახლეში დაცულია ნაპოლეონ პირველის ბრინჯაოს ნიღაბიც, რომელიც მსოფლიოში სულ რამდენიმეა.

***გიორგი კალანდია***

***დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის თავმჯდომარე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი***

***გადმოცემა ჩაწერილია ავტორის მიერ 1991 წელს გიორგი ნანავასგან***

# ტიმოთესუბანი — მსოფლიო მონუმენტების ნუსხაში

სოფელი ტიმოთესუბანი (კიმოთესუბანი) ისტორიულ თორში, დღევანდელ ბორჯომის რაიონში მდებარეობს. ჩვენს წინაპარს X-XV საუკუნეებში, სწორედ აქ, ამ უმშვენიერეს ადგილას აუშენებია სამონასტრო კომპლექსი. კომპლექსის მთავარი ნაგებობაა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. მოვარდისფრო ქართული აგურით ნაშენები ეს ტაძარი, როგორც ჩანს, ბევრჯერ განუახლებიათ. მისი აღდგენა და მოხატვა გამოჩენილი მოღვაწის, შალვა თორელი-ახალციხელის სახელს უკავშირდება, და შესაბამისად, 1205-1215 წლებით თარიღდება.

ტიმოთესუბნის მხატვრობა თამარის ეპოქას განეკუთვნება და ქართველი მეფეების პორტრეტებით შემკულ — ვარძიის, ბეთანიის, ყინწვისისა და ბერთუბნის ფრესკებთან ერთად ეროვნული მხატვრობის მნიშვნელოვან პერიოდს წარმოაჩენს...



ბოლო დროს შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ძეგლების კონსერვაციისას თავი იჩინა მიკრობიოლოგიური დაზიანებისა და გარემო პირობების ზემოქმედების პრობლემამ. უნიკალური ფრესკები დღითი დღე კარგავს თავის ელფერს და თუ დროულად ვერ მივხედავთ, ჩამოშლა ემუქრება... მხოლოდ ქართველი სპეციალისტებით (და შესაბამისად, ეროვნული ბიუჯეტის სახსრებით) შეუძლებელი იყო საეკლესიო მხატვრობის ძეგლების დაზიანების მიზეზების შესწავლა და მისი შემდგომი რესტავრაცია. ამიტომ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ძალისხმევითა და მსოფლიო ბანკის დახმარებით განხორციელდა საერთაშორისო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ხუროთმოძღვრული ძეგლების წინასაკონსერვაციო შესწავლას. მსოფლიო მონუმენტების ფონდის დახმარებით, ქართველმა სპეციალისტებმა იტალიელ კონსულტანტებთან ერთად შეიმუშავეს სათანადო რეკომენდაციები ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის კედლის მხატვრობის სარესტავრაციოდ და გადაუდებელი სამუშაოებისათვის დაიწყეს მზადება. ბოლოს, ტიმოთესუბანში სარესტავრაციო სამუშაოები 70-იან წლებში ჩატარდა.

მაკა დვალიშვილი — კულტურის საერთაშორისო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი:

— მიმდინარე პროექტის მიხედვით, გაიწმინდა ტაძრის გუმბათი და სახურავები, აღდგენილია მინაშენი, საძირკვლის ქვები და კამარები, აღდგა სადრენაჟო სისტემა, გამოიცვალა სარკმლები... და ყველა ეს სამუშაო შესრულდა კირით. ქართული ფრესკების მთავარი პრობლემა სოკოვანი დაავადებებია. ამის მიზეზია ნესტი და სხვადასხვა მიკრობიოლოგიური დაზიანება. რვა წლის შემდეგ აღდგენილ ფრესკებს შეიძლება კვლავ დასჭირდეს შეწამვლა. მხოლოდ ერთჯერადი დახმარებით წარსულს ვერ შევინარჩუნებთ...

P.S. გაზაფხულისთვის ისევ განახლდება ქართული ტაძრების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხელოვნების საერთაშორისო ფონდის წარდგინებით, ტიმოთესუბნის კედლის მხატვრობა შესულია მსოფლიო მონუმენტების იმ ასი ძეგლის ნუსხაში, რომელსაც (მისი უნიკალურობის გამო) გადაუდებელ დახმარებას გაუწევენ. ამიტომ აღდგენითი სამუშაოები ტიმოთესუბნის ტაძარში ერთი წლით კვლავ გაგრძელდება.

***თეა ცაგურიშვილი***





# „სისხლი სისხლისა წილ...“

მთას ბარისგან განსხვავებული წესი და კანონი აქვს. მთიელს თითქოს ღმერთიც თავისი ჰყავს, რომელთან ლაპარაკიც შეუძლია, თუ საჭიროდ ჩათვლის, თუმცა ამას იშვიათად აკეთებს, წვრილმანი საჩივრით მეზობელსაც არ შეაწუხებს ამაყია სვანი და ღმერთს როგორ აკადრებს იმის თხოვნას, რის გაკეთებასაც საკუთარი მარჯვენით შეძლებს... წინაპრებისაგან ნაანდერძევი — მათთვის კანონია, დაუწერელი, მაგრამ მათი კაცობისთვის განაჩენის გამომტანი და უალტერნატივო... სისხლის აღების წესიც ვერ მოიშალა სვანეთში. სიკვდილის შიშიც ვერ ათქმევინებს სვანს უარს შურისძიებაზე, რომელზეც, მისი აზრით, დამოკიდებულია მკვდრისა თუ ცოცხლის სიმშვიდე. ...უხუცესებსაც არ ახსოვთ ზუსტად, რა გახდა პირველი მკვლელობის მიზეზი. ლამის ასი წლის წინ გადაეკიდა ერთმანეთს ორი გვარი და შურისძიებამ ვერა და ვერ მოიტანა სიმშვიდე, პირიქით, რაც მეტი სისხლი დაიღვარა, მტრობა უფრო გამძაფრდა, აღარც დიდს ინდობდნენ, აღარც პატარას და ერთმანეთს უთვლიდნენ, — დამარცხება აღიარეო... ბოლო მსხვერპლი 1990 წლის ზაფხულში იყო. მოხუცი სვანი წისქვილიდან მომავალ მოსისხლედ მიჩნეულ კაცს, რომელსაც უფროსი ძმის მკვლელად თვლიდა, გზაში დაუხვდა და ესროლა, მაგრამ ტყვიამ სასწაულებრივად ჩაუქროლა და ურემზე მიწოლილ მის 7 წლის შვილიშვილს შეუნგრია მკერდი, რომელსაც წუთის წინ ზღაპარს უყვებოდა... გაოცება შერჩა ღიად დარჩენილ ცისფერ თვალებში საზაფხულო არდადეგებზე ქალაქიდან ჩამოსულ პატარა ალექსანდრეს... დაჭრილი მხეცის ღმუილი აღმოხდა კაცს, სიმწრით ასწლოვან ხეს ეტაკა და რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ფესვები ამოაყრევინა... გამოედევნა მკვლელს. ვერ დაეწია. დაიფიცა შვილიშვილის უსულო სხეულის წინ დაჩოქილმა, — შენს სისხლს არავის შევარჩენ, ბაბუ, შენი ტოლი ეყოლება შინ და მოვუკლავ. თუ ვერ შევიძელი, თავს მოვიკლავო!.. მოხუცის ნაცვლად ბავშვი მოვკალითო, — მართლა ინანეს შურისმაძიებლებმა, მაგრამ შეცდომის გამოსწორება შეუძლებელი იყო და სოფლიდან აყრა გადაწყვიტეს; თანაც შუაკაცმა ამბავი მიუტანა — ბავშვების ამოწყვეტით გემუქრებიანო... წავიდნენ და გადაიკარგნენ. სად არ ეძება მოხუცმა მოსისხლეები, მაგრამ როგორც ნემსი თივის ზვინში, ისე ჩაიკარგნენ დიდი ქალაქის ლაბირინთებში... სანამ მის სახელზე სისხლი არ დამიღვრია,



სიკვდილის უფლება არა მაქვსო, — ამბობდა მოხუცი... რომ არ ელოდა, მაშინ მიაგნო კვალს, მიაგნო და შეწუხდა, რადგან მიხვდა, ახალ განსაცდელს უმზადებდა ბედისწერა: ზაფხულში ქალაქელი შვილიშვილები ესტუმრნენ, მათ შორის, მშვენიერი მარიამი, მისი სიამაყე და იმედი... მარიამის კვალს მოჰყვა უცხო ბიჭიც და გოგონა იძულებული გახდა, გამოსტყდომოდა ბაბუას — ვუყვარვარ და მეც მის გარდა არავინ მინდა, თუ დამიშლით, თავს მოვიკლავო. ვინ არის, რა ჯიშის და ჯილაგისააო, — იკითხა მოხუცმა. სვანია ისიც, მისი წინაპრები მეზობელი სოფლიდან დიდი ხნის წინ ქალაქში გადასახლებულანო და მოსისხლეების გვარი დაუსახელა მარიამმა. გულზე ცეცხლი მოედო კაცს, ამოიგმინა. აი, თურმე რატომ ეცნო იმ ჭაბუკის იერი... შვილიშვილს არაფერი უთხრა, სალოცავში მივიდა. დიდხანს სთხოვდა რჩევას ღმერთს, რომელიც დუმდა, სამაგიეროდ, მკვდარი შვილიშვილისთვის მიცემული ფიცი უგუგუნებდა ყურებში: — თუ ვერ მოვკალი შენი მკვლელი, თავს მოვიკლავო!.. არჩევანი არ ჰქონდა. იარაღი გატენა და სათიბისკენ დაეშვა, სადაც დილით თვალი მოჰკრა მასპინძლის მისაშველებლად გამოსულ ბიჭს... ჩრდილს შეფარებოდნენ დაღლილი მთიბავები. მხოლოდ მოსისხლე არ ჩანდა. ფრთხილად დაუწყო ძებნა. მალე შეამჩნია — მდინარის პირას ისხდნენ ის და მისი საფიცარი მზეთუნახავი მარიამი. რალაცაზე საუბრობდნენ ჩაფიქრებულები... — უთხარი პაპაშენს სიმართლე?! — ჩაესმა ახლოს მიცოცებულ მოხუცს ბიჭის ხმა. — ვუთხარი, რომ გვიყვარს ერთმანეთი და თუ დაგვაშორებენ, თავს მოვიკლავ. იმის თქმა ვერ გავუბედე, რომ ფეხმძიმედ ვარ... — სანამდე უნდა ვმალოთ, ან როდემდე, ან რისთვის, — აღელდა ბიჭი, — მიყვარხარ. მართალია, ვიჩქარეთ, უკადრებელი ვიკადრეთ, მაგრამ... მე მივალ, ვეტყვი, გაგვიგებს, ბაბუაშენზე ამბობენ, სამართლიანი კაცია, ავისა და კარგის გარჩევა არასოდეს შეშლიაო... ეეჰ, ნეტავი ბაბუა მყოლოდა ცოცხალი, ან მამა — ისინი დაელაპარაკებოდნენ, არ გაუჭირდებოდათ დაყოლიება... ელდანაცემი მოხუცი განძრევას ვერ ბედავდა: — როგორ, ჩემმა გვარმა იმათ გვარს სიცოცხლე უნდა გაუგრძელოს?!. თან ღმერთს დაუსწრია ჩემთვის და მკვლელებისთვის სიცოცხლეც მოუსწრაფებია, ამ ლაწირაკს არ ეცოდინება სიმართლე... — რა მოუვიდათ? — ჩაესმა მარიამის ხმა. — მამაჩემი ავარიაში დაიღუპა. ბაბუამ ვერ გაუძლო და თავი მოიკლა, ისედაც უცნაური კაცი იყო, დიდი ხნის წინ შემთხვევით ბავშვი შემოჰკვდომია და ვერ პატიობდა თავს, ძალიან იტანჯებოდა... მეც დავიტანჯები, მეც თავი მექნება მოსაკლავიო, — გაიფიქრა სასოწარკვეთილმა მოხუცმა და უჩუმრად გაეცალა იქაურობას, მძიმე ნაბიჯით გაემართა სასაფლაოსკენ. ...სროლის ხმამ შეძრა სოფელი. ...შვილიშვილის საფლავს დაჰკვდომოდა მკერდგაგლეჯილი მოხუცი...

# „რაც მოგივა, დავითაო!..“

ადრე თუ გვიან ყოველი კაცი იმას მიიღებს, რასაც დაიმსახურებს და ხმამაღლა თუ არ ვაღიარებთ, გულში მაინც ვიტყვით, რატომ წარიმართა ჩვენი ცხოვრება ასე, რატომ მივიღეთ ესა თუ ის შედეგი.

ჩემი რესპონდენტიც მიხვდა და თავშიც ბევრი იცა ხელი, მაგრამ რაღა დროს... ენას კბილი დააჭირა და რუსეთს მიაშურა, ისევე, როგორც წლების წინ...

— ორი ძმა ვართ. დედ-მამა გვიან დაქორწინებულა. დედამ მე 45 წლის ასაკში გამაჩინა, ჩემი ძმა, გია, 47 წლისამ. მშობლები თან გვყვებოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ადრიანად დაგვაობლეს. მე 20 წლის ვიყავი, გია — 19-ის.

მშრომელი კაცი იყო მამა და ჩვენც შეგვაყვარა საქმე.

მართალია, ინსტიტუტში სწავლით არ მოგვიკლავს თავი, მაგრამ მშვენიერი ხელოსნები დავდექით — ქვაზეც შეგვიძლია მუშაობა, ხეზეც და რკინაზეც... მშენებლობაზე შეუცვლელი მუშახელი ვართ.

ჩემი ძმა მეტად ალალი და გულუბრყვილოა, თუ თავი შეაცოდე, უკანასკნელ პერანგს გაიხდის და მოგცემს. ჰოდა, მის გამო ჩავვარდი ამ უცნაურ მდგომარეობაში.

დედა სოფლიდან იყო და ბავშვობაში ყოველ ზაფხულს სოფლად ვატარებდით — ძალიან გვიყვარდა დედულეთი.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ დასვენებაზე ფიქრისთვის ნაკლებად გვეცალა და ნათესავებთან სტუმრობაც გაგვიიშვიათდა, მაგრამ 1988 წლის ზაფხულზე როგორღაც მოვახერხე და მარტო წავედი, გია შინ დარჩა...

24 წლის ვხდებოდი და ნათესავები შემომიჩნდნენ, — დროა, ოჯახზე იფიქრო, თქვენს სახლს ქალის ხელი სჭირდებაო.

ყველას ბანზე ვუგდებდი სიტყვას, რადგან მართლა არ ვჩქარობდი დაქორწინებას, მხოლოდ გართობაზე ვფიქრობდი...

ლიას ბავშვობიდან ვიცნობდი, ბიძაჩვენის მეზობელი იყო, ჩემზე ორი წლით უმცროსი. უცებ ვერც ვიცანი, ისე დამშვენებულ-დაქალებულიყო, მაგრამ ჩემს შესაფერად მაინც არ მიმიჩნევია. ცოლად მისი მომყვანი არ ვიყავი, მაგრამ როდესაც არშიყი დამიწყო — ბავშვობიდან მიყვარდიო, — მეც ავყევი და ერთმანეთის დევნა-წაქეზებამ ის დაგვმართა, რომ ერთ საწოლშიც აღმოვჩნდით...

რა თქმა უნდა, სოფლიდან წამოსვლისას დავპირდი, ხშირად მოგინახულებ და საბოლოოდ ცოლადაც შეგირთავმეთქი...

მართლაც ხშირად ჩავდიოდი მის სანახავად, ქალაქში ჩამოსულსაც ვმასპინძლობდი. ერთ მშვენიერ დღეს რომ გამომიცხადა, — დროა, ქორწილზე ვიფიქროთ, ფეხმძიმედ ვარო, ელდა მეცა, არც ლია მინდოდა და არც მისი შვილი, დავკარი ფეხი და რუსეთში გავიქეცი, საიდანაც კარგა ხანია მითვლიდა ჩემი მეგობარი, — ჩამოდი და ფულს გაშოვნინებ, შენისთანა ოქროსხელება კაცზე დიდი მოთხოვნილებააო. ისე წავედი, გიასთვისაც არ გამიმხელია გაქცევის ნამდვილი მიზეზი. არადა სულ გულისხეთქვით ვრეკავდი ხოლმე ძმასთან — აი, ახლა მეტყვის, ლიას ახლობლები მოსაკლავად გეძებენ და აი ახლა-მეთქი. მაგრამ დრო გადიოდა, თვეებს წლები მიჰყვა და თავი დავიმშვიდე — როგორც ჩანს, შეშინებულმა ლიამ ვერ გაამხილა შერცხვენა, აბორტი გაიკეთა და ამით დამთავრდა ყველაფერი-მეთქი.

რუსი ქალი შევირთე ცოლად, ორი გოგონაც გაგვიჩნდა და ისე აეწყო საქმე, საქართველოში ჩამოსვლაზე აღარც მიფიქრია...

შარშან ძმამ შემატყობინა: — ცოლს ვირთავ. ვიცი, ძალიან გაგიხარდება, მით უმეტეს, რომ მას შენც იცნობ. სულ აქებდი, კარგი გოგოაო. ოღონდ ვინ არის, არ გეტყვი. რომ ჩამოხვალ, გაიხარებო.

ვისზე არ ვიფიქრე, რომელი ნაცნობი არ გავიხსენე, მაგრამ ლია რატომღაც ერთხელაც არ გამხსენებია, არადა საჩუქრებით ხელდამშვენებული რომ მივადექი მშობლიურ სახლს, კარი სწორედ ლიამ გამიღო და დიდი ამბით შემიპატიჟა: — მობრძანდი, ძვირფასო მაზლოო... მიწა გამხეთქოდა, მერჩივნა, მინდოდა ყელში ვწვდომოდი ამ თვალთმაქც ქალს, მაგრამ ბედნიერებით სახეგაბრწყინებული გია ვეღარ გავიმეტე და თავი შევიკავე...

ლია ჯანდაბას, მაგრამ გიამ წინ 15 წლის ბიჭი დამიყენა: აი, ეს კი ჩვენი შვილია, თანაც შენი სახელი — ლევანი ჰქვიაო!..

მაშინვე მივხვდი, რომ ლიას აბორტი არ გაეკეთებინა, ბავშვი გაეჩინა და ახლა ჩემი სისხლი და ხორცი მედგა წინ, ჩემი, და არა გიას შვილი... გადავეხვიე და... ავტირდი!.. გიას ეგონა, სიხარული მატირებდა, მე კი — სინანული და ბოღმა მახრჩობდა...

სუფრა გაიშალა, დავლიეთ.

გიამ ლიას ამბავი მითხრა, — არ ამხელს იმ არაკაცის სახელს, რომელიც სიგიჟემდე ჰყვარებია და ვისგანაც დაფეხმძიმებულა. იმას კი მიუტოვებია და გადაკარგულა. ახლობლებს შავ დღეში ჩაუგდიათ, აბორტს აძალებდნენ, მერე ბავშვის წართმევა და გაშვილება დაუპირებიათ. ვერ დაითანხმეს თურმე — ბავშვი კიდევაც გააჩინა და კიდევაც გაზარდა, კაცისკენ არ გაუხედავს, მთელი სოფელი მის პატიოსნებასა და კარგ ქალობაზე ლაპარაკობს, მეც შემიყვარდა და თუმცა თავიდან უარობდა, მერე დამთანხმდა: ბიჭი მეზრდება, რომელსაც მამა სჭირდებაო... სამი თვეა ერთადა ვართ და თავი სიზმარში მგონია — ლია ხომ ანგელოზია და ლევანიც ნაწატრი შვილია, ამათი ფასი რომ ვერ გაიგო, მე იმ კაცის დედაც და კეთილებიცო, — შეუკურთხა მამაპაპურად და ლუკმა გადამცდა სასულეში, კინაღამ დამახრჩო...

ხმა ვერ ამოვიღე. ლიაც დუმდა და ვითომც არაფერი, ისე იქცეოდა. ეჭვიც კი შემეპარა, რომ მართლა ის ქალი იყო, წლების წინ რომ მივატოვე ფეხმძიმე და შეურაცხყოფილი...

თუ შურისძიებისთვის გაჰყვა ჩემს ძმას, ნამდვილად გაიმარჯვა, დანაც რომ ჩაერტყა გულში, ასე ვერ გამანადგურებდა... მივდივარ ისევ რუსეთში და ახლა უკვე სამუდამოდ, რადგან უკან დასაბრუნებელი ყველა გზა საკუთარი ხელით მოვიჭერი...

...ვუსმენდი ლევანის აღსარებას და არ ვიცოდი, რა მეთქვა. წამომცდა — რაც მოგივა, დავითა-მეთქი, და სანამ მოვუბოდიშებდი, დამეთანხმა — ახია, ჩემზეო!..

**გვერდი მოამზადა**
**ინგა ჯაყელმა**

# „ორიფლეიმი“ — „TIME PREVENT“ — იარაღი სიბერის წინააღმდეგ



შეუძლებელია იმის დადგენა, რა მიზანი ამოძრავებდა შვედ ძმებს, იონას და რობერტ აფ იოკნიკებს და ბენგტ ჰელსტენს, როდესაც 1967 წელს კოსმეტიკური კომპანია „ორიფლეიმი“ დააარსეს. საეჭვოა, მათი შთაგონების მიზეზი შვედი ქალების სილამაზეზე ზრუნვა ყოფილიყო, ვიდრე შემოსავლიან საქმეზე ფიქრი. ასეა თუ ისე, „ორიფლეიმის“. პროდუქციის გაყიდვების მოცულობამ 2000 წელს 500 მლნ გირვანქა სტერლინგს მიაღწია. „ორიფლეიმი“ მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი. ლაბორატორიები ნაყოფიერად მუშაობენ 4 ძირითად სფეროში: სახისა და სხეულის კანის მოვლა, დეკორატიული კოსმეტიკა, სუნამოები. ქართველი მომხმარებლებისთვის „ორიფლეიმმა“, ოფიციალურად, 2000 წლის ნოემბერში შეაღო თავისი სერვისული ცენტრის კარი. იგი საქართველოში პირდაპირი გაყიდვების საწარმოებლად შემოვიდა და პირველი (და ჯერჯერობით ერთადერთი) ქსელური მარკეტინგის კოსმეტიკური კომპანია გახდა. „ორიფლეიმმა“ 2004 წლის 9 დეკემბერს ქართველ ქალებს სიურპრიზი გაუკეთა და ახალი პროდუქციის „TIME PREVENT“-ის პომპეზური პრეზენტაცია მოაწყო სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, სადაც კომპანიის რეგიონულ მენეჯერს საქართველო-სომხეთში **ლევან ბოკუჩავას** ვესაუბრეთ:

*— „ორიფლეიმი“ უკვე მეოთხე წელია, ქართულ ბაზარზე შემოვიდა, რამდენად კმაყოფილი ხართ მომხმარებლის რაოდენობით?*

— სტატისტიკურ მონაცემებს გაგაცნობთ, ალბათ, ეს უფრო დამაჯერებელი იქნება. პროდუქციის რეალიზაციას ჩვენი დისტრიბუტორ-კონსულტანტების მეშვეობით ვახდენთ; ანუ პროდუქციას ოფიციალურად არ ვყიდით მაღაზიებში. ოთხი წლის წინ მთელს საქართველოში 100-150 დისტრიბუტორი-კონსულტანტი გვყავდა, დღეს კი 6500 გვყავს. მათი რიცხვი ყოველდღე იზრდება, როგორც საქართველოში, ისე სომხეთში.

*— საქართველოში ბევრი მსოფლიოში ცნობილი კოსმეტიკური კომპანია ყიდის თავის პროდუქციას. „ორიფლეიმი“ რითი უწევს მათ კონკურენციას?*

09.00 მუსიკა 09.30 სათავგად. ფილმი „განძეულობა" 11.30 მუსიკა 11.40 „ქიტა-ქიტა" 11.50 „ფერისცვალება" 12.00 „ექსკლუზივი" 12.45 კომედია „დიდი არდადეგები" 14.10 დოკ. ფილმი 14.20 მხ. ფილმი „სასიკვდილო გაბედვა" 16.00 მულტფილმი 17.30, 20.30 საინფორმაციო გამოშვება 17.45 მხ. ფილმი „უკილობა" 19.45 დოკ. ფილმი 21.00 ღამის კინოკლუბი 23.30 მელოდრამა „სილვია"

06.00, 10.00, 12.00 Новости. 06.10 Мультсериал "Кошки-мышки". 06.40 Анастасия Вертинская в фильме "АЛЫЕ ПАРУСА" 08.20 Армейский магазин. 08.50 Дисней-клуб: "Команда Гуффи". 09.10 "В мире животных" 10.10 "Непутевые заметки" 10.30 Пока все дома. 11.10 Кремль-9. "Гараж особого назначения". 12.10 Живая природа. "Правда о слонах". 13:00 Сильвестр Сталлоне в комедии "ОСКАР" 15.00 Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". 15.30 Александр Абдулов в комедии "ЖЕЛТЫЙ КАРЛИК" 17.30 Воскресный "Ералаш". 18.00 Времена. 19.00 ГРУППА "ЛЮБЭ" И ДРУГИЕ В ПРАЗДНИЧНОМ КОНЦЕРТЕ. 21.00 Время. 21.45 Брюс Уиллис в боевике "КРЕПКИЙ ОРЕШЕК: ВОЗМЕЗДИЕ". 00.10 Бокс. Крис Берд - Джамиль МакКлайн. 01.10 Суперчеловек. "Мужчина и женщина". Фильм 2-й. 02.10 Европейский хоккейный тур. Кубок РОСНО. Сб. России - сб. Чехии. 03.30 Стив Гаттенберг в комедии "ПЛОХАЯ МЕДИЦИНА" 05.10 "Брачные игры животных". Часть 4-я.

*ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"*

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს



*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**— ახალგაზრდა ქალი ვარ. ბოლო ხანებში მეტისმეტად მომიდუნდა კუნთები და მთელი სხეული. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს და რომელ ექიმს მივმართო?**

***თქვენი მკითხველი***

საინტერესოა, მხოლოდ კუნთების მოდუნება გაწუხებთ თუ სხვა სიმპტომებიც აღგენიშნებათ? მართლაც დაქვეითებულია კუნთების ტონუსი, თუ ასეთი შეგრძნება საერთო სისუსტისა და შრომისუნარიანობის დაქვეითების ფონზე გაქვთ — ამგვარი სიმპტომები ხომ ყველა ქრონიკულ დაავადებას სდევს თან და დიაგნოზის დასაზუსტებლად ზოგადი გამოკვლევა დაგჭირდებათ.

კუნთების ტონუსის დაქვეითება შეიძლება კალციუმის ცვლის დარღვევასთან და ნევროლოგიურ დაავადებასთან (პოლინეიროპათია, პოლინევრიტი) იყოს დაკავშირებული. ამ პათოლოგიების დიაგნოსტირებისთვის კი ენდოკრინოლოგისა და ნევროლოგის კონსულტაცია დაგჭირდებათ.

**ჩემს ქალიშვილს დაეწყო კლიმაქსი — ძალიან გაწვალებულია. გთხოვთ განმიმარტოთ, რა არის კლიმაქსი, როდის იწყება და რამდენ ხანს გრძელდება ქალებში. რა ძირითადი ცვლილებები აღინიშნება ორგანიზმში. რით ვუმკურნალოთ და რომელ ექიმს მივმართოთ. თუ არსებობს წამალი დამამშვიდებლების გარდა?**

***პატივისცემით, ოლიკო ლ.***

კლიმაქსი ორგანიზმში მკვეთრი ასაკობრივი ცვლილებების განვითარებით ხასიათდება. იგი, ჩვეულებრივ, 45-55 წლის ასაკში იწყება და 8-10 წელი გრძელდება ხოლმე. ქალებში ამ დროს წყდება მენსტრუაცია და თანდათანობით ქრება რეპროდუქციული ფუნქცია. კლიმაქსის გამოვლინებები განპირობებულია ქალური სასქესო ჰორმონების მაპროდუცირებელი საკვერცხეების ფუნქციის დაქვეითებით. რადგანაც ჰორმონები ყველა ორგანოსა და სისტემაზე ახდენს გავლენას, მათი უკმარისობაც სხვადასხვაგვარად ვლინდება. ქალების უმრავლესობას უვითარდება წამოხურების შეგრძნება (ე.წ. ალები), ეწყება გაძლიერებული ოფლიანობა, არტერიული წნევის ცვალებადობა, თავის ტკივილი, დეპრესია, გაღიზიანებადობა, ძილის დარღვევა და სხვა ნიშნები.

კლიმაქსური სინდრომის მკურნალობა გულისხმობს რაციონალური ჰიგიენური რეჟიმის დაცვას. კვების რაციონი მდიდარი უნდა იყოს ვიტამინებით — რეკომენდებულია დიდი რაოდენობით ხილის, ბოსტნეულისა და კენკროვანების მიღება. მედიკამენტებიდან გამოიყენება ნეიროლეპტიკური საშუალებები.

კლიმაქსის ავადმყოფური გამოვლინებების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპია, ანუ ინიშნება ქალური სასქესო ჰორმონების პრეპარატები, რომლებსაც ექიმი არჩევს კლიმაქსის ფაზისა და გამოვლინებების შესაბამისად.

კლიმაქსურ პერიოდში კონსულტაციისთვის გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგს უნდა მიმართოთ.

**გთხოვთ მიპასუხოთ, იკურნება თუ არა ვიტილიგო?**

***თქვენი ერთგული მკითხველი ნანა ვ.***

ვიტილიგო — კანის თეთრი ლაქები (კანში პიგმენტის შემცირების ან სრული გაქრობის გამო) ბოლო დროს გახშირებულია. სამწუხაროდ, მისი გამომწვევი ზუსტი მიზეზი დღეისათვის უცნობია. ვარაუდობენ, რომ არსებობს გარკვეული კავშირი ღვიძლის ფუნქციების დარღვევასა და ვიტილიგოს შორის. სადღეისოდ არსებობს რამდენიმე ძვირად ღირებული ჰორმონული პრეპარატი ვიტილიგოს სამკურნალოდ. თუმცა, რადიკალური მკურნალობის მეთოდი ჯერჯერობით არ გვაქვს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## შაკიკი სამი სახისაა!



შაკიკი თავის ტკივილის ერთ-ერთი სახეა, ექიმების აზრით ეს მტანჯველი ტკივილი უმეტესად ქალებისთვის არის დამახასიათებელი, გარდა ამისა, ის გადაეცემა მემკვიდრეობით და ემტერება ალერგიულებსა და იმუნიტეტდაქვეითებულ ადამიანებს.

შაკიკი სამი სახისაა: ჩვეულებრივი, კლასიკური და პანიკური.

**ჩვეულებრივი შაკიკის** ნიშნებია: პულსირებადი (მფეთქავი) ტკივილი, რომელიც თავს იჩენს ხოლმე კვირაში ერთხელ. თუ ამ ტკივილს წინ უსწრებს ჩხვლეტა, სახსრების მოდუნება და საერთო სისუსტე, ნაწილობრივ მეტყველების მოშლა, მხედველობის დაქვეითება, ე.ი. თქვენ **კლასიკური** ანუ „აურით" გამოწვეული შაკიკი გაქვთ. აურა გრძელდება არა უმეტეს 20 წუთისა, შემდეგ კი გეწყებათ თავის მძაფრი ტკივილი.

**პანიკური შაკიკის** მთავარი მიზეზია შიში, რის ფონზეც ვითარდება ტაქიკარდია და მაღლა იწევს წნევა. როგორც კი თავის ტკივილი გაივლის, წნევაც ნორმალური ხდება და ადამიანი მშვიდდება. შაკიკმა რომ ხშირად არ შეგახსენოთ თავი, საჭიროა გაითვალისწინოთ სპეციალისტების რჩევები:

**1.** გამოიძინეთ, რადგან უძილობა (ქრონიკული) იწვევს შაკიკს;

**2.** თუ ვინმემ გაწყენინათ ან გაბრაზდით, ან აღელდით, თავს ნუ შეიკავებთ და „გარეთ" გამოუშვით სიბრაზე: იყვირეთ, იხტუნავეთ, იქნიეთ ხელები და ბოლოს — ივარჯიშეთ;

**3.** ვისაც ხშირად გაწუხებთ შაკიკი, რაციონიდან გამორიცხეთ: ყველი, ყავა, კოკა-კოლა, წითელი ღვინო და შამპანური;

**4.** თავის ტკივილი შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერმა სუნმა და კაშკაშა, მკვეთრმა განათებამ;

**5.** მიიღეთ, მაგრამ ზომიერად, ძარღვების გასაფართოებელი წამლები, როგორიცაა ნოშპა და ნიტროგლიცერინი;

**6.** თავი აარიდეთ სტრესებსა და გადაღლილობას, რადგან ნებისმიერ შეთხვევაში პირველ დარტყმას იღებს თავის ტვინი;

**7.** მაგნიტური ქარიშხლისა და ატმოსფერული წნევის ძლიერი მერყეობით გამოწვეული, ან ზოგიერთ ქალში მენსტრუაციულ ციკლთან დაკავშირებული და საერთოდ, ყველა სახის თავის ტკივილის დროს — შეიძლება მიიღოთ გამაყუჩებელი აბები: პარაცეტამოლი, ციტრამონი, სედალგინი, პენტალგინი, კოფიტამინი;

**8.** მძიმე, აუტანელი თავის ტკივილის დროს გირჩევთ: დაწექით განიავებულ, ბნელ ოთახში, დამშვიდდით, შეეცადეთ დაიძინოთ...

***ლიზა***

## კარკასი უჯრედებისთვის

გამოგონილია საშუალება, რომლის დახმარებითაც შეიძლება ზურგისა და თავის ტვინის უჯრედების აღდგენა. ქიმიური ნაერთი, კოდი-16-ის სახელწოდებით, აჩქარებს უჯრედების ზრდას. ზრდის დასრულების შემდეგ ეს ნივთიერება გაიწოვება და ტოვებს მზა ნერვს. როგორც ვარაუდობენ, კოდი 16-ის დახმარებით შეიძლება ტრავმის შედეგად დაზიანებული ნერვული გზის მთლიანობის აღდგენა.

## პიგმენტი ლიკოპენი უტევს...

ტომატი, ვარდისფერი გრეიპფრუტი, ზოგი ჯიშის ნესვი შეიცავს წითელ პიგმენტს — ლიკოპენს. ამ კაროტინოიდს შეუძლია შეუტიოს კიბოს უჯრედებს ერთდროულად ორ ფლანგზე, შეამციროს წინამდებარე ჯირკვლის ადენომის რისკი.

***ჟენსკიე სეკრეტი***



## პროფესიონალები გვირჩევენ

***თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფთიზიატრიისა და პულმონოლოგიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლამარა ბაშაძე***

მწვავე რესპირაციული დაავადებები ზამთრის სეზონის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პათოლოგიაა. ისინი გვხვდება ყველა ასაკობრივ ჯგუფში, მაგრამ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ბავშვებისთვის, ხანდაზმულებისთვის და იმ პირთათვის, რომელთაც სხვადასხვა ქრონიკული დაავადება აღენიშნებათ. ამ კონტინგენტში ხშირია რესპირაციული დაავადებების გართულებული მიმდინარეობა და მძიმე პროგნოზი. ამდენად, დიდი მნიშვნელობა აქვს მათი პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდების სრულყოფას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პრეპარატი ირს-19, რომლის ეფექტურობის შესახებაც არაერთხელ თქმულა.

მიუხედავად იმისა, რომ ლორწოვან გარსებს საკმაოდ სრულყოფილი დაცვითი მექანიზმები გააჩნია, ვირუსები და ბაქტერიები ხშირ შემთხვევაში წარმატებით ლახავენ ყველა ბარიერს და აღწევენ ორგანიზმის შიდა არეში, რასაც დაავადების განვითარება მოჰყვება. ამას ხელს უწყობს ზოგიერთი გარეგანი და შინაგანი ფაქტორი. გარეგანი ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია გარემო პირობები — დაბალი ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერში არსებული მავნე ნივთიერებები, რომლებიც აზიანებს ზემო სასუნთქი გზების ლორწოვანს და თრგუნავს მის დაცვით მექანიზმებს. შინაგანი ფაქტორებიდან ადგილობრივ დაცვით მექანიზმს თრგუნავს თავად ლორწოვანის ქრონიკული, მორეციდივე ანთებითი პროცესები, რომელთა შედეგად წარმოქმნილ ნაწიბურებშიც ლორწო გუბდება და შემდგომ ინფიცირებას იწვევს. პარალელურად ხდება დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების ადაპტაცია ორგანიზმის დაცვით მექანიზმებთან.

ლორწოვანი გარსების ადგილობრივი დაცვითი მექანიზმები ვირუსული და ბაქტერიული პათოგენური აგენტების ერთდროული შეტევისას სერიოზულად ირღვევა. როგორც წესი, დაავადება იწყება ლორწოვანზე ვირუსების — გრიპის, პარაგრიპის, ადენო და კორონავირუსების — შეტევით, რომლებიც ლორწოვანს აზიანებენ და მასზე ბაქტერიების შემდგომ გამრავლებას განაპირობებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვითარდება ბაქტერიული სუპერინფექცია. ასეთ პირობებში ორგანიზმს ორ ფრონტზე უწევს ბრძოლა: ცალკე ვირუსებისა და ცალკე ბაქტერიების წინააღმდეგ, რაც მეტად რთულია და საბოლოოდ დაცვის ორივე მექანიზმის შეფერხებას იწვევს.




ამ მდგომარეობიდან გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს იმუნური პასუხის რომელიმე ერთი — ანტივირუსული ან ანტიმიკრობული — ფორმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით, რაც რამდენიმე გზით ხორციელდება. პირველი (ყველაზე გავრცელებული და აპრობირებული) გზაა ანტიბიოტიკების გამოყენება. ისინი ბაქტერიულ ფლორას თრგუნავს და იმუნურ სისტემას საშუალებას აძლევს, სწრაფად დაასრულოს ანტივირუსული პასუხი და ანტიბაქტერიულზე გადაერთოს. მაგრამ ანტიბიოტიკების ხშირ და უსისტემო გამოყენებას მრავალი არასასურველი გვერდითი მოვლენა ახლავს თან, რაც ამ მიდგომის ღირებულებას ამცირებს.

პრინციპულად განსხვავებული მიდგომაა ბაქტერიული ლიზატების გამოყენება. ისინი უზრუნველყოფს ანტიბაქტერიული იმუნური პასუხის წარმატებით დაგვირგვინებას და მყარი იმუნური მეხსიერების ფორმირებას, რასაც პროფილაქტიკური მნიშვნელობაც აქვს. ადგილობრივი მოქმედების ბაქტერიული ლიზატები მოქმედებს უშუალოდ ინფექციის შეჭრის ადგილზე — ზემო სასუნთქი გზების ლორწოვანზე.

სწორედ ბაქტერიული ლიზატების წარმატებული გამოყენების მაგალითია იმუნომოდულატორული რესპირატორული სპრეი ირს-19. ეს არის ადგილობრივი იმუნომოდულატორი ვაქცინის თვისებით, რომელშიც ზემო სასუნთქი გზების დაავადებათა გამომწვევი 19 მიკრობის ლიზატი შედის. ირს-19 უზრუნველყოფს რინიტების, სინუსიტების, ოტიტების, ლარინგიტების, ტრაქეიტების, ფარინგიტების, ტონზილიტებისა და ბრონქიტების ეფექტურ პროფილაქტიკასა და მკურნალობას ბავშვებსა და მოზრდილებში. პრეპარატის სამკურნალო ეფექტი რეალიზდება ადგილობრივი დაცვითი მექანიზმების არასპეციფიკური ფაქტორების აქტივირების გზით და იწყება პრეპარატის გამოყენებიდან 1 საათის შემდეგ, ხოლო პროფილაქტიკურ ეფექტს განაპირობებს სპეციფიკური ანტისხეულების გამომუშავება, რომელიც მეორე-მეოთხე დღეს იწყება და 3-4 თვე გრძელდება.

ირს-19 ეფექტურია ზედა სასუნთქი გზების ქრონიკული მორეციდივე ანთებითი პროცესების დროს (ამცირებს მათი გამწვავებების სიხშირეს) და ზამთრის პერიოდის ინფექციების პროფილაქტიკისთვის.

**პრეპარატის გამოყენება მეტად იოლია, ვინაიდან შესხურება ხდება ცხვირიდან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ირს-19-ის გამოყენება და ანტიგრიპოზული ვაქცინაციის ჩატარება ერთდროულად შეიძლება. ამას გარდა, პრეპარატი შეიძლება გამოვიყენოთ ანტიბიოტიკებთან, კორტიკოსტეროიდებთან და ლორწოვანის შეშუპების მოსახსნელ პრეპარატებთან ერთად. ირს-19-ის ეფექტურობა დადასტურებულია მთელი რიგი გამოკვლევებით და ჩვენი მონაცემებით, რაც საშუალებას გვაძლევს, რეკომენდაცია გავუწიოთ აღნიშნულ პრეპარატს.**

R

**საჭიროა მხოლოდ სწორი არჩევანი!**

ეროვნულ ნიადაგზე შექმნილი პრეპარატი დარჩიას მალამო, რომელსაც დიდი მომავალი 50-იანი წლების ცნობილმა პროფესორ-მასწავლებლებმა უწინასწარმეტყველეს, ახლაც სასწაულებს ახდენს.

**საკმარისია აფთიაქებში იკითხოთ**

**თ ი დ ა ზ ი ნ ი**

და თქვენი სწრაფი და ეფექტური განკურნება გარანტირებულია.
გამოიყენება ნებისმიერი სახის დამწვრობისა და ჭრილობის, საშვილოსნოს ყელის ეროზიის, ჰემორაიდული კვანძების (ბუასილის), მასტიტის სამკურნალოდ.
მალამოს, აპრობაციის პერიოდში, კიდევ ბევრი კარგი თვისება აღმოაჩნდა, მაგრამ ამაზე მოგვიანებით.

სერტიფიცირებულია



**ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება:**

სქოლიოზი, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტები, კიფოზი, ნევროზი, შიშები, შაკიკი, პოსტ-ინსულტური დამბლა, არითმია, ტკივილები გულის არეში, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t=37,2°C), სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება.





კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა.
მის: მ. „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18
ანატოლი შავიძე ☎ 61-65-03; 893-20-68-21



იმუნოთერაპიის და ქიმიოთერაპიის კლინიკაში „მედულა" პროფესორ **გია ციხისელის** ხელმძღვანელობით **მიმდინარეობს საერთაშორისო კლინიკური კვლევა** – სარძევე ჯირკვლის სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა ქიმიოთერაპიული მკურნალობა. შერჩეულ პაციენტთა მკურნალობა უფასოა.

მის: ჭავჭავაძის 33, მე-9 საავადმყოფოს ტერიტორია
☎ 22-57-16








**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**

სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე;

ხუთშაბათობით კონსულტაციები უფასოა

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


# კოლიტი და მასთან დაკავშირებული პრობლემები...

**გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია კოლიტის განვითარებისა და მკურნალობის შესახებ.**

*ლ. კვერნაძე*

კოლიტი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა, ის მსხვილი ნაწლავის ანთებაა. კოლიტით შეიძლება ნებისმიერი ასაკის ადამიანი დაავადდეს.

პათოლოგიური პროცესი ძირითადად ლორწოვანი გარსით ისაზღვრება და არ იწვევს ნაწლავის უფრო ღრმა მორფოლოგიურ დაზიანებას.

**მწვავე კოლიტი:** მიმდინარეობის მიხედვით არჩევენ მწვავე და ქრონიკულ კოლიტს.

არსებობს მწვავე კოლიტის რამდენიმე გამომწვევი ფაქტორი. მაგ., დიზენტერია, ამებიაზი და სხვა. ის თან სდევს სტაფილოკოკურ, სტრეპტოკოკურ, კვებით დარღვევებს, ასევე ზოგად ინფექციებს: ტიფს, პარატიფს, წითელას, გრიპს, პნევმონიას.

კოლიტი ვითარდება როგორც მსხვილ ნაწლავში ინფექციის მოხვედრის, ასევე ლორწოვან გარსზე და ნერვულ რეცეპტორებზე ტოქსინების მოქმედების შედეგად. დაავადების განვითარებაში გადამწყვეტია ორგანიზმის მდგომარეობა. კერძოდ, იმუნური დარღვევები, დაავადებული კუჭი, პანკრეასი და ღვიძლი, აგრეთვე, დისბაქტერიოზი (ნაწლავის ნორმალური მიკროფლორის შეცვლა) ხელს უწყობს მსხვილი ნაწლავის ანთებას.

**დამახასიათებელი ნიშნები**: დაავადება იწყება მწვავედ. ადამიანს აწუხებს მუცელში მოვლითი ხასიათის ტკივილი. მას თან სდევს ყურყური, თხევადი შიგთავსის მოძრაობის შეგრძნება, შებერილობა, გულისრევა. ნაწლავთა მოქმედება — დღეში 10-20-ჯერ, დასაწყისში განავალი თხელია, მოჰყვება ლორწო, შემდეგ — ალისფერი, სისხლის მინარევით. ავადმყოფს აქვს გარეთ გასვლის მოჩვენებითი სურვილი. მატულობს სხეულის ტემპერატურა, საერთო სისუსტე და უმადობა.

**სიმძიმის მიხედვით**: მსუბუქი ფორმისას გამოჯანმრთელება იწყება 3-5 დღის შემდეგ, საშუალო ფორმა — 15 დღემდე გრძელდება, დამახასიათებელია ტემპერატურის მატება. მძიმე ფორმის დროს ვითარდება — ორგანიზმის ინტოქსიკაცია და გაუწყლოება. იწყება წვივის კუნთების ტკივილი, სისხლძარღვთა უკმარისობა, კიდურთა კრუნჩხვები. დაავადება შეიძლება გართულდეს მსხვილი ნაწლავის დაზიანებული ნაწილის დაჩირქებით, თირკმლების, ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების ანთებით.

**დიაგნოსტიკა**: ემყარება დაავადების კლინიკურ ნიშნებს, ბაქტერიოლოგიურ და სხვა ლაბორატორიულ გამოკვლევებს. ენა თეთრია, მუცელი — შებერილი და დაჭიმული. სისხლში მომატებულია ლეიკოციტები. განავლის ბაქტერიოლოგიური ანალიზით შეიძლება ამოითესოს სხვადასხვა მიკროორგანიზმი.

**მკურნალობა**: პაციენტს უტარდება ანტიბაქტერიული თერაპია, ასევე კეთდება ხსნარების, ვიტამინების და სხვა გადასხმა.

ორგანიზმის მოსამაგრებლად ტარდება მკურნალობა სითხის, ელექტროლიტებისა და მიკროელემენტების შესავსებად. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვებას. რეკომენდებულია დიდი რაოდენობით წყალი, ჩაი, ბოსტნეულის წვენი, ფაფები, ხაჭო, მაწონი, მოხარშული ხორცი და თევზი.

**ქრონიკული კოლიტი**: გამომწვევი მიზეზების მიხედვით კოლიტი რამდენიმე სახისაა: ინფექციური, პარაზიტული, ჰელმინდური და ტოქსიკური.

მის განვითარებას ხელს უწყობს კვება უხეში, ნახშირწყლებით მდიდარი პროდუქტებით, ცილის, ვიტამინების დეფიციტი, ცუდი ღეჭვა, საფაღარათო საშუალებისა და ოყნის ხშირი ხმარება.

განვითარების მექანიზმში მთავარ როლს თამაშობს ნერვული სისტემის ფუნქციათა მოშლა, რომელიც არღვევს ნაწლავების ნორმალურ მოქმედებას. მათ შორის აღსანიშნავია ქრონიკული ფსიქიკური გადაძაბვა და სტრესი. მათი გავლენით იცვლება ნაწლავის კედლის რეცეპტორების მგრძნობელობა, რაც იწვევს ტკივილისა და ნაწლავის მოტორულ-ევაკუაციური ფუნქციის დარღვევას, მოგვიანებით კი — ქრონიკული პროცესის განვითარებას.

**ნიშნები**: ქრონიკული კოლიტისათვის დამახასიათებელია გამწვავებებითა და რემისიის (დაავადების დროებითი მიწყნარების) პერიოდები.

გამწვავების პერიოდი იწყება მუცლის არეში ტკივილით, რომელიც მსუბუქდება დეფეკაციის შემდეგ. ირღვევა კუჭის მოქმედება: ფაღარათი, ყაბზობა; განავალი თავიდან თხელია, ფაფისებური, ზოგჯერ სისხლიანი და ჩირქიანი. ზოგჯერ ავადმყოფი აგრესიულია, დეპრესიული, აქვს აკვიატებული აზრები.

ქრონიკულ კოლიტს ახასიათებს დეფეკაციის თავისებურებები. ზოგს ამის სურვილი უჩნდება ფეხზე ადგომისთანავე, ზოგჯერ იგი საჭმლის მიღებას უკავშირდება. ხშირია სიცივესთან დაკავშირებული ფაღარათი, ემოციური ფაღარათი.

პაციენტები უჩივიან გულის ფრიალს, თავის დამძიმებას, ტკივილს, უძილობას, ადვილად დაღლას, შრომის უნარის დაქვეითებას.

**დიაგნოსტიკა**: დიაგნოზი ისმება ენდოსკოპიური გამოკვლევისას, ბიოფსიით, რათა გამოირიცხოს ნაწლავთა სხვა პათოლოგიები. რენტგენოლოგიურად იკვლევენ, შეინიშნება თუ არა მსხვილი ნაწლავის დისკინეზია — მოძრაობის მოშლა, ნაწლავთა სპაზმი. უნდა დადგინდეს, რა მიზეზით არის გამოწვეული ნაწლავის ანთებითი ცვლილებები.

განავლის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა რამდენჯერმე უნდა ჩატარდეს. ვინაიდან იგი ნაკლებინფორმაციულია, უმჯობესია სეროლოგიური (სისხლში ანტიგენების აღმოჩენა) მეთოდის გამოყენება.

**მკურნალობა ტარდება შემდეგი პრინციპით**: ფსიქოემოციურ ფაქტორებზე მოქმედება, დაბალანსებული რაციონალური მკურნალობა, ფიზიკური აქტიურობის გაზრდა. უნდა გამოირიცხოს ჭარბი სამკურნალო საშუალებები, გამწმენდი ოყნა და საფაღარათო მედიკამენტები. გამწმენდი ოყნა მექანიკურად აღიზიანებს მსხვილი ნაწლავის რეცეპტორებს, რაც ზრდის



ნაწლავის შიდა წნევას, იწვევს სპაზმს და ტკივილს.

ტარდება სიმპტომატური მკურნალობა ტკივილის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რეგულარული მუშაობისა და შიგთავსის გადაადგილების მოსაწესრიგებლად.

ასევე ინიშნება ფსიქოტროპული საშუალებები, ვიტამინები. სიფრთხილეა საჭირო ანტიბიოტიკების მიღებისას, ვინაიდან შეცდომით მიღებულმა ანტიბიოტიკმა შესაძლოა სავალალო შედეგი გამოიწვიოს. ხშირად ისინი ხელს უწყობენ დისბაქტერიოზის ჩამოყალიბებას.

ასევე, მკურნალობის ძირითადი მეთოდია სამკურნალო კვება. გამწვავებისას ინიშნება ნაწლავების დამზოგველი დიეტა 5-7 დღე, გამოირიცხება კვერცხი, ცხარე საკვები, ხილი, ბოსტნეული, რძე. ნებადართულია ბულიონი, ორთქლზე მოხარშული კატლეტი, გუფთა, მოხარშული უცხიმო თევზი, კარაქი, ახალი ხაჭო. შემდეგ ბოსტნეული, მწვანილეული და ხილი.

**გართულებები**: ქრონიკული კოლიტი შესაძლოა გართულდეს. 1. წყლულების შეხორცების შედეგად ჩამოყალიბებული ნაწლავის სტენოზით (სანათურის შევიწროება); 2. ნაწლავის პერფორაციით (გახვრეტა), 3. პერიტონიტით (მუცლის ფარის ანთება); 4. პიელიტით (თირკმლის მენჯის ანთება); 5. აბსცესით (ნაწლავის შემოფარგლული დაჩირქება).

**პროფილაქტიკა**: ვისაც ხშირად აქვს ფაღარათი, უმჯობესია თავი აარიდოს ცივ სადილებს, ხოლო ყაბზობისადმი მიდრეკილებს ვურჩევთ, მიიღონ მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი საკვები: ხილი, ბოსტნეული, მოხარშული და დაქუცმაცებული სახით.

ეფექტიანია კურორტული მკურნალობა ბორჯომში, საირმესა და უწერაში, სადაც პროფილაქტიკის ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება — მინერალური წყლის ოყნებია.

*მაია მუხიგული*

# ზამთარში — 11 საათი უნდა ვიძინოთ

დათვები ძალიან ჭკვიანურად იქცევიან მთელ ზამთარს ძილში რომ ატარებენ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს ასეთი შესანიშნავი ტრადიცია არ გააჩნიათ, მათი ორგანიზმი ზამთარში მეტ დროს თხოულობს ძილისთვის. მრავალწლიანი დაკვირვების შემდეგ ექიმები და მეცნიერები ერთობლივ დასკვნამდე მივიდნენ: სრულფასოვანი დასვენების და იმუნიტეტის შესანარჩუნებლად ცივ თვეებში ძილის ხანგრძლივობა 2 სთ-ით მეტი უნდა იყოს, ვიდრე გაზაფხულზე და ზაფხულში. საშუალოდ ძილის აუცილებელი მინიმუმი 6-8 სთ შეადგენს, შესაბამისად ზამთარში საჭიროა 9-11 სთ. ძილი. მაგრამ იმისათვის, რომ მთლიანად აღვიდგინოთ ენერგია, ძილი უნდა იყოს არა მარტო ხანგრძლივი, არამედ ჯანმრთელიც. გახსოვდეთ, ძუნწი ორმაგად აგებს, ამიტომ შეიძინეთ მოხერხებული ორთოპედიული ლეიბები და ბალიშები, მსუბუქი, მაგრამ თბილი საბნები და მსუნთქავი ლოგინის თეთრეული. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ძილის წინ საძინებლის განიავება, ძლიერი ყინვის დროსაც რეკომენდებულია სარკმლის გაღება 5-10 წთ-ით მაინც. სპეციალისტები გვირჩევენ მოვრთოთ საწოლი ოთახი არომატული ბერგამოტით, სალბით, თავშავათი და სხვა ძილის მომგვრელი ბალახებით. ექიმები გვირჩევენ დავიძინოთ არა უგვიანეს 23 სთ-ისა და ბოლოს: სანამ ძილს მიეცემით, იფიქრეთ ან მოიგონეთ რაიმე სასიამოვნო, დამამშვიდებელი ამბები.

*ოტდოხნი*


**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**

შეიძინეთ 49 ლარად!!!



- აპარატები
- ტესტ-ჩხირები
- ერთჯერადი ნემსები
- ავტომატური საჩხვლეტი
- კარდიოლოგიური ფონენდოსკოპი



შპს „კონტრასტი"
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55



**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

პროფ. გუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ გააჩნია, პოტენციის დაქვეითებას, ქლამიდიოზს, ტრიქომოდულ და სხვა უროგენიტალიურ ინფექციებს. დიაგნოსტიკა, ექოსკოპია თანამედროვე იაპონური აპარატურით.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10
სამკ. პროფ. ცენტრი ☎ 8(93) 31 42 35

# პატიმარს პრეზიდენტობა სურს

მარვან ბარგჰოტის სანახავად ციხეში მისი ოჯახის წევრებს არ უშვებენ. პატიმარს მხოლოდ ადვოკატები ხვდებიან.

45 წლის პალესტინელს, ღაზის სექტორში 4 ებრაელისა და ბერძენი მღვდლის მკვლელობისთვის, ისრაელში სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. ბარგჰოტი, როგორც ისრაელის მხარე ამტკიცებს, ხელმძღვანელობს პალესტინელთა უკიდურესად რადიკალურ შეიარაღებულ ტერორისტულ ორგანიზაციას, „ალ აქსას მლოცველთა ბრიგადებს“.

იასირ არაფატის გარდაცვალების შემდეგ პალესტინის საზოგადოებაში გაჩნდა ერთგვარი ვაკუუმი, რომლის შევსებაც რომელიმე პოპულარულმა ლიდერმა უნდა შეძლოს. პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციამ ასეთ ადამიანად 69 წლის მაჰმუდ აბასი დაასახელა. ყველა თვლიდა, რომ არაფატის მემკვიდრედ სახელდებულ აბასს პრეზიდენტობაში ვერავინ შეეცილებოდა, მაგრამ მოულოდნელად გავრცელდა ხმა — შესაძლოა, ბარგჰოტმა საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოსო. საამისოდ იგი მოძრაობა „ფადჰის“ თანხმობას ელოდება, რომელმაც მისი კანდიდატურა ოფიციალურად უნდა დაასახელოს. მაგრამ საკითხავია, გაუშვებს კი ისრაელი ტერორისტს ციხიდან? ამაზე პატიმარს მარტივი პა-



სუხი აქვს — თუკი ისრაელი დაინახავს, რომ პალესტინელთა სრული მხრდაჭერა მაქვს, იძულებული იქნება, გამათავისუფლოსო.

თუ კაცი ისრაელის ციხეში „პალესტინისთვის სამართლიანი ბრძოლის“ სახელით ზის, პალესტინაში დიდ პატივად ითვლება. ასე რომ, შესაძლოა, სამშობლომ მართლაც მოინდომოს თავკაცად პოლიტიკურ პატიმრად შერაცხული ბარგჰოტი. ამასვე ვარაუდობენ ექსპერტებიც, რადგან აბასი „ციხეში ნაჯდომი“ არ არის, ის მხოლოდ „თეორეტიკოსი მებრძოლის“ სახელით არის ცნობილი და ამიტომ შანსიც ნაკლები აქვს.

თუკი ბარგჰოტმა გაიმარჯვა არჩევნებში და საპყრობილედან მაინც არ გამოუშვეს, ეს პალესტინის ისტორიაში გამონაკლისი არ იქნება.

თავად პალესტინელთა საყვარელი ლიდერი იასირ არაფატიც, დაახლოებით სამი წელი, რამალაში თავის შტაბბინაში, ფაქტობრივად, პატიმრობაში იმყოფებოდა (შენობა ისრაელის სამხედრო ქვედანაყოფებს ჰქონდათ ბლოკირებული) და ისე მართავდა ავტონომიას.

***ნიუ ზუიქ***

# დასავლეთთან დაპირისპირება რუსეთს კარგს არაფერს მოუტანს



**1946 წელს უინსტონ ჩერჩილის ნათქვამი — შეცინიდან (ბალტიისპირეთი) ტრიესტამდე (ადრიატიკა) კონტინენტზე რკინის ფარდა დაეშვაო — ცივი ომის დასაწყისად მიიჩნევა. დღეს ეს სიტყვები შემაშფოთებლად აქტუალურად ჟღერს. მხოლოდ გეოგრაფიული დასახელებაა სხვა. პოსტსაბჭოთა რუსეთი და დასავლეთი არასოდეს ყოფილან ურთიერთდაპირისპირებასთან ისე ახლოს, როგორც ახლა.**

ის, რაც ვლადიმირ პუტინს გულში უდევს, ხშირად კრემლის კულუარებშიც კი არავინ იცის. მაგრამ მისი ერთი თვისება არავისთვის საიდუმლო არ არის. პუტინისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იყოს მსოფლიო პოლიტიკის მამების თანასწორი, „დიდი რვიანის“ პატივსაცემი წევრი, ამიტომ არასდროს გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რაც იზოლაციაში მოაქცევს. როცა რუსეთის პრეზიდენტი იგრძნობს, ჯაგებო, როგორც წესი, უკან იხევს... უკრაინის წინაშეც უკან დაიხევს, კრემლი თითქმის მზადაა, შეეგუოს იუშჩენკოს გაპრეზიდენტებას.

არც ევროპისა და ამერიკის ლიდერებს აძლევს ხელს კრემლთან ურთიერთობის გაფუჭება. მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობას ძირითადად ორი საკითხი განსაზღვრავს: ერთობლივი ბრძოლა მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა. დასავლელი ლიბერალების აზრით, რაც არ უნდა ცუდად იქცეოდეს პუტინი, ამერიკელები მაინც ითათბირებენ მასთან ამ საკითხებზე. ამას ითხოვს ამერიკის ნაციონალური ინტერესები.

მოსკოვისა და ევროკავშირის ურთიერთობაში მთავარი — ეკონომიკა და ვიზების რეჟიმის გამარტივებაა. ევროკავშირი რუსეთს ეკონომიკურ ბლოკადას არ მოუწყობს — აქ ასაღებს თავის საქონელს; ვიზების საკითხი კი მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს აღელვებს. გამოდის, რომ სამთავრობო დონეზე ურთიერთობას დასავლეთთან არაფერი ემუქრება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკრაინის კრიზისი უკვალოდ ჩაივლის. დასავლელი ლიდერების მეგობრული ხელის ჩამორთმევა და ღიმილი ბევრს არაფერს ნიშნავს, რუსეთის ავტორიტეტი კატასტროფულად ეცემა.

უკრაინის ამბების შემდეგ რუსეთში მშვენიერი პირობები გაჩნდა „კუდიანებზე ნადირობისთვის“. კრემლის შეშფოთებული მოხელეები პუტინს უჩიჩინებენ — ოლიგარქების დაჩოქება უნდა გააგრძელოო. ამბობენ, რუსი მაგნატებიდან იუშჩენკოს მარტო ბერეზოვსკი არ ეხმარებოდაო. პუტინი ბოლო ხანს გაუთავებლად იმეორებს — რუსეთი ნაციონალურ საკითხებს მხოლოდ საზოგადოებრიობის კონსოლიდაციის გზით გადაჭრისო. ოლიგარქები კი პირიქით იქცევიან. ასე რომ, რუსეთში „კუდიანებზე ნადირობის“ დაწყებას არაფერი აკლია.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი***

# ერთი ტელევიზორი = 68 ჭიქას

იაპონიაში თითო გოჯ მიწას ოქროს ფასი აქვს. აქ ვერც ჯართის გროვას ნახავთ და ვერც დაბინძურებულ მდინარეებსა და ტბებს. თუმცა კი ყოველ წელიწადს ქვეყანაში 20 მლნ ტელევიზორი, სარეცხი მანქანა, მაცივარი ხდება გადასაყრელი, რაც დაახლოებით 70 ათასი ტონაა. ამას ემატება 500 მლნ ტონა წარმოების ნარჩენები.

85 წლის წინ იაპონიას ვერავინ უწოდებდა ინდუსტრიულ სახელმწიფოს, — მაშინ მხოლოდ ის-ის იყო, იკვეთებოდა მომავალი „ეკონომიკური“ სასწაული. მსოფლიო ეკონომიკის დღევანდელი იაპონელი მონსტრები კუსტარული სახელოსნოებიდან „იჩეკებოდნენ“. სოფლის მკვიდრმა კონოსუკე მაცუსიტამ თავის სახელოსნოში გამათბობლების დამზადება დაიწყო. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ტელევიზორების გამოშვებას მიჰყო ხელი და საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარზე მყარად დამკვიდრდა. ასე ჩაეყარა საფუძველი საყოველთაოდ ცნობილ ფირმა „პანასონიკს“.

დღეს „პანასონიკი“ წელიწადში 72 მლრდ დოლარის საქონელს ყიდის, კორპორაციაში 290.493 კაცი შრომობს, მას მსოფლიოს 46 ქვეყანაში აქვს 230 შვილობილი საწარმო.

ამჟამად იაპონიაში 41 ქარხანა იყენებს „პანასონიკის“ ტექნოლოგიას ძველი საყოფაცხოვრებო საქონლის უტილიზაციისთვის. როცა იაპონელი გადასამუშავებლად აბარებს ძველ საქონელს, ფულს იხდის — მაცივარში 45 დოლარს, კონდიციონერში — 35-ს... ტელევიზორის უტილიზაციას 78 წამი სჭირდება, კინესკოპის მინებს მეორადი დამუშავებისათვის იყენებენ. მისგან შეიძლება 68 ჭიქა დამზადდეს. კონდიციონერში იმდენი ლითონია, რომ ლუდის 190 ქილას ჰყოფნის. რკინას, სპილენძს, პლასტმასს მარტო ჭიქებისა და ქილებისთვის როდი იყენებენ, მათგან მზადდება ახალი მაცივრების, სარეცხი მანქანებისა და ავეჯის თითქმის 50%-ს.

***არგუმენტი ი ფაქტი***

# იუშჩენკოს მოწამვლა დადასტურდა

ვენის კერძო კლინიკის Rudolfinerhaus-ის დირექტორმა, ექიმმა მიხაელ ციმპფერმა პრესკონფერენციაზე ოფიციალურად განაცხადა, რომ უკრაინის ოპოზიციის ლიდერის, ვიქტორ იუშჩენკოს დაავადების მიზეზი დიოქსინით მოწამვლაა. ეს დაადასტურა კლინიკაში ბოლო დღეებში ჩატარებულმა ანალიზებმა. მისი თქმით, იუშჩენკოს სისხლში დიოქსინების კონცენტრაცია ნორმას ათასჯერ აჭარბებდა. ციმპფერის ვარაუდით, საწამლავი წვნიან კერძში იყო. ექიმებს მიაჩნიათ, რომ ოპოზიციის ლიდერი ჰოსპიტალიზაციამდე 5 დღით ადრე — ანუ 5-დან 10 სექტემბრამდე მოწამლეს. იუშჩენკოს ამჟამინდელი მდგომარეობა მათ დამაკმაყოფილებლად მიაჩნიათ. ახლა მას მხოლოდ ამბულატორიული მკურნალობა სჭირდება. ვენის კლინიკის დირექტორმა მიხაელ ციმპფერმა კონფერენციაზე ისიც განაცხადა, — ჩვენ ვერ გავცემთ პასუხს კითხვაზე — მოწამვლა წინასწარგანზრახული იყო თუ არაო.

კლინიკის მთავარი ექიმი ლოთარ ვიკე კი გადადგა, თითქოსდა დაძაბული სამუშაოთი გადაღლის გამო. თუმცა, ამ ფაქტს დაჟინებით უკავშირებენ იუშჩენკოს მოწამვლის შესახებ ატეხილ კამათს. ორი თვის წინ, როცა ვიკე პირველად ალაპარაკდა უკრაინის ოპოზიციის ლიდერის უცნაურ დაავადებაზე, მას უცნობები ტელეფონით დაემუქრნენ. ავსტრიის პოლიცია იძულებული გახდა, ვიკესთვის საგანგებო დაცვა დაენიშნა.

10 სექტემბერს, იუშჩენკოს ვენის კლინიკაში ექიმებმა დაუსვეს დიაგნოზი — მწვავე პანკრეატიტი. 21 სექტემბერს უკრაინის გენპროკურატურამ პრეზიდენტობის კანდიდატის ავადმყოფობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ოქტომბრის დამლევს პროკურატურამ გამოაქვეყნა უკრაინელ ექსპერტთა დასკვნა, — იუშჩენკოს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ვირუსული ინფექციითაა გამოწვეულიო. თუმცა, რადგან ამ საქმის შემსწავლელი კომისია თავიდანვე არ გამორიცხავდა ოპოზიციის ლიდერის მოწამვლის მცდელობას.

***რადიო სვობოდა***

# მოკლედ

**აშშ-ის** ადმინისტრაციამ ბოლო ორ წელიწადში 65 მლნ დოლარი გადაურიცხა უკრაინის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ოპოზიციურ ძალებს უჭერს მხარს. თანხები უკრაინაში ძირითადად მიდიოდა არასამთავრობო სტრუქტურების საშუალებით, რომლებიც მოწოდებული არიან უცხოეთში დემოკრატიის მხარდასაჭერად.

**იაპონიის** კუნძულ ჰოკაიდოზე რიხტერის სკალით 7-ბალიანი სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. სეისმოლოგებმა დააფიქსირეს მიწისქვეშა ბიძგები ნემურის ნახევარკუნძულზეც, აგრეთვე შიკოტანის, კუნაშირისა და ჰაბომაის კუნძულებზე. მსხვერპლი დიდია.

**ჩიკაგოს** ნაციონალური ბანკის 45-სართულიან შენობაში ხანძარმა 34 ადამიანი შეიწირა, აქედან 22 მეხანძრეა. ხანძრის ჩასაქრობად ჩიკაგოს თითქმის მთელი სახანძრო სამსახური იქნა გამოყენებული. ვარაუდობენ, რომ ხანძარი ელექტროსადენების გაუმართაობამ გამოიწვია.

**ფილიპინებზე**, ქალაქ რეალის მახლობლად, სახლის ნანგრევებში 20 ცოცხალი ადამიანი იპოვეს და სამხედრო შვეულმფრენით ქალაქ ლუსენას ჰოსპიტალში გადაიყვანეს. სახლი 10 დღის წინ შტორმმა ჩამოაქცია.

***გვერდი მოამზადა***
***ნანა ანტონოვა-ილურიძემ***



# ქონებას ფლობ? გადაიხადე!

## ცვლილებები ახალ კოდექსში

| მსუბუქი ავტომობილების ხნოვანება | გადასახადი ძრავის 1კუბ.სმ მოცულობაზე |
|---|---|
| ა. 1 წლამდე (ჩათვლით) | 1,5 ლარი |
| ბ. 1 წლიდან 2 წლამდე (ჩათვლით) | 1,4 ლარი |
| გ. 2 წლიდან 3 წლამდე (ჩათვლით) | 1,3 ლარი |
| დ. 3 წლიდან 4 წლამდე (ჩათვლით) | 1,2 ლარი |
| ე. 4 წლიდან 5 წლამდე (ჩათვლით) | 1,0 ლარი |
| ვ. 5 წლიდან 6 წლამდე (ჩათვლით) | 0,7 ლარი |
| ზ. 6 წლიდან 7 წლამდე (ჩათვლით) | 0,5 ლარი |
| თ. 7 წლიდან 8 წლამდე (ჩათვლით) | 0,5 ლარი |
| ი. 8 წლიდან 9 წლამდე (ჩათვლით) | 0,5 ლარი |
| კ. 9 წლიდან 10წლამდე (ჩათვლით) | 0,5 ლარი |
| ლ. 10 წლიდან 11წლამდე (ჩათვლით) | 0,5 ლარი |
| მ. 11 წლიდან 12წლამდე (ჩათვლით) | 0,5 ლარი |
| ნ. 12 წლიდან 13წლამდე (ჩათვლით) | 0,6 ლარი |
| ო. 13 წლიდან 14წლამდე (ჩათვლით) | 0,7 ლარი |
| პ. 14 წელზე მეტი ხნოვანების | 0,8 ლარი |

ახალი საგადასახადო კოდექსი საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენითაც მიიღო, რაც ფაქტობრივად მის დამტკიცებას ნიშნავს. როგორც გაირკვა, ფინანსთა სამინისტრო კომპრომისზე წავიდა და კოდექსიდან სწორედ ის პუნქტები ამოიღო, რამაც ცოტა ხნის წინ საზოგადოება აღაშფოთა. კოდექსის შესწორებული ვარიანტის თანახმად, ქონების გადასახადს მხოლოდ მაღალშემოსავლიანი ოჯახები გადაიხდიან. ოჯახი, რომელსაც კალენდარული წლის განმავლობაში 40.000-დან 60.000 ლარამდე აქვს შემოსავალი, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,05 პროცენტს და არა უმეტეს 0,2 პროცენტს გადაიხდის ბიუჯეტის სასარგებლოდ. უფრო მდიდრებისთვის საგადასახადო განაკვეთიც იზრდება — თუ ოჯახის წლიური შემოსავალი 60.000-დან 100.000 ლარამდეა, გადასახადის განაკვეთი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების 0,2-დან 0,4 პროცენტამდე განისაზღვრება. ხოლო მათ, ვისი წლიური შემოსავალი 100.000 ლარს აღემატება, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,4 და არა უმეტეს 0,8 პროცენტის გადახდა მოუწევთ. ჩვენ ფიზიკური პირის ქონების გადასახადის ადმინისტრირების ფორმამ დაგვაინტერესა და განმარტებისთვის ფინანსთა სამინისტროს მივმართეთ.

**ზურაბ ანთელიძე**, ფინანსთა მინისტრის მოადგილე:

— მოგეხსენებათ, რომ ქონების გადასახადი ადგილობრივი გადასახადია და კონკრეტულ პროცენტულ განაკვეთს თითოეულ ოჯახზე ადგილობრივი თვითმმართველობა დააწესებს. რაც შეეხება აღნიშნული გადასახადის ადმინისტრირებას, შემუშავდება სპეციალური დეკლარაციის ფორმა, რომელსაც საკმაოდ მარტივი სახე ექნება. ქონების გადასახადს დაიანგარიშებს თავად ამ გადასახადის გადამხდელი პირი და თვითონვე წარადგენს შესაბამის უწყებაში. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ გადასახადით იბეგრება დასაბეგრი პირის უძრავი ქონება მიწის გარდა.

**— ვინ გააკონტროლებს, თუ რამდენად მართებულად აქვს დასაბეგრ პირს გამოანგარიშებული ქონების გადასახადი?**

— პირობითად, თუ პირს 3-სართულიანი სახლი აქვს თბილისის პრესტიჟულ უბანში და მის ღირებულებას ათას ლარად აფასებს, ცდომილება თავისთავად ცხადია. თუმცა მინდა გითხრათ, რომ ამ გადასახადის გადამხდელები იმ კატეგორიის ადამიანები იქნებიან, ვისაც ამ თვალსაზრისით პრობლემები არ ექნებათ და გადასახადს არ დამალავენ.

**— ხომ შეიძლება, რომ ოჯახს მაღალი შემოსავალი ჰქონდეს და მოკრძალებულ ბინაში ცხოვრობდეს?**

— შესაბამისად, თუ ფიზიკური პირის ქონება მცირეა, დაბალ გადასახადს გადაიხდის. რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია, რომ პირს ჰქონდეს მაღალი შემოსავალი, მაგრამ მთელი თანხა დეპოზიტზე ედოს, ამიტომ მხოლოდ ის უძრავი ქონება დაებეგრება, რომლის მფლობელიც არის. თეორიულად ისიც დასაშვებია, რომ ოჯახმა გადასახადისგან თავის არიდების მიზნით უძრავი ქონება უცხო პირებზე გადააფორმოს, თუმცა მსგავსი შემთხვევები არცთუ ისე ბევრი იქნება.

**— ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში 2005 წლის 1-ელი იანვრიდან შედის. როდის მოუწევთ დასაბეგრ პირებს ქონების გადასახადის გადახდა?**

— 2005 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე დასაბეგრ პირებს დაეგზავნებათ შეტყობინებები, დაახლოებით ერთ თვეში წარმოადგენენ დეკლარაციის შესაბამის ფორმას და წლის განმავლობაში გადაიხდიან ქონების გადასახადს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის შესწორებული ვარიანტის თანახმად, კვლავ დაიბეგრება საავტომობილო ზეთების იმპორტი, გადასახადის განაკვეთი იქნება ფიქსირებული და იმპორტიორს 1 ტონა საავტომობილო ზეთზე 400 ლარის გადახდა მოუწევს. აღსანიშნავია ისიც, რომ კოდექსი გადასახადებისგან ათავისუფლებს ჩვილ ბავშვთა კვებას, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, ფინანსთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ბეჭდური მედიის გადასახადებისგან გათავისუფლების შესახებ, გარდა საშემოსავლო და სოციალური გადასახადისა. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შენიშვნების გათვალისწინებით, კვლავ ძალაში რჩება ავტომობილების იმპორტის დაბეგვრის ძველი წესი, ანუ ავტომობილის განბაჟება მოხდება მისი ხნოვანებისა და ძრავის კუბატურის მიხედვით. მართალია, ფინანსთა სამინისტრომ საავტომობილო ბიზნესი დღგ-ისგან გაათავისუფლა, თუმცა რიგ შემთხვევაში აქციზის განაკვეთი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაზარდა. მაგალითად, თუ მოქმედი კოდექსით 1 წლამდე ხნოვანების ავტომობილის შემოყვანისას ძრავის კუბატურის ერთეულზე აქციზი 1 ლარით განისაზღვრებოდა, ახალი კოდექსით მისი განაკვეთი 1,5 ლარია (იხ. ცხრილი).

P.S. როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე იაფი განსაბაჟებლად 6-დან 12 წლამდე ხნოვანების მანქანები იქნება. უფრო ახალი და უფრო ძველი კი მეტად დაიბეგრება. უახლოეს დღეებში პარლამენტი ახალ საგადასახადო კოდექსს მესამე მოსმენითაც განიხილავს. ორთოგრაფიული და ტექნიკური შეცდომების გარდა, მთავარ საგადასახადო დოკუმენტში, ალბათ ალარაფერი შეიცვლება. ამრიგად, ახალ წელს ახალ საგადასახადო რეჟიმში ვხვდებით. თუმცა მანამდე კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტის განხილვა გველის. პარლამენტს საგადასახადო ამნისტია აქვს მისაღები, მაგრამ რატომღაც ფინანსთა სამინისტრო ჯერ მის წარდგენას არ ჩქარობს. ვინ იცის, რა საჩუქარს უმზადებს მთავრობა „დამნაშავე“ მეწარმეებს.

***ემა ტუხიაშვილი***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 11 დეკემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,7700 |
| ევრო | 2,3380 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3790 |
| რუსული რუბლი | 0,0629 |
| თურქული ლირა **(1.000.000)** | 1,2300 |

# „ვოლგებზე“ მონადირე ლამაზმანმა გაყიდა

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

ჯანრი დაიჭირეს და მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ გაათავისუფლეს. ამ საქმემ მთლიანად შეიწირა საბრალო იაშას „ვოლგაში“ აღებული ფული. თბილისში კი გივი ჟორდანიას სახელზე იმხანად, თუ ცოტა ადრე, ლენინგრადიდან ვინმე სუხოვის წერილი მივიდა: „თქვენებურმა მოქალაქემ, სახელად ჯანრიმ, რომლის გვარი არ ვიცი, უსაბუთო მანქანა შემომაჩეჩაო“.

— ეს ჯანრი უთუოდ ისაა, ვისაც ჩვენ ვეძებთ, ფარნა. გვარად ბაჯაძეა. თუმცა, ეს ის ავტომანქანა არ არის, რომელიც გვაინტერესებს. ეს საქმე უფრო ადრინდელია და სუხოვი ცოტას კიდევ მოიცდის. აი, ჩვენ კი ალბათ რიგაში უნდა გავემგზავროთ.

რაკი საქმეში ექვმიტანილი გამოჩნდა, აგენტურას აღარ გასჭირვებია იმის დადგენა, რომ რიგის საპატიმროდან გათავისუფლების შემდეგ ჯანრი ბაჯაძემ შოთა ლაცაბიძის პასპორტით ტიუმენში გადაინაცვლა და ახლა იქ ტაქსის მძღოლად მუშაობსო.

ტიუმენში ისე აუტანლად ციოდა, რომ ტაქსის გაჩერებაზე რიგში მდგომი იქაურებიც ადგილზე ხტომით ითბობდნენ თავს. მათ შორის მდგარ ფარნასაც და გივისაც სხვებზე მეტად უჭირდათ, მაგრამ ამას არ იმჩნევდნენ და არც იქაურობას ტოვებდნენ. უკვე მეოცე თუ ოცდამეერთე მანქანა გაუშვეს, უკან მდგომებს სთავაზობდნენ თავიანთ რიგს და როცა ის იყო, მოთმინება ამოეწურათ, მათთვის სასურველი მანქანაც გამოჩნდა. ორივენი ტაქსიში მოკალათდნენ. ერთი მძღოლის გვერდით, მეორე უკან.

— გორკის ქუჩაზე, თუ შეიძლება, — მილიციის სამმართველოს შენობამდე სიტყვა არ დასცდენია არც ერთს. ამასობაში კი სული მოითქვეს. მძღოლს მანქანის გაჩერება სთხოვეს და შესთავაზეს, ჩვენთან ერთად გადმობრძანდი, მოქალაქე ბაჯაძეო.

ეს უკვე ქართულად და თანაც ისე იყო ნათქვამი, რომ ჯანრი მიხვდა, წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა.

P.S. რამდენიმე დღის შემდეგ მან მაინც სცადა, როგორღაც გაებათილებინა მაძებრების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, მაგრამ ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ მოკლულის გვამიდან ამოღებული ტყვიები იმ პისტოლეტით იყო ნასროლი, რომელიც რიგის სასტუმროში აღმოაჩნდა ბაჯაძეს.

მოგვიანებით, ბრალდებულს სუხოვიც დაუპირისპირდა და ლამაზმანი დუსიაც. სადავო და გაურკვეველი აღარაფერი დარჩა და სასამართლომაც განაჩენი გამოუტანა.

ამბობდნენ, მოსამართლე ის პატარა გიგი იყო, გარეწარმა ჯანრიმ რომ ცალი ფეხით დაჰკიდა ლეღვის ხეზეო.

ამბობდნენ-მეთქი, ვიმეორებ, რადგან ამის მტკიცება ნამდვილად არ შემიძლია.

ის კი უცილობლად ვიცი, მეორე პატიმრობისას რომ სასჯელი მთელი ორი წლით შეუმცირეს. ეს ბატონი გიორგის, იმავე გიგის დამსახურება იყო. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი მოსამართლეები ზოგჯერ მიმტევებლები არიან.

***ვაჟა გავაშელი***







„ალუპლასტის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაძვის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

ფირმა „ბილდი“ გთავაზობთ
ბრტყელი სახურავების ჰიდროიზოლაციას
✔ უახლესი ტექნოლოგიით
✔ იაფად და ხარისხიანად
✔ დიდი ხნის გარანტიით
☎ 36-11-28; 899-91-66-39

ფირმა „ფლორანი“
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები უმაღლესი ხარისხის პროფილით
სხვადასხვა ფერები და საკეტები
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი“-ს უკან)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. არჩევანი

ჩემი ახლობელი მამია (გურულია) მეზობელს სთხოვს, იქნებ კარგი ცხენი მაყიდიოო.

— ასკანაში ყიდის ერთი კარგ მაღალ ცხენს, წავიდეთ და ვნახოთ, — უთხრა ასლანმა.

— მაგი ცხენი ვიცი! მასეთი არ მინდა! მე მინდა ცხენი დაბალი ტანის, ლამაზი, ცოლი და ბავშვი რომ მივა, კბილი არ გაკრას, წიხლი რომ არ ეცოდინებაო... — განუმარტა მამიამ.

— რას გეტყვი იცი, მამია! მასეთი ცხენი ჩვენს ფოტოგრაფს აქვს, ოზურგეთის ფოტოატელიეში, წამოდი, მაშინ ის ვიყიდოთო!



***ვიტალი თვალაბეიშვილი, თბილისი***

## 2. საახალწლო მოლოდინში



ახლახან საგარეჯოში, ჩემი მეგობრის ოჯახში დიდი სუფრა გაიშალა.

ჩემი მეგობარი მომღერალია და მისი ანსამბლი საახალწლოდ საფრანგეთში გასტროლებისთვის ემზადებოდა.

— შვილო, საფრანგეთიდან რა უნდა ჩამომიტანო? — შეეკითხა შაქრო ძია შვილს.

— რა და მამი, მაგარ გასაბერ ქალს ჩამოგიტან, ემანდ რა, უარს გეტყვის რამეზე თუ რა!.. — გაეხუმრა გაიოზი.

— ეე, შვილო, დედაშენი იგეთი შობელძაღლია, დანას ჩაჰკრამს და ჩამიჩუტამს!.. — გადახედა შაქრო ძიამ მეუღლეს.

— მა მთელს დაგიტოვებ? — იყო პასუხი.

სიცილი მაშინ უნდა გენახათ!..

***სოსო ჯაფარიძე, საგარეჯო***

## 3. არგუმენტი

ჩოხატაურში ერთი ნათესავი მყავს, ბიძინა. დიდი ხუმარა ვინმეა.

ერთხელაც, ინკასატორმა მიაკითხა. ელექტრომრიცხველი ნახა და გაუკვირდა:

— რაია, ბიძინა, აგი, ხვარ ეშმაკობ, შენ სოჩიკს არაფერი დოუწერია ორ თვეში?!

— რას გეტყვი იცი, ძამა? დენი არ ყოფილა და მაგი ეგნატე ნინოშვილი კი არაა, ლამპის შუქზე რომ დაწეროსო!.. — მშვიდად მიუგო ბიძინამ.



***ვ. თ., თბილისი***

## 4. აკაკი და წიგნებით მოვაჭრე

### (ძველი ამბავი)



ქუთაისში, წიგნებით მოვაჭრე ებრაელმა შეიტყო, რომ აკაკი არის ჩამოსული ქალაქში და შეიძლება მისი წიგნების მაღაზიაც მოინახულოს.

დატრიალდა ვაჭარი, აკაკის პატივსაცემად და თავის გამოსაჩენად, თაროებზე, ვიტრინაში, სულ აკაკის წიგნები გამოფინა (ბევრი მათგანი შინიდან მოატანინა თანამშრომლებს და ახლობლებს).

მართლაც, ესტუმრა პოეტი მაღაზიას და გაკვირვებულმა იკითხა:

— კი, მაგრამ, სხვა ავტორების წიგნები სადღა არისო?

— ისინი, ბატონო, გაიყიდა, — „ასიამოვნა“ აკაკის მაღაზიის დაბნეულმა მეპატრონემ.

***თ. ვ., თბილისი***

## 5. ესაა საქმე?!

ერთი მეზობელი მყავს, ვამეხი, სვანია... ამას წინათ შემხვდა და გაბრაზებულმა შემომჩივლა:

— გადამრევს ეს ჩვენი ტელევიზია, მუღამში რომ შევალ და გაფაციცებით დავიწყებ რეკლამების ყურებას (რამე არ გამომრჩეს-მეთქი), უცებ, შიგადაშიგ ჩამირთავენ საინფორმაციო პროგრამას. მოკლედ, არ მაცლიან რეკლამების ყურებას. ესაა საქმე?!

— მეც მაგ დღეში ვარ-მეთქი, — „თანავუგრძნე“ მეზობელს.



***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## 6. „ძნელი“ ხამიზნე



აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, მოხალისეთა რაზმში ჩაწერა ჩემმა ნაცნობმა, ხეიბარმა კოლამაც მოინდომა (ისეთი კოჭლი იყო, სულ ხტუნვა-ხტუნვით დადიოდა)...

— რას ამბობ, შენ იქ რაში გამოგვადგებიო?! — შეიცხადეს ქარელის კომისარიატში...

— სუ თუ არაფერი, — არ დაიბნა მომავალი მებრძოლი, — იმათ სნაიპერებს მაინც დავტანჯავ!..

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***




**7.** ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა შაქრო დაფასთან გაიძახა:

— შაქრო, აბა დამიწერე რთული წინადადება!

შაქროც წერს: „დედაჩემი მანიკიურს იკეთებს და პინცეტით წარბებს ისწორებს, ჩემი უფროსი და თმას წითლად იღებავს, ხოლო უმცროსი — თვალებს მწვანედ იხატავს!“

— აბა, მიხო, ადექი და გაარჩიე! — ახლა მიხოს მიუბრუნდა მასწავლებელი.

— მაგაი რაღა გარჩევა უნდა? სამივენი ბოზები ყოფილან! — დაასკვნა მიხომ.



***ჯანსუღ ბოჭორიშვილი, ქუთაისი***



**8.** „ახალი სვანი“ ახალ ჯიპს მესტიისკენ მიაქროლებს. რეკავს მობილური:

— გოჩა, სასწრაფოდ დაბრუნდი თბილისში, შენს სახლში ცოლი გღალატობს! — გაისმა ტელეფონში.

„ახალი სვანი“ გაცოფებული აბრუნებს მანქანას და პირველსავე ხეს ეჯახება. დასახიჩრებულის სანახავად საავადმყოფოში ძმაკაცი მიდის, როცა გაიგო რა მოხდა, გაიკვირვა:

— მერე რას გამორბოდი?! — გოჩა შენ არ გქვია და ცოლი შენ არ გყავს!..

***პ. ბაკურაძე, თბილისი***

**9.** — შვილო, მიტუა, — ეუბნება მიხა ღუმელთან წამოგორებულ შვილს, — გაიგე, ჯო, დღეს გაზეთში წავიკითხე, შრომა ჯანისთვინა სასარგებლო ყოფილა! ჩვენ კიდევა ვენახი დასაბარი გვააქ!..

— აგე, მამი, ბარი ეზოშია, წადი ვენახში და იმკურნალე... — მიუგო მიტუამ და გვერდი იცვალა.



***საგარეჯოელი***



**10.** ერთ-ერთი შოუკონცერტის შემდეგ, მის ორგანიზატორთან უცნობი ახალგაზრდა მივიდა, თავი ერთ-ერთი წამყვანი მომღერლის ფანად გააცნო და იკითხა:

— ასეთი ცნობილი მომღერალი რომ გამოგყავთ, კონცერტებზე ასე ცოტა ხალხი რატომაა?

— რას ბრძანებთ, ცოტა კი არა, დარბაზები გადაჭედილია, ასობით ბილეთის დამატებაც კი გვიწევს ხოლმე!

— მაშინ საოცარია, მაღაზიებში რატომ არ იყიდება თქვენი კასეტები...

— გაგიჟდით? როგორ არ იყიდება! პირიქით — დისკებიც, კასეტებიც და პლაკატებიც ელვისებური სისწრაფით იყიდება, ათიათასობით ტირაჟს ვუშვებთ... ისე, რანაირი ფანი ხართ, როცა ასეთი ელემენტარული რამ არ იცით?!

— იცით, მე ფანი კი არა, საგადასახადოს ინსპექტორი ვარ!..

***ანიკო, თბილისი***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 15 დეკემბრის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 16 დეკემბრის 13 საათამდე.*

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

________________________

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №50**

## მილოცვა

ვულოცავთ დაბადების დღეს **შოთა სონიშვილს**, ყოფილ დისიდენტს, უმანკო პატრიოტს, ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას თანამებრძოლს, კოლორიტს, სულით რაინდს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ღმერთის მფარველობას.

*ნოდარ და ნათია ბოჭორიშვილები*

## მადლობა

### მადლობა საოცარ ექიმს!

ულრმეს მადლობას ვუხდით ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის მამოლოგიის განყოფილების ქირურგ-მამოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტ **კახა ბარამიძეს**.

უმაღლესი დონის ინტელექტი და პროფესიონალიზმი, განსაკუთრებული სიყვარული და პასუხისმგებლობა საქმისადმი, მეტისმეტად გულთბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულება პაციენტთა მიმართ – ეს ის თვისებებია, რომლითაც უხვადაა დაჯილდოებული ბატონი კახა – ექიმი, რომელიც უანგაროდ, მაღალპროფესიულ დონეზე ასრულებს ჰიპოკრატეს ფიცს. ოცი წელია, ქართულ მედიცინას ემსახურება ბატონი კახა; გაიარა ყველა ეტაპი – სანიტრობიდან დოცენტობამდე და ყველგან კოლეგებისა და პაციენტების უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

გმადლობთ, ჩვენო ძვირფასო ექიმო! თქვენთვის და თქვენი ბრწყინვალე ოჯახისათვის ვლოცულობთ მადლიერი პაციენტები. იცოცხლეთ, იხარეთ, იბედნიერეთ, რომ თქვენი პროფესიონალიზმითა და კეთილშობილებით, სარძევე ჯირკვლის პათოლოგიით დაავადებული მრავალი ქალბატონისთვის კვლავაც მიგვენიჭებინოთ სრულფასოვანი სიცოცხლის ნათელი იმედი.

უფალი იყოს თქვენი შემწე!

*ულრმესი პატივისცემითა და სიყვარულით,*
*თქვენი მადლიერი პაციენტები*

დიდ მადლობას ვუხდი აბაშის რაიონის ნევროპათოლოგს ბატონ **მალხაზ ცომაიას** იმ კეთილშობილებისა და გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის, რომელიც ჩემდამი, როგორც პაციენტის მიმართ გამოიჩინა.

დიდხანს ყოფილიყავით ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე.

*პატივისცემით, ნანი კიკაჩეიშვილი (აბაშიდან)*

## ბინები

იყიდება ან ქირავდება მცხეთაში 4-სართულიანი კაპიტალური სახლი ყველა სათავსოთი, ბ/აირით, შუქით და წყლით, კეთილმოწყობილი ეზოთი – 800 კვმ, ა/ფარეხით, მარნით, ბუხრებით, საუნით. სველი წერტილი ყველა სართულზე. ტ: 93-26-73; 899 97-46-44

## გთავაზობთ სამუშაოს

18-დან 25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით, უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

ვიწვევთ პირებს უმაღლესი განათლებით და ადმინისტრაციულ-საკადრო გამოცდილებით. ასაკი 28-40 წ. შერჩევა კონკურსის წესით. წინასწარი ჩაწერა გასაუბრებაზე: 29-89-18; 899 95-04-34

თბილისში ახალგახსნილ კომპანიას ესაჭიროება უ/გ მქონე თანამშრომლები ოფისში სამუშაოდ, 24-55 წლამდე. ტელ: 33-59-23. ლეილა

რეალური სამსახური: საზღვარგარეთული კორპორაცია გთავაზობთ 22-57 წლის უმაღლესი და ტექნიკური განათლების მქონე კომუნიკაბელურ ადამიანებს, გასაუბრების საფუძველზე (უფასოდ) მიიღოთ მონაწილეობა შერჩევაში (დარჩა 7 ვაკანსია). უპირველესად ვიწვევთ ექიმებს, ეკონომისტებს, ჟურნალისტებს, პედაგოგებს და ბიზნესპარტნიორებს. ტელ: 64-20-32

სასწავლო ცენტრს ესაჭიროება პედაგოგიური ან ადმინისტრაციული სტაჟის მქონეთა თანამშრომელი. არის ერევანში მუშაობის პერსპექტივა. ასაკი 30-45 წელი. ჩაწერა გასაუბრებაზე. ტელ: 64-64-40; 64-52-13; 893 99-90-89

მსხვილი ჰოლდინგური კორპორაცია აცხადებს თანამშრომელთა მიღებას მუდმივ სამუშაო ადგილებზე, მაღალი ანაზღაურებით. შერჩევა კონკურსით. კონკურსის პირობებია: უმაღლესი განათლება, ასაკი 25-45 წელი. ტელ: 95-79-32

სასწრაფოდ! გვესაჭიროება საოფისე ადმინისტრატორად სპეციალისტები: პედაგოგი, ოფისმენეჯერი, მედმუშაკი, ფარმაცევტები. გამოგვეხმაურონ რეგიონებიდანაც. შერჩევა კონკურსის წესით. ასაკი 20-50 წ. ტელ: 52-74-93. ია (ლელა); 899 74-72-30. ლელა

მსოფლიო სავაჭრო ცენტრს ესაჭიროება თანამშრომლები ადგილობრივი კადრიდან. ასაკი შეზღუდული არ არის. გვაინტერესებს წარმომადგენლები რეგიონებიდანაც. შესაძლოა სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება, დასაქმება. მის. ვაჟა-ფშაველას ქ. 19. მშენებლობის სამინისტროს შენობა, მე-13 სართ. ოთახი 17დ-კლუბი. იკითხეთ გოჩა (11-17 სთ, კვირის გარდა). ტელ: 52-44-10; 893-33-18-86

უძლიერესი ფირმის ოფისში გვაქვს რეალური ვაკანსიები. საუკეთესო თანამშრომლები ფირმის ხარჯებით სწავლიან ან იმუშავებენ მსოფლიოს 61 ქვეყანაში (საკუთარი სურვილით, ფირმის ხარჯებითა და პროფილით). ანაზღაურება გამომუშავებით, ყოველდღიური – 400-600 ლარი ან სტაბილური – $200-დან ზემოთ. მის: მ. „დიდუბე“, სამთო ქიმია, I სართ. ოთახი 6. ტელ. 34-02-38

## მომსახურება

ნებისმიერი სირთულის ტექსტის (დისერტაციები, ნაშრომები და ა.შ.) აკრეფა, ამობეჭდვა, სტილი, კორექტურა, სწრაფად, ხარისხიანად! ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით, ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე, მორჩენის სრული გარანტიით (1 სთ – 6 ლარი). ყველანაირი კოსმეტიკური მომსახურება. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე, მ. „300 არაგველი“, „არამიანცის“ საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტლის ქ. №15. მიღება წინასწარ ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

კვალიფიციური ადვოკატები – შორენა ჭავჭანიძე და დალი ახვლედიანი მოგემსახურებიან სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის, სამეწარმეო, სარეგისტრაციო დოკუმენტების მომზადებასა და სხვადასხვა სახის დავებზე, როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე. ასევე ადვოკატურა იწვევს იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე-მეხუთე კურსის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს საადვოკატო საქმიანობის შემსწავლელ კურსებზე. ტ: 95-89-57; 96-64-77; 877 75-79-13

წონაში დაკლება თვეში 7-18 კგ, მომატება 3-6 კგ, მსოფლიოში ყველაზე იოლი, ეფექტური, უვნებელი მეთოდით, დიეტის გარეშე, შედეგის შენარჩუნებით, გარანტიით. სიმაღლეში ზრდა ასაკი მიხედვით, კომპლექსურად, ვიტამინებით, ვარჯიშებით. დროული დახმარება და სწორად შედგენილი პროგრამა 100%-იანი ზრდის საწინდარია. 25 წლამდე 6 სმ-მდე მომატება გარანტიით. ტელ: 34-02-38; 78-14-94 (20 სთ-ის შემდეგ); 899 90-54-78. ქ-ნი ქეთი

ნათელმხილველი აშიშა კვლავ თბილისშია და აგრძელებს მიღებას: ნათელხილვა, ჯადო-თვალის, წყევლის, ჩაკეტილი ბედისა და გზების დაზუსტება, მოხსნა, თილისმები, ოჯახური, მეგობრული და სხვა უსიამოვნებების მოგვარება; ასტროლოგიური მოგზაურობები, კარმის კორექცია, ალკოჰოლიზმის, შიშების, ჰალუცინაციების პროფილაქტიკა, პარაფსიქოლოგია, მაგიის შესწავლა. ტელ: 893 96-94-51

## მკურნალობა

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 56-37-37; 899 54-64-81

წამალი „მთაწმინდა“ კურნავს თმის დაავადებებს: ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა); ტილები, წილები ისპობა 10 წუთში. ვმკურნალობ ფრჩხილის სოკოს გარანტიით. გვაქვს თმის მცენარეული საპნები, ნატურალური კოსმეტიკური მალამოები; ვაკეთებ მასაჟს (ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი). მის: ჭავჭავაძის პრ. 2/2 (ჩაის სახლთან), სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 893 918-917. წამალი „მთაწმინდა“ შეგიძლიათ შეიძინოთ ქალაქის აფთიაქებში.

პარადონტოზის, ართრიტების, ოსტეოქონდროზის, სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობა უძველესი აღმოსავლური მედიცინის გამოცდილების საფუძველზე მიღებული ბუნებრივი სამკურნალო საშუალებებით. ფარულად მიმდინარე ქლამიდიოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ფარული ბლასტოზის გამოვლენა. ტელ: 22-11-47

საგვარეულო ხალხური მედიცინა. მწვანე მცენარეებით ვმკურნალობთ ბუასილის შემდეგ სახეობებს: პოლიპები, ნაპრალი, სისხლის დენა, ქავილი, სწორი ნაწლავის მოდუნება. შედეგი 5-10 დღეში. მის: რუსთავი, XVI მ/რ, მე-5 კორპ. II სად, II სართ. ოთახი №33. გოგოლაძე ლალი. ტელ: 8-24 17-47-41

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულადაც) და ანტითამბაქო, ფსორიაზი, სოკო, ბუასილი, კოლიტი, ვარიკოზი, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ნევროზი, უძილობა, შიშები, კატარაქტა, ქრ. ბრონქიტი, ასთმა – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნიათ, დამზადებულია მოსკოვის აკად. ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი“. ტელ: 91-18-33; 877 41-50-30

მამაკაცების საყურადღებოდ! გაჯანსაღება ბუნებრივი საშუალებებით: პროსტატიტი, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება და შეუკავებლობა, შიში, ბუასილი, ალკოჰოლი, უშვილობა, თმის და სახის პრობლემები, პოტენციის და ენერგიის განახლება 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 29-21-14 (საღამოს) ქ-ნი მანანა

სიახლე, პირველად საქართველოში!!! ბუასილისგან გათავისუფლება უნიკალური შედეგებით, მტკივნეული კვანძების, ნაპრალების მოშორება, ქავილის, სისხლდენის შეჩერება. ინიშნება კომპლექსური კურსი მცენარეული საფენებით და შესაზელი მალამოებით. მიღება წინასწარი ჩაწერით: 899 43-97-34. ნათია

ალკოჰოლიზმთან ბრძოლა – მცენარეული, სერტიფიცირებული, კრემლის ყოფილ ლაბორატორიაში დამზადებული პრეპარატებით (აკად. ლიხარიოვის მეთოდებით): ნაბახუსევის („პახმელიის“) მოხსნა; ნევროზები, ჰალუცინაცია, ღვიძლის გაწმენდა, ალკოჰოლური მოწამვლისაგან გათავისუფლება. მკურნალობა შესაძლოა პაციენტისგან ფარულადაც, გვერდითი მოვლენების გარეშე. ტ. 899 22-63-90. ნინო ექიმი

კუჭ-ნაწლავის პრობლემები; ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის გასუფთავება, გასტრიტები, კოლიტი, ბუასილი, შებერილობა (მეტეორიზმი), დისბაქტერიოზი, დისფერმენტაცია, მოსკოვის კრემლის ლაბორატორიის სერტიფიცირებული, მცენარეული პრეპარატებით (აკად. ლიხარიოვის მეთოდებით). მკურნალობა მიმდინარეობს გვერდითი მოვლენების გარეშე. ტელ: 899 22-63-90. ნანა

ალკოჰოლიზმის მკურნალობა კრემლის ლაბორატორიის მცენარეული, მაღალხარისხოვანი, ლიცენზირებული პრეპარატებით (შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად). ასევე ვმკურნალობ: ნევროზებს, აგრესიას, ენურეზს (შარდის შეუკავებლობას), ფსორიაზს, ასთმას, ბრონქიტებს, ეფექტურია კიბოს საწყის სტადიაზეც. შესაძლებელია ბავშვების სიმაღლეში გაზრდაც. ტელ: 893 35-45-35 (ნებისმიერ დროს); 99-75-90 (11-16 სთ, კვირის გარდა). მაკა

ალკოჰოლიზმი და მისგან გამოწვეული გართულებები – ნაბახუსევის სინდრომის მოხსნა, შიშები, ჰალუცინაციები, აგრესია, დეპრესია, ჰეპატიტი, კოლიტი, შებერილობა, ბუასილი. მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად. პრეპარატები მცენარეულია, უსაფრთხო და მაღალეფექტური. ტელ: 53-08-02; 99-75-90 (სამს.). თამრიკო

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს იაპონური აპარატით: უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, სამწვერა ნერვს, რადიკულიტს, ყურებში ხმაურს, ჰაიმორიტს, ხერხემლის გამრუდებას, ზრდადასრულებული ბავშვების სიმაღლეში მომატებას (გასაჭიმი ტახტით), თმის ცვენას, ფრჩხილების სოკოს, სებორეას, ბუასილს, მეჭეჭებისა და პაპილომების მოშორებას; ასევე ვმკურნალობ ცოცხალი ფუტკრის შხამით. მის. მ. „მარჯანიშვილი“. აღმაშენებლის №93. ტელ: 96-38-27

ვმკურნალობ მცენარეებით: თირკმლებს, ღვიძლს, ნაღველს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, ქრონიკულ აშლილობას და შეკრულობას, ბუასილს, ყველანაირ ეპილეფსიას, ნევროზს, შიშებს, მოჩვენებებს, ბრონქიალურ ასთმას, საშარდე გზებს, პროსტატიტს, კანის დაავადებებს „ვიტილიგოსაც“, მუნს (3 დღეში განკურნების გარანტიით), თმის ცვენას, წვერის ცვენას, ფრჩხილის და კანის სოკოს. მის: აღმაშენებლის 115. პოლიკლინიკის შენობა. კაბ. №19. ტელ: 95-30-26 (სამს); 78-07-94 (ბინა). ლალი

ვმკურნალობ: 1). ალკოჰოლიზმს ყოველგვარი პრეპარატის გარეშე, ხანმოკლე დროში; 2). ბუნებრივი საშუალებებით: პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე, პენისის ანთება, სპერმის ნაადრევი და უნებლიე გამოყოფა, სოკოვანი ინფექციები, წვა, ხშირი შარდვა, შიშები, უძილობა, დეპრსია, მანიაკალური აკვიატება, აგრესია, თვითმკვლელობის სურვილი, სევდა, ნაღველი, მელანქოლია. შედეგი გარანტირებულია. ტელ: 899 49-84-23. ნონა

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება!**

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი-კომპიუტერი“ გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

შეგასწავლით საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად. ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

წარმოებს მოსწავლეთა მიღება კოსმეტიკის კურსებზე საახალწლო 50%-იანი ფასდაკლებით. შეისწავლება კანის დეფექტები, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო); კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, რძეები, ნიღბები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სრტიფიკატი. მის: ცოტნე დადიანის 26 (მ. „ვაგზლის მოედანი“) ტელ: 66-53-56; 69-09-19; 893 33-09-66

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილით. მის. ლ. ასათიანის ქ. №28; მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგი-ვიზაჟისტი, 2. მასაჟისტი, 3. საპარიკმახერო (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის 115, ეზოში. შპს „ქართი“. ტელ: 94-01-82; 96-22-89 (ბინა)

## იყიდება

დიღმის მასივში, კარგ ადგილას, ცალკე მდგომი, კაპიტალურად ნაგები 2-სართულიანი შენობა, მოქმედი სასადილოთი და პურის საცხობით, მიშენება-დაშენების კარგი პერსპექტივით. ტელ: 52-68-51 (საღამოს); 899 55-67-67

იყიდება ა/მანქანა „დოჯი ქარავანი“, 1998 წლის, განბაჟებული, ელპაკეტით, ავტომატიკა, ბენზინზე, მუქი შინდისფერი, ავტომაგნიტაფონით. ფასი $7000. გარბენი 100000 კმ. ტელ: 899 53-53-43

იყიდება ხეხილის ყველა ჯიშის ნამყენი ნერგი, უწამლი ვაზები, ვარდები, ტუია, ლუგუსტრუმი, ტირიფი, იასამანი, ცაცხვი, ზეთისხილი, კვიპაროსი, კედარი, ფიჭვი. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგე მეურნეობა თბილისის ზღვასთან. ტელ: 899 16-93-15; 69-97-05. ამირანი, გივი

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 899 27-38-99; 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

96 ატეესის ტელეფონი, პლეხანოვზე. ტელ: 32-82-69

## შევიძენ

33 სმ-ზე გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკ. სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი“, 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას. ტელ: 58-78-88; 893 32-14-12

ვიეტნამურ და ჩინურ შალის ხალიჩებს, აგრეთვე გერმანულ შალის ხალიჩას – სუპერი. ტელ: 38-89-24

## სხვადასხვა

ლეიკემიით დაავადებულ 17 წლის ზაზა მიქელაძეს სასწრაფოდ ესაჭიროება რეზუსუარყოფითი I ჯგუფის სისხლი. ზაზა წევს დიღმის იაშვილის სახელობის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ონკოჰემატოლოგიურ განყოფილებაში. პალატა №7. ტელ: 52-00-46; 893-27-39-67

ძვირფასო მეგობრებო! თუ გაქვთ სურვილი, გქონდეთ საკუთარი ბიზნესი და სტაბილური შემოსავალი, „გაცნობის და დაოჯახების ცენტრი“ და გაზეთი „პაემნის“ რედაქცია გიწვევთ სათანამშრომლოდ 18-დან 65 წლამდე დაინტერესებულ პირებს – როგორც თბილისში მცხოვრებს, ასევე რაიონებიდან. საქმის დასაწყებად საჭიროა $250. მის: თბილისი, კოსტავას ქ. 14, II სარ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. 2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59. დათო





## ვახტანგ ბაბაკიშვილის ხსოვნას!

ნეტარი იყავი, ღვთის შვილი, ღვთისმოსავი, ეკლესიური. არაფ აგდებდი ამ სოფლად კეთილდღეობას. არავისი გშურდა, ყველა გიყვარდა, ყველას უყვარდი, ვინც კი გიცნობდა. აკი ამიტომაც გიგალობეს სამების ეკლესიის მგალობლებმა ასე გულთბილად.

შილდელი ბაბაკიშვილების უკანასკნელი ძე იყავი. უმემკვიდროდ დარჩა გიორგი და ივანე ბაბაკიშვილების შტო შენი გარდაცვალებით.

ოჯახის საფიცარი იყავი... დიდია შენი დედ-მამის, დაიკოს, მამიდის, ბებოს, ნათესავების შენი არყოფნით გამოწვეული მწუხარება, მათ შორის ვართ ჩვენც, შენი მამის – *ჯემალ ბაბაკიშვილის სამეგობრო.*

## ნიკოლოზ (კოწო) გორგაძის მონატრება



16 დეკემბერი შენი დაბადების დღეა, ჩვენო საყვარელო კოწო, ჩვენო დიდო ტკივილო. ამ დღეს ხომ 37 წელი შეგისრულდებოდა, ჩვენო კაცურო კაცო და დიდი გულის ადამიანო. ამბობენ, დრო მკურნალიაო. ჩვენთვის კი, რაც დრო გადის, უფრო გვემატება დარდი, უფრო გვენატრები, ენატრები გიორგის – შენს „პატარა კაცს". ჩვენო სიცოცხლითა და სიყვარულით გაუმაძღარო კაცო, ცრემლიანი სიყვარულით დაგინთებთ წმინდა სანთლებს და ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*შენზე გულმოკლული ოჯახი*

## გიორგი კიკვილაშვილს!



ერთი წელი გახდება 10 დეკემბერს, რაც ჩვენგან წახვედი, ჩემო საყვარელო ძმაო. დრო მკურნალიაო, – ამბობენ, მაგრამ ასე არ ყოფილა: რაც დრო გადის, უფრო გაუსაძლისი ხდება უშენობა. დედაშენს ცხოვრება ტანჯვად ექცა უშენოდ. შვილმკვდარი დედისთვის სიცოცხლე ყველაზე დიდი ტანჯვა ყოფილა. შენს სიყვარულს ვერავისზე ვერ გადავიტანთ, რადგან არც ცოლი დაგრჩა და არც შვილი.

ღმერთს ვევედრებით, შენი ლამაზი სული ნათელში დაგიმკვიდროს.

*ოჯახი*

## დათო შაიშმელაშვილის მონატრება



14 დეკემბერი შენი დაბადების დღეა, ჩემო ლამაზო შვილო, ჩემო უსასრულო მონატრებავ. გაუსაძლისია ჩემი სიცოცხლე უშენოდ. ამიტომ გავცქერი გზას, შენ არსად ჩანხარ. თერთმეტი თვე ხდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ. 14 დეკემბერს მოვალთ შენს საფლავთან, მოგილოცავთ დაბადების დღეს. დავანთებთ სანთლებს და ღმერთს შევავედრებთ შენს წმინდა სულს.

ჩვენ ყველანი ერთად ვილოცებთ შენთვის, ჩემო კეთილო შვილო.

*დედა ნელი, ცოლ-შვილი, ძმის ოჯახი*

## კლარა ლადუა-ჯიშკარიანის ხსოვნას!



ერთი წელი მიილია შენი გარდაცვალებიდან, ძვირფასო დედავ, ბებიავ! გაუნელებელი ტკივილი დაუტოვე შენს ნალოლიავებ ოჯახს, შვილიშვილებს. გულწრფელად დაგიტირა მთელმა სოფელმა. როგორ გვაკლიხარ, დე! ბებია! ყველგან გეძებთ! არა ხარ შენს ლამაზ ეზოში! სიზმრებში უფრო ხშირად მოდი! გვენატრები!

იძინე ტკბილად, კეთილო და სიკეთის მთესველო დედიკო! ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში!

*შენი შვილები და შვილიშვილები*

## ნოდარ მელაძის გახსენება



13 დეკემბერს შენი დაბადების დღეა, 60 წელი შეგისრულდებოდა, ჩემო საყვარელო ძმაო. 23 წლის იყავი, როცა ვერაგულად მოგკლეს. შენ ხომ ხალხის დიდი სიყვარულით, ვაჟკაცური ცხოვრებით იცხოვრე და ასეთს ყოველთვის გიხსენებს თვალცრემლიანი მთელი სვანეთის უბანი, ნათესავები – ყველა, ვინც კი გიცნობდა. უშენოდ ცხოვრება განსაკუთრებით გაგვიჭირდა შენს დას და დისშვილს.

გაზეთის ფურცლებიდან გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*ციალა და პაატა მელაძეები*

## ედუარდ ვართაგავას გახსენება



ორმოცი დღე გავიდა იმ უბედური დღის შემდეგ, რომლის ტრაგიკულ დეტალებზეც დღეს საუბარი არ გვინდა, რადგანაც ეს ორმაგად და ათმაგად სიკვდილის ტოლფასია. იმ დღეს ცოცხლებიც მკვდრებს დავემსგავსეთ.

დღეს (და მუდამ) უბრალოდ უნდა გაგიხსენოთ, უნდა გავახსენოთ შენი თავი იმათ, ვისაც თუნდაც ერთი წუთით ჰქონდა შენთან ურთიერთობა. ყველა დამერწმუნება, რომ იმ წუთშიც იგრძნობდა კაცი შენს ვაჟკაცობას, კაცურ და იმედიან სიტყვას.

დიდი იმედი იყავი, როგორც შენი ოჯახის, ასევე მეგობრების, ნათესავებისა და თანასოფლელების.

დიდი შეხვედრა და ურთიერთობა ერთი სიამოვნება იყო. გვაოცებდა, რამდენ სიკეთეს იტევდი, ყველას უნაწილებდი, დიდ პატივს სცემდი ქართულ ადათ-წესებს, ტრადიციას. შენი მისალმება გვახსენდება – დიდ ქართველს გაუმარჯოსო, – იტყოდი. საინტერესო იყო ქართული სუფრა შენთან ერთად, უმეტესად თამადის რანგში გვევლინებოდი, სუფრის წევრებიც უსიტყვოდ თანხმდებოდნენ, რადგანაც ჩვენ ირგვლივ, ამას უკეთესად ვერავინ გაართმევდა თავს.

დიდი ხანი არაა, რაც სოფელში დაიმკვიდრე თავი, ჩვენო ედიკ, ყრმობის წლები რუსეთში გაატარე. დედა – ირა ბობინა, რუსი ქალბატონია და ყოველთვის გეკვირდა, საიდან ამდენი ქართველობა შენში.

ძნელია, როცა სიცოცხლით სავსე კაცი ერთ წუთში გამოეცლება ოჯახს. შენს ორ ვაჟკაცს ჯერ არ ესმის, თუ რამხელა ტრაგედია გადაიტანა ოჯახმა. სიცოცხლე, სამწუხაროდ მაშინ დაამთავრე, როცა შენი მზრუნველი ხელი ყველაზე მეტად სჭირდებოდა შენს ლევანს და ალექსანდრეს, მაგრამ გვჯერა, რომ შენი მეუღლე ირმა, მისთვის ჩვეული უდიდესი დიდსულოვნებით ატარებს იმ მიძმე ტვირთს, რასაც შენი არდავიწყების, სიყვარულის და პატივისცემის ნიშნად, შვილებზე ზრუნვის ადამიანური მოვალეობის პირნათლად შესრულება ჰქვია.

შენ სრულიად ახალგაზრდა, იმთავითვე გამორჩეული, საქმისადმი საოცარი ერთგულებითა და კეთილსინდისიერებით ასრულებდი შენს მოვალეობას, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სამხედრო პროკურორის თანამდებობაზე ყოფნის დროს. გიყვარდა შენი პროფესია, შენ ხომ დამნაშავეში სიმართლესაც ეძებდი და არაერთხელ გადაგირჩენია მავანთაგან განწირული კაცი.

ძალიან მძიმეა იმ აზრთან შეგუება, რომ შენს ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლით გამოწვეული ტკივილის გაქრობა აწყობიდან მხოლოდ მოგონებებით, ერთი ღირსეული ქართველი კაცის მიერ განვლილი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრების გახსენებით შეგვეძლება.

ნათლით იყოს მოსილი შენი გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი თანასოფლელი მეგობრები.*

## მურთაზ ბერიას მონატრება



უკვე 40 დღეა, რაც ოჯახს გამოეთხოვე. პატიოსნად იცხოვრე და კაცურად წახვედი. წახვედი შენს საყვარელ შვილთან, ნანიკოსთან, რომელიც 17 წლის წავიდა ამ ქვეყნიდან.

ერთი ძმა გვყავდი მე და ნუნუს სათაყვანებელი, მოსაფერებელი, დამტირებელი და გვერდში. თითქოს ჩქარობდი, მალე გასცლოდი ამ უღმობელ წუთისოფელს. შენით გვიყვარდა ჩვენი დედულეთი, ჩვენი იმერეთი. ახლა მამუკა გაგვილამაზებს მას, რათა გაგვაძლებინოს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი და ნანიკოს ლამაზი სულები.

*ნელი და ნუნუ*

## ანა (ანიჩკა) დვალიშვილი-გინტურის გახსენება



40 დღე გავიდა შენთან განშორებიდან, დედა... შენი დაბადების დღე ახლოვდება, 1 იანვარი. მოვალთ შენს საფლავზე, დედა და და მოგილოცავთ 66 წელს.

დედა, რატომ მიგვატოვე 4 შვილი, 9 შვილიშვილი და 4 შვილთაშვილი? შენ ყველას გვიდგატი დედა. შენ მხოლოდ შენი გაზრდილი, 16 წლის ნინოს ბედი ყოფილხარ, აკი იმიტომაც მის სიკვდილს შეწირე სიცოცხლე და წახვედი მასთან სამუდამოდ.

დედა, ჩემი დანაპირები თუ გადაეცი ჩემს უსაზღვროდ მონატრებულ შვილს, საჩუქრები თუ გაუხარდა დედების გეზავნილი? დაბადების დღეს შენ მიულოცავდი პირველი, მას ხომ 10 ნოემბერს 18 წელი შეუსრულდა.

დედა, ჩვენ – შენი შვილები და შვილიშვილები არასოდეს დაგივიწყებთ, შენს ამაგს არ დავივიწყებთ. ჩვენ ყოველთვის ვილოცებთ თქვენი სულებისთვის, დავანთებთ სანთელს, რათა ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა ბებია-შვილიშვილს გაგინათოთ სამუდამო სასუფევლის კარი.

*შვილები*

## კახა გვიმრაძის მონატრება



სამი ცივი დარდიანი, ცრემლიანი ზამთარი გავიდა მას შემდეგ, რაც მარადიულ სამყაროში გადახვედი. ძნელია დედიკო, თქმა შენზე – „გახსენება", შენ ყოვლისშემძლე ხელი ხარ ჩემი, შეხორცებული ჭრილობა, სიხარულო! შენ ცხოვრების გზა შეგვიცვალე, თუმცა კრია არ გაგიცია და თურქეთიდან ჩამოვიდა ოჯახით, ალიკასთან ერთად და ჩამოგვიყვანა პატარა კახა გვიმრაძე, მადლობა უფალს. შენ საყვარელ შვილებს – შორენას და თეას მეორე ძმაც ჰყავთ. შენი პატარები შეგვპირდნენ, რომ მომავალში ჩამოვლენ და პაწია ხელებით მოგიტანენ ყვავილებს, აგინთებენ წმინდა სანთლებს. ილოცოს შენმა სულმა – შორენასთვის, თეასთვის, ალიკასა და კახასათვის და შენი საყვარელი დისთვის – თეასთვის. ჩვენ აქ ვლოცულობთ და გინთებთ ცრემლით სანთლებს, რათა ცათა სასუფეველი იყოს შენი მარადიული ბინა.

*მონატრებული მშობლები, შვილები – შორენა და თეა, დაიკო – თეა, დისშვილები ალიკა და კახა*

## ნელი კანდელაკის ხსოვნას!



ნელი, ჩვენო მშვენიერო და მარად ახალგაზრდავ, უკვე 40 დღე გავიდა, რაც მოულოდნელად წახვედი ამ წუთისოფლიდან. დიდი გულისტკივილი, სევდა და მოგონება დაუტოვე შენს შვილებს, შვილიშვილებს, მეგობრებს. ჩვენ, შენი მეგობრები, შენ გაზიარე ფერთა ჰარმონიას, შენ ხომ შესანიშნავი მხატვარი და პედაგოგი იყავი. შენს შემოქმედებით გალერეაში გამორჩეული ადგილი ეჭირა შენი მეგობრების ფერწერული პორტრეტებს.

ნელიკო, შენს მეგობრებს ყოველთვის გვემახსოვრები, როგორც სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული, ქარგით და ოპტიმიზმით აღსავსე პიროვნება.

*მანანა ტყეშელაშვილი*

## ნატო ჰენრიხის ასული ვადაჭკორია-ჯურხაძის მონატრება



წელს პირველად მოვიდა შენი დაბადების დღე, ნატო, რომელსაც გულისტკივილით და ცრემლებით ვხვდებით. რა უიღბლო ყოფილხარ. 17 დეკემბერს 50 წელი გისრულდებოდა, მაგრამ 10 დეკემბერი საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის. უეცრად ჩაგიტყდა 49-ე ზამთარი. ამბობენ, ღმერთს გამორჩეული ადამიანები მიჰყავსო. ჩვენც ეს გვამშვიდებს, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური სოფლის მიწა.

*შენი ოჯახი*

## ნატო ჰენრიხის ასული ვადაჭკორია-ჯურხაძის მოგონება

ჩვენო ლამაზო ნატო, ენით აუწერელია ის მწუხარება, რომელიც შენმა გარდაცვალებამ მოგვიტანა.

უკვე ერთმა წელმა, რაც შემოდგომის ფოთოლივით გადაინაცვლე მარადისობაში. 17 დეკემბერს 50 წელი შეგისრულდებოდა. ყვავილებით მოვალთ შენს საფლავზე. დაგვიტოვე უდიდესი ტკივილი. გვაკლიხარ და გვენატრები ყველას.

*შენი ლიანა და ინეზა*

## გიორგი (გურამ) ბალახაძის გახსენება



1998 წლის 11 დეკემბერს მოურჩენელმა ავადმყოფობამ 35 წლის ასაკში წაგვართვა, ძმაო, სიცოცხლითა და სიკეთით აღსავსე შენი წმინდა სული. ახლა უკვე 41 წლის იქნებოდი. ტიალმა სიკვდილმა გაჯობა! როდესაც მიხვდი, რომ საშველი აღარ იყო, უბედურ მშობელ დედას გალიმებულმა სთხოვე, ლოყაზე ეკოცნა შენთვის უკანასკნელად. ადამიანი ალბათ რკინა უნდა იყოს, ამდენი ცოდვა-ბრალი რომ აიტანოს. სამსახურშიც ხომ გამორჩეული თანამშრომლებს შორის სიმღლითაც და საქმითაც. სწორედ ამიტომ არჩია უფალმაც, თავისთან წაეყვანე ზეცაში. დატოვე ოჯახი. ორი მცირეწლოვანი გოგო ნინო და მარიამი, დედმამიშვილები არსენა და ია, ნათესავები, მეგობრები. ღიმილით წახვედი ამ ქვეყნიდან. ნათელში გამყოფოს ღმერთმა და ბუნების ძალამ, ჩემო სიცოცხლით გაუმაძღარო, გაუხარელო ძმაო გიორგი. ანგელოზივით წმინდა იყავი და ზეცაშიც ანგელოზებთან დაიმკვიდრებს შენი სული მუდმივ სასუფეველს. მუდამ გახსოვდეს, რომ ყოველთვის გვენატრები და ცრემლი არ შეგვაშრება თვალზე.

*დედმამიშვილები*

## გოგოლია კენჭოშვილის მონატრება



ერთი წელი გავიდა, დედა, შენი გარდაცვალებიდან. რაც დრო გადის, უფრო მეტად გვენატრები და გვჭირდები შენს შვილებსა და შვილიშვილებს.

გვენატრება შენი მოფერება და გულის სითბო, რომელსაც ასე უშურველად გვინაწილებდი მარტო მყოფი, მუდამ შვილების მომლოდინე.

გვაპატიე, დედა, თუ სიყვარული და მოფერება დაგაკლით.

დღეს შვილთაშვილი შეგეძინა, პატარა დათუნა კენჭოშვილი.

ღმერთს შევთხოვთ, მსუბუქი იყოს შენთვის თაბაგრების მიწა. ნათელში გვიმყოფოს შენი ლამაზი სული უფალმა.

*დიდი მონატრებით, შენი შვილები*

## გიორგი ქურდოვანიძეს!



16 დეკემბერი. გილოცავ დაბადების დღეს. საიუბილეო წელია. 30 წელი შეგისრულდებოდა. 27 წლისამ დაგვტოვე, ისე რომ, არც კი დაგვემშვიდობე. საერთაშორისო სამართლისმცოდნეს იმედი გამხდარა არ გყო, მამაზეციერთან ხელწა დაგეწყო, პატარა თათია მყავს გასაზრდელი და უმამოდ ცოდვაო. ამაყი იყავი და იმიტომ მარად ახალგაზრდობა ირჩიე. 16 დეკემბერს სიო რომ დაუბერავს, ვფიქრობთ, ზეციურ საქართველოში თვალებბრიალა გიორგიმ არწივის ფრთებივით გაშალა ხელები, წარბშემართულმა თავისებური დაულური დაუარა-თქო. ნამიც იქნება, გიორგი – ეს შენი მშობლების, დედმამიშვილების, ყველა ნათესავის ცრემლი და შენი ნათელი ხსოვნის უკვდავსაყოფად წაქცეული ლვინის ფიალაა. ეჭვიც არ მეპარება, შენს პიჯაკს და ფეხსაცმელს, სულ გაპრიალებული რომ დადიოდი, მტვერი არ მიეკარება, რადგან დედაშენი ყოველდღე მუხლჩოქით უვლის შენს საფლავს, აპრიალებს შავ გრანიტს, სადაც შენი სურათია გამოსახული, მერე კი თვალცრემლიანი შეხედავს კანდელს, რომელიც დღე და ღამე ჩაუქრობლად ანთია საფლავზე. ან კი სანთელი რად გინდოდა, ბიჭო, ისედაც ანთებდი და ბრწყინავდი შენი ღიმილით და ფასდაუდებელი კეთილი გულით. ასე ინება უფალმა. იმის მაგივრად, რომ შენი სიცოცხლის საღვთრძილო შემესვა, ისღა დამრჩენია გისურვო: ნათელში იყავი, ჩემო გიორგი. ილოცე შენი თათიასათვის, ოლიკოსათვის, პაატასათვის. დარწმუნებული იყავი, ყოველი დილა შენს ოჯახში შენი ნათელი ხსოვნის სადიდებლად და უკვდავსაყოფად იწყება და ამით მთავრდება.

მშვიდობით.

*პასიკო გეჯაძე*

## დევი ცინცაძის მონატრება



2003 წლის 30 ნოემბერი... გავიდა 1 ტკივილიანი წელი და 12 დღე. 12 დეკემბერი შენი დაბადების დღეა, 64 წელი შეგისრულდებოდა. გიყვარდა შენი დაბადების დღე, რომელსაც უშენოდ მეორედ ვხვდებით. გაუსაძლისია უშენოდ ცხოვრება, წახვედი ჩვენგან გულიანი, შრისა და ლაზათის მიმცემი ძვირფასი მეუღლე, არაჩვეულებრივი მამა, უსაყვარლესი ბაბუა და ერთგული მეგობარი. 12 დეკემბერს ყველანი ერთად მოვედით შენს საფლავზე მოგიტანეთ ცრემლით დანამული ყვავილები, აგინთეთ წმინდა სანთლები და ვილოცეთ შენი ლამაზი სულისათვის.

*შენი ოჯახი*

## ნუგზარ გაბუნიას!



*ნატვრა დედისა*

ჩემო ნუგზარ, ჩემო აუწერელო ტკივილო, სხვათა შემრალებელო, რად არ შემრალე შენი მშობლები, რატომ დაირგუნე უშენობით?! სიზმარშიც არ მეცხადები, მეძღური ალბათ, რომ ვერა გიშველე რა... ღამეებს შენზე ფიქრსა და დარდში ვათენებ, ცრემლებით დასველებულ ბალიშს ვეტრიალებ წლამ-უკულმა, გლაპარაკები, გეფერები, ხანაც გეკამათები, მაგრამ ამაოდ. სიზმარშიც კი შენი ხილვა ოცნებად მექცა და ისევ და ისევ ვრჩები უბედური დედა – რატომ, რისთვის?..

ნეტავ განახა შენი სანატრელი ლუკა, რომელიც დაგვიტოვე ტკივილიან ნუგეშად, ამ ბოლო ხანში როგორ აიყარა ტანი, რამხელა გახდა. როცა ვუყურებ, მაგონდება ჩვენი სათაყვანებელი ერეკლეს, მისებური იუმორით აღსავსე წერილი გერმანიიდან, რომელშიც ეკითხება ირაკლის: „რკა, ერთი მითხარი, სამი მეტრი ხარ უკვე თუ ერთი სანტიმეტრი გაკლია კიდევ?.. იკა, ლუკა, „ჟორა", ძალიან მენატრებით, ძალიან მიყვარხართ"... და ცრემლად ვიღვრები უბედური ბებია, დედა... (რამდენი რამის ატანა შეიძლება თურმე, რისთვისაც ხშირად თავი მეზიზღება კიდეც).

მალე შობა-ახალი წელი მოვა, ჩამოვლენ ბიჭებიც, რომელნიც სამი წელია არ ჩამოსულან და რომელთაც მოუთმენლად ელოდი ჩვენთან ერთად, გენატრებოდა.

გაიხარებენ პატარა, საოცრად გონიერი, ლამაზი ნიკუშას ხილვით, რომელიც მალე სამი წლის გახდება და რომელსაც მხოლოდ სურათებით იცნობს ირაკლი.

მაგრამ ვაი, რომ ტკბილ-მწარეა წუთისოფელი, როგორ გაუძნელდებათ ნუგოს საფლავის ხილვა... რომ იცოდე, რა ტკივილიანი სიხარულია მათი მოლოდინი ჩემთვისაც... მოუხედავად მძიმე სულიერი, ფიზიკური ტანჯვისა, სიკვდილიც არ მოდის თურმე შენს გემოზე, ისიც აუხდენელ ოცნებად მექცა...

ჩემო მოურჩენელო ტკივილო ნუგზარ, რა ვქნა, აუტანელია სევდა უშენობისა... მენატრები უსაშველოდ, გაგიჟებამდე... ბევრ რამეში ვავსებდით ერთმანეთს, შეგვეძლო მიტევებაც, ბოდიშის მოხდაც... მაგრამ რა?! სუსტები აღმოჩნდით...

აი, ვწუხვარ, რომ იქაც გაწუხებ წუწუნით, რომელიც ასე არ გიყვარდა, მაგრამ იმედია, მაპატიებ, თავს ვერ ვერევი.

ასევე ყველა სინანულითა და უდიდესი სითბოთი გიგონებს... ჩვენი მანანაც, ისიც უსაშველო ტკივილი ახლობლებისა, ხშირად ცრემლებით იმეორებდა თურმე შენს სიტყვებს: „რა ვქნა, ჩემო მანანა, დაუფიქრებლად მოგცემ ჩემს ნებისმიერ ორგანოს გადასანერგად, ოღონდ შენ იცოცხლეო..."

ახლა ხომ ყველანი ერთად ხართ, ნაადრევად წასულნო, ძნელად მოსანელებელნო – მანანა, გოჩა, თამაზი, ანა, გურამი, ბონდო... ვიცი, რომ ყველანი თავის გვარ ბაბუასთან ერთად ყურადღებას მიაქცევთ, მოეფერებით, ასევე მოურჩენელ უდიდეს ტკივილს – ერეკლე ბიჭს, რომელიც ჯერ კიდევ გაუმაძღარი სიყვარულით, სიცოცხლით, მხოლოდ 15 გაზაფხულს ეზიარა, მაგრამ მოუხედავად ამისა, წარუშლელი კვალი დატოვა ახლობლებში, კლასელებში, ნაცნობ-მეგობრებში, თავისი განუმეორებელი ხიბლით, გამორჩეულობით. პატარა ნიკუშაც ცნობს, გვიჩვენებს, უყურებს სურათებში თავის ძმას – ერეკლეს, რომელზეც იმედის ვუყვებით ხოლმე. ასე ყოფილა წუთისოფელი – „ღამეს დღე უთენებია"... მაგრამ (ოხ, ეს მაგრამ)...

ნათელში იყოს ყველა თქვენგანის ლამაზი სული.

...მე კი ისღა დამრჩენია, მოუთმენლად ველოდო თქვენთან შეხვედრას, მანამ კი ვილოცო შენი კეთილი, მშფოთვარე სულისთვის, ყოველი თქვენგანისათვის, რათა ნათელი გედგათ თქვენს სამუდამო სასუფეველში.

*შენი დედიკო*

## გურანდა ქობალიას!



„ნაგვიანევი ყვავილები"

*„... რანაირი ნაწამები მოვალ,*

*მიმიქს ჩემი დაკრეფილი ხელები"* – გრანელივით შეგეძლო გეთქვა...

წაფარფატდა ზეცისკენ შენი სული, გურანდა როგორც ეძიებდი, ილტვოდი უფლისკენ, მთელი არსებით, თავგანწირვით, რა ძნელი გზა გამოიარე. ვაი რომ „გზა ტაძრისკენ" გვიან გამოჩნდა. საოცარი სინანული გქონდა: ცრემლი შეუშრობელი. ყოველ წუთს იზრდებოდი. შენი ლოცვანი და სახარება კითხვისაგან იყო გაცრეცილი. უფალს ავედრებდი ყოველივეს, რაც ასე გიყვარდა.

მძიმე სენმა უკიდურესად დაგიმძიმა ჯვარი – ლოგინს მიეჯაჭვე და თუმც ზრუნვით და სიყვარულით იყავ გარემოსილი, მაინც ღმერთთან უხმობდი ლოცვადქცეული, რთოდი, იჩქაროდი წამისკენ, როცა მწყემსი კეთილი, გზააბნეული კრავივით აგიყვანდა ხელში!

შენი სტრიქონები ახლა სულ სხვაგვარად ხმიანებენ, გურანდა! „მე შენ მოგართმევ ძლიში ფიალის და ტკივილისგან ჩამოქნილ სანთელს და დავემხობი შენ წინაშე..."

ღმერთის ებრალებოდე იმ სოფლად, ჩემო უნათლესო დობილო! მიიღე ჩემი „ნაგვიანევი ყვავილები".

*შენი მარეხი*

## ბექა ხარხელაურის მონატრება



უნაკლო მხოლოდ უფალია, მაგრამ შენ მეტად იყავ სრული, ვიდრე შენი ასაკის კაცს შეეფერებოდა.

ოცდასამი წელი არცთუ ისე ბევრია, რომ შენი აკვარგიანობა განისაზღვროს ამ ასაკშიც იმაზე მეტი გაიღე, ვიდრე უნდა გაგეღო. გიყვარდა ყველა, შენი დღე სიმღერით იწყებოდა და სიმღერით მთავრდებოდა. შენი ცხოვრების წესით მხოლოდ სიცოცხლეს იმსახურებდი, სიცოცხლეს ისეთსავე ხალისიანს, როგორიც იყავ. შენ ხომ ყველასთვის შეგეძლო ყოფა გაგეადვილებინა. ამიტომაც შენი სიკვდილი მეხის დაცემას ჰგავდა. სიკვდილსაც თავისი სილამაზე ჰქონია: ვერც ამან გაგიბედა, შენი გაცივებული სახიდან ლამაზად გაშლილი ღიმილი წაეშალა. ვაი იმ მკვლელის ბრალი, ვინც შენი სიკვდილის ცოდვა იტვირთა.

16 დეკემბერს 24 წლის ხდები. ეს დღე გამორჩეულად გიყვარდა. შევეცდებით, ეს დღე შენმა საახლობლომ ტრადიციად ვაქციოთ, თუმცა უშენოდ საკმაოდ ძნელი და ტკივილიანი იქნება.

*მამიდები, მამიდაშვილები*

## გიორგი იმნაძის გახსენება



უსაზღვრო სევდითა და მწუხარებით გაილია უშენოდ ოთხი წელიწადი ძალიან გვენატრები! უშენოდ ცხოვრება დღითი დღე უფრო გაუსაძლისი ხდება.

მარადიულ ნათელში იყავი, სიხარულისთვის გაჩენილო, მაგრამ გახაურელო, ჩვენთვის მარად დაუვიწყარო, უსაყვარლესო და ერთადერთო შვილო გიორგი.

*შენი დედიკო, მამიკო და ახლობლები*

## ბადრი ესაკიას გახსენება



ტკივილიანმა და ცრემლიანმა ერთმა წელმა გაიარა მას შემდეგ, რაც განგებამ ერთმანეთს დაგვაშორა, ჩვენო საყვარელო ძმაო ბადრი!

გვიყვარხართ და გვენატრებით ძალიან. შენი მოგონებებით ვალამებთ და ვათენებთ დღეებს. შენ ის ტკივილი ხარ, დროსთან ერთად რომ იზრდება.

ძმაო ბადრი, ერთი სათხოვარი გვაქვს შენთან შენს დამწუხრებულ დებს: დაგვესიზმრე ხშირად, რომ სიზმარში მაინც მოგეფეროთ და მოგესიყვარულოთ. ვილოცებთ შენთვის, რათა უფალმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი დები – თინა და ლია ესაკიები*

## ლევან კაჭახიძის ხსოვნას!



16 დეკემბერი. დღეს შენი დაბადების დღეა. მარადისობაში გადასულო, ჩვენო საყვარელო ლევან, ჩვენო დიდო ტკივილო და მონატრებავ, ეს დღე ჩვენთვის სიხარულის დღე იყო, ახლა კი ტკივილის დღედ იქცა. უკვე მეორედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ, მოვდივართ შენს საფლავთან, მოგვაქვს ცრემლით დანამული ლამაზი ყვავილები. გინთებთ სანთლებს და ვლოცულობთ შენი სულისთვის.

ენით აუწერელია ის მწუხარება, რაც შენმა გარდაცვალებამ მოუტანა ერთადერთი შვილის იმედზე მყოფ შენს მშობლებს ნაილი და ტიტე კაჭახიძეებს; შენს ცოლ-შვილს მაია კაციტაძეს, ცოტნესა და სანდროს, ნათესავებს, ახლობლებს, მეგობრებს... შენ ხომ კეთილი, ალალი, ყველას მოსიყვარულე, გაჭირვებაში ყველას გვერდში მდგომი, ყველასათვის თავგამეტებული ვაჟკაცი იყავი, 33 წლის, რომელი ასაკიდანაც ხშირად ადამიანები ცხოვრებას იწყებენ, შენ კი სიცოცხლე წაგართვეს. რისთვის გამოაქეთ არაკაცებს ასეთი სასტიკი განაჩენი? ყველამ კარგად იცის, რომ ამქვეყნიურ სამართალს ვინც გადაურჩა, ღვთის სასჯელს ვერსად დაემალება. ამქვეყნად ყველაფერი ცვალებადი და წარმავალია. ცხოვრება თავისი გზით მიდის. შენი სიცოცხლე, ჯიში და ჯილაგი გრძელდება შენს ვაჟკაცებში, რომლებიც არასოდეს დაავიწყებენ თავიანთი ახალგაზრდა, ლამაზი, სიცოცხლეს მონატრებული მამა. დაიზრდებიან ისე, შენს ოჯახს რომ ეკადრება.

ლევან, არასოდეს დაგივიწყებს შენი ბიძა, რომელსაც სიცოცხლეზე მეტად უყვარდი და შენი ბიძაშვილები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*ვაკო, მარინა, დიტო, ნინო, ქეთი გელაშვილები*



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და ღირსეული მოქალაქე, ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი, ქუთაისის საგრო ინსტიტუტის „გელათის" პრორექტორი, აკადემიკოსი

**შოთა დათუსანი.**

პირველკურსელ ახალგაზრდას, გონებითა და გარეგნობით დაჯილდოებულს, ომმა მოუსწრო. ჩრდილო კავკასიის ფრონტზე იბრძოდა. 1943 წელს მკერდში დაჭრილი დაბრუნდა, გამოჯანმრთელდა, მაგრამ ტყვიას მკერდით ატარებდა. დაჯილდოებულია სამამულო ომის ორდენებითა და მედლებით საბრძოლო დამსახურებისთვის. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიავლინეს ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დღემდე ემსახურებოდა სტუდენტი ახალგაზრდების აღზრდის საქმეს. 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ღირსეული მეუღლე, მამა, ბაბუა, გულისხმიერი მეგობარი, გაჭირვებაში მყოფი ადამიანების მრჩეველი და უანგარო დამხმარე წავიდა ჩვენგან, რომელსაც 1943 წელს მოხვედრილმა ტყვიამ საბოლოოდ გაუჩერა ის გული, რომელიც ამქვეყნად მხოლოდ სიკეთისთვის ფეთქავდა. ღმერთმა ნათელი მოჰფინოს შენს კეთილშობილ სულს.

*ახლობლები და ნათესავები*



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პროექტორი, მხატვარი – საქართველოს პროექტორთა და მხატვართა კავშირების წევრი, პედაგოგი

**მიხეილ (ბიჭიკო) რობაქიძე.**

დაიბადა 1937 წელს ქ. გორში. დაამთავრა საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი. წლების განმავლობაში მუშაობდა „სოიუზდორპროექტში", სადაც განხორციელებული აქვს უამრავი პროექტი მაშინდელი კავშირის ფარგლებში, მათ შორის ესტაკადა თბილისი-მცხეთის მონაკვეთზე. მუშაობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ხაზვის კათედრაზე პედაგოგად.

რიგი წლების განმავლობაში იმუშავა ჯერ ადიგენის, შემდეგ ახალციხის რაიონების მთავარ არქიტექტორად, შემდგომ საქ. ტექნიკურ უნივერსიტეტში სამხედრო კათედრაზე პედაგოგად. აქტიურად მოღვაწეობდა სამხატვრო სარბიელზეც – არაერთხელ აქვს მოწყობილი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა ქ. თბილისის სხვადასხვა საგამოფენო დარბაზში, როგორც არქიტექტორის, ასევე სამხატვრო რანგში. ამ უკანასკნელში მის შემოქმედებას განსაკუთრებული აღმასვლა აღენიშნება. იყო უაღრესად კაცთმოყვარე და გულისხმიერი ადამიანი. დაჯილდოებული იყო გამორჩეული იუმორის გრძნობით. მისი ცხოვრება და საქმიანობა მუდამ დაფუძნებული იყო მოყვასის სიყვარულზე, რაც უფრო ნათელსა და დაუვიწყარს ხდის მის ხსოვნას.

*ახლობლების ჯგუფი*

მეუღლე ნანა ლეჟავა; შვილები ნათია და თეონა ანთიები; და გულიკო დარასელია; ძმა დათო ანთია; სიდედრი ლალი სირბილაძე; სიმამრი ოთარ ლეჟავა; სიძეები: კახაბერ ხარებავა და ირაკლი ხაბეიშვილი; რძალი ნანა; ძმისშვილი ბუხუტი ანთია, თინიკო ლელუაშვილი, მაზლები: ბიჭუნა და ლამარა ხარებავები, ჯემალ და ელიკო ხაბეიშვილები, ნათესავები და მეგობრები გულისტკივილით იუწყებიან

**ზურაბ ბუხუტის ძე ანთიას**

გარდაცვალებას.

*პანაშვიდი:* ორშაბათს 17 საათზე.

*გამოსვენება:* სამშაბათს, 14 საათზე.

*მისამართი:* კუტუზოვის ქ. №5



დედა ნარგიზა, მამა სილოვანი, ძმა მამუკა, ძმისშვილი ნიკა, ბებია ნაზი გოგუები; რძალი ნინო იაკობიძე; ბიძები, მამიდები, დეიდა და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ავხაზეთიდან დევნილი, 22 წლის

**გოჩა სილოვანის ძე გოგუა**

*პანაშვიდი:* 14, 15 დეკემბერს, 15 საათზე;

*დაკრძალვა:* ხუთშაბათს, 16 დეკემბერს, 14 საათზე.

*მისამართი:* თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №12 (აფრიკის დასახლება), მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის შენობა.

# ცვილის ფიგურების საშინელებათა ოთახი




ლონდონში, ბეიკერ-სტრიტზე, მდებარეობს მსოფლიოში სახელგანთქმული მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურათა მუზეუმი. შენობა 1941 წელს აიგო, მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ადრინდელი მუზეუმი დაბომბეს. მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მუზეუმს ყოველწლიურად ნახულობს ორ მილიონზე მეტი დამთვალიერებელი. ამით მან ბევრად აჯობა უახლოეს მეზობელს — დიდი გამომძიებლის, შერლოკ ჰოლმსის მუზეუმს. მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურათა შორის ამოიცნობთ მსოფლიოში ცნობილ ნებისმიერ ადამიანს. მუზეუმის დამაარსებლის წარსული იავარდით მოფენილი არ გახლავთ. მან ბედისაგან ბევრი დარტყმა მიიღო, რა აღარ გადაიტანა! იძულებული იყო, საქმე დაეჭირა ჯალათებთან და მკვლელებთან, თუმცა უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, მათ გვამებთან. მათი ცვილის ფიგურები წარმოადგენს საშინელებათა ოთახის ექსპოზიციის ხერხემალს. სწორედ აქ მოიყარეს თავი ცნობილმა ინგლისელმა ქურდებმა, თაღლითებმა და მკვლელებმა, მათ შორის ლეგენდარულმა ჯეკი-მფატრავმაც. ოთახის „საშინელ“ მკვიდრთა შორის არიან საფრანგეთის რევოლუციის მთავარი მოღვაწეებიც. მათ გვერდით გამოფენილია ორი ნამდვილი გილიოტინა. ერთ-ერთ მათგანზე 1793 წელს თავი მოჰკვეთეს მეფე ლუდოვიკო XV-ს და მის მეუღლეს. საშინელებათა ოთახის დამთვალიერებლებს ხშირად იპყრობს ურთიერთგამომრიცხავი გრძნობები — პერსონაჟების ორიგინალთან იდეალური მსგავსებისაგან მოგვრილი აღფრთოვანება და შიში — არ გაცოცხლდეს! დღისით, დამთვალიერებელთა ხმაურში ეს გრძნობები მალე ქარწყლდება, ღამით კი მუზეუმი დაკეტილია, თუმცა თუკი მძაფრი შეგრძნებები გიზიდავთ, შეგიძლიათ გადაიხადოთ 100 გირვანქა სტერლინგი და ღამის გასათევადაც დაგტოვებენ. ამბობენ, აქ მკვლელების გვერდით გატარებული კოშმარული ღამე ყველაზე უიმედო ალკოჰოლიკებს კურნავს. იმასაც ამბობენ, ასეთი ღამის შემდეგ აზარტული თამაშების მოყვარულებიც იკურნებიანო. საშინელებათა ოთახი აშკარად მოჯადოებულია, რადგან ერთხელ, როცა მთელი მუზეუმი დაიწვა, ბოროტმოქმედთა ფიგურები გადარჩა. ყველაფერი კი 200 წელზე მეტი ხნის წინ დაიწყო. გერმანელმა ფილიპ ვილჰელმ კურტიუსმა დაიწყო შეკვეთების მიღება ცვილის ფიგურებზე. თავიდან ნიღაბს თიხისგან ამზადებდა, სანამ მასალა დამკვეთის სახეზე შრებოდა, იგი ნესტოებში ჩადგმული ორი ბატის ფრთის ღეროთი სუნთქავდა... ადრე კურტიუსი აფთიაქარი იყო, მაგრამ ცვილის ფიგურების კეთება უფრო სარფიანი საქმე გამოდგა და პროვიზორობას თავი ანება. ერთხელ კურტიუსს დაემოწაფა გოგონა, რომელიც ძალზე მოეწონა კარგი მეხსიერების, ხატვის ნიჭის და მოკრძალებული ხასიათის გამო. ეს გახლდათ მომავალი მადამ ტიუსო...

საეკლესიო წიგნის ჩანაწერების თანახმად,



ექსპონატები მადამ ტიუსოს მუზეუმიდან

მარი გროსჰოლცი დაიბადა სტრასბურგში, 1761 წლის 7 დეკემბერს — ანა-მარია და იოჰან გროსჰოლცების ოჯახში. მალე იოჰანმა შეიტყო, რომ გოგონას ნამდვილი მამა თვითონ კი არა, ახალგაზრდა მოქანდაკე ფილიპ კურტიუსი იყო. მაშინ იოჰანმა ოჯახი მიატოვა და გოგონას მხოლოდ თავისი გვარი დაუტოვა, რაც მადამ ტიუსოსთვის კოზირიც იყო და დამაბრკოლებელიც — გროსჰოლცების წინაპრები ეკუთვნოდნენ ყველასთვის საზიზღარ ჯალათთა კასტას. მარტო დარჩენილი ანა-მარია ჩვილ ქალიშვილთან ერთად კურტიუსთან გადაბარგდა. გოგონა რომ წამოიზარდა, წმინდა აგნესას სასწავლებელში მიაბარეს. მან მალე აითვისა კითხვა და ანგარიში. შინ კი გატაცებით ადევნებდა თვალს მამის მუშაობას. მარი ნიჭიერი მხატვარი და მოქანდაკე გამოდგა. მალე მათ პარიზში, პალე-როიალზე ფარდული შეიძინეს. ფარდული სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. სწორედ აქ შეხვდა მარი ბენჟამენ ფრანკლინს, ვოლტერს, რუსოს და თვით საფრანგეთის მეფეს, ლუდოვიკო XV-ს. რამდენიმე ხნის შემდეგ კურტიუსმა გახსნა ახალი სალონი, სადაც მოაწყო გამოფენა — ცნობილ პირთა და... მკვლელთა ნიღბები. ყველაზე დიდი წარმატება ხვდა წილად კომპოზიციას — „სადილი მეფესთან“. წარმატების მიზეზი ის გახლდათ, რომ ყველას შეეძლო შეხებოდა მეფეს... მოვლენები საფრანგეთში სწრაფად ვითარდებოდა. 1789 წლის 14 ივლისს იერიშით აიღეს ბასტილია. რამდენიმე დღის შემდეგ კურტიუსმა მეფის და მისი ოჯახის ფიგურები გადაადნო. საჭირო იყო, დროს არ ჩამორჩენოდა. არენაზე გამოვიდნენ ახალი სახეები, რევოლუციის ლიდერები — დანტონი, დემულენი, რობესპიერი. ისინი ხშირად დაიარებოდნენ კურტიუსთან. აიძულებდნენ ოსტატს და მარის, აეღოთ მათ მიერ სიკვდილით დასჯილი არისტოკრატებისა და მეფის ოჯახის წევრების ნიღბები. საუბედუროდ, პრუსიის გაძლიერებამ გამოიწვია ანტიგერმანული განწყობილების ზრდა საფრანგეთში და კურტიუსი იძულებული გახდა, მაინცში გაქცეულიყო. მარი მარტო დარჩა. ის აგრძელებდა შეკვეთების მიღებას. გავიდა წლები. მარი ფრანსუა ტიუსოს გაჰყვა ცოლად. მათ ორი ვაჟი შეეძინათ. ახალი ეპოქაც დაიბადა — იმპერიის ეპოქა. ნაპოლეონის მეუღლემ, ჟოზეფინამ, მადამ ტიუსო სასახლეში მიიწვია ნაპოლეონის სკულპტურის გამოსაძერწად. საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ მადამ ტიუსოს პირადი ცხოვრება არ აეწყო — ქმარს გაეყარა. 1791 წელს უმცროს შვილთან ერთად ინგლისში გაემგზავრა, უფროსი დედამისს დაუტოვა აღსაზრდელად. ლონდონში გამოფენებს დიდი წარმატება ხვდა წილად, მაგრამ 1804 წელს მოულოდნელად უბედურება დატრიალდა — გემი, რომლითაც ცვილის ფიგურები გადაჰქონდათ, ჩაიძირა, საბედნიეროდ, ლონდონში გადარჩა ფორმები. ტიუსოს ყველაფ-



რის გაკეთება თავიდან მოუხდა. კოლექცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. გაჩნდა შოტლანდიის დედოფალი მარია სტიუარტი, ადმირალი ნელსონი, იორკის ჰერცოგი... მადამ ტიუსოს პოპულარობა დღეებით კი არა, საათობით მატულობდა. 1835 წლის 21 მარტს ტიუსოს ოჯახმა ბეიკერ-სტრიტზე ლამაზი ბინა შეიძინა. მარი და ბავშვები პირველ სართულზე დასახლდნენ. მაღლა საგამოფენო დარბაზები მოაწყვეს. თითქმის 50 წლის მანძილზე მოდიოდა აქ დამთვალიერებელი. მადამ ტიუსო 1850 წლის 14 აპრილს გარდაიცვალა, 90 წლის ასაკში.

**ნლო №38**

# „მოთამაშე“ სკამი



— თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ვმუშაობ ღამის დარაჯად. რაც აცივდა, ძალიან გამიჭირდა ღამისთევა, რადგან სკოლაში გათბობა ღამღამობით გამორთულია. რადიოს ვუსმენ ხოლმე და შეფუთნული ველოდები გათენებას. ოროდე დღის წინ ისე ამიტანა სიცივემ, რომ გასათბობად სართულებზე სირბილი დავიწყე. მეოთხე სართულზე ფიზიკის კაბინეტია, გვერდით — საკლასო ოთახი, სადაც ძველი, მაგრამ რბილი სავარძელი დგას. კარი გავაღე და შევედი. მართლაც მესიამოვნა სავარძელში ჯდომა. გვერდები გამითბა და ჩამთვლიმა კიდეც. ძილბურანში ხმაური ჩამესმა. შიშით კინაღამ გული გამიჩერდა. არაერთი ამბავი მსმენია, ყაჩაღებს დარაჯი რომ უწამებიათ და მოუკლავთ კიდეც. ძლივს წამოვწიე წელი და მივაყურადე. კაბინეტში თითქოს ვიღაც მაგიდებსა და სკამებს აქეთ-იქით აჩოჩებდა. კარის ჭუჭრუტანიდან შევიჭყიტე. ვერაფერი გავარჩიე. კარგა ხანს ვიდექი, საკუთარ გულისცემას ვუსმენდი. ხმაური რომ არ შეწყდა, კარი ოდნავ შევაღე. ნელ-ნელა გავარჩიე მერხები, სკამები, დაფა და, დარწმუნებული ვარ, არაფერი მომჩვენებია. ერთ-ერთი სკამი დაჩოჩავდა და თითქოს ნელ-ნელა ირწეოდა. ვიგრძენი, როგორ დამეცვარა შუბლი ცივი ოფლით. ნაბიჯიც ვერ მოვიცვალე. აკანკალებული მივეყრდენი კედელს, აღარც კი მახსოვს, მერე რა მოხდა... იმ ღამით გადავრჩი, მაგრამ მეორე ღამეს ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა. საღამოს რომ ჩამოვიარე სკოლაში და შევამოწმე, სადმე რამე არ იყოს ელექტროდენში ჩართული-მეთქი, სავარძლიან ოთახში ნათურა ანთებული დავტოვე, მერე ფოიეში ჩამოვედი და დაღამებას დაველოდე. ასე, 1-ელ საათზე, ფეხაკრეფით ავედი მეოთხე სართულზე. გაფაციცებულს კიბეზევე მომესმა ნაცნობი ფხაკუნი. მივიპარე კაბინეტთან, ოდნავ შევაღე კარი. საკლასო ოთახიდან გამოსული სინათლე ნახევრად ანათებდა კაბინეტს. კარგად გავარჩიე — მესამე რიგის ბოლო სკამი (სწორედ ის, რომელიც წინა ღამით „თამაშობდა“) ისევ მოძრაობდა, მაგრამ ახლა ქალის სილუეტიც დავინახე — სინათლის ფონზე ოთახის უკანა კედელზე „იხატებოდა“. ისე ჩანდა, თითქოს ქალი სკამზე იჯდა და ნება-ნება ირწეოდა, თან თავს აქეთ-იქით აბრუნებდა, ხან ფანჯრისკენ „იყურებოდა“. თვალები მოვიფშვნიტე და უნებურად დავიყვირე. სკამი გაბრახუნდა და ყველაფერი გაქრა. ...დილით სამეურნეო ნაწილის გამგეს ვკითხე: — წუხელ ფიზიკის კაბინეტთან გავიარე, ქალი მომელანდა, ნეტავი ვისი აჩრდილი იქნებოდა-მეთქი. ჯერ მასხრად ამიგდო — ამ სიბერეში რა დროს შენი ქალიაო. რომ შემატყო, არ მეცინებოდა, ხელი გადამხვია და დინჯად მითხრა: აბა, რა ვიცი, შენ ვინ ნახე... ორი ფიზიკის მასწავლებელი გვყავს, ორივე მამაკაცია. ქალიც იყო ფიზიკის მასწავლებელი, მაგრამ შარშან გარდაიცვალაო. რატომღაც მჯერა, რომ ის ქალი ვერ ტოვებს სკოლას და ღამღამობით შედის თავის კაბინეტში, რომ მონატრებული გული იჯეროს.

**ბეჟან ხუხია**

ტესტი

# ადვილად ექცევი თუ არა სხვისი გავლენის ქვეშ

**1. შენი კოლეგა ამბობს, რომ ვერ იტანს ყვავილებს სამუშაო მაგიდაზე. შენ...**

ა) ...ეძებ კომპრომისს;

ბ) ...ბრაზობ, მაგრამ ყვავილებს იღებ მაგიდიდან;

გ) ...არაფერს ცვლი.

**2. რა შეცდომებს უშვებენ ხშირად მშობლები?**

ა) არ წარმოადგენენ თავიანთი შვილებისთვის ავტორიტეტს;

ბ) ზედმეტად მკაცრები არიან შვილებთან;

გ) არ უხსნიან ბავშვებს, რატომ არის საჭირო განსაზღვრული წესების დაცვა.

**3. ადვილად ეკითხები რჩევას სხვას გადაწყვეტილების მიღების წინ?**

ა) ზოგჯერ;

ბ) არა, რა საჭიროა?

გ) დიახ, ეს თავდაჯერებულობას მმატებს.

**4. ჩვეულებრივ, კონფლიქტურ სიტუაციაში შენ ხარ:**

ა) მშვიდობისმყოფელი;

ბ) ბუნტისთავი;

გ) გარემოებათა მსხვერპლი.

**5. ისეთი განცდა გაქვს, რომ კომპიუტერის გამყიდველი აშკარად გთავაზობს ნაკლიან საქონელს.**

ა) კომპიუტერებისა არაფერი გამეგება, ამიტომ ვყიდულობ იმას, რასაც მთავაზობენ;

ბ) მივდივარ სხვა მაღაზიაში;

გ) ვითხოვ მისგან ახსნა-განმარტებას.

**ცხრილის მეშვეობით დაითვალეთ ქულები**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|
| ა | 2 | 1 | 2 | 2 | 3 |
| ბ | 3 | 3 | 1 | 1 | 2 |
| გ | 1 | 2 | 3 | 3 | 1 |

**5-8 ქულა: ხომ არ ფიქრობ, რომ ზოგჯერ თავდაცვას იწყებ თავდასხმამდე გაცილებით ადრე?**

**9-12 ქულა: წვრილმანებს ყურადღებას არ აქცევ, მაგრამ თუ ადამიანი აპირებს რაღაც გავნოს, მაშინვე თავის ადგილზე დასვამ.**

**13-15 ქულა: შესანიშნავია, იყო გულითადი და გულწრფელი ადამიანი, მაგრამ უფლებას ნუ მისცემ სხვას, დაგჩაგროს.**

**ლიზა №38**

**„საზალლო-სალალო“ გვერდის პასუხები**

I. საცერი.

**აბა, გამოიცანი**

II. 1) — ა); 2) — ბ); 3) — გ); 4) — დ); 5) — ბ).

III. ა) და დ) დეტალები გასხვავებულია

# უცნობი „პატიოსანი“ თაღლითები



ორი მსხვილი გერმანული ბანკის კლიენტებმა ერთ მშვენიერ დღეს ელექტრონული ფოსტით მიიღეს ოფიციალური წერილი, რომლითაც ბანკების დირექცია მეანაბრეებს აფრთხილებდა, რომ უახლოეს მომავალში მოსალოდნელი იყო, ქცეულიყვნენ ინტერნეტთაღლითების მსხვერპლად. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად კლიენტებს სთავაზობდნენ, გაეხსნათ ბანკის „ახალი საიტი“, სადაც დატოვებდნენ საკუთარ მონაცემებს, მათ შორის, ანგარიშის ნომერს და ტრანსსააქციო კოდს, რომელიც აღნიშნულ ანგარიშზე ფულის მოხსნის შესაძლებლობას იძლევა. ცხადია, მოიძებნებიან ისეთი მიამიტი გერმანელები, რომლებმაც საგულდაგულოდ შეასრულეს მითითებული ინსტრუქცია, ორი დღის შემდეგ კი აღმოაჩინეს, რომ მათი საბანკო ანგარიშები ცარიელია. ისე, სხვათა შორის, უცნობი თაღლითები მაინც პატიოსანი ხალხი აღმოჩნდა, — მათ ხომ თავად გააფრთხილეს მეანაბრეები.

***კრიმინალნი კურიერი №47***

# თუთიყუშმა პატრონი გადაარჩინა

ჩვენს უმცროს მეგობრებს ხშირად გამოვყავართ გაჭირვებიდან, ზოგჯერ სიკვდილისგანაც გვიხსნიან ხოლმე.

მორიგეობიდან დაბრუნებულ 28 წლის საგზაო სამსახურის ინსპექტორ პოლ ბროუდჰურსტს ეძინა, როცა სახლში ხანძარი გაჩნდა. პატრონის გასაღვიძებლად რუხმა აფრიკულმა თუთიყუშმა როკიმ განწირული ყვირილი ატეხა. ხმაურმა პოლი გააღვიძა და ძლივს მოასწრო ალმოდებული სახლიდან გასვლა, როკი კი მეხანძრეებმა გადაარჩინეს და სამკურნალოდ ზოოკლინიკაში მიიყვანეს. „როკის ხმაური რომ არ აეტეხა, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ყველაფერი,“ — ამბობს გადარჩენილი პატრონი.

***ნიუსი***

# რას მალავს ჯასტინი?

როდის შეიძლება მემუარების წერის დაწყება? „რაც უფრო ადრე, მით უკეთესია!“ — გადაწყვიტა 23 წლის მომღერალმა ჯასტინ ტიმბერლეიკმა და საქმეს შეუდგა. ვარსკვლავს ბევრი რამ აქვს მოსაყოლი: მძიმე ბავშვობა შოუში „Mickey Mouse Club“-ი, რამდენიმე წლის მონური შრომა ჯგუფში „IV, SYIVC“, რომანები ცნობილ ლამაზმანებთან — ბრიტნი სპირსთან, ალისა მილანოსთან, ჯანეტ ჯექსონთან და კამერონ დიასთან. გამომცემლებმა უკვე დანიშნეს წიგნის გამოსვლის დღე და ემზადებიან სკანდალური მოგონებების წყალობით სოლიდური თანხის მისაღებად. და უცებ... ჯასტინმა ხელნაწერი უკან მოითხოვა — უნდა გადავწეროო. არადა, იმ თავების შეცვლას აპირებს, სადაც ის აღწერს ბრიტნისთან ურთიერთობას. გამომცემლები დაზაფრული არიან: — „იმედი გვაქვს, ჯასტინი არ შეიტანს სერიოზულ შესწორებებს, პირველი ვერსია ხომ ძალიან კარგი იყო, თუმცა, ეს ბრიტნის განარისხებდაო. საინტერესოა, რისი შესწორება გადაწყვიტა ჯასტინმა და ვინ იცის, იქნებ მემუარების სხვა ნაწილებიც გადააკეთოს!..

***ტვ პარკი №48***

# მაფიაზე ჯვარდაწერილი



მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი ამერიკელი მომღერალი ფრენკ სინატრა ეჭვმიტანილი იყო მაფიასთან კავშირში, ვერც ჟურნალისტებმა და ვერც ძფბ-მ ვერ მოახერხეს, ეს აღიარება მომღერლისგან მიეღოთ. და აი, სინატრას გარდაცვალებიდან ექვსი წლის შემდეგ საკუთარმა ქალიშვილმა „ჩაუშვა“ მამა. ტინამ დაადასტურა სინატრას პირდაპირი კონტაქტები მაფიასთან და განაცხადა, რომ მამამისი 20 წლის მანძილზე თანამშრომლობდა მაფიასთან.

***ექსპრეს-გაზეტა***

# სალვადორ დალის უღალატეს

1974 წელს თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა სალვადორ დალის ცნობილი ტილო „დალის ორმაგი პორტრეტი“ და დღემდე მის კვალს ვერ მიაგნეს. პორტრეტი მხატვარმა თავის მეუღლეს უძღვნა. სურათის გაქრობის შემდეგ სადაზღვევო კომპანიამ მხატვარს 125.000 დოლარი გადაუხადა. 25 წლის შემდეგ კატალონიის სასამართლომ აღმოაჩინა დამნაშავე. როგორც გაირკვა, 70-იან წლებში სალვადორ დალის ახლო მეგობარი, ჯონ მური მხატვრის საქმეებს აფინანსებდა. სწორედ მისი წყალობით დააგროვა დალიმ დოვლათი. ტილო მურის სახლში აღმოჩნდა. ჯონ მური და მისი მეუღლე კატორინა დაადანაშაულეს, რომ მათ შუაზე გაჭრეს ცნობილი ტილო, ხოლო შემდეგ სახელი შეუცვალეს და დაარქვეს — „დალი ხატავს გალას“. სასამართლომ გაითვალისწინა ბრალდებულის, ჯონ მურის ასაკი და ამიტომ მხოლოდ ჯარიმას — 1 მილიონ ევროს დააჯერა, მასვე დაეკისრა ტილოს რესტავრაციის ხარჯების დაფარვა.

***სანი***

# როგორ გამოიყურება თანამედროვე კატა?

ევროპაში ძალიან პოპულარული გახდა ახალი ხელოვნება — კატების შეღებვა. ფისოები აბსოლუტურად მშვიდად ხვდებიან ამ პროცესს. ბევრი მხატვარი ამ ოთხფეხა ცხოველზე გამოსახავს პატრონის პორტრეტს. აშშ-ში პატრიოტულად განწყობილი მოქალაქეები კატებს ნაციონალურ დროშას ახატავენ. ფერწერის მოყვარულები კატის გალამაზებაში ათობით ათას დოლარს ხარჯავენ.

***ოჯი***

# ძილის სამეფო



ქრონიკული გამოუძინებლობა ყველა იაპონელი მოსამსახურის საერთო პრობლემაა. თითქოს არანორმირებული სამუშაო დღე არ კმაროდა, გზაშიც 3-4 საათს კარგავენ. ძილისათვის დრო პრაქტიკულად არ რჩებათ. და აი, ცოტა ხნის წინ ტოკიოს საქმიან კვარტალში გაჩნდა ღრმა ძილის პირველი სალონები, სადაც მსურველებს შეუძლიათ გამოიძინონ შესვენების დროს. ამასთან, მორცხვებს, საერთო დარბაზის ნაცვლად, შეუძლიათ წაუძინონ ცალკე VIP-ოთახში. ამგვარი მომსახურების აუცილებლობა ტოკიოში და სხვა დიდ ქალაქებში დიდი ხანია მომწიფდა. ძილს მოწყურებული იაპონელები რა ხერხს აღარ მიმართავდნენ, ოღონდ ცოტა ხნით მაინც მოეტყუებინათ თვალი. მაგ. ავეჯის მაღაზიაში შესულები ისე იქცეოდნენ, თითქოს სავარძლის ყიდვა სურდათ. მოკალათდებოდნენ, ვითომც ამოწმებდნენ, რამდენად მოხერხებულიაო და იძინებდნენ. ზოგიერთ პაემნის სახლში კი კლიენტს სთავაზობდნენ არა სასურველ მეძავს, არამედ... გამოძინებას. რამდენადმე გაიაფებულ ტარიფად კლიენტს ნება ეძლევა, იქირაოს ოთახი გოგონას გარეშე და... გამოიძინოს.

***მეგაპოლის-ექსპრესი***

# მადონამ დიზაინერობა დაიწყო

ჰოლივუდში ახალი გატაცება გაჩნდა — ყველა ვარსკვლავმა მოდელიერობა მოინდომა და საკუთარი კოლექციების გამოშვება დაიწყო. ახლა მადონას რიგია. ჯერ ზღაპრების წიგნი გამოუშვა, ახლა წარმოადგინა ბავშვების შარვლების, მაისურების, ტყავის ქურთუკების საკუთარი კოლექცია. ეს ტანსაცმელი ჯერჯერობით მხოლოდ აშშ-ში იყიდება, მაგრამ მათი შეკვეთა ინტერნეტითაც შეიძლება. სხვათა შორის, მომღერალმა ხელმისაწვდომი ფასები დაადო თავის კოლექციას — 20-დან 40 დოლარამდე.

***სანი***

# პრინცს გოგონები დაამშვიდებენ



რამდენიმე კვირის წინ ჯარში წავიდა ინგლისის პრინცის ჩარლზის უმცროსი ვაჟი, რომელმაც შესანიშნავად ჩააბარა მისაღები გამოცდები ელიტურ სამხედრო აკადემიაში. თავის დროზე ჯარში მსახურობდა მისი მამილო და ბიძა, ენდრიუ. ახლა 20 წლის ჰარის რიგი დადგა. პირველი 5 კვირა, სხვა ახალწვეულთა მსგავსად, პრინცი ვერ დატოვებს ყაზარმას, ვინაიდან ბრიტანეთის ელიტარული აკადემიის დევიზია — პირველ რიგში ჯარი, გოგონები და გართობა — მერე. უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანული სამეფო კარი ძალიან აფასებს ფორმიან ვაჟებს და კვირაში 375 ევროს უხდის. ახალგაზრდა პრინცმა ჯარში 44 კვირა უნდა გაატაროს. რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ არის ერთი დამამშვიდებელი ფაქტორიც — საკადეტო შემადგენლობის 10% გოგონები არიან და ისინი გაულამაზებენ მკაცრ სამხედრო ცხოვრებას ცისფერსისხლიან ჰარის.

***მირორი***

# მსოფლიოში ყველაზე თმიანი?

იუ ჯენხუამ, რომლის სხეული მთლიანად თმით არის დაფარული, განაცხადა, როკის მომღერალი უნდა გავხდეო. იუ ძალიან მადლიერია თავისი მშობლებისა, ასეთი ბანჯგვლიანი რომ გააჩინეს. ფაქტობრივად, მას ბალანი არ აქვს მხოლოდ ფეხისა და ხელისგულებზე. თავის დროზე მან ყურების ოპერაცია გაიკეთა, რადგან გრძელი ბალანი სმენას უხშობდა, რასაც ძალიან ნანობს, ამით პლანეტაზე ყველაზე თმიანი ადამიანის სახელი დაკარგა. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ მექსიკაში დაიბადა ტყუპი ძმა — ვიტორიო და გაბრიელე გომესები, რომლებსაც თმა ხელ-ფეხის გულებზეც კი ეზრდებათ.

***ჯენტე***

# ჯუჯა ბარიტონი



44 წლის ტომას კასტჰოფი პრემია „გრემის“ ორგზის მფლობელი და მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ბარიტონია. როცა ის სცენაზე ჩნდება და სიმღერას იწყებს, საზოგადოება შოკში ვარდება. მიღებულია, რომ ოპერის მომღერლები მაღალი და ბრგე მამაკაცები არიან. ტომასი კი თითქმის ჯუჯაა — მისი სიმაღლე მხოლოდ 1 მეტრი და 32 სმ-ია. ტომასის დევიზია: „ყველაფერს იუმორის თვალით უნდა შეხედო“. ოდესღაც სწორედ სიპატარავის გამო არ მიიღეს მუსიკალურ სკოლაში. მისგან პიანისტი არ გამოვიდა, სამაგიეროდ, საუცხოო მომღერალია. ახლა მის პირად ცხოვრებაშიც ყველაფერი აეწყო. აპრილში მომღერალმა გაიცნო ჟურნალისტი ქალიშვილი, რომელიც მასზე გადაცემას ამზადებდა. ისინი ერთმანეთს ტელეფონითა და ელექტრონული ფოსტით უკავშირდებოდნენ. შემდეგ ტომასი მასთან დაბადების დღეზე მივიდა და... დღესაც იქ ცხოვრობს.

***ნიუ ზუიქი***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ნინელი ჭანკვეტაძის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

კ ვ ი რ ი ს პ ა ლ ი ტ რ ა პ რ ე ს ი ს ლ ი დ ე რ ი ა

ვ ლ ი ნ დ ლ ა თ პ ი რ ი დ ო ი მ ო ა ნ რ ი ა ტ ლ ა

**კ.** გმირი კომკავშირელი ოლეგ ... ; **ვ.** იტალიელი კომპოზიტორი; **ი.** მშვიდი, აუღელვებელი ცხოვრება; **რ.** რისამე გრაგნილი; **ი.** ქართული, ხალხური შეჯიბრი ცხენოსნობასა და უბუნიკო შუბის ტყორცნაში; **ს.** სტალინის ერთ-ერთი ფსევდონიმი; **პ.** ჩეხეთის დედაქალაქი; **ა.** „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ქალი; **ლ.** ალექსანდრე მაკედონელის კარის მხატვარი; **ი.** ძალა, სიქა, არაქათი; **ტ.** ოთახის გამყოფი თხელი კედელი; **რ.** გზა, მანძილი, რომელსაც გადის ტრანსპორტი საწყისიდან საბოლოო პუნქტამდე; **ა.** რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; **პ.** რა ერქვა პიკასოს; **რ.** საქართველოს ამ მდინარეს ბერძნები ფაზისს ეძახდნენ; **ე.** მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში; **ს.** შეჯიბრი მთიდან თხილამურებით სწრაფდაშვებაში მიხვეულ-მოხვეული გზებით; **ი.** მონღოლთა ტრადიციული საცხოვრებელი კარავი; **ს.** მობილური ტელეფონების მწარმოებელი გერმანული ფირმა; **ლ.** ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული; **ი.** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **დ.** მუსიკალური ნიშანი, რომელიც ნახევარი ტონით ამაღლებს ბგერას; **ე.** სცენა, სადაც გამოდიან მომღერლები; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **ი.** ცალკე პირის ან დაწესებულების რომელიმე წლისთავი და ამ წლისთავთან დაკავშირებული ზეიმი; **ა.** შეკრულ-შეფუთული ნივთი, რომელიც ფოსტით იგზავნება.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დუპლეტი; **ა.** ატოლი; **ი.** იალბუზი; **ს.** სტიმული; **ვ.** ვატმანი; **ე.** ეტიკეტი; **ნ.** ნეკნი; **ე.** ეტალონი; **პ.** პიერო; **ა.** აფთარი; **ლ.** ლიე; **ი.** იურტა; **ტ.** ტუში; **რ.** რაინი; **ი.** ილაჯი; **ს.** სარბაზი; **ფ.** ფაკირი; **ე.** ელეგია; **რ.** რითმა; **ე.** ენდრო; **ბ.** ბრემენი; **შ.** შაბათი; **ი.** იუანი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **პოლიტიკა ეთერში არ კეთდება.**



# „გამსახურდია ჩემთვის საშიში აღარ იყო“

(დასაწყისი იხ. გვ. 13)

არ ვიცი, ელცინმა ისეთი რამ მითხრა ამაზე, თავმოყვარე კაცი ტყვიას იკრავდა შუბლში-მეთქი... ერთ საათში დამირეკა კრავჩუკმა და შემატყობინა, ამალამ ფლოტი საქართველოსკენ წამოვაო. მესამე დღეს მოადგნენ საქართველოს. ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ეს უზარმაზარი არმადა რომ დაინახეს, ისე დაიფანტნენ, ვინ სად წავიდა, ვერ გავიგეთ. ბალტინმა დამირეკა, ფოთში ვარ, ყველა მნიშვნელოვანი პოსტი დაკავებული მაქვს, მაგრამ შესაძლოა, ხვალვე უკან გამიწვიონ, ამიტომ თქვენი ხალხი ჩააყენეთ ამ პოსტებზეო. ბალტინის ჯარი ხუთი დღე დარჩა საქართველოში. ამ დროს გაათავისუფლა დავით თევზაძემ ზუგდიდი. 300-400 კაცით ჩავიდა იქ და ისე დაიფანტა ყველა, ფაქტობრივად, არც გაუსვრია ტყვია.

**— ამბობენ, ბალტინს გვარიანი თანხა გადაუხადეს საქართველოში ჯარის შემოყვანისთვისო.**

— კაპიკიც არ გადაგვიხდია. კრავჩუკი მეგობრულად დამეხმარა.

**— არ თვლით, რომ საკუთარ ქვეყანაში უცხო ქვეყნის ჯარის მოწვევა კონსტიტუციის დარღვევა იყო?**

— ის არ იყო კონსტიტუციის დარღვევა, რომ ქართველებმა ქართველებთან საომრად ჩეჩნები მოიწვიეს? ის არ იყო კონსტიტუციის დარღვევა, რომ აფხაზეთში ჩვენ, ფაქტობრივად, რუსებს ვეომებოდით? ხალხი რომ შიმშილით ამომწყდარიყო, ეს არ იქნებოდა კონსტიტუციის დარღვევა?

**— გამოძიება პრეზიდენტის თვითმკვლელობამდე მიყვანის ვერსიაზეც მუშაობს...**

— მან დაინახა, რომ საქმე ცუდად წავიდა, ტყეს შეაფარა თავი და ბოლოს, რამდენიმე კაცის თვალწინ დაიღუპა...

თუკი საქმე აღიძრება, იმას მოვყვები, რასაც გუგუშვილი ჰყვება, მეტი არაფერი ვიცი. დავუშვათ ვილაც მისდევდა, თვითონაც ხომ არ იყო მარტო, შეიარაღებული ხალხი ახლდა, ბრძოლა ბრძოლაა ხომ?.. უნდა ებრძოლა...

ზვიადის ადგილსამყოფელი რომ მცოდნოდა, ალყაში მოვაქცევდი, ტყვედ ავიყვანდი, შესაძლოა, არც გამესამართლებინა და ისევ გროზნოში გამეგზავნა. ჩემთვის ზვიად გამსახურდიას სიკვდილი ხელსაყრელი არ იყო, რადგან ქვეყნის მეთაური ვიყავი და, ბუნებრივია, მე დამაბრალებდნენ. გამსახურდია ჩემთვის საშიში აღარ იყო, გვერდით აღარავინ ჰყავდა და მისი სიკვდილი რატომ მენდომებოდა?!

**— თქვენი ბევრი ოპონენტი უცნაურ ვითარებაში დაიღუპა. პრეზიდენტობის პრეტენდენტი გია ჭანტურია კი არნახული სისასტიკით გამოასალმეს სიცოცხლეს. მკვლელობების ეს სერია საქართველოში თქვენი დაბრუნების შემდეგ დაიწყო...**

— მაგრამ კოსტავა ჩემს ჩამოსვლამდე დაიღუპა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ეს ტრაგიკული შემთხვევა იყო... გია ჭანტურია ხშირად მოდიოდა ჩემთან. კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ დსთ-ში შესვლის შემდეგ გაგვებუტა, ირინაც გადადგა პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტიდან... გიას მოკვლას, მერჩივნა, ჩემთვის ესროლათ. როგორ ვფიქრობდი მასზე ცუდს? ხომ ვიცოდი, რასაც იტყოდნენ — შევარდნაძემ კონკურენტი მოკლაო. კიდევ კარგი, გაიხსნა ეს საქმე... დაახლოებით ის ჯგუფი დაესხა მას თავს, რომელმაც ჩემი ტერაქტი მოაწყო... ირინა საავადმყოფოში ვნახე. ლამის ხელზე მაკოცა. ნუ გეშინია, კარგად იყავი და გიასაც მივხედავ-მეთქი. ეს საქმე რომ არ გახსნილიყო, დღესაც ჩემკენ გამოიშვერდნენ ხელს (ამ და სხვა საკითხებზე გაგრძელება იხ. ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში. — რედ.).

**ხატზე შემიძლია დავიფიცო, არავის დაუვალებია, გამსახურდია მოძებნეთ ან მისი ლიკვიდაცია მოახდინეთო.**



**ავთანდილ იოსელიანი:**

— როდესაც ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა, უშიშროების მინისტრის მოადგილე ვიყავი — 1993 წლის ოქტომბერში დავინიშნე იგორ გიორგაძის პირველ მოადგილედ და სამეგრელოს რეგიონსა და იმერეთში უშიშროების განყოფილებების კურირება დამავალა მინისტრმა. ხატზე შემიძლია დავიფიცო, არავის დაუვალებია, გამსახურდია მოძებნეთ ან მისი ლიკვიდაცია მოახდინეთო. ასეთი რამ არც იგორს უთქვამს ჩემთვის და არც ხელისუფლებას... მეტსაც გეტყვით, რომც დაევალებინათ, არ შევასრულებდი. იმიტომ, რომ ქართველი, ქრისტიანი კაცი ვარ და ისტორიაში ჯალათად არ დავრჩებოდი...

**— მართალია, რომ ყველგან, სოფლებშიც გყავდათ აგენტურა?**

— აგენტურა საკმაოდ იყო. არ დაგიმალავთ, უშიშროებას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ზვიად გამსახურდია ზემო სამეგრელოს სოფლებში მიმოდიოდა. ზუსტად არ მახსოვს, 5 თუ 10 დეკემბერი იქნებოდა, რომ შევიტყვე — პრეზიდენტი ცუდად არის, მუცელს იტკივებს, არაფერს ჭამს და ძალიან გახდაო. ინფორმატორები გვატყობინებდნენ, რომელ სოფელში იყო პრეზიდენტი, მაგრამ სახელდობრ, რომელ ოჯახებში, არ ვიცოდით. უშიშროებაში არავითარი სალიკვიდაციო ჯგუფები არ შექმნილა. შესაძლოა, შს და თავდაცვის სამინისტროებში იყო ამგვარი დაჯგუფებები, ზუსტად ვერ გეტყვით.

**— ამბობთ, პრეზიდენტი მუცელს იტკივებდაო, ხომ არ ფიქრობთ, რომ ის მოწამლეს?**

— არ გამოვრიცხავ, რომ ასე იყო, რადგან გროზნოდან ის სრულიად ჯანმრთელი ჩამოფრინდა. სხვათა შორის, მისი ჩამოსვლის ფაქტიც საინტერესოა, — ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნების თარიღი არავინ იცოდა. კაკო ელიავა მიყვებოდა, სენაკში რომ დაჯდა თვითმფრინავი, რუსების დესანტი მეგონა. გაიღო კარი, ჯერ აბსანძე გადმოვიდა, მერე პრეზიდენტი. გადავირიე მის დანახვაზე... ერთი დანგრეული „ვილისი“ მყავდა და იმით წავიყვანე ყველანი ზუგდიდშიო. ჩვენი ვარაუდით, საქართველოში გამსახურდიას დაბრუნება რუსებთან იყო შეთანხმებული... მათგან გარანტია რომ არ ყოფილიყო, თვითმფრინავს ჩამოაგდებდნენ. რუსებმა მაშინ კარგად გათვალეს, — საქართველო დსთ-ში შესვლაზე უარს ამბობდა, დამოუკიდებლობა უნდოდა, ამიტომ ჩაიფიქრეს — გამსახურდია საქართველოში ჩავიყვანოთ, იქ ვითარება დაიძაბება და დახმარებისთვის ისევ ჩვენ მოგვადგებიანო. სამოქალაქო დაპირისპირების ეპოპეაც რუსეთის რეაქციული ძალების დადგმული გახლდათ.

**— როდის და ვისგან გაიგეთ პრეზიდენტის გარდაცვალების ამბავი?**

— ჩეჩნებმა მითხრეს. ვიცე-პრეზიდენტი იანდარბიევი და ჯოჰარ დუდაევის თანაშემწე აპმადოვი დამიკავშირდნენ — პრეზიდენტი გამსახურდია გარდაიცვალა და მის გადმოსასვენებლად გვინდა საქართველოში ჩამოსვლაო. ექსპერტიზაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. არადა, პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზის დასადგენად, სპეციალური 10-კაციანი კომისია შექმნა მაშინ შევარდნაძემ, მაგრამ ექსპერტიზაზე კატეგორიული უარი განაცხადეს პრეზიდენტის ოჯახმა და დუდაევმა. რობიზონ მარგველანმა გვანახვა პრეზიდენტის საფლავი. როდესაც კუბოს თავი ავხადეთ, იანდარბიევმა ერთი ამბავი ატეხა — ახლოს არ მიხვიდეთ, არ მიეკაროთო და რას ვიზამდით? სენაკში პრეზიდენტის შესანდობარი დავლიეთ და მერე წამოვედით თბილისში...

**— თქვენი ინფორმაციით, ზვიად გამსახურდია მოკლეს თუ თავი მოიკლა?**

— ბოლოს ზვიად გამსახურდიას გვერდით მარგველანი, გვანცელაძე და გუგუშვილი იყვნენ. თუ პრეზიდენტი ვინმემ მოკლა, მაშინ ამათ უნდა მოეკლათ. გარედან ვინმე რომ მოსულიყო ზვიადის მოსაკლავად, მაშინ ესენი ყველანი უნდა დაეხოცათ და მერე მივიდოდნენ ზვიადამდე. არადა მაშინ სამივენი გულხელდაკრეფილი მსხდარან და ხელი არ შეუშლიათ მკვლელებისთვის? ვინც დღეს ზვიადის გამო გულზე მჯიღს იცემს, მათ იგი გაჭირვებაში მიატოვეს და ტყუილად ნუ იშვერენ სხვისკენ ხელს. არ გაინტერესებთ, რატომ მოხვდა პრეზიდენტი ილორში? ჩემი აზრით, ის შეგნებულად გადაიყვანეს იქ, რათა მას აფხაზეთის დამოუკიდებლობა ეღიარებინა, მაგრამ პრეზიდენტმა ეს არ გააკეთა, კაცურად მოიქცა. ამიტომაც იყო, რომ მეორე დღესვე გამოუშვეს სამეგრელოში...

გულახდილად გეტყვით, პრეზიდენტს რომ არ შევხვედროდით, ჩვენ დისტანციას ვიცავდით. ვიმეორებ, არც სურვილი მქონია ამისა და არც დავალება, რომ პრეზიდენტი შეგვეპყრო. ჩემი ვარაუდით, პრეზიდენტი თვითმკვლელობამდე იმ მდგომარეობამ მიიყვანა, რომელშიც აღმოჩნდა. კაცი 87%-ით იყო არჩეული, მთელი საქართველო ეთაყვანებოდა და უცებ აღარავინ დარჩა გვერდით. ეს არ იქნებოდა მისთვის იოლად გადასატანი. პრეზიდენტს შეეძლო, საზღვრის გადაღწია, ისევ ჩეჩნეთში გადასულიყო, მაგრამ არ წავიდა, რადგან მას საქართველოში დარჩენა ჰქონდა გადაწყვეტილი...

აფხაზეთის უშიშროების უფროსად ზვიად გამსახურდიამ დამნიშნა, მადლობის მეტი რა უნდა მეთქვა მისთვის? როგორ გგონიათ, ამის მერე დავივიწყე კაცობა, თავმოყვარეობა, ქართველობა და დასაჭერად დავდევდი? თუ იოტისოდენადაც ეჭვობთ, რომ ზვიადის მკვლელობის გეგმა ვიცოდი და გავჩუმდი, მაშინ ძალზე ცუდი წარმოდგენა გქონიათ ჩემზე.

პრეზიდენტი ტყეში მარტო და გაუსაძლის პირობებში არ უნდა მიეტოვებინათ... ამაში ყველა ვართ დამნაშავე. ყველას გვაკისრია ჩვენი წილი პასუხისმგებლობა. ფაქტობრივად, ზვიად გამსახურდიას ჩვენ პრეზიდენტობა არ ვაცალეთ. ეს ჩვენი გაუტანლობის, ერთმანეთის დაუნდობლობის ბრალია. ხომ ხედავთ, ჯერჯერობით ჩვენი არც ერთი პრეზიდენტი თავისი ნებით არ წასულა პოსტიდან. ამის მიზეზი ჩვენი კიდევ ერთი ცუდი თვისება — სულსწრაფობაა.

პრეზიდენტის სიკვდილის ამბავს პათანატომის დასკვნა დაუსვამს წერტილს. სანამ ეს დასკვნა არ დაიდება, მანამ იქნება გაუთავებელი მითქმა-მოთქმა და ურთიერთგადაბრალება. სულ ვფიქრობ, რატომ თქვა უარი პრეზიდენტის ოჯახმა ექსპერტიზაზე, ამით ხომ ყველაფერს ფარდა აეხდებოდა, მაგრამ მათ რატომღაც არ ინდომეს. რატომ, არ ვიცი...

**იზო რეკაძე**

# სახიფათო განწყობა „ჩვენ“ და „ისინი“

## „ეს არის შევარდნაძის პოლიტიკური რევანშის მცდელობა“

## „აუცილებელია პრეზიდენტისგან წამოვიდეს გამაერთიანებელი იდეა“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

მაგრამ გარედან ჩარევამ, თუნდაც ხელისუფლებისთვის მისაღები, თუმც მაინც გარედან მიყვანილი პირის გარექტორების პერსპექტივამ დაძაბა უნივერსიტეტში მდგომარეობა. უნივერსიტეტი არ არის უინტელექტო ადამიანების არენა და ასეთი უხეში ჩარევა შეურაცხყოფად აღიქვეს. საჭირო იყო მხოლოდ იმპულსების მიცემა, რომ იქ სწორად წარმართულიყო პროცესები. გარედან ჩარევამ ოპოზიციასაც გააქტიურების საფუძველი მისცა — ამის გამო ისინი ხელისუფლებას მწვავედ აკრიტიკებენ. უნივერსიტეტში რთული ვითარებაა — ერთი მხრივ, იქ არ უნდათ ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ და, ამავდროულად, უძნელდებათ, ვერ ილებენ ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ რექტორის კანდიდატურას. ამან შუაზე გახლიჩა უნივერსიტეტი. დღეს უნივერსიტეტში არიან მოწინააღმდეგეები, რომლებიც ადგილის შოვნისთვის მზად არიან, იერიშზე წავიდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ და არის უმრავლესობა, რომელიც გაურკვეველ მდგომარეობაშია და არ უნდა ამ ბრძოლაში ჩარევა.

ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებით მძიმეა სტუდენტების მდგომარეობა. განა ნორმალურია, რომ დიდი საბჭოს 1/3 სტუდენტები არიან? ასეთი გაზრდილი ფუნქციის მინიჭება თვითონ სტუდენტს აბნევს...

ამბობდნენ, უმაღლესი სასწავლებლის პოლიტიზება არ შეიძლებაო და ამ დროს სტუდენტები უმაღლესი სასწავლებლის პოლიტიკაში ჩართეს — ყველაზე კარგი სტუდენტი, რომელიც კარგი მეცნიერი უნდა გამოსულიყო, პოლიტიკური საქმიანობისკენ არის მიდრეკილი. ეს ძალზე სამწუხაროა.

სტუდენტები ამბობენ, ეროვნულ ინტერესებს ვიცავთო, მაგრამ ეროვნული ინტერესების ჩართვა უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობაში რთული საქმეა, დიდი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება.

სტუდენტებს ჰგონიათ, ეროვნულ იდეებსა და ღირებულებებს ვიცავთო და ამ დროს შეიძლება ვილაცის პირადი ინტერესის მსხვერპლი შეიქნენ, რის შემდეგადაც თავიანთი ტემპერამენტის გამო ჩხუბსა და დაპირისპირებაზე გადავიდნენ, რაც პრობლემას არ გადაწყვეტს.

დღეს ვხედავთ, რომ სახელმწიფო და სამედიცინო უნივერსიტეტების სტუდენტებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ — ეს კი უკვე დაპირისპირების საფუძველია. უკვე ჩნდება განწყობა — „ჩვენ“ და „ისინი“. უმაღლეს სასწავლებლებში იწყება ჯგუფებად დაშლა „ამის“ და „იმის“ მომხრეებად, რაც ძალიან ცუდია. აუცილებელია, სტუდენტების გაერთიანება იმ იდეით, რომელიც მათ სწავლა-განათლებას შეესაბამება. ეს იდეა კი, ჯერჯერობით, არ ჩანს. რა უნდა ჰქონდეთ სახელმწიფო და სამედიცინო უნივერსიტეტების სტუდენტებს დასაპირისპირებელი, როდესაც მათი საერთო მიზანი სწავლის მიღება უნდა იყოს. რაკი მიზანი გაფერმკრთალებულია, ამის გამოა დაპირისპირებაც. სტუდენტები დაყოფილი არიან რეფორმის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. რეფორმა მართლაც არ არის ისეთი, რომ ყველასთვის მისაწონი იყოს და ამიტომ ბუნებრივად მოხდა მის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად დაყოფა და, სამწუხაროდ, ეს საზოგადოების გახლეჩას იწვევს. არსებობს საშიშროება, რომ ამ დაპირისპირებამ უფრო ფართო ხასიათი მიიღოს, ვიდრე სტუდენტების (ან რამდენიმე სასწავლებლის) დაპირისპირებაა. ამიტომ აუცილებელია, მოხდეს მათი ზევიდან, უფროსებისგან შერიგება. რეფორმა უნდა იყოს არსებულის გაუმჯობესება და არა რაღაცის მოსპობა და სავსებით ახლის დაწყება. თვით განათლების რეფორმაში ბევრი რამ არის კარგი, მაგრამ მისი განხორციელების ფორმებია ისეთი, რომ ძნელია მიიღოს ადამიანმა. თავად ეს რეფორმა არის დიდი წინააღმდეგობის შემცველი და ამიტომაც წარმოიშვა დიდი წინააღმდეგობა საზოგადოებაშიც. განათლების მინისტრი აცხადებს, რადაც უნდა დამიჯდეს, რეფორმას მაინც განვახორციელებო, — არ შეიძლება ასე მსჯელობა. მან მეტად უნდა გაუწიოს ანგარიში მეცნიერებს, საზოგადოებას. ახლა აუცილებელია, ისევ ზევიდან, პრეზიდენტისაგან წამოვიდეს გამაერთიანებელი იდეა, თორემ განათლების მინისტრი იმდენად ენერგიული და საკუთარი პოზიციის დამცველია, ქვემოდან მისი აზრის შეცვლა შეუძლებელია, მასზე უთუოდ პრეზიდენტმა უნდა მოახდინოს ზეგავლენა. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი საზოგადოებაში დაპირისპირების ჩახშობა.

**მარი ზანდუკელი**



C M Y K

# ბოისა რეკორდებზე არ ნადირობს

ლუბლიანას „ოლიმპიის" ქართველი კაპიტანი — ვლადიმერ ბოისა უკანასკნელი წლების საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კალათბურთელია. ვოვა თითქმის ყველა მატჩში საუკეთესოა თანაგუნდელთა შორის და ამ ფონზე გასულ კვირაში, ევროლიგისა და ადრიატიკის თასის მატჩებში ოდნავ უფერული გამოსვლით გულშემატკივრის გაკვირვებაც გამოიწვია. საბედნიეროდ, უკვე ყველაფერი რიგზეა და სლოვენიური კლუბის ქართველი ლიდერი ისევ მისთვის „შესაფერ" თამაშს უჩვენებს. ევროლიგის მეექვსე ტურში, „ოლიმპიამ" ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს, მანამდე დაუმარცხებელ თელ-ავივის „მაკაბის" უმასპინძლა და 93:81 მოუგო. გამარჯვებაში ჩვენებურის წვლილი უდიდესია, თანაც, ვოვა ბოისამ ევროლიგაში საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა — 28 ქულა! ლუბლიანაში მასთან შეხმიანების მიზეზიც სწორედ ეს შედეგი გახდა.



— ევროლიგაში, აქამდე სამი დასანანი მატჩი დავთმეთ და „მაკაბისთან" ორმაგად მობილიზებული გამოვედით სათამაშოდ. გადაჭედილი ტრიბუნების მხარდაჭერამაც უდიდესი სტიმული მოგვცა და უალრესად საჭირო გამარჯვება მოვიპოვეთ.

**— „მაკაბის" დამარცხებამდე, ევროლიგისა და ადრიატიკის თასზე ორი მატჩი წააგეთ, სადაც ჩვეული შედეგიანობით არ გამოირჩეოდი...**

— არაერთხელ მითქვამს, რომ მოედანზე პირადი რეკორდების დასამყარებლად არ გავდივარ. ჩემს საქმეს ვაკეთებ და ვცდილობ, გუნდს გამარჯვებაში დავეხმარო. თქვენ მიერ ნახსენებ ორივე თამაშს არცთუ ჯანმრთელი შევხვდი — ამის მიუხედავად, თავი არ შემირცხვენია — 11 მოხსნა დამიგროვდა და აცილებული ტყორცნები ამ მაჩვენებლით „გავაბათილე".

თუმცა, ისე არ გამიგოთ, თითქოს უფერულად ჩატარებული მატჩების შემდეგ, გაბრაზებული გავედი სათამაშოდ „მაკაბის" წინააღმდეგ და მოპოვებული 28 ქულაც ამის „ბრალია". თავად „ოლიმპიამ" ჩინებული თამაში აჩვენა, მეც თითქმის ყველა ბურთი ზუსტად ვისროლე და...

**— აქამდე დაუმარცხებელი „მაკაბის" ძლევა მოახერხეთ...**

— ჩემი აზრით, ევროლიგის წლევანდელ გათამაშებაში, ყველაზე კარგ თამაშს სწორედ „მაკაბი" აჩვენებს. თუმცა, სწორი ტაქტიკა დავუპირისპირეთ და უპირველესად, დაცვაში ზუსტი თამაშით მოვახერხეთ მათი დამარცხება. ჩვენს სასარგებლოდ იმანაც იმოქმედა, რომ სტუმართა ერთ-ერთი საუკეთესო და ტანმაღალი მოთამაშე ტრავმის გამო ვერ დაეხმარა თანაგუნდელებს.

დაცვაში რომ კარგად გავისარჯეთ, ამაზე შეხვედრის საბოლოო შედეგიც მეტყველებს — „მაკაბის" ასე ცოტა ქულა არც ერთ მეტოქესთან არ მოუპოვებია და თითქმის ყველა მატჩში უახლოვდება ასქულიან ზღვარს.

**— თუმცა, თავდაპირველად, მუდმივად მდევრის როლში გიხდებოდათ ყოფნა...**

— პირველი მეოთხედი 17:17 დასრულდა და მაშინვე ვიგრძენით, რომ „მაკაბისთან" ტოლსწორად თამაშიც შეიძლებოდა და მისი დამარცხებაც. ამის შემდეგ, უფრო თავისუფლად ავთამაშდით და თუ რიგ ეპიზოდებში ექვი გვაწუხებდა — შევძლებდით თუ არა ჩამორჩენის აღმოფხვრას, უკანასკნელ ათ წუთში ყველამ ვირწმუნეთ, რომ გამარჯვება შეგვეძლო. სროლაც წაგვივიდა და „მრისხანე" მეტოქეს პირველი მარცხიც ვაგემეთ.

**— ქულები კი აკეთე ბლომად, მაგრამ მოხსნა-ჩაქრა-პასი მხოლოდ რამდენიმე. უფრო შორიდან ესროდი?**

— შორიდან მხოლოდ სამი ბურთი ჩავაგდე, ხუთი საჯარიმოც შევასრულე ზუსტად, დანარჩენი კი ორქულიანებზე „მოდის". მართალია, მოხსნებში თავი დიდად არ გამომიჩენია, მაგრამ მთავარია, რომ მოვიგეთ.

**— ხუთი პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი ნაადრევად დატოვე. თანაგუნდელების „მიტოვება" არ გაგიჭირდა?**

— უკანასკნელი წუთი მიმდინარეობდა, თანაც, საგრძნობი უპირატესობით ვიყავით წინ. ასე რომ, სანერვიულო, ფაქტობრივად, ალარაფერი იყო, მატჩის ბედი გადაწყვეტილი გახლდათ.

**— ორიოდ სიტყვა ევროლიგაში შენთვის სარეკორდო, 28 ქულაზეც უნდა ვთქვათ...**

— 5 ქულაც რომ ჩამეგდო და „მაკაბი" დაგვემარცხებინა, მაინც უზომოდ ბედნიერი ვიქნებოდი და ახლა — მით უფრო. იმ დღეს, მოედანზე ყველაფერი გამომდიოდა, თავს ჩინებულად ვგრძნობ და იმედია, ასეც გავაგრძელებ...

**— გულშემატკივართა განსაკუთრებული წვლილი ახსენე. გამარჯვების შემდეგ რა რეაქცია ჰქონდათ?**

— ბუნებრივია, უზომოდ გაიხარეს. ევროლიგაში ნებისმიერი გამარჯვება, მით უფრო ასეთ გუნდთან, ძალზე მნიშვნელოვანია ქომაგისათვის. მატჩის შემდეგ, „მაკაბის" კალათბურთელები დისკოთეკაზე დავპატიჟეთ და გულშემატკივრებთან ერთად კარგად გავერთეთ.

**— მანუჩარ მარკოიშვილის საქმეები როგორაა „ოლიმპიაში"?**

— უფრო უკეთ. მწვრთნელი ახლა უკვე კარგად იცნობს მანუჩარის შესაძლებლობებს და ნდობასაც მეტად უცხადებს. „მარკომ" რამდენიმე თამაში უკვე ხუთეულშიც დაიწყო და ალბათ, სათამაშოდ უფრო მეტ დროსაც მალე დაიმსახურებს.

**— „მაკაბისთან" გამარჯვებით, ჯგუფიდან გასვლის შანსიც საგრძნობლად გაზარდეთ...**

— ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია. ჩვენი ჯგუფი თითქმის თანაბარი სიძლიერის გუნდებითაა დაკომპლექტებული და შემდეგ ეტაპზე გამსვლელი ხუთი კლუბის ვინაობა, ალბათ, უკანასკნელ ტურში თუ გაირკვევა. მომავალი მატჩი საბერძნეთში, „აეკ"-ის წინააღმდეგ უნდა გავმართოთ და უმძიმესი ბრძოლა გველის...

# კიდევ ერთი ქართველი ბუნდესლიგაში?



გახდება ხიზანეიშვილი (მარჯვნივ) ცქიტიშვილის თანაგუნდელი?

გერმანული ბუნდესლიგის ქართული ლეგიონი შესაძლოა უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაიზარდოს. კობიაშვილის, იაშვილის და ცქიტიშვილის მხარდამხარ საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „დინამოს" მცველის ოთარ ხიზანეიშვილის თამაშიც არ არის გამორიცხული.

რუსულ კლუბში ბოლო დროს სტაბილურად მოთამაშე ქართველი მცველი მოსკოვში გაჩერებას აღარ აპირებს და მისი შეძენით დაინტერესებულ „ფრაიბურგთან" ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. გერმანული კლუბის ინტერესი ჩვენი ფეხბურთელებისადმი მოულოდნელი არ ყოფილა. „ფრაიბურგში" ბოლო წლებია სისტემატურად გამოდიან ქართველები და საკმაოდ მაღალ დონეზეც ასპარეზობენ. თუმცა, სადღეისოდ, კლუბს კატასტროფული სატურნირო მდგომარეობა აქვს, განსაკუთრებით ულიმღამოდ კი დაცვის ხაზი გამოიყურება, რომელიც მეტოქეთათვის სასეირნო „ბულვარადაა" ქცეული. თავად განსაჯეთ, „ფრაიბურგს" 17 შეხვედრაში ყველაზე მეტი — 38 გოლი აქვს გაშვებული, ამდენად, გასაგებია კლუბის ხელმძღვანელთა დაინტერესება ხიზანეიშვილის შეძენით, რომელმაც ნაკრებში ბოლოდროინდელი გამოსვლებით ხისტი და „გაუვალი" მცველის რეპუტაცია მოიხვეჭა. „ფრაიბურგის" ემისრები მოსკოველებს სასწრაფოდ დაუკავშირდნენ და ქართველი მცველის გადმობირების თაობაზე ინტენსიური მოლაპარაკებები გამართეს. ხიზანეიშვილს კონტრაქტი 6 თვეში ეწურება და მოსკოვის „დინამო", რა თქმა უნდა, ახლავე შეეცდება მის გაყიდვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაზაფხულზე ფეხბურთელი თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს და რუსული კლუბი უფულოდ დარჩება. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ხიზანეიშვილის ტრანსფერის საქმე უახლოეს დღეებში უნდა მოგვარდეს. ფეხბურთელი გერმანიაში ჩაფრინდება და „ფრაიბურგის" ბოსებს ადგილზე მოელაპარაკება. თუკი მხარეები პირობებზე მორიგდნენ, ხიზანეიშვილის გერმანიაში გადასვლას წინ ველარაფერი დაუდგება.

# ფაჩულიამ ო'ნილი შეაფიქრიანა...

გასულ კვირას ბოისას მსგავსად კიდევ ერთმა ქართველმა კალათბურთელმა გამოიჩინა თავი. ტრავმით გამოწვეული მცირე შესვენების შემდეგ NBA-ს ქართველი ცენტრი ზაზა ფაჩულია ჩვეულ ფორმას იბრუნებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდი — „მილუოკი" წაგებას გაუშინაურდა, ფაჩულია საკმაოდ მაღალ შეფასებებს იღებს სპეციალისტებისაგან. NBA-ში სუსტი მეტოქეები თითქმის არ არსებობენ. ყველა კლუბს ჰყავს გამორჩეული ლიდერი, რომლებსაც ელიტარულ საკალათბურთო ლიგაში თამაშის მრავალწლიანი გამოცდილება უმაგრებს ზურგს. ფაჩულიასთვის კი მათ წინააღმდეგ ასპარეზობა დიდი სკოლაა. ბოლო ტურების გამორჩეულ მოვლენად ზაზასთვის „მაიამისთან" თამაში იქცა, სადაც ქართველ ცენტრს თვით შაკილ ო'ნილის წინააღმდეგ მოუწია ბრძოლა. ამერიკული კალათბურთის ერთ-ერთ ვარსკვლავთან მაღალ დონეზე ასპარეზობა მხოლოდ ძლიერთა ხვედრია და ფაჩულიამ ამ მატჩში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი სახით საქართველოს ნაკრებს მართლაც დიდი ძალის მქონე მოთამაშე ჰყავს.

„მაიამისთან" მატჩში ზაზა მეორე მეოთხედიდან ჩაება ბრძოლაში და მძიმეწონოსან ო'ნილს გვარიანი თავსატეხიც გაუჩინა. 12 წუთში 9-ჯერ ბურთის მოხსნა, მათ შორის 5-ჯერ მეტოქის ფარქვეშ, სადაც, როგორც წესი, მრისხანე შაკილი ერთპიროვნულ მმართველად ითვლება, დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი შედეგია. შესაძლოა, ამის გავლენაც იყო, რომ ო'ნილმა მატჩისთვის განკუთვნილი დროის ნახევარი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. სამწუხაროდ, „მილუოკმა" მნიშვნელოვანი ფორა, რაც ო'ნილის მოედანზე არყოფნაში გამოიხატებოდა, ვერ გამოიყენა და 96:101 დამარცხდა. ზაზა ფაჩულიას საბოლოო მონაგარი კი ასე გამოიყურებოდა: 27 წუთი — 8 ქულა, 13 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა. ქართველმა ცენტრმა მოხსნების პირადი რეკორდიც გააუმჯობესა და თუკი „მილუოკელთა" თავკაცი ტერი პორტერი ჩვენს კალათბურთელს მეტ სათამაშო დროს დაუთმობს, ფაჩულიასგან გაცილებით მაღალი შედეგებია მოსალოდნელი.



# ფეხბურთის ფედერაცია სკანდალს გადაურჩა





ფეხბურთის ფედერაციაში მოსალოდნელი სკანდალი არ შედგა. გასულ პარასკევს გამართულ აღმასკომის სხდომაზე, წინა დღით განვითარებული პერიპეტიებისა და ამ ორგანიზაციის ყოფილი აღმასრულებელი მდივნის ანდრო აბაშიძის თამამი განცხადებების შემდეგ, დიდი ვნებათაღელვა იყო მოსალოდნელი, მაგრამ ყველაფერი წყნარად დამთავრდა. სხდომის გახსნიდან ცოტა ხანში აბაშიძემ შენობა დატოვა და ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ფედერაციასთან ბრძოლა დაასრულა. ფაქტობრივად, ბრძოლა არ ყოფილა. იყო მხოლოდ ხმაურიანი განცხადებები და პომპეზური პრესკონფერენციები, სადაც ყოფილი მდივანი ფედერაციის ხელმძღვანელობას სასამართლოში ჩივილითაც ემუქრებოდა. ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული და მალევე რეაბილიტირებული მერაბ ჟორდანია ოპონენტის ხმაურიან გამოსვლებს ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდა და საქმე უკონფლიქტოდ მოაგვარა: როგორც ამბობენ, აბაშიძეს სხდომაზე აზრის გამოთქმის საშუალებაც მისცეს და ბრალდებების დასაბუთებისაც, მაგრამ მოულოდნელად, ყოფილმა მდივანმა გაცლა ამჯობინა, ყველაფრისგან „ხელი დაიბანა" და თავის გზას ეწია. გულშემატკივარმა მაინც ვერ გაიგო, ან ფედერაციაში არსებულ დარღვევებზე ამხელა აჟიოტაჟის ატეხა რა იყო ანდა მათი ასე ხელაღებით უარყოფა. აბაშიძემ ფედერაციის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი სარჩელის უკან გამოტანის გადაწყვეტილებაც მიიღო და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჟორდანიას კანტორასთან" ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა.

აბაშიძის მშვიდობიანი გამგზავრების შემდეგ, სხდომა, რომლის მთავარი საკითხი 2004 წლის სამუშაო ანგარიშის განხილვა გახლდათ, ჩვეულებრივად გაგრძელდა. შედეგები შეჯამდა და მართალია, „წიწილების დათვლა" ზამთარში მოხერხდა, მაგრამ ამ მხრივ საპრეტენზიო, თუ გავითვალისწინებთ ჟირესის ფორმაციის ნაკრების გაზრდილ ამბიციებს და „დინამოს" საშემოდგომო შოუს, ბევრი არაფერია. ყოველ შემთხვევაში, ამაზე უარესი დროებაც ჰქონია ქართული ფეხბურთის მმართველ ორგანოს. სხვათა შორის, აღმასკომი „პანიონისი"-„დინამოს" გახმაურებული მატჩის თემასაც შეეხო. ქართული კლუბის მხარდასაჭერად ფედერაცია სპეციალურ წერილს მოამზადებს, რომელიც უეფაში საკუთარი პოზიციების დასაცავად გამოგვადგება.

საკადრო საკითხებიც მალევე მოგვარდა. ვალერი ჩოლარიამ მეორე პოსტიც შეითავსა და ამჟამად მისი ტიტულატურა ასე იწოდება: ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი — აღმასრულებელი მდივანი. ნაკრებსაც ახალი პრეს-ატაშე ეყოლება. ამ საპასუხისმგებლო საქმეს თბილისის „დინამოს" პრესსამსახურის უფროსი ლევან სალუქვაძე გაუძღვება. ჩოლარიას მსგავსად, ლევანიც ორივე პოსტს შეითავსებს და 1-ელი იანვრიდან მასმედიის ელჩი იქნება „დინამოსა" და ნაკრებში.

***გვერდი მოამზადა რატი შელეგიამ***

## №49 (427) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

ტელეგადაცემების რეიტინგში 628 მკითხველმა მიიღო მონაწილეობა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 289 ქალმა და 332-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი ტელეგადაცემა მოგწონთ ყველაზე მეტად?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობის კეთილგანწყობას გიორგი თარგამაძის „დროება" იმსახურებს. მკითხველთა 67%-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 9 ქულა. აღსანიშნავია, რომ იგი მინიმალურ ქულათა სიმცირითაც გამოირჩევა — მხოლოდ 5-მა მკითხველმა (0,8%) მიაკუთვნა 1 ქულა. **8,20** საშუალო ქულით „დროება" პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ასევე ტელე-იმედის გადაცემა „რე-აქციაა", საშუალო ქულაა 6.32. მკითხველთა 10% თვლის მას ყველაზე საუკეთესოდ.

ინგა გრიგოლიას გადაცემას მცირე სხვაობით ჩამორჩება ირაკლი იმნაიშვილის „არჩევანის ზღვარზე", საშუალო ქულაა 6.09.

როგორც ვხედავთ, დაწინაურებულ სამეულში უალტერნატივო „ლიდერი" "დროებაა". მისი და „რე-აქციის" საშუალო ქულებს შორის სხვაობა საკმაოდ დიდია, რაც იმას მოწმობს, რომ ჩვენი დროების ადამიანებისთვის ეს გადაცემა განსაკუთრებულია.

სულ ბოლო ადგილზე დავით აქუბარდიას „სპექტრია". მინიმალურ ქულათა სიუხვით გამოირჩევა ასევე გიორგი გვახარიას „ფსიქო". როგორც ჩანს, მისი გემოვნებით შერჩეული ფილმები და ამ ფილმების გარშემო პროფესიონალთა საუბრები მკითხველთათვის ნაკლებად საინტერესოა.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტ ქალებთან მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ გადაცემები — „რე-აქცია" და „არჩევანის ზღვარზე" — მათ ზუსტად ერთნაირი საშუალო ქულები დაიმსახურეს. ქალბატონებს „ღამის მატარებელი" ურჩევნიათ ჯანრი კაშიას გადაცემას — „არჩევანი თქვენ".

ანალიტიკა, ცოტ-ცოტა სკანდალები, პოლიტიკა, დინამიკურობა — თუ ეს ყველაფერი გემოვნებითაა გაკეთებული და მასში ადამიანთათვის სასარგებლოც მოიძებნება, ასეთ ტელეგადაცემას დღეს საქართველოში მაყურებელი არ მოაკლდება.




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული თბილისელი, 14 წლის **ნინო ბადაშვილია.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 15 დეკემბერს, 17 საათზე.

## №50 (428) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგსა და **«მკითხველის პრემიაში».**

№50 (428) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 15 დეკემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 16 დეკემბრის 13 საათამდე.

©თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგში". თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადაში გამოგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ასლირებული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №50(428) — ძაღლი

**რომელი ჯიშის ძაღლი მოგწონთ ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

N 50(428) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | კავკასიური ნაგაზი | |
| 2 | დოგი | |
| 3 | კოკერ-სპანიელი | |
| 4 | შოტლანდიური ნაგაზი (კოლი) | |
| 5 | ტაქსა | |
| 6 | დობერმანი | |
| 7 | სეტერი | |
| 8 | პუდელი | |
| 9 | გერმანული ნაგაზი | |

### მკითხველის რეიტინგი

**ვის მიანიჭებთ „წლის ჩინოვნიკის" ტიტულს?**
(დაასახელეთ დანიშნული თანამდებობის პირები)

✓ ____________

### მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი

ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

ქართველ პოლიტიკოსთაგან ვინ იმსახურებს თქვენს რისხვას ყველაზე მეტად (ვინ გიშლით ნერვებს)?

| | | |
|---|---|---|
| 1. | შალვა ნათელაშვილი | 29.8% |
| 2. | კახა ბენდუქიძე | 9.6% |
| 3–4. | გიგა ბოკერია | 6.7% |
| 3–4 | ზურაბ ჭიაბერაშვილი | 6.7% |
| 5. | გურამ შარაძე | 5.8% |
| 6. | ზურაბ ჟვანია | 5.1% |
| 7. | კახა ლომაია | 3.8% |
| 8. | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | 3.4% |
| 9 | მაია ნადირაძე | 2.2% |
| 10–11. | აკაკი ასათიანი | 1.6% |
| 10–11. | კობა დავითაშვილი | 1.6% |
| | ყველა პოლიტიკოსი | 2.7% |
| | არავინ | 2.2% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 2.0% |

როგორც ვხედავთ, ჩვენს მკითხველებს პოლიტიკოსები და მინისტრები ერთნაირად უშლიან ნერვებს. თანაც (რამდენიმე მათგანის გამოკლებით), ისინი წინა ნომრის მკითხველის რეიტინგში სკანდალურ ადამიანებად დასახელდნენ. გამოდის, რომ ხმაურიანი და სკანდალური პოლიტიკოსები ხალხის ნერვებზე უფრო მეტად მოქმედებენ, ვიდრე უხმაურო ადამიანები.

*მკითხველის რეიტინგში 455 რესპონდენტი მონაწილეობდა.*

## ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

ბავშვობიდან ვიცოდი სიყვარული რომ „არ დადიოდა"...

წინა ნომერში ფოტოანტიკვარის გმირის პრეტენზიულმა განცხადებამ, „ვაკეთებ რაც მინდა, როდესაც მინდა და როგორც მინდა!" — მკითხველი ცოტა არ იყოს, დააბნია. როგორც ჩანს, ჩვენში ძალზე მომრავლდნენ „იმგვარი" პოლიტიკოსები, ხელოვანები თუ სახელმწიფო მოხელენი, რომლებიც თავიანთი სურვილისამებრ აკეთებენ ყველაფერს, რაც მოესურვებათ... ამიტომაც მივიღეთ დასახელებულთა ფართო სპექტრი, რომელთა შორისაც არიან: ბადრი პატარკაციშვილი, კახა ლომაია, მერაბ ტყეშელაშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, კობა დავითაშვილი, რობერტ სტურუა, კახა ბენდუქიძე, ლევან გაჩეჩილაძე და მრავალი სხვა, თვით ჯორჯ ბუში უმცროსის(!) ჩათვლით...

თუმცა, მკითხველთა 30%-მა მაინც შეძლო გაეხსენებინა ნოდარ დუმბაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით გადაღებული მხატვრული ფილმი „კუკარაჩა" და მისი უარყოფითი გმირი მურტალო, რომლის როლსაც მსახიობი (და რეჟისორი) **ზაზა კოლელიშვილი** ასრულებს. დიახ, ეს ქუთაისურ „კეპკიანი" დარდიმანდი პატარა ბიჭი, სიგარეტი რომ პროფესიონალი მწეველივით მოუმარჯვებია, ზაზა კოლელიშვილი გახლავთ.

სხვათა შორის, მურტალოს სიტყვებმა ერთი მკითხველი სატელევიზიო სპექტაკლის გმირთანაც მიიყვანა. დასახელდა ამ როლის კიდევ ერთი შემსრულებელი — თემურ ბაბლუანი.






ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი

## ფოტო განწყობისთვის



— მიიწიე, ჩემო ვეტევი!..

## ეს იცოდით?

* * * ელადაში ოლიმპიადებზე, ხტომა, ბადროსა და შუბის ტყორცნა მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა. მითოლოგიური გმირი პროქსელასი 8 კგ-იან ბადროს 45 მეტრზე ტყორცნიდა, როცა მუსიკის ჰანგები ესმოდა.

* * * მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში ინახება არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნი ბრინჯაოს 15 ოლიმპიური ბადრო. მათ შორის ყველაზე მსუბუქი განეკუთვნება ჩვენს ერამდე VI საუკუნეს და 1,2 კილოგრამს იწონის, ყველაზე მძიმე კი, რომელიც III საუკუნით არის დათარიღებული, 5,7 კილოგრამია.

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. კავსაძე; 4. მატიანე; 6.სვავი; 7. აბაშა; 8. ესაძე; 9. ირანი; 10. იაკობი; 13. სტატუა; 16. ბრიჯი; 18. ფიდელიო; 19. რანჟირი; 20. ატომი; 22. იდილია; 23. დოფინი; 25. ლიბრი; 27. ბადრო; 28. რუმბა; 29. ლანდი; 30. ინცესტი; 31. ალაზანი.

**შვეულად:** 1. კომენტარი; 2. ესპანეთი; 3. კატამარანი; 4. მინარეთი; 5. ევაკუაცია; 11. კადრი; 12. ბელტი; 14. ტანგო; 15. ტაიმი; 16. ბოა; 17. ირი; 21. ომბუდსმენი; 22. ინციდენტი; 24. იუვენტუსი; 25. ლიბერალი; 26. იზოლაცია.

18/XII

პირველი მეოთხედი






**თარაზულად:** 1. ამაზონის წყლებში გავრცელებული პატარა მტაცებელი თევზი; 4. ქართველი მწერალი, ავტორი რომანისა „მარადისობის კანონი"; 6. საზეიმო წვეულება, დარბაზობა; 7. არაბთა ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოში; 8. რაიმე გზის, დისტანციის ცალკეული მონაკვეთი; 9. კიევის დიდი მთავარი; 10. უწყინარი ხასიათის, დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; 13. ჩრდილოეთ ამერიკაში გავრცელებული დათვის სახეობა; 16. პორტის მტვირთავების მეტყველებაში: დაუშვი! დასწიე! ამწით დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს. 18. მუხლის სახსრის სახსარშიგა ხრტილი; 19. უმაღლესი, საუკეთესო შედეგი რაიმე სპორტულ შეჯიბრებაში; 20. მტკნარი წყლის სარეწაო თევზის სახეობა; 22. კათოლიკური მესის მეორე ნაწილი — ქებათა ქება; 23. საწვიმარი; 25. ოპტიკური მინა; 27. ნადირი; 28. მწარე საწებელი; 29. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში; 30. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან; 31. კაპიუშონიანი ზედა ტანსაცმელი, რომელსაც იცავენ პოლარულ მხარეში ესკიმოსები, აგრეთვე ალპინისტები.

**შვეულად:** 1. ხუთკუთხიანი შენობა, რომელშიც მოთავსებულია აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო; 2. გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი; 3. ორთოპედიული საფენი, რომელსაც დებენ ფეხსაცმელში ბრტყელტერფიანობისას; 4. ფეთქებადი ნივთიერება; 5. მარცვლეულის შესანახი დიდი ნაგებობა; 11. ტროპიკული ხილი; 12. ალალბედზე მოქმედება; 14. იგივეა, რაც ცეკვა; 15. აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი; 16. „როლინგ-სთოუნზის" სოლისტი .... ჯაგერი; 17. მიწის ფართობის საზომი ერთეული; 21. ბაფთებით შემკული პატარა შუბი, რომელსაც იყენებენ ხარების ბრძოლაში; 22. ავეჯის სრული კომპლექტი; 24. მალარიის გადამტანი კოღო; 25. საკრედიტო დაწესებულება; 26. ზეპირი ან ბეჭდვითი მოღვაწეობა, რომლის მიზანია მოახდინოს ზეგავლენა ფართო მასების შეგნებასა და განწყობილებაზე.

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

## დე ნირომ ყოფილი ცოლი შეირთო



დე ნირომ და გრეის ჰაიტაუერმა კვლავ შეჰფიცეს ერთმანეთს ერთგულება. ქორწილი გაიმართა ვარსკვლავის ფერმაში, ულსტერის მახლობლად. სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ მარტინ სკორსეზე, მერილ სტრიპი და ბენ სტილერი, ახალდაქორწინებულები შამპანურით ადღეგრძელეს. სუფრას ამშვენებდა რესტორან „Nobu"-ში მომზადებული დელიკატესები. ეს რესტორანი სიძეს ეკუთვნის.

## გაიყიდა კალასის სამკაულები...

ახლახან ჟენევაში, Sotheby-ის აუქციონზე 1,87 მლნ დოლარად გაიყიდა მარია კალასისეული ძვირფასეულობა. სამკაულების უმეტესობა მომღერალს მეუღლემ — ბატისტო მენეჯინიმ უძღვნა, რომელიც აგრეთვე მისი მენეჯერიც გახლდათ. მაშინ მარია ძალიან ბედნიერი იყო, „ლა სკალაში" ბრწყინავდა, მსმენელი აღმერთებდა, ჯერ კიდევ შორს იყო ბერძენ მაგნატ არისტოტელე ონასისთან სკანდალური რომანი...

სამკაულებმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია კოლექციონერებსა და ოპერის მოყვარულთა შორის. ყველაზე ძვირად, 393.000 დოლარად გაიყიდა 11-კარატიანი ბრილიანტის ბეჭედი. დიდი ვაჭრობა გაიმართა ბრილიანტებით მოოჭვილი ხალასი ოქროს რედიკიულის გამო. იგი 45.000 დოლარად ჩაიგდო ხელში ვიღაც იღბლიანმა, რაც თითქმის 9-ჯერ აღემატება საწყის ფასს.



ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

### უფასო განცხადების ქვითარი

50

განცხადების ტექსტი ________________________________

______________________________________

______________________________________

______________________________________

______________________________________

______________________________________

______________________________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ:სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№50 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 16 დეკემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

**„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები
ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი
სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge
სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„კვირის პალიტრა"
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა „კოლორში".